ეროვნული ბიბლიოთეკა

1917
60
1977

# საბჭოთა ხელოვნება

1977 11

ჟურნალი გამოდის
1921 წლიდან

11/1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

## შინაარსი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნი. 3

ოთარ თაქთაქიშვილი —
დიდი ოქტომბრის მონაპოვარი . . . . . . . . 4

ინტერვიუ
დიმიტრი ალექსიძე . . . . . . . . . 9
ივანე ჩხენკელი . . . . . . . . . 12
ნოდარ ჯანბერიძე . . . . . . . . . 15
ელდარ შენგელაია . . . . . . . . . 17

ალექსი არლუნი —
ოქტომბრით შობილი ხელოვნება . . . . . . . 19

ლამარა ბოლქვაძე —
ალმავლობის გზით . . . . . . . . . . . 23

გრიგოლ დოგუზოვი —
ახალი წარმატებებისაკენ . . . . . . . . . 26

გივი ორჯონიკიძე —
ქართული საბჭოთა მუსიკის 60 წელი . . . . . . 28

ხელოვნების ზეიმი . . . . . . . . . . . 34

თინა დონჟაშვილი —
ხალხთა მეგობრობის მუზეუმი . . . . . . . . 38

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მუ-
სიკა . . . . . . . . . . . . . . . 49

სვეტლანა ქეცბა —
აფხაზეთის პროფესიული მუსიკა . . . . . . . 55

ლამარა სარიბეკოვა —
ლეონიდ ანდრეევი და კოტე მარჯანიშვილი . . . 60

რუბენ ანგალადიანი —
გევორქ გრიგორიანი . . . . . . . . . . 64

თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის
50 წელი

ირინე გოცირიძე —
პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე . . . . . 69

კონსტანტინე ვაისერმანი —
მოზარდთა თეატრის საპელოვანი იუბილე . . . 72

ნადეჟდა ჯაფარიძე—
მსახიობთა შესანიშნავი თაობები . . . . . . 77

მიხეილ შატროვი —
ექვსი ივლისი (პიესა) . . . . . . . . . . 84

ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . 102

ქრონიკა . . . . . . . . . . . . . . 103

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუმბერ თითმერია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ გაბუნია,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
გივი ორჯონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ჭავჭავაძე,
ნოდარ ჯანბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917 60 1977

ჩვენ ახალ კონსტიტუციას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წინ ვიღებთ. ეს ქვეყნის ცხოვრების ორი უდიდესი მოვლენის უბრალო ქრონოლოგიური დამთხვევა როდია. მათ შორის გაცილებით უფრო ღრმა კავშირია. ახალი კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სამოცი წლის განვითარების კონცენტრირებული შედეგია. იგი ნათლად მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება ოქტომბრის მიერ გამოცხადებული იდეები, ლენინის ანდერძი.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა! თქვენი ნიჭი და ოსტატობა მოახმარეთ ხალხის სამსახურს, კომუნიზმის საქმეს, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ნაწარმოებები!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნი

ტექსტი ს. მიხალკოვის და გ. ელ.-რეგისტანისა.
ტექსტის ახალი რედაქცია ს. მიხალკოვისა.
ქართული თარგმანის ტექსტის ახალი რედაქცია ი. აბაშიძისა.
მუსიკა ა. ალექსანდროვისა.

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს,
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

შუქს გრიგალში გვფენდა მზე თავისუფლების
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას,
მან დარაზმა ხალხი მართალ საქმისათვის,
გმირობა და შრომა შთააგონა ხალხს.

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

კომუნიზმის საქმის ზეიმში ჩვენ ვხედავთ
ქვეყნის მომავალს და მას ვუსწორებთ თვალს,
და სამშობლოს წმინდა, ალისფერი დროშის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917 60 1977



# დიდი ოქტომბრის მონაპოვარი

ოთარ თაქთაქიშვილი
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

**დიადმა** ოქტომბერმა, მძლავრმა სოციალისტურმა სინამდვილემ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა გატარებამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველდღიურმა მზრუნველობამ საბჭოთა საქართველოს განუხრელი აღმავლობა განაპირობა, გადააქცია იგი მაღალგანვითარებული მრეწველობის, მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის ქვეყნად.

ეროვნული ეკონომიკის, მეცნიერების, ხელოვნების აღორძინებამ ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გაიყვანა. გაუთქვა სახელი ნიჭიერსა და შრომისმოყვარე ქართველ ხალხს. ყოველივე ამას თვით ცხოვრება ადასტურებს, ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებენ ფაქტები. გავიხსენოთ თუნდაც საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები, კულტურის დღეები, გასტროლები, სხვადასხვა სახის დათვალიერებები, სადაც თითქმის ყოველწლიურად იმარჯვებენ ქართველი საბჭოთა მუსიკის, თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნების, მხატვრული თვითმოქმედების შესანიშნავი ოსტატები.

ქართველი ხალხის შემოქმედება მანამდე არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი ესოდენ ფართო მასშტაბით: სისტემატურად ითარგმნება და მრავალ ენაზე იბეჭდება ქართული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშები, საბჭოთა კავშირის თითქმის 100 თეატრის სცენაზე იდგმება ქართველ დრამატურგთა პიესები, სხვადასხვა ქვეყნის საგამოფენო დარბაზებში რეგულარულად იფინება ქართველ მხატვართა ნამუშევრები, საკონცერტო ესტრადებზე ჟღერს ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, სიმფონიები, ორატორიები, კამერული მუსიკის ნაწარმოებები... საბჭოთა და უცხოეთის საოპერო სცენაზე იდგმება ქართველ კომპოზიტორთა ოპერები, იცემა ქართველ შემსრულებელთა გრამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა





დ. ნოდია. ტრიპტიქი „რევოლუცია“.

ფირფიტები, საკავშირო და საერთაშორისო ეკრანებზე სისტემატურად იმართება ახალი ქართული ფილმების პრემიერები, ცენტრალური რადიო და ტელევიზია აწყობს სპეციალურ გადაცემებს ქართული კულტურის შესახებ.

აღნიშნული ღონისძიებების მნიშვნელობა ძალზე დიდია, ისინი ბიძგს აძლევენ ეროვნული შემოქმედებითი სკოლების წინსვლას, რაც, თავის მხრივ, მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის შეუწყვეტელი განახლების, გამდიდრებისა და გაფართოების საწინდარია. ყოველივე ეს დასაბამს აძლევს მოძმე კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთზეგავლენის ტენდენციას, რაც წარმოადგენს სოციალისტური წყობილების ქვაკუთხედს, მისი უდიდესი მონაპოვარია.

საბჭოთა ხელოვნებამ — დიდი ოქტომბრის შესანიშნავმა პირმშომ — ჩვენი დიდი კლასიკოსებისაგან შეითვისა მოძმე კულტურათა პროპაგანდის, ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ტრადიცია, რამაც ეროვნული შემოქმედებითი სკოლების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა, არნახული გაქანება და მასშტაბი მიანიჭა.

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემოქმედებითი ძალების ურთიერთმიმოქცევის ამ უაღრესად ინტენსიურმა პროცესმა ქართული ხელოვნება გადააქცია საკავშირო და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის ორგანულ ნაწილად, განუზომლად გააფართოვა მისი გავრცელების არე. დღეს ქართულ ხელოვნებას კარგად იცნობენ მოძმე რესპუბლიკებსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ცხადია, ქართულ ხელოვნებას მხოლოდ ამ გზით შეეძლო მიეღწია ინტერნაციონალური ჟღერადობისათვის.

თავის მხრივ, ჩვენი უძველესი ტრადიციები, რომლებშიც ქართველი ხალ-



ხის შესანიშნავი სნეობრივი და შემოქმედებითი თვისებებია გამ[illegible] ჰკვებავენ, ანაყოფიერებენ და ამდიდრებენ დიად სოციალისტურ კულტურას, ანიჭებენ მას სიახლესა და თვითმყოფადობას.

ასეთია მოძმე კულტურათა პროპაგანდის, ურთიერთდაახლოების და ურთიერთგამდიდრების ტენდენციის შედეგები. ამგვარ ორმხრიობას წარმატება მოაქვს როგორც ცალკეული ეროვნული სკოლებისათვის, ისე მრავალეროვანი სოციალისტური კულტურისათვის.

ამის შეგნება სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებს თითოეული ჩვენგანის გულს. ამიტომაა ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი მოძმე ხალხების ხელოვნება და ლიტერატურა, ამიტომ ვზეიმობთ ხოლმე ასეთი ერთსულოვანი მღელვარებით რუსთაველისა და ბარათაშვილის, ფალიაშვილისა და არაყიშვილის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასა და ჩაიკოვსკის, კომიტასის, თუმანიანის, სუნდუკიანის, ტარას შევჩენკოს, მირზა ფატალი ახუნდოვის, კუროღლისა და სხვათა საიუბილეო თარიღებს, რომელთა სახელები ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოდ გვესახება. ზეიმის სახეს ამიტომაც იღებს მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა ნებისმიერი შეკრება. მეგობრული და კოლეგიალური კონტაქტები, სერიოზული შემოქმედებითი ატმოსფერო, ინტერნაციონალური სოლიდარობის მაღალი გრძნობა დიდი სტიმულია მოძმე ერთა ხელოვნების აღმავლობისათვის.

ყოველივე ეს დიდი ოქტომბრის მონაპოვარია. მას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს წინსვლასა და გამარჯვებას. მან შეგვიქმნა ყველა პირობა სწავლისა და მუშაობისათვის, შეგვიქმნა ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერო, ფართო გზა მისცა ნიჭსა და ცოდნას, განათლებასა და ოსტატობას. ასევე უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, რომლის სადარაჯოზე მედგრად დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

ახლა კი თვალი გადავავლოთ ქართველი ხალხის უმძიმეს წარსულს, რათა უფრო ცხადად დავინახოთ ის უდიდესი ძვრები, რომლებიც განხორციელდა საქართველოს კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროში.

საქართველოს ისტორია წარმოადგენს სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და გამანადგურებელი ომების უწყვეტ ჯაჭვს. ჩვენს მიწა-წყალს დღენიადაგ ცეცხლითა და მახვილით არბევდნენ, აწიოკებდნენ, აოხრებდნენ მოსისხლე მტრები — მონღოლები, არაბები, თურქები, სპარსელები. უცხოელი დამპყრობლები ლამობდნენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის გაჩანაგებას, ერის მოსპობას. ნანგრევებად იყო ქცეული უნიკალური ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი, ნადგურდებოდა ჩვენი შესანიშნავი ფრესკები, მოისპო უძველესი ქართული მინანქრული და ჭედური ხელოვნების ოდესღაც მაღალგანვითარებული ტექნიკა, დავიწყებას ეძლეოდა დიდებული ჩვენი სიმღერა-საგალობლებიც. ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის ზემოქმედებით იდევნებოდა ქართული ენა. კატასტროფულად მცირდებოდა ოდესღაც აყვავებული მრავალრიცხოვანი საქართველოს მოსახლეობა.

სურათი მკვეთრად შეიცვალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სისტემის დამყარებისთანავე. დიდი ოქტომბრის შუქით განათებული ლენინური იდეების საფუძველზე ქართველმა ხალხმა მოიკრიბა თავისი ფიზიკური და სულიერი ძალები, მყისვე შეუდგა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ხელოვნების მთელი რიგი დარგების აღორძინებას. დაინერგა ხელოვნების ახალი დარგები — მრგვალი ქანდაკება, კინოხელოვნება, სიმფონიური, კანტატა-ორატორიული, კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, ბალეტი... ხელოვნების ეს ახალი დარგებიც ქართველი ხალხის მიერ უდიდესი მზრუნველობით შენარჩუნებული ეროვნული ტრადიციების საფუძველზე განვითარდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული ხელოვნების ეს ახალი ფორმები და ჟანრები ამდიდრებენ როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიო კულტურის საგანძურს.

რევოლუციამდე თითებზე იყო ჩამოსათვლელი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და შემოქმედებითი ორგანიზაციებიც. დღეს კი ჩვენს რესპუბლიკაში ოთხი ათასი ბიბლიოთეკაა (აქ იგულისხმება სკოლებთან, ტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკუმებთან, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებთან არსებული ბიბლიოთეკები), რომელთა ფონდებში დაცულია 30 მილიონი ეგზემპლარი წიგნი. გაშენებულია კულტურის სახლები და კლუბები, რომელთა რაოდენობა უდრის 2259. ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს 81 მუზეუმი, 5 სამხატვრო გალერეა, მრავალი საგამოფენო დარბაზი, 25 პროფესიული თეატრი, 40 სახალხო თეატრი, 140 მუსიკალური სკოლა, 1600-ზე მეტი კინოდანადგარი, ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, კულტურის სახალხო უნივერსიტეტები. ფართოდ დაინერგა რადიო და ტელევიზია.

საქართველოში გამოდის 150-მდე გაზეთი და ჟურნალი, ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, ყოველწლიურად ჩვენი რესპუბლიკის ორი წამყვანი გამომცემლობა უშვებს 2350 წიგნს 16, 5 მილიონიანი ტირაჟით (მაშინ, როდესაც 1921 წლამდე, სამი საუკუნის მანძილზე, საქართველოში სულ 5000 წიგნი იქნა დასტამბული მილიონიანი ტირაჟით).

საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში ითარგმნება ქართველი საბჭოთა პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები. მათი შემოქმედების წყალობით უცხოელი მკითხველი ეცნობა ჩვენს ქვეყანას, მის წარსულსა და აწმყოს. ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, გდრ-ის, გფრ-ის თეატრებში იდგმება ქართველ დრამატურგთა პიესები.

ინტენსიურ წინსვლასა და განვითარებას განიცდის ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება. ქართველ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრებს, რომლებშიც ასახულია ჩვენი ხალხის ცხოვრება და შრომა, გამოარჩევთ ავტორისეული ინდივიდუალობით, ახალი გამომსახველობითი საშუალებებით, ეროვნული ტრადიციების ორიგინალური გადააზრებით. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება ქართველ ფერმწერთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა, კერამიკოსთა, ჭედური ხელოვნების ოსტატთა გამოფენები.

ქართულმა პროფესიულმა მუსიკამ, სათავეს რომ იღებს ჩვენი დიადი მრავალსაუკუნოვანი ხალხური შემოქმედებიდან, დიდ წარმატებას მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვითარდებოდა ძირითადად ვოკალური მუსიკის ფორმები — ოპერა, რომანსი, საგუნდო მუსიკა, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა კლასიკოსებმა — ზაქარია ფალიაშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ვიქტორ დოლიძემ. საბჭოთა წყობილების პირობებში, კომპოზიტორთა მომდევნო თაობის შემოქმედებაში დამკვიდრდა და განვითარდა მუსიკალური ხელოვნების ახალი ფორმები, — სიმფონია, კანტატა, ორატორია, კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, ბალეტი, ოპერეტა, საესტრადო მუსიკა, მასობრივი სიმღერა, მუსიკა დრამატული თეატრისა და კინოსათვის.

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში დიდი წარმატებით სრულდება ქართველ ავტორთა სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იდგმება კლასიკური და თანამედროვე ქართული ოპერები.

ქართული მუსიკის, ქორეოგრაფიის, საშემსრულებლო ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში დიდ როლს თამაშობენ შესანიშნავი ქართველი შემსრულებლები და შემოქმედებითი კოლექტივები. საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს პიანისტების ელისო ვირსალაძის და მარინე მდივნის, მევიოლინეების ლიანა ისაკაძის, მარინე და ნანა იაშვილების, ვიოლონჩელისტების ელდარ ისაკაძისა და თამარ გაბარაშვილის, მომღერლების მედეა ამირანაშვილის, ლამარა ჭყონიას, ცისანა ტატიშვილის, მაყვალა ქასრაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ზურაბ სოტკილავას, ნოდარ ანდღულაძის შემოქმედებას. ეს შესანიშნავი მუსიკოსები იზრდებოდნენ საქართველოს მუსიკალურ სკოლებში და თბილისის კონსერვატორიაში. ბევრი მათგანი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.

მრავალი ქვეყნის საკონცერტო ესტრადაზე უდიდესი წარმატებით გამოდის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს

ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი“, საესტრადო კოლექტივები „ორერა“, „ივერია“, „დიელო“, მრავალრიცხოვანი თვითმოქმედი ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

რევოლუციამდე მატერიალური სახსრების უქონლობის გამო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული თეატრიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დიდი რეჟისორების კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით დაიწყო ეროვნული თეატრალური ხელოვნების ინტენსიური აღმავლობის პროცესი.

მათმა თეატრებმა ტრიუმფალური წარმატება მოიპოვეს 1930 წელს მოსკოვში. მას შემდეგ ქართული თეატრი მიიკვლევს გზას, დღითიდღე ფართოვდება მისი თაყვანისმცემლების რიცხვი. თეატრალური მოსკოვი აალაპარაკა რუსთაველის თეატრის მიერ ახლახან ჩატარებულმა გასტროლებმა. უდიდესი რეზონანსი ხვდა ამ კოლექტივის გასტროლებს რუმინეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მექსიკაში. უნგრეთში წარმატებით გამოვიდა რუსთავის თეატრი, ბულგარეთში — ბათუმის თეატრი, პოლონეთში — მეტეხის ახალგაზრდული თეატრისტუდია.

ქართული თეატრალური ხელოვნება ამაყობს შესანიშნავი რეჟისორების დიმიტრი ალექსიძის, მიხეილ თუმანიშვილის, გიგა ლორთქიფანიძის, რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძის შემოქმედებით, გამოჩენილი მსახიობების — ვერიკო ანჯაფარიძის, თამარ ჭავჭავაძის, სესილია თაყაიშვილის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვასო გოძიაშვილის, სერგო ზაქარიაძის, გიორგი შავგულიძის, ეროსი მანჯგალაძის, გიორგი გეგეჭკორის, რამაზ ჩხიკვაძის, გურამ საღარაძის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, სოფიკო ჭიაურელისა და სხვათა სახელებით. მრავალი მათგანი აქტიურად მონაწილეობს ქართული კინოხელოვნების განვითარებაშიც.

ტრადიციად იქცა ახალი ქართული მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, მულტიპლიკაციური და სატელევიზიო ფილმების დემონსტრაცია საბჭოთა და საზღვარგარეთის ეკრანებზე, საკავშირო და საერთაშორისო პრემიებით აღინიშნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემდეგი ნაწარმოებები: „წითელი ემმაკუნები“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „ჩვენი ეზო“, „ჯარისკაცის მამა“, „ქორწილი“, „გიორგობისთვე“, „ვედრება“, „ფიროსმანი“, „იყო შაშვი მგალობელი“, „ვერის უბნის მელოდიები“ და სხვა.

ქართული საბჭოთა ხელოვნების პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი კულტურის კვირეულებმა, დიდი წარმატებით რომ ჩატარდა მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ერევანსა და ტალინში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეციასა და საბერძნეთში.

საიუბილეო წელს საბჭოთა ხალხმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. მისი შეცვლა განაპირობა, ერთი მხრივ, ჩვენი დიადი სახელმწიფოს უზარმაზარმა წინსვლამ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ, რომლის წინაშე პასუხისმგებლობას თვით ისტორია აკისრებს სოციალიზმის პირველ ქვეყანას.

ჩვენი ახალი კონსტიტუცია საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს მოუწოდებს მშობლიური ეროვნული კულტურის დაცვისა და განვითარებისაკენ, რისთვისაც სახავს სულიერი ცხოვრების განახლებისა და გამდიდრების გზებს. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას ახალ ხარისხში აჰყავს შესანიშნავი თეზისი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების შესახებ. იგი აყალიბებს საბჭოთა კულტურის იმ ახალ ფენომენს, რომელიც ეროვნულ მონაპოვრებს ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ ჟღერადობას მიანიჭებს. ყოველივე ამის გამო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია მსოფლიო კულტურის, მისი შემდგომი პროგრესის მანათობელ ვარსკვლავად გვესახება.



1917 60 1977

# ინტერვიუ

დიმიტრი ალექსიძე,

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე

**როგორ ხვდებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს?**

60 წელი მოვიტოვეთ უკან. 60 წელი 60-ჯერ 365 დღეა. დღეს, სამოცი წლისთავზე განსაკუთრებით მომინდა უკან მოხედვა. მინდა თვალი გადავავლო გზას, რომელიც გავიარეთ ჩვენ, მთელმა საბჭოთა ხალხმა.

რომელი დღეც არ უნდა ავირჩიოთ ამ ათეულ ათასობით დღეთაგან, იგი იქნება დასტური საბჭოთა ხალხის ძლიერებისა, პატრიოტიზმისა, ახალი სიმაღლეებისაკენ სწრაფვისა.

ქართული საბჭოთა თეატრისათვის არ არსებობს უფრო კეთილშობილური თემა, ვიდრე არის ის, რომ აისახოს საბჭოთა ქვეყნის ყოველდღიურობა, მისი გმირული თანამედროვეობა. დღეს ქართულ თეატრს გააჩნია მიღწევები. თუმცა ნაკლიც ბევრია. ერთ-ერთ მთავარ ნაკლად ის მიმაჩნია, რომ სცენაზე საჭირო დოზით არ იგრძნობა ცხოვრების მაჯისცემა, თანამედროვეობა, ეს კი უპირველესი ამოცანაა.

ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ საქართველოს თეატრებმა, ხელოვნების მუშაკებმა 60 წლის იუბილეს, კომუნისტურ პარტიას, მთავრობას უპატაკონ ახალ-ახალი გამარჯვებები. გვაჩვენონ საბჭოთა ადამიანის ღრმა და შინაარსიანი ცხოვრება, მისი ბრძოლა პროგრესისათვის, რუტინის წინააღმდეგ. ე. ი. სცენაზე მოიყაროს თავი ყოველივე იმან, რაც ჩვენ გვაღელვებს. თეატრიც დაგვეხმაროს იმის დაძლევაში, რაც ჩვენს წინსვლას აფერხებს.

ეს კი მითუმეტეს აუცილებელია, რადგან ოქტომბრის 60 წლისთავი არის მიჯნა, რომლის ძირმტკიცე საძირკველზე ჩვენ არამარტო მომავალს ვაშენებთ, არამედ განვლილ გზასაც გადავხედავთ, გადავხედავთ წარსულს, რათა უკეთ დავინახოთ, უკეთ განვსაზღვროთ ხვალინდელი დღე.

ამ შეგნებით მუშაობს დღეს ქართული თეატრი. ამ პასუხისმგებლობის მტკიცე გრძნობით ჩამოყალიბდა 1977-78 წლების რეპერტუარი, რომელშიც უმთავრესი ადგილი ჩვენს თანამედროვეობას უჭირავს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ოქტომბრის 60 წლისთავს უძღვნის ო. თაქთაქიშვილის ახალი ოპერის „მთვარის მოტაცების“ დადგმას. გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ეს ოპერა ამას წინათ სსრკ დიდი თეატრში განხორციელდა. ვნახოთ, როგორ შეასხამენ მას ხორცს ჩვენს თეატრში.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საიუბილეოდ დგამს გამოჩენილი ქართველი მწერლის, სოციალისტური შრომის გმირის გრ. აბაშიძის პიესას „მოგზაურობა სამ დროში“ და ევგ. გაბრილოვიჩის „შენს თანამედროვეს“. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იუბილეს უძღვნის ი. გარუჩავასა და მ. ტროიანოვსკის „მოხუცს“, მუსიკალური კომედიის თეატრი — ალ. მაჭავარიანის მიერ ვ. მაიაკოვსკის „ბაღლინჯოზე“ შექმნილ ნაწარმოებს. ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ მიუძღვნიან იუბილეს სოხუმისა და ბათუმის სახელმწიფო თეატრები, გრიბოედოვის სახელობის თეატრი დგამს გორკის „უკანასკნელნს“, შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი — ო. ჩიჯავაძის „შვილებს“.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი — მიხეილ შატროვის „ექვსი ივლისი“. ეს მეტად საპატიო ამოცანა დიდი პასუხისმგებლობის წინაშეც აყენებს თეატრს.

დიადი ოქტომბრის იუბილესათვის თეატრალურმა საზოგადოებამ დროულად დაიწყო აქტიური მზადება — მისი ცალკეული კაბინეტები ატარებენ სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებს, საგამომცემლო განყოფილება გამოსცემს ავტორთა ჯგუფის ნაშრომს „საბჭოთა სასცენო ლენინიანა“. ნ. შალუტაშვილის „მეგობრების გზებს“, რ. თაბუკაშვილის „პიესებს“, ხოლო „თეატრალურმა მოამბემ“ ჯერ კიდევ გაზაფხულიდან დაიწყო საიუბილეო მასალების მოთავსება თავის ფურცლებზე.

**როგორია საქართველოს თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედებითი პერსპექტივები?**

ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს — შევქმნით საექსპერიმენტო თეატრს, რომელშიც მუშაობა სამი მიმართულებით წარიმართება. გვექნება: 1. ფსიქოლოგიურ-კამერული თეატრი, 2. კამერული საოპერო თეატრი, 3. ქორეოგრაფიული თეატრი. ამ ექსპერიმენტული თეატრის შექმნით მიზნად ვისახავთ ცხოვრებაში განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ გამოვლენილი იქნას ახალი სახელები, ახალი ძალები. გავზრდით ახალგაზრდა დრამატურგებს, რეჟისორებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს.

ასეთი გეგმებით, ასეთი განწყობილებით ვხვდებით დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა









სცენა სპექტაკლიდან „ანზორი“.
ა. ხორავა — ანზორი.
ა. ვასაძე — კიკვიძე.
სცენა სპექტაკლიდან „რღვევა“. 1928 წ.
სცენა სპექტაკლიდან „ლიუბოვ იაროვაია“.
იაროვოი — ე. მაღალაშვილი
ლიუბოვ იაროვაია — მ. ჯაფარიძე.
სერგო ზაქარიაძე სპექტაკლში
„კრემლის კურანტები“.





ეროვნული ბიბლიოთეკა



სასტუმრო „ივერია“.

თბილისის მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველი“.



# ინტერვიუ

**ივანე ჩხენკელი,**

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის
გამგეობის თავმჯდომარე

**როგორ ხვდებიან ქართველი არქიტექტორები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს?**

60 წელი არცთუ დიდი დროა ხუროთმოძღვრების — ხელოვნების ამ რთული დარგის მხატვრული და იდეური ფორმირებისათვის, მითუმეტეს, როდესაც რევოლუციის შემდგომი ათეული წელი სხვა მრავალი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის დიდი პრობლემის მოწესრიგებისა და დამკვიდრების პერიოდიცაა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ისტორიასთან. ამავე დროს, როგორც სხვა რესპუბლიკებს, საქართველოსაც ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც ხუროთმოძღვრების წინაშე აყენებდა ახალი სოციალური, ტექნიკური და ესთეტიკური ხასიათის ამოცანებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს არქიტექტურულმა საზოგადოებამ ეს სიძნელეები გადალახა და დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენი ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების მხატვრული სახის ჩამოყალიბებასა და კეთილმოწყობის საქმეში.

ხუროთმოძღვართა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო რესპუბლიკის ქალაქებისა და დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლებული პუნქტების რეკონსტრუქცია და კომუნალური მეურნეობის, ამ რთული საინჟინრო დარგის, მოწესრიგება და მშენებლობა. თუ თვალს გადავავლებთ განვლილ პერიოდს, ნათლად დავრწმუნდებით რა გრანდიოზული სამუშაოებია ჩატარებული ქალაქებისა და სოფლების რეკონსტრუქციის, საქალაქო მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კეთილმოწყობის დარგში.

განვლილი წლები იყო წლები მასობრივი მშენებლობისა, ტიპიური პროექტებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საფუძველზე, ეს იყო ჩვენი ქვეყნის ათასობით დანგრეული ქალაქისა და დასახლებული პუნქტის აღდგენის წლები. საქართველოში გაშენდა მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი და ათიათასობით საბჭოთა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლობა. გაშენდა ფაბრიკა-ქარხნები, უმაღლესი სასწავლებლების კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საზოგადო დანიშნულების შენობები, პარკები და ტყე-პარკები და სხვა მრავალი, რამაც გაახალისა, სრულიად შეცვალა და აამაღლა ჩვენი ქალაქებისა და სოფლების არქიტექტურულ-მხატვრული სახე. ეს გრანდიოზული მასშტაბის გარდაქმნები დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, როგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა.

30-40-იან წლებში დამუშავდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების, კურორტების განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმები. ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ქალაქგეგმარებას, ხუროთმოძღვრების ამ რთულ დარგს. დღეისათვის რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრს აქვს განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რაც საწინდარი გახდა მიზანდასახული, გეგმაზომიერი, კომპლექსური მშენებლობისა.

საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მაგალითზე ნათლად ჩანს ის გრანდიოზული გარდაქმნები, რაც მოხდა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე.

ძალიან ძნელია მოკლედ წარმოადგინო ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვლილი ისტორიული ეტაპები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: განვლილი გზა წარმოადგენს ქართველი არქიტექტორების დაუღალავი შემოქმედებითი შრომისა და დიდი გარდაქმნების შთამბეჭდავ პერიოდს.



უნივერმაღ „თბილისის“ შენობა.



სასტუმრო „აჭარა“.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.



სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

საცხოვრებელი სახლები კეკელიძის ქუჩაზე.



როგორია ქართული არქიტექტურის განვითარების შემდგომი პერსპექტივები და ამოცანები?

მომავლის პერსპექტივები კიდევ უფრო თვალსაჩინო ამოცანებს უყენებს არქიტექტურულ საზოგადოებას. კერძოდ, დიდი ამოცანები დგას საბინაო მშენებლობის წინაშე. ეს კი ხუროთმოძღვრებს ახალ პრობლემებს უსახავს. უნდა გადავხედოთ ჩვენს პოზიციებს საცხოვრებელი ბინების დაგეგმარების საქმეში. საჭიროა დამუშავდეს ნაირსახიანი საცხოვრებელი სახლების რამდენიმე ახალი სერია. დღეს დამუშავების პროცესშია დაპროექტების პროგრამა და უახლოეს დროში გამოცხადდება ღია კონკურსი მომავლის ბინათმშენებლობისათვის 5,9 და 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლების პროექტების დასამუშავებლად.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების წინაშე დგას დიდი, საპასუხისმგებლო ამოცანა: სამშენებლო ინდუსტრია, ახალი სამშენებლო მასალების მრეწველობა და ტექნიკა აიყვანონ იმ დონეზე, რომ შევძლოთ ნაირსახიანი არქიტექტურულ-მხატვრული საბინაო და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების მშენებლობა სხვადასხვა კონსტრუქციული სისტემით.

თანამედროვე პირობებში არქიტექტურა, როგორც ხელოვნება, მოიცავს მხატვრულ, ტექნიკურ, ფუნქციურ და ეკონომიურ ფაქტორებს. ამ ფაქტორების ერთმანეთთან ორგანული შეთავსება, ჩვენი საზოგადოების სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით, საწინდარია იმისა, რომ შეიქმნას ჩვენი დიდი ეპოქის შესატყვისი არქიტექტურული ნაწარმოებები.

ხელოვნების სინთეზი მომავლის ქალაქებისა და სოფლების მხატვრული სახის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. არქიტექტურა მოწოდებულია ადამიანს შეუქმნას კეთილმოწყობილი გარემო, საამისოდ მან შემოქმედებითად უნდა გამოავლინოს ბუნება, გაამდიდროს და დაიცვას ის. ყოველივე ეს თანამედროვე განვითარებული ტექნიკის პირობებში რთული პრობლემაა. კაცობრიობის შეგნებული შემოქმედებითი მოღვაწეობის გადაუდებელი ამოცანაა მიაღწიოს ხუროთმოძღვრების, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა დარგების მტკიცე თანამშრომლობას, რათა მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული მიღწევები და აღმოჩენები მიმართოს ადამიანის საკეთილდღეოდ. სწორად უნდა განისაზღვროს მომავლის ქალაქების ბედი, მათი განვითარების ტენდენციები, პროგნოზები. ეს არის ხუროთმოძღვართა შემდგომი დიდი საზრუნავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ინტერვიუ

1917
60
1977

ნოდარ ჯანბერიძე,

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის
თავმჯდომარე

როგორ ხვდებიან საქართველოს მხატვრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს?

პირველ ყოვლისა, წარმატებებით შემოქმედებაში, რაც დღეისათვის ყველასათვის ნათელია. ქართველ მხატვრებს მართლაც რომ ბევრი გამარჯვება აქვთ მოპოვებული და ეს გამარჯვებანი, როგორც ცნობილია, მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდოებითაც არის აღნიშნული. ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებას წინ სწევს და მის წარმატებებს ამრავლებს მხატვრების კავშირის განმტკიცება ხალხის მასებთან, საამისოდ კი ბევრი რამ კეთდება საერთოდ მთელს მრავალეროვან საბჭოთა ხელოვნებაში. საქართველოში ახალი საგამოფენო დარბაზების გახსნა, სამხატვრო გამოფენები, სკოლებთან, წარმოება-დაწესებულებებთან მხატვრების მჭიდრო კონტაქტი, მოძმე საბჭოთა თუ უცხოელ მხატვრებთან გამოფენების გაცვლა, რეტროსპექტული ექსპოზიციების გამართვა, კონკურსების მოწყობა — ყოველივე ეს ზრდის კონტაქტს ფართო საზოგადოებრიობასთან, ხალხს აცნობს და პროპაგანდას უწევს მხატვართა შემოქმედებით მიღწევებს, ხელოვნება ამით ესთეტიკურად ზრდის მასებს და, ამავე დროს, საზრდოობს ხალხის ინტერესებით, მოთხოვნილებებით.

საზღვარგარეთ მოწყობილი ქართული მხატვრობის გამოფენები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იდეური და პროფესიული დონით. დამთვალიერებელთათვის ნაცნობი ხდე-



გ. თოიძე.
რევოლუცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა თუ რა დიდი ამაგი დასდო ხელოვნებას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამყარებულმა სოციალისტურმა წყობილებამ.

ახალ, დიდ საიუბილეო გამოფენაზე გამოჩენილ ქართველ მხატვრებს მხარში უდგას ჩვენი ახალგაზრდობა. სპეციალურად აღინიშნება ახალბედა მხატვრების ნამუშევრები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი საუკეთესო ნაწარმოებისათვის დაწესებულია მხატვართა კავშირის სპეციალური პრემია. თბილისის შემდეგ გამოფენა გადაინაცვლებს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, ხოლო საუკეთესო ნამუშევრები ექსპონირებული იქნება საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში, ახალ საგამოფენო დარბაზებში.

როგორია მომავლის გეგმები, შემოქმედებითი პერსპექტივები?

უახლოესი გეგმებიდან მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მხატვრის სახლის (ყოფილი „ინტურისტის" შენობა) პირველ სართულზე გამართული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რაც თავისებური პასუხია იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა და მთავრობა იჩენენ მხატვრობისადმი და რომლის მკაფიო დადასტურებაა მხატვრის სახლის შექმნა თბილისში. მნიშვნელოვანი იქნება სურათების სახელმწიფო გალერეაში გამართული, საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის განყოფილებათა წევრების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც მათი ნაყოფიერი შემოქმედების ერთგვარ ანგარიშს წარმოადგენს დედაქალაქის ხელოვნების მოყვარულთა წინაშე. თბილისში აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის დღეებთან დაკავშირებით გაიმართება შეხვედრები ნაწარმოებთა ავტორებთან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის წარმომადგენლებთან.

დ. გაბიტაშვილი. ნოვოროსიისკის მისადგომებთან.
1917 წ.



საიუბილეო თარიღს ეძღვნება საქართველოს მხატვართა კავშირის გაფართოებული პლენუმი „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წელი და ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება". იუბილესადმია მიძღვნილი აგრეთვე რესპუბლიკური გამოფენა „ქართული საბჭოთა გრაფიკა" და გამგეობის სპეციალური პლენუმი, რომელიც განიხილავს თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების წინაშე მდგომ შემოქმედებით პრობლემებს.

უახლოეს ხანში ქალაქ გორში გაიმართება ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებისმცოდნეთა მეორე, უკვე ტრადიციული სემინარი საიუბილეო დევიზით — „შემოქმედებითი ახალგაზრდობა ლენინური გზით". სემინარი ეწყობა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად. დისკუსიებსა და დისპუტებში მათთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი წამყვანი მხატვრები და ხელოვნებისმცოდნეები.

ნაყოფიერი ღონისძიება იქნება საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომთან ერთად თერჯოლის პიონერული ქალაქის ტერიტორიაზე ორთვიანი შემოქმედებითი სემინარის ჩატარება. ჩვენში პირველად ახალგაზრდა მოქანდაკეთა ჯგუფი იმუშავებს ღია ცის ქვეშ. აქ შეიქმნება ყოველგვარი პირობა ახალგაზრდების კომფორტული ცხოვრებისა და დასვენებისათვის. შესრულებულ ნამუშევრებს ავტორები ადგილზე დატოვებენ და ასე თანდათანობით შეიქმნება თავისებური მუზეუმი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ამ ლამაზ კუთხეს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის.

საქართველოს მხატვართა კავშირს ბევრი სხვა საგულისხმო ღონისძიება აქვს დასახული მომავალ მუშაობაში, კერძოდ, საგამომცემლო დარგშიც, მხატვართა შემოქმედების გაშუქებისა და პოპულარიზაციის საქმეში. მრავლისმომცველი და მრავალმხრივია ჩვენი შემდგომი მუშაობის გეგმები. ყველაფერი ეს გამიზნულია საიმისოდ, რომ წინსვლის, აღმავლობის, შემდგომი განვითარების გზაზე მტკიცედ მიდიოდეს ქართული მხატვრობა, მაღლდებოდეს მისი იდეურობა და პროფესიული დონე, ჩვენი დიადი თანამედროვეობის ღირსეული ასახვით კიდევ უფრო მტკიცდებოდეს კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, მის სულიერ მოთხოვნილებებთან, მომავლის ამოცანებთან.

საქართველოს მხატვართა ნიჭიერი კოლექტივი კვლავაც გამოავლენს თავის მოქალაქეობრივ რწმენას და მზადყოფნას ჩვენი სამშობლოს, ხალხის, პარტიის მიერ დასახული ყველა ამოცანის შესასრულებლად, ახალი შემოქმედებითი მიღწევების მოსაპოვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რ. სტურუა. 1917 წ.

ი. ნიკოლაძე. ვ. ი. ლენინი



ეროვნული ბიბლიოთეკა





ე. ახვლედიანი. ძველი და ახალი თბილისი

ლ. გუდიაშვილი. ფრესკის ღიმილი

ა. ციმაკურიძე. ბორჯომის ხეობა

დ. კაკაბაძე. რიონჰესი

ეროვნული
ბიბლიოთეკა







თ. აბაკელია. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის ფრიზი (ფრაგმენტი)

ე. ამაშუკელი. რევოლუცია

ჯ. ლოლუა. ოქტომბრის სიმფონია





ეროვნული ბიბლიოთეკა



1917 60 1977

# ინტერვიუ

ელდარ შენგელაია,

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი

როგორ შეხვდნენ ქართველი კინემატოგრაფისტები დიდი ოქტომბრის იუბილეს?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ იმ შემოქმედებით წარმატებებზე, ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო წელს წილად რომ ხვდათ ქართველ კინემატოგრაფისტებს. ეს გახლავთ მთავარი პრემია რიგის X საკავშირო კინოფესტივალზე, რომელიც მოიპოვა თენგიზ აბულაძის ფილმმა „ნატვრის ხე", ლენინგრადში გამართული სატელევიზიო ფილმების საკავშირო ფესტივალის პრიზი მიეკუთვნა პირველ ქართულ მრავალსერიიან სატელევიზიო ფილმ „თუშ მეცხვარეს", რომელიც დამდგმელმა ჯგუფმა ოქტომბრის 60 წლისთავს უძღვნა; ქ. გაბროვოში სატირისა და იუმორის საერთაშორისო ფესტივალის დიდი პრიზი და ორი სპეციალური პრემია მოიპოვა ი. კვირიკაძის ფილმმა „ქალაქი ანარა"; მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტრადიციულ XIV საერთაშორისო ფესტივალზე კრაკოვში დიპლომით აღინიშნა ახალგაზრდა დოკუმენტალისტ მ. გაგუას სურათი „მწყემსი ვარ".

ქართული კინო უძველესია ჩვენს ქვეყანაში და ერთ-ერთი მოწინავე მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნებათა შორის. ეს მაღალი შეფასება და საყოველთაო აღიარება მან თავისი განვითარების რთულ გზაზე დაძაბული შემოქმედებითი ძიებით, კინოხელოვნებაში ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლით მოიპოვა. ამ ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე დროის მოთხოვნათა კარნახით იცვლებოდა ქართული კინოხელოვნების თემატური და ჟანრული დიაპაზონი, წამყვან ოსტატთა შემოქმედებითი ხელწერა, მაგრამ უცვლელ ნიშნებად რჩებოდა ხალხურობა, პარტიულობა და ჰუმანიზმი. ქართველ კინოხელოვანთა თაობებმა განამტკიცეს, განავითარეს და დღემდე მოიტანეს დემოკრატიული და ჰუმანისტური ტრადიციები, ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნიმუშებით გაამდიდრეს მრავალეროვანი საბჭოთა კინემატოგრაფის საგანძური.

ქართულ კინოს აქვს საკუთარი გზა, ეროვნული სახე და ხასიათი. ჩვენი კინოხელოვნების საუკეთესო ნიმუშებში მუდამ ვლინდება ქართული კულტურის ის მაღალი ტრადიციები, რომლებიც ჩვენმა ერმა საუკუნეების სიღრმიდან მოიტანა დღემდე. ქართული ფილმები ამკვიდრებენ სიცოცხლის, მშვენიერების, სიკეთის მარადიულობის, მათი უძლეველობის, კაცთმოყვარეობის იდეას, ქართველი კაცის სულიდან, მისი ხასიათიდან რომ მომდინარეობს.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ქართული კინოსარეჟისორო სკოლის სახელოვანი წარმომადგენლებით. რევაზ ჩხეიძემ, თენგიზ აბულაძემ, ოთარ იოსელიანმა, მიხეილ კობახიძემ, გიორგი შენგელაიამ, მერაბ კოკოჩაშვილმა, ლანა ღოღობერიძემ, ნანა მჭედლიძემ და სხვა ნიჭიერმა ოსტატებმა თავიანთი შემოქმედებით არაერთი გამარჯვება მოუტანეს ქართულ კინოხელოვნებას, სახელი და დიდება მოუპოვეს მას.

ქართული კინოს გამოჩენილი ოსტატების გვერდით მოღვაწეობს კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა თაობა, რომელიც მოწოდებულია ახალ სიმაღლეებზე აიტანოს წინამორბედთა მხატვრული მონაპოვარი, შემოქმედებითად განავითარეს უკვე არსებული ტენდენციები და სტილისტური მიმართულებები, მხატვრული აზროვნების ახალი ნაკადით გაამდიდროს ეკრანის ხელოვნება, მსოფლიოს პროგრესული კინემატოგრაფის გამოცდილებაზე დაყრდნობით ეროვნულობის გზით წარმართოს თავისი ძიებები.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული კინო აღმავლობას განიცდის. ამ აზრის ჭეშმარიტებას ირწმუნებს ყველა, ვინც კი ჩვენს ხელოვნებას განვითარების თვალსაზრისით განიხილავს. გაფართოვდა ფილმების თემატური და ჟანრული დიაპაზონი, ამაღლდა მათი იდეურ-მხატვრული დონე, გაიზარდა რეჟისორთა და ოპერატორთა პროფესიული ოსტატობა, საინტერესო ძიებები მიმდინარეობს ტექნოლოგიის სფეროშიც, მდიდრდება გამომსახველ საშუალებათა არსენალი.

მხატვრული კინოს მხარდამხარ ვითარდება კინოდოკუმენტალისტიკა, ტელეკინემატოგრაფი და მულტიპლიკაციური კინო. კინოხელოვნების ამ დარგებშიც გაგვაჩნია გარკვეული მიღწევები, რაზეც მეტყველებს ზემოთ ხსენებული ჯილდოები საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე.

მინდა მოგახსენოთ იმ შემოქმედებით აქტიობაზე, დიდი ოქტომბრის საიუბილეო თარიღისათვის მზადებისას რომ მოიცვა ქართული კინოს მუშაკები. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სექციებმა მრავალი ღონისძიება მიუძღვნეს ამ თარიღს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახლდათ ქართული კინოს ოსტატთა შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მშრომელებთან. ანანურს ეწვია ფილმ „მწვერვალის" გადამღები ჯგუფი მ. კოკოჩაშვილის მეთაურობით, წითელწყაროს რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით გაეცნენ გ. შენგელაიას ახალ ფილმს „ქვიშანი დარჩებიან". თავისი ახალი ნამუშევარი, სატელევიზიო ფილმი „თუში მეცხვარე" ალვანელ მშრომელებს უჩვენა ს. ჩხაიძემ. მეც მქონდა საინტერესო შეხვედრები ჭიათურის მემაღაროელებთან, რომლებსაც ვაჩვენეთ ახლახან დასრულებული ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი". ეს შეხვედრები უა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კადრი ფილმიდან „არსენ ჯორჯიაშვილი".

ღრესად სასარგებლო აღმოჩნდა ქართველ კინემატოგრაფისტთათვის. ჩვენი ხელოვნების წინსვლასა და წარმატებას ხომ მასებთან კავშირი, მათთან მჭიდრო კონტაქტები განაპირობებს.

კინემატოგრაფისტთა კავშირში ტრადიციად დამკვიდრდა მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნებათა კვირეულების მოწყობა. ამგვარი კინოდათვალიერებები მხოლოდ პროფესიულ მიღწევათა დემონსტრირების ფარგლებს სცილდება და ხალხთა მეგობრობის, მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ემსახურება. საიუბილეო წელს საქართველოში გაიმართა უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის კინოს დღეები, რომლებზედაც მოძმე რესპუბლიკების კინოოსტატებმა წარმოადგინეს თავიანთი უახლესი ნამუშევრები.

დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის მზადების დღეებში მოეწყო გამოფენა, რომელმაც თვალნათლივ გვიჩვენა ქართული კინოს მიერ განვლილი გზა. თბილისის კინოს სახლის დიდ დარბაზში გაიმართა რევოლუციისადმი მიძღვნილი ფილმების რეტროსპექტული ჩვენება. მიმდინარეობს მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოსათვის „ოქტომბერი და ქართული კინო", რომელიც ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება.



კადრი ფილმიდან „წითელი ეშმაკუნები".

**როგორია ქართველ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი გეგმები, ქართული კინოს შემდგომი განვითარების პერსპექტივები?**

— თავიანთ შემოქმედებით გეგმებს ქართველი კინემატოგრაფისტები უფარდებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ქართული კინოს ოსტატებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი რათა მოახდინონ ჩვენი თანამედროვეობის, ჩვენი ხალხის შრომითი გმირობის მაღალმხატვრული ხორცშესხმა. ბუნებრივია, ამ გზაზე თავიანთი ახალი სიტყვა უნდა თქვან ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმაც. ჩვენს რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება ქართული კინოს უკეთესი მომავლისათვის. ამ ორიოდე წლის წინ საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტთან დაარსებული კინოფაკულტეტი ზრდის კინორეჟისორთა, კინომსახიობთა და კინომცოდნეთა ახალ კადრებს. იმედი მაქვს, რომ მომავალში ისინი ქართული კინოს საგანძურს მაღალი მხატვრული ღირსებების მქონე ნაწარმოებებს შემატებენ.

კადრი ფილმიდან „კომუნარის ჩიბუხი".



მთლიანად ქართული კინოხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად მიმაჩნია მეტი მხატვრული სიღრმე, ცხოვრების მთავარ და არსებით პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, ადამიანის ხასიათის ღრმა წვდომა და, რაც მთავარია, მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პოზიცია. ქართველი კინემატოგრაფისტები არ დაზოგავენ ნიჭსა და შესაძლებლობებს, რათა დაიცვან ქართული კინოს მაღალი პრესტიჟი, შექმნან ჩვენი ეპოქის, ჩვენი ხალხის ღირსეული ნაწარმოებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კადრი ფილმიდან „უკანასკნელი მასკარადი“.



კადრი ფილმიდან „ციმბირელი პაპა“.

კადრი ფილმიდან „ჭიაკოკონა“.





# ოქტომბრით შობილი ხელოვნება

ალექსი არღუნი
აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი

აფხაზეთი უძველეს და მარად ჭაბუკ მხარედ იწოდება. მის ცხოვრებასა და კულტურაზე მდიდარ მასალას იძლევა არქეოლოგიური გათხრები და ძველ ბერძნული თუ რომაული წყაროები.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძირფესვიანად შეცვალა აფხაზეთი, რუსეთის იმპერიის განაპირა ჩამორჩენილი, აგრარული მხარიდან იგი ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკად, მსოფლიო მნიშვნელობის კურორტად გადაიქცა, რომელსაც მოწინავე სოციალისტური მეურნეობა აქვს.

აფხაზ ხალხს არ შეიძლებოდა არ შეექმნა მდიდარი ფოლკლორი, სიმღერებსა და თქმულებებში არ გამოეთქვა გამარჯვების სიხარული, ტრაგიკულ მოვლენათა სიმძიმე, არ აღფრთოვანებულიყო თავისი საუკეთესო შვილების გმირობითა და სიბრძნით.

თქმულება ნართებზე, სიმღერები და თქმულებანი ეროვნულ გმირებზე ოზბაკზე, პიშკაჩ-

იპა მანჩაზე, ინაფხა კიაღუაზე, ხაჯარათ კოხბაზე და მრავალი სხვა მსოფლიო ფოლკლორის საგანძურშია შესული.

საბჭოთა ხელისუფლებამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ დასაბამი მისცა აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების აღორძინება-განვითარებას. ამის მკაფიო მაგალითია აფხაზეთის თეატრი.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მრავალრიცხოვანი თეატრალური დასები გამოჩენილი აფხაზი პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგისა და სწავლულის დიმიტრი გულიას ხელმძღვანელობით, აგრეთვე პედაგოგ განმანათლებლის პლატონ შაკრილის ხელშეწყობით, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სცენაზე, დღეს აფხაზური თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო თეატრთაგანია რესპუბლიკაში.

აფხაზური თეატრის სცენაზე წლების მანძილზე განხორციელდა მსოფლიო კლასიკის საუკეთესო ნიმუშების დადგმა. შექსპირის, შილერის, გოგოლის, ლოპე დე ვეგას, გოლდონის, მოლიერის, ლორკას, ოსტროვსკის, გორკის, ბრეხტის და სხვათა დრამატურგიამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი აფხაზური თეატრის რეპერტუარში.

ამ თეატრმა ბევრი გააკეთა აფხაზური ორიგინალური ეროვნული დრამატურგიის განვითარებისათვის. აფხაზი ხალხის გმირულმა მებრძოლმა სულმა, ერთი მხრივ, და სიცოცხლის სიყვარულმა, ხალისმა და იუმორმა, მეორე მხრივ, საუკეთესო სცენური განსახიერება ჰპოვეს. თეატრმა ფართოდ გაუღო კარი დ. გულიას, ს. ჭანბას, დ. დარსალიას, მ. კოვეს, მ. ლაკრბას, ვ. აგრბას, კ. აგუმაას, ლ. ლასურიას, ბ. შინკუბას, შ. ფაჩალიას, შ. ჭკადუას, ნ. თარბას, შ. სანგულიას, რ. ჯოპუას, დ. ახუბას, მ. ბასარიას, გ. გუბლიას, მ. ჩამაღუას, ა. მუკბას და სხვა მრავალი აფხაზი პოეტისა და მწერლის ნაწარმოებებს.

აფხაზური თეატრი ღირსეულად ამაყობს ისეთი გამოჩენილი მსახიობებით, როგორიც არიან აფხაზეთისა და საქართველოს სახალხო არტისტები ლევარსან კასლანძია, აზიზ აგრბა, შარახ ფაჩალია, რაზინბეი აგრბა, ეკატერინე შაკრბაი, მინადორა ზუხბა, ანა არღუნ-კონოშოკი, მარიცა ფაჩალია, მიხეილ კოვე, ივანე კოკოსკერია და სხვები.

ამ შესანიშნავ მსახიობთა გვერდით დგას და მათ ტრადიციებს აგრძელებს ახალგაზრდა მსახიობთა ახალი თაობა. აფხაზეთისა და ჩრდილო ოსეთის სახალხო არტისტი ნ. კამკია, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ს. აგუმაა, ე. კოღონია, ვ. მაანი, აფხაზეთის დამსახურებული არტისტები: შ. გიცბა, ა. ტანია, ჩ. ჯენია, ნ. ლაკობა, ვ. აბლოთია, ვ. კოვე, რ. ჯოპუა, ა. ერმოლოვი, ლ. გიცბა, გ. ზუხბა, ს. საქანია, ო. ლაგვილავა. ბოლო წლებში თეატრის კოლექტივი შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომელთაც თავისი მოსვლით ახალი ნაკადი შეიტანეს თეატრის შემოქმედებაში. ესენი არიან: ლ. ავიძბა, ა. მუკბა, ს. გაბლია, ლ. ვანაჩა, ზ. ჩანბა, ვ. ჯიკირბა, ს. ჩუაზი, ვ. არღუნი, ნ. მუკბა, ტ. ავიძბა, ლ. ახბა, რ. დბარი, ვ. არძინბა და სხვები.

თეატრში მოვიდნენ რეჟისორები, მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის უმაღლესი თეატრალური სასწავლებლების აღზრდილები: ნ. ეშბა, ხ. ჯოპუა, დ. კორტავა, მ. მარხოლია, ნ. ჩიქოვანი.

არსებობის 60 წლის მანძილზე აფხაზურმა თეატრმა დიდი გამოცდილება დააგროვა, დაიმკვიდრა თვითმყოფადი შემოქმედებითი სახე, დღეს უკვე თამამად ლაპარაკობენ რეჟისორული გადაწყვეტისა და აქტიორული შესრულების საკუთარ ტრადიციებზე.

გარდა იმისა, რომ აფხაზური თეატრი წარმატებით მოღვაწეობს აფხაზი ხალხისა და მისი მრავალრიცხოვანი სტუმრების, დასასვენებლად რომ ჩამოდიან რესპუბლიკის კურორტებზე, იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის, იგი ამავე დროს დიდ მუშაობას ეწევა აფხაზური ხელოვნების პროპაგანდის საქმეში საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ხალხთა შორისაც.

სხვადასხვა დროს აფხაზური თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა მოსკოვში, კიევში, თბილისში, ნიკოლაევოში, დნეპროპეტროვსკში, აგრეთვე ყარაჩაევო-ჩერკესკისა და ჩრდილო-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, ერთ მეგობრულ ოჯახში, ერთ შენობაში, ერთად იღვწიან აფხაზური და ქართული დასები. სოხუმის ქართული თეატრი ასევე ერთ-ერთი წამყვანი თეატრთაგანია რესპუბლიკაში, აქვს საკუთარი ტრადიციები და განუმეორებელი შემოქმედებითი სახე. სხვადასხვა დროს ამ თეატრში მუშაობდნენ ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი: ვ. გავრიკი, გ. ჟურული, ვ. ყუშიტაშვილი, ლ. ჭედია, თ. კაკულია, ს. ჭელიძე, დ. კობახიძე. წლების მანძილზე წარმატებით მოღვაწეობენ ქართული სცენის ოსტატები, აფხაზეთისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ს. პაჭკორია, გ. რატიანი, ტ. ბაბლიძე.

ბოლო წლებში ამ დასში მოსული ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებიდან ბევრმა უკვე შექმნა მთელი რიგი საინტერესო სახეებისა. მაგალითად, ტ. მილდიანი, ნ. ყურაშვილი, ვ. არღვლიანი, ლ. შონია, გ. სირაძე და სხვები აფხაზეთის ქართული თეატრის საიმედო მომავალს წარმოადგენენ.

სოხუმის ქართული თეატრი წარმატებით გამოდიოდა თბილისის, ოდესის, ნიკოლაევოს თეატრების სცენებზე, იგი ახლა სისტემატიურად უჩვენებს თავის დადგმებს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში.

თეატრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი რეჟისორი და კარგი ორგანიზატორი დავით ცისკარიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალური ხელოვნების გვერდით წარმატებით ვითარდება რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნება. აფხაზეთის კომპოზიტორების რ. გუმბას, ა. ჩიჩბას, ი. ლაკერბაის, მ. ბერიკაშვილის, კ. ჩენგელიას, ლ. ჩეპელიანსკის, ტ. აჯაპუას, ვ. ჭკადუას და სხვათა ნაწარმოებები დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს მსმენელთა შორის, მუსიკისმცოდნეთა აღიარება დაიმსახურა და წამყვანი ადგილი უჭირავს პროფესიული მუსიკალური კოლექტივების რეპერტუარში, ხშირად ისმის რადიოთი და ტელევიზიით.

აფხაზი და საერთოდ კავკასიის ხალხების მუსიკის პროპაგანდის საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა. ორმოცდაათი წელია, რაც ეს ანსამბლი არსებობს და რეგულარულად, თითქმის ყოველ წელს გასტროლებით მოგზაურობს ჩვენი ქვეყნის ქალაქებში. მონაწილეობს მაგალითად, მოსკოვისა და ლენინგრადის საკონცერტო ღონისძიებებში, როგორიცაა ფესტივალი „რუსული ზამთარი", საოქტომბრო და სამაისო ზეიმი-კონცერტები ლენინგრადში. ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელია რეჟისორი და აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის მცოდნე ვასილ ცარგუში, 1976 წელს ერთი თვე გასტროლებით იმყოფებოდა პოლონეთში. ვარშავისა და პოლონეთის სხვა დიდი ქალაქების მაყურებლები ოვაციებით ხვდებოდნენ საბჭოთა აფხაზეთის წარგზავნილებს.

აფხაზური პროფესიული მუსიკისა და მსოფლიო ხალხთა კლასიკური მუსიკის პროპაგანდაში დიდ წარმატებებს მიაღწია აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ, რომლის ხელმძღვანელები არიან ნიჭიერი მუსიკოსები, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვადიმ სუდაკოვი და გენადი დმიტრიაკი, აგრეთვე კომპოზიტორი და წამყვანი სოლისტი ტოტო აჯაპუა. აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა არაერთხელ ყოფილა გასტროლებზე მოსკოვში, რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის ქალაქებში. კლასიკური მუსიკის მოყვარულნი ყველგან აღფრთოვანებულნი ხვდებიან კაპელის გამოსვლებს.

კაპელამ მონაწილეობა მიიღო ფესტივალზე „ამიერკავკასიის გაზაფხული", „მოლდავური გაზაფხული", „მერციშორ—74", არაერთხელ გამოვიდა ცენტრალური და აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტელევიზიით. ამ წარმატებების საწინდარია კოლექტივის მაღალი პროფესიული დონე, მრავალფეროვანი და სერიოზული რეპერტუარი.

მშრომელთა, ახალგაზრდობის, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისათვის დიდ მუშაობას ეწევა აფხაზეთის სახე-

ხ. ავიძბა. დიმიტრი გულია გლეხებთან 1974 წ.



ლმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი დირიჟორები და მაღალ შეფასებას აძლევდნენ კოლექტივის საშემსრულებლო შესაძლებლობებს.

მთელი ჩვენი ქვეყნის უნიკალური შემოქმედებითი კოლექტივია აფხაზეთის უხუცესთა ეთნოგრაფიული ანსამბლი ,,ნართაა", რომლის მონაწილეთა საშუალო ასაკი 90-100 წელია. ანსამბლი „ნართაა" მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. იგი ხშირად გამოდის ცენტრალური ტელევიზიითაც. 1975 წელს ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე, ბუდაპეშტში მთავარი პრიზი ,,ოქროს ფარშევანგი" მოიპოვა.

აფხაზეთის ხელოვნებაში სიახლედ ითვლება ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი ,,შარათანი", რომელიც ჩამოაყალიბა ნიჭიერმა და ენერგიულმა ბალეტმეისტერმა ედუარდ ბებიამ. მან წარმატებით შეურწყა ერთმანეთს აფხაზური და ქართული ხალხური ქორეოგრაფიის საუკეთესო ტრადიციები და შექმნა საინტერესო საკონცერტო პროგრამა.

თუ აფხაზეთში რევოლუციამდე იყო მხოლოდ ერთი მხატვარი ალექსანდრე ჩაჩბა-შერვაშიძე, რომელიც იძულებული იყო სამშობლოდან შორს — პეტერბურგში ეცხოვრა და ემოღვაწა — და როგორც მხატვარ დეკორატორს გაეფორმებინა ალექსანდრისა და მარინის საიმპერატორო თეატრების სპექტაკლები, დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხატვართა კავშირი ორმოცამდე წევრს აერთიანებს, მათ ნაწარმოებებს შეხვდებით რესპუბლიკურ, საკავშირო თუ უცხოურ გამოფენებზე.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს აფხაზური საბჭოთა ხელოვნების ჩამოყალიბებაში ფერმწერებმა: სერგო გაბელიამ, ივანე ცინცაძემ, ხუტა ავიძბამ, ვენერა გაგულიამ, ოლღა ბრენდელმა, ჭოლა კუკულაძემ, ვარვარა ბუბნოვამ, სერგეი ცვიჟბამ, ნინა ღოღობერიძემ, ვივი რუხაძემ, გრაფიკოსებმა: ტარიელ ამპარმა, ვალერი გამგიამ. დეკორატორებმა ევგენი კოტლიაროვმა, თემურ ჟვანიამ და სხვებმა. აფხაზეთის მხატვრების შემოქმედება, აფხაზური სახვითი ხელოვნების თვითმყოფადობა ახლა უკვე განუყოფელი ნაწილია ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებისა, ყოფისა და კულტურისა.

დღეს აღარ არსებობს ისეთი შორეული კუთხე აფხაზეთისა, სადაც არ მოქმედებდეს კულტურის კერა. ამჟამად რესპუბლიკაში 600 ბიბლიოთეკა და დაწესებულებაა, ორი სახელმწიფო და რამდენიმე სახალხო მუზეუმი, რომლებიც ეწევიან მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მოსახლეობას შორის, სწორად წარმართავენ მათ მაღალ-იდეურ ზრდა-განვითარებას.

მარტო გასულ 1976 წელს აფხაზეთის კლუბებსა და კულტურის სახლებში 2000 სხვადასხვა მასობრივი ღონისძიება ჩატარდა, რომლებსაც 3000 კაცი დაესწრო. ბევრი საკლუბო დაწესებულება ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ცენტრად, მშრომელთა აქტიური დასვენების ადგილად იქცა.

მხატვრული თვითმოქმედება ფართოდაა გავრცელებული აფხაზეთში. ისეთი კოლექტივები, როგორიცაა სოხუმის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,მედიკოსი", ტყვარჩელის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გ. შაკაიას ხელმძღვანელობით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები ,,რიცა" (გუდაუთის რაიონი) და „ერცახუ" (ოჩამჩირის რაიონი) პოპულარობით სარგებლობენ მთელ საბჭოთა კავშირში, მათ არაერთხელ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ თუ საკავშირო ფესტივალებსა და კონკურსებში. ხშირად გამოდიან ცენტრალური და რესპუბლიკური ტელევიზიით.

აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა კადრების სამჭედლოა სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, აგრეთვე სოხუმის მუსიკალური, მხატვრული და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლები.

მიმდინარე წელს, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავ წელს, რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების ყველა დაწესებულება მთელ თავის ძალებს წარმართავს იქითკენ, რომ ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ამ სახელოვან იუბილეს. გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების მოწყობა. მაგალითად, დიდი კონცერტები სპეციალური პროგრამებით ,,დიადი გზის ეტაპები", ,,შენთვის, რევოლუციავ", ,,მგზნებარე წლების მელოდიები" და სხვა, სიმღერის ზეიმი სახელწოდებით ,,მღერის აფხაზეთი". სხვადასხვა კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რეპერტუარში შეტანილია კომპოზიტორთა, პოეტთა, დრამატურგთა ნაწარმოებები მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი, რომლებიც უმღერიან საბჭოეთის ქვეყნის ხალხთა ცხოვრებას, პატრიოტიზმსა და ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის მაღალ გრძნობას, თითოეულის მზადყოფნას საგმირო საქმეებისათვის.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა



1917 60 1977

# აღმავლობის გზით

ლამარა ბოლქვაძე
აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი

დიადმა ოქტომბერმა თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა აჭარის მშრომელებს. ცარიზმის დროს ჩამორჩენილი ეს მხარე დღეს წარმოგვიდგება ძლიერ ინდუსტრიულ და აგრარულ რესპუბლიკად, მაღალგანვითარებული კულტურით, მეცნიერებითა და ხელოვნებით, რესპუბლიკად, რომელსაც, როგორც თანასწორს თანასწორთა შორის, უნარი შესწევს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა საფუძველზე გადაწყვიტოს სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ამოცანები.

სადღაა ის დრო, აჭარელი გლეხი ლუკმაპურისათვის ცხრა მთას რომ გადაივლიდა, აბობოქრებულ სტიქიას შეებრძოლებოდა და ხშირად ხელცარიელი ბრუნდებოდა.

საქართველოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი მხარე, რომელსაც ისტორიულად მძიმე დარბევა, აოხრება და ტანჯვა-წამება განეცადოს, რამდენიც აჭარამ გადაიტანა. მტერი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ქართული კულტურის კერებს, ხუროთმოძღვრების ნიმუშებს, სპობდა ყოველივე ქართულს, ოსმალო დამპყრობლებმა აჭარის მოსახლეობას ძალით მიაღებინეს ისლამის სარწმუნოება და ქართულ ენაზე ლაპარაკსაც უკრძალავდნენ, მაგრამ აჭარლებმა გასაოცარი გამძლეობა გამოიჩინეს, ეროვნული სული და ტრადიციები დავიწყებას არ მისცეს.

ქართველი მოღვაწეები, დიდი ილიას მეთაურობით, ქართველ ხალხს მოუწოდებდნენ მოძმეთა განთავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ, ძალღონეს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ აჭარა დედასამშობლოს დაბრუნებოდა.

ეს დღეც დადგა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის ჯარის გამარჯვების შედეგად აჭარა განთავისუფლდა, ამ თარიღის 100 წლისთავი მომავალ, 1978 წელს შესრულდება. ეს იქნება რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დღესასწაული.

აჭარა — სუბტროპიკების, ჩაის, ციტრუსების მხარე და საქართველოს საზღვაო-სანაოსნო ჭიშკარი ამავე დროს ხელოვნების უძველესი კერაცაა.

ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში აფსარუნტში (ახლანდელი გონიო) არსებულა თეატრი. ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს: „აფსარუნტს გარშემო უვლიდა მთავალი კედელი და მშვენიერი იყო თეატრით და იპოდრომით და მრავალი სხვა რამეც ჰქონდა". მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს, თურქ დამპყრობთა ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში, თეატრის ხსენებაც გამქრალა.

მუდმივი ქართული პროფესიული თეატრის დაარსება აჭარაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე 40 წლის მანძილზე 350-მდე დადგმა განხორციელდა — ქართული, რუსული, საბჭოეთისა და უცხოური კლასიკური დრამატურგიის შესანიშნავი ნაწარმოებები, შეიქმნა საინტერესო სპექტაკლები, რომელთაგან ბევრმა ფართო საზოგადოებრივი აღიარება ჰპოვა.

აჭარის კულტურულ ცხოვრებაში ღირსსახსოვარი მოვლენა იყო 1968 წლის თებერვალში თეატრის გამოსვლა მოსკოვში, დრამატული თეატრების სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა. საქართველოდან ამ დათვალიერებაში მონაწილეობდა კიდევ ხუთი თეატრი — თბილისის რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური, მოზარდ მაყურებელთა ქართული, სოხუმის და ქიათურის თეატრები. ამ თეატრების საკონკურსო დადგმების უმრავლესობა ჟიურიმ ადგილზე ნახა, ბათუმის თეატრის მონაწილეობას დათვალიერებაში კი გასტროლების ხასიათი ჰქონდა. ეს იყო მეტად პრინციპული, პასუხსაგები გამოცდა, ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში იმისა, თუ რა გაკეთდა თეატრში გასულ 30 წელიწადში, როგორია მისი დღევანდელი სახე.

მოსკოვში გამართულმა გასტროლებმა დაადასტურა, რომ კოლექტივი სწორი გზით მიდის და რომ იგი ერთგულია დიდი ქართული თეატრის შესანიშნავი ტრადიციებისა, ღირსეული წვლილი შეაქვს ამ ტრადიციების გამდიდრებაში.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი ბათუმის თეატრის ისტორიაში იყო გასტროლები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. საყოველთაოდ ცნობილია ის ტრადიციული მეგობრობა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგსა და აჭარის ასსრ შორის რომ დამყარდა 1964 წლიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული სისტემატურად ხდებოდა დელეგაციათა გაცვლა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე, კულტურის სფეროში.

პიესებისა და რეჟისორების გაცვლას შემდეგ მოჰყვა თეატრების ურთიერთსტუმრობა. 1973 წლის მაისის ბოლოს ბა-

თუმს ეწვია ნიკოლა ვაპცაროვის სახელობის ბლაგოევგრადის დრამატული თეატრი, რამდენიმე თვის შემდეგ კი ბათუმის თეატრი საპასუხო გასტროლით ბლაგოევგრადში გაემგზავრა.

ბათუმის თეატრით ბულგარელი მაყურებელი პირველად უნდა გასცნობოდა ქართულ თეატრს, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა ამ კოლექტივს. ეს კარგად გაითვალისწინა თეატრმა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად გულდასმით შეარჩია რეპერტუარი, იგი შეიცავდა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი", დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", ნოდარ დუმბაძის „მე ბებია, ილიკო და ილარიონი". ეს უკანასკნელი 15 წლის წინ დადგა ბათუმის თეატრში რეჟისორმა შ. ინასარიძემ და ცხრა წლის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან. გასტროლების წინ, გასანახლებლად მოწვეული იყო პიესის ერთ-ერთი ავტორთაგანი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე, რომელმაც თეატრის მთავარ რეჟისორ ვ. ნიკოლაძესთან, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე შ. ინასარიძესთან, რეჟისორ გ. ქავთარაძესთან, აჭარის დამსახურებულ მხატვარ ა. ფილიპოვთან, თბილისიდან მოწვეულ მხატვარ მ. მალაზონიასთან და მთელ დასთან ერთად ყველაფერი გააკეთეს სცენურ სახეთა დასახვეწად და გამოსაძერწად. უნდა შევნიშნოთ, რომ თეატრის იმდროინდელმა დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. დავითაძემ დიდი ამაგი დასდო ბლაგოევგრადისა და ბათუმის თეატრების შემოქმედებითი მეგობრობის განმტკიცებას.

ბათუმის თეატრმა ერთ-ერთმა პირველმა დადგა კ. ბუაჩიძის „პლატონი", ა. ჩხაიძის „ხიდი", ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია დედა", გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი" და სხვ. ჩვენი თეატრის სცენაზე განხორციელებული ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს", საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ოჯახის, ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემებს ეხება სპექტაკლები ს. ზურაბოვის „ლიკა" (რეჟისორი დ. ხინიკაძე) და გ. იოთამაშვილის კომედია „ქინქლა" (რეჟისორი ე. ჩხაიძე).

რ. მამულაშვილის პიესის „მერხებზე ანგელოზები სხედან" მიხედვით რეჟისორმა დ. ხინიკაძემ, და შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნეს საინტერესო სპექტაკლი, რომელშიც რეალისტურად აისახა თანამედროვე სკოლის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. ახალგაზრდა მსახიობის გააზრებულმა თამაშმა, სწორმა რეჟისორულმა გადაწყვეტამ სპექტაკლს წარმატება მოუტანა. მასში აღძრული საკითხები თითქოს ლოგიკურად გაგრძელდა ა. ჩხაიძის პიესაში „თავისუფალი თემა", რომელიც თამამად, გაბედულად ამხელდა არა მარტო სკოლაში, არამედ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში არსებულ მანკიერებებს.

თეატრის ნოქმედ რეპერტუარშია მ. გორკის პიესა „ეგორ ბულიჩოვი და სხვები". სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბესაძემ. მთელი კოლექტივი დიდი მონდომებით, ფაქიზად მიუდგა ამ პიესის დადგმას. სპექტაკლი გამოირჩევა დადგმისა და საშემსრულებლო კულტურით. ეგორ ბულიჩოვის სახეს ანსახიერებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. ცანავა.

1976 წელს პოლონური დრამატურგიის ფესტივალზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირის 300-მდე თეატრი, ბათუმის თეატრი წარსდგა თანამედროვე პოლონელი სატირიკოსის ეჟი იურანდოტის კომედიით „მეცხრე წმინდანი" (რეჟისორი გ. აბესაძე). სპექტაკლი გამოირჩევა თეატრალური ხერხების სიახლით, მრავალფეროვნებით, ეფექტურობით, საინტერესო აქტიორული სახეებით.

ფესტივალზე წარმატებისათვის დამდგმელი რეჟისორი და მხატვარი საკავშირო კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის თეატრი სპექტაკლებს მართავს აჭარის შორეულ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში, რითაც მან მშრომელთა ფართო მასების სიყვარული და პოპულარობა დაიმსახურა.

1974 წ. ბათუმში დაბრუნდა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სპეციალური ჯგუფის კურსდამთავრებული 10 ახალგაზრდა, 1937 წლის შემდეგ ასეთი დიდი შევსება ჩვენს თეატრს არ მიუღია. 1976 წელს, უკვე მესამედ, სამსახიობო ფაკულტეტზე მიღებული იქნა აჭარის ჯგუფი. დღეს ბათუმის თეატრი, რომლის სათავეში დგას საქართველოს სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე, რეჟისორი გ. აბესაძე, ღირსეულად განაგრძობს მდიდარ ტრადიციებს, ამასთან შემოქმედებითად ავითარებს კიდეც მას, ეძებს თეატრალური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალურ ხერხებს.

55 წელია, რაც ბათუმში არსებობს მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელმაც მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. იგი ეწევა ქართული საბჭოთა საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფართო პროპაგანდას არა მარტო ჩვენი ქვეყნის, მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებსა და რაიონებში, არამედ უცხოეთშიც, 1960 წლის ნოემბერ-დეკემბერში ანსამბლმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სუდანში იმოგზაურა, წარმატებით გამოვიდა იგი 1969 წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. ბურგასში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ეროვნული საუკეთესო ფოლკლორული ნიმუშების შესრულებისათვის ფესტივალის დიპლომი დაიმსახურა.

დიდი ამაგი დასდეს ანსამბლს ცნობილმა ლოტბარებმა მ. კუხიანიძემ, მ. ჩხიკვიშვილმა, მ. კილაძემ, ქორეოგრაფმა ე. საბაძემ. ანსამბლთან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აქვთ კომპოზიტორებს: რ. ლაღიძეს, შ. მშველიძეს, ს. ცირიანაშვილს, მ. ჩირინაშვილს, შ. მილორავას, ვ. კოკელაძეს. არსებობის მანძილზე მან საუკეთესო შედეგებს მიაღწია, შეისწავლა და შეასრულა 500-მდე სიმღერა და ცეკვა, გამართა ათასობით კონცერტი, რომელსაც 3 მილიონი მაყურებელი დაესწრო.

დიდი ოქტომბრის 60 წლის იუბილეს აღსანიშნავ ახალ რეპერტუარში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს სსრკ ხალხთა ცეკვებსა და სიმღერებს.

აჭარა ამაყობს სახვითი ხელოვნების მიღწევებითაც. ამჟამად ბათუმში 50-ზე მეტი ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატი მოღვაწეობს ხელოვნების ყველა დარგში.

მხატვართა ახალი კადრების აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის სამხატვრო აკადემიამ და 1936 წელს ბათუმში დაარსებულმა სამხატვრო სასწავლებელმა.

აჭარაში სახვითი ხელოვნების წინსვლაში დიდი ღვაწლი აქვთ ცნობილ ქართველ მხატვრებს, მოქანდაკეებს, ხელოვნებათმცოდნეებს ი. ნიკოლაძეს, უ. ჯაფარიძეს, ნ. კანდელაკს, ი. ვეფხვაძეს, ა. ქუთათელაძეს, ვ. თოფურიძეს, თ. აბაკელიას, კ. სანაძეს, ო. ეგაძეს, ი. ურუშაძეს და სხვებს, რომლებიც სისტემატურად ჩამოდიოდნენ ბათუმში, აქტიურად მონაწილეობდნენ აჭარის მხატვრულ ცხოვრებაში.

მხატვრები როდი კმაყოფილდებიან მიღწეულით, პროფესიული დაოსტატების გზაზე კვლავაც განაგრძობენ დაუღალავ შრომას. საქ. სსრ დამსახურებული მხატვარი შ. ხოლუაშვილი, აჭარის ასსრ დამსახურებული მხატვრები მ. მოლქვაძე, შ. ზამთარაძე, ნ. იაკოვენკო, ა. ფილიპოვი, მხატვრები — ვ. კვერნაძე, ლ. სეიდიშვილი, გ. მეგრელიძე, ს. ართმელაძე, თ. ჯალაღონია — საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენის აქტიური მონაწილეები არიან. ფართოა მათი შემოქმედებითი დიაპაზონი, მათ ნამუშევრებში ასახვას ჰპოვებს ისტორიულ-რევოლუციური და დიდი სამამულო ომის თემა-

ტიკა, თანამედროვეობა, საკოლმეურნეო თუ ინდუსტრიული პეიზაჟები.

მაღალი შეფასება დაიმსახურა შ. ხოლუაშვილის ისეთმა ქმნილებებმა, როგორიცაა ,,1921 წელი აჭარაში", ,,მამები", ,,ასწლოვანები", ,,ფიროსმანი ბათუმში", მ. ბოლქვაძის — ვ. ი. ლენინის ძეგლმა, რომელიც ბელადის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში ქობულეთის მთავარ მოედანზე აღიმართა; შ. ზამთარაძის ,,წითელი არმიის შემოსვლა აჭარაში", ნ. იაკოვენკოს ,,რეისიდან", ,,შვილის ამხანაგი", ლ. სეიდიშვილის ,,უმამო ოჯახი", თ. ჯალაღანიას ,,მოწინავე მეთევზეთა ბრიგადა" და მრავალმა სხვა ნაწარმოებმა.

საშუალო თაობის გვერდით ბათუმში წარმატებით მოღვაწეობენ ახალგაზრდა მხატვრები, რომელთა შემოქმედებითი მიღწევები უკვე თვალსაჩინოა. ესენი არიან: გ. ინაიშვილი, გ. ტუღუში, ზ. წულაძე, ზ. ხაბაძე, ე. გურგენიძე, ნ. ნიჟარაძე, მ. ხალვაში, ვ. ბჟალავა, ო. დარჩია, ა. ბაკურიძე, ი. ტროფიმოვი, ა. გაგნიძე და სხვები.

წინათ ბათუმში სამხატვრო გამოფენები იშვიათად ეწყობოდა, არ იყო შესაფერისი შენობა. 1970 წელს კი გაიხსნა საგამოფენო დარბაზი, სადაც ყოველწლიურად 8-10 გამოფენა ეწყობა.

აღსანიშნავია ბათუმსა და სოხუმში მოწყობილი, აფხაზეთისა და აჭარის მხატვართა გაცვლითი გამოფენები, აჭარისა და აფხაზეთის მშრომელები გაეცნენ ორივე რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მიღწევებს.

ეწყობა ჯგუფური, პერსონალური და მოძრავი გამოფენები. გასულ წელს გაიმართა 14 სტაციონარული, მოძრავი და პერსონალური გამოფენა. გაიმართა საკავშირო გამოფენები: ესტამპისა, აკვარელისა, ,,ავიაციის 50 წელი", ,,დიდება შრომას", ქართველ მხატვართა რეტროსპექტული გამოფენები, ლ. გუდიაშვილის, გიგო გაბაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის ნამუშევართა გამოფენები.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა (1973 წ.), რომელიც მხატვრების ზეიმად იქცა. ერთი თვის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 56 ათასმა კაცმა, მათ შორის ბევრმა უცხოელმა ტურისტმა. ლადო გუდიაშვილი ყოველ წელს ჩამოდის ბათუმში. იგი არჩეულია ბათუმის საპატიო მოქალაქედ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მხცოვანი ხელოვანი ხშირად მონაწილეობს ბათუმში მოწყობილ აჭარის მხატვართა გამოფენებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში მხოლოდ ერთი კლუბი და ორი ბიბლიოთეკა არსებობდა. 1926 წლისთვის აქ უკვე 12 კლუბი და ქოხ-სამკითხველო იყო. კულტურის ამ კერებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამის განხორციელებაში და პოლიტიკურ-მასობრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განვითარებასთან ერთად დიდი როლი შეასრულეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, მოსახლეობის მსოფლმხედველობის ფორმირებისა და განათლების საერთო დონის ამაღლების საქმეში.

ხუთწლედებით დასახულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყეს ხელი აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებას. მეორე ხუთწლედის ბოლოს აჭარაში უკვე 3 კულტურის სახლი, 32 კლუბი და 47 ბიბლიოთეკა მუშაობდა. 1964 წლისათვის კულტურის სახლებისა და კლუბების რიცხვმა 171 მიაღწია.

1970 წლიდან ფართოვდება კლუბების ქსელი. დღეისათვის აჭარაში მოქმედებს 20 კულტურის სახლი, 151 კლუბი, 14 პროფკავშირული და 15 საკოლმეურნეო კლუბი, 250 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

აჭარის კულტურის სამინისტრომ და მასზედ დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს სკკპ 25-ე ყრილობისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მიმდინარე წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავზე განმტკიცდა და გაფართოვდა კულტურულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა იმ სამეურნეო ამოცანების განხორციელებაში, რომელიც მეათე ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა იკისრეს.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო სკკპ 25-ე ყრილობის, სსრკ ახალი კონსტიტუციის პროექტის და დიადი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები და სტენდები.

აჭარისა და რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმებმა მონაწილეობა მიიღეს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მუზეუმების საკავშირო დათვალიერებაში.

მათ მთავარი ყურადღება დაუთმეს საბჭოთა საზოგადოების მიღწევების გაშუქებას, ჩვენს მხარეში მომხდარ დიად სოციალისტურ გარდაქმნათა ჩვენებას.

შეგროვდა ათასობით ექსპონატი, რომელთა შორის უმეტესობა აჭარაში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის მებრძოლთა, კომკავშირული და პიონერული მოძრაობის ვეტერანების, პირველი ხუთწლედის გმირებისა და სხვათა შრომისა და ბრძოლის ამსახველი დოკუმენტებია.

მუზეუმებში ფართოდ დაინერგა შეხვედრები სახელოვან ადამიანებთან, სამამულო ომისა და შრომის გმირებთან, კულტურის მოღვაწეებთან და სხვა.

საიუბილეო პერიოდში რესპუბლიკის ბიბლიოთეკებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს მუშაობის მასშტაბი. სულ უფრო იზრდება მკითხველთა რიცხვი მასობრივ ბიბლიოთეკებში.

საბიბლიოთეკო მაჩვენებლების ზრდას დიდად შეუწყო ხელი ზემდგომი ორგანოების 1974 წ. მაისის დადგენილებამ ,,ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განხორციელების საქმეში" და ამ დადგენილების შესაბამისად საბიბლიოთეკო ქსელში ცენტრალიზაციის განხორციელებამ.

რესპუბლიკის ბიბლიოთეკაში იმართება მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები მწერლებთან, წიგნის განხილვები. ბიბლიოთეკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ დათვალიერებაში.

მიმდინარე წელს განსაკუთრებით იგრძნობა საკლუბო დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა შრომითი კოლექტივების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ და ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი აღმავლობა განიცადა მხატვრულმა თვითმოქმედებამ. თუ 30-იან წლებში აჭარაში იყო რამდენიმე მხატვრული თვითმოქმედი გუნდი, დღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშრომელთა მხატვრული შემოქმედების პირველ საკავშირო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 345 მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივმა, 7600 მონაწილემ. აჭარაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შეფი ორგანიზაციები. ამჟამად წარმოებს გონიოს ციხის, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის, თამარის ციხისა და სხვა ძეგლების აღდგენითი სამუშაოები.

პოპულარობით სარგებლობენ აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ვოკალური ანსამბლი ,,ბათუმი", საქალაქო კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული და ხალხურ საკრავთა ანსამბლები, რომლებიც თბილისში გამართული ფესტივალის ლაურეატები გახდნენ.

აჭარის კულტურის ხელოვნების მუშაკები შემოქმედებითი წარმატებებით შეხვდნენ სახელოვან დღესასწაულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი ნარმატებებისაკენ

გრიგოლ დოგუზოვი
სამხრეთ ოსეთის აო მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

სამხრეთ ოსეთის მხატვართა კოლექტივი შემოქმედებითად მზარდი კოლექტივია. მას ყოველწლიურად ემატება ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც ახალი ნაკადი შემოაქვს სახვით ხელოვნებაში. გამოფენებზე ნათლად ჩანს ხოლმე მათი შემოქმედებითი ძიებანი, მაღალი პროფესიონალიზმი, საკუთარი ხელწერა. სახელმოხვეჭილ ოსტატებთან ერთად ისინი თვალსაჩინო





ეროვნული ბიბლიოთეკა





ვ ქოქოევი. რევოლუციონერი სერგო სანაკოევი, ბრინჯაო, 1975 :

ა. კოზაევი. ფიცი

ნ სანაკოევი. სიმღერა.

გ. კოტაევი. ოსი ქალის პორტრეტი.

წარმატებებს აღწევენ და აღიარებას იმსახურე-ბენ.

სამხრეთ ოსეთის მხატვართა მიერ შექმნილია მრავალი, იდეურად და მხატვრულად მნიშვნელოვანი ნამუშევარი. ჩვენი დიადი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანის გმირობა და თავდადება დიდ სამამულო ომში თუ მშვიდობიან შრომაში ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებს შთააგონებს შექმნან ახლებურად გააზრებული, ფერწერულად და პლასტიკურად საინტერესო ნაწარმოებები. ჩვენს მხატვრებს აღიარება მოუტანა დიდი საიუბილეო თარიღებისათვის შექმნილმა ნამუშევრებმა, ისეთი თარიღებისთვის, როგორიც იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ეს ნამუშევრები გამოფენილი იყო მოსკოვში, თბილისში, ორჯონიკიძეში, ვილნიუსში და სხვა.

სამხრეთ ოსეთის მხატვართა კოლექტივში გაერთიანებულნი არიან ნიჭიერი, სახელმოხვეჭილი მხატვრები: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მხატვარი ვასილ კოკოევი, გრიგოლ კოტაევი, ხოარ გასიევი, სერგო მინასოვი, დიმიტრი თურმანოვი, ალექსანდრე ვანეევი, ვიტალი ცხოვრებოვი და მრავალი სხვა. ფერმწერლები, გრაფიკოსები, მოქანდაკეები, კერამიკოსები წარმატებით წყვეტენ შემოქმედებით ამოცანებს, ამდიდრებენ და წინ მიაქვთ ეროვნული ხელოვნება. საბჭოთა ოსეთის სახვითი ხელოვნების საუკეთესო ფონდში შევიდა მათი მრავალი ნაწარმოები. მდიდარი და მრავალფეროვანი მშობლიური ბუნება, ისტორიული წარსული, ახალი ცხოვრების შენება — ყოველივე ეს მეტყველ მხატვრულ სახეებში აღბეჭდეს ოლქის მხატვრებმა, რომელთა შთაგონებული შრომა კვლავაც ახალ წარმატებებს მოუტანს საბჭოთა სახვით ხელოვნებას.

სამხრეთ ოსეთის მხატვრები ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს. ოქტომბრის იდეების ხორცშესხმა, თანამედროვის სახე — ეს თემები წამყვანია მათ ახალ ნაწარმოებებში, რომლებსაც ამ დიად თარიღს უძღვნიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული საბჭოთა მუსიკის 60 წელი

გივი ორჯონიკიძე

ქართული საბჭოთა მუსიკის 60 წელი მისი განუხრელი აღმავლობის, ახალი სახეებით და გამომსახველი ხერხებით გამდიდრების, მის მიერ ახალი მწვერვალების დაპყრობის, შეუწყვეტელი სტილისტური ევოლუციის, მისი იდეური თვალსაწიერის და თემატური დიაპაზონის გაფართოების, მისი პროფესიული ოსტატობის დონის განუხრელი ამაღლების 60 წელია.

მთელი ეს პერიოდი ახალი გზების, თანამედროვე სინამდვილის რეალისტურად ასახვისათვის ქმედითი გამომსახველი ხერხების ძიების წლებია. ჩვენი ხელოვნების ურღვევი ქვაკუთხედია ჩვენი კულტურის ხალხურობისა და პარტიულობის მოთხოვნა, რომელსაც თანამედროვეობა მის წინაშე აყენებს, მოთხოვნა სულ უფრო და უფრო აქტიური ჩარევისა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში. ჩვენ სიამაყის გრძნობით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ამ მოთხოვნების ნაყოფიერი ზეგავლენა თვით ჩვენი მუსიკის არსში, მისი მიმართულებებისა და მხატვრულობის თავისებურებებში ვლინდება.

განვითარების ამ პროცესს სხვადასხვა მხარეები აქვს და ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მისი ღირებულების დადგენას, როდესაც მთელ ამ მრავალგვარობას მივიღებთ მხედველობაში.

ავიღოთ ამ პროცესის თუნდაც რაოდენობრივი მხარე. რევოლუციამდე საქართველოში მხოლოდ ერთი სამუსიკო-საგანმანათლებლო დაწესებულება, — თბილისის სასწავლებელი მოქმედებდა. თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი საშემსრულებლო კერა — სახელმწიფო საოპერო თეატრი, რომელიც, არსებითად ეროვნულ კულტურასთან არც კი იყო დაკავშირებული. ამჟამად რესპუბლიკაში ორი საოპერო თეატრია, სამი სიმფონიური ორკესტრი, საგუნდო კაპელები, ინსტრუმენტული ანსამბლები, კონსერვატორია და მუსიკალური სასწავლებლებისა თუ სკოლების ფართო ქსელი, რომლითაც, ფაქტიურად, მთელი საქართველოა დაფარული. მძლავრი საგანმანათლებლო სისტემა ამზადებს კადრებს, რომლებიც უკვე თამაშობს საპატიო როლს მთელი ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში... ქართველ შემსრულებელთა ხელოვნებამ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა, ქართული საკომპოზიტორო სკოლა საბჭოთა მუსიკის მოწინავე რაზმად ითვლება.

ამჟამად განვიხილოთ საკუთრივ შემოქმედებითი პროცესის რაოდენობრივი მხარე. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი თუ რა სიძნელეების გადალახვა მოუხდათ თავის დროზე ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლებს — ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, ნიკო სულხანიშვილს, ვიქტორ დოლიძეს, მელიტონ ბალანჩივაძეს თავისი სანუკვარი ოცნებების განსახორციელებლად. თვითეული მათგანის გზა პროფესიული ხელოვნებისაკენ მრავალი დაბრკოლების გადალახვასთან იყო დაკავშირებული. საქართველოში პროფესიული მუსიკალური კულტურის დანერგვისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი შეასრულა პროგრესული რუსი კომპოზიტორების და მუსიკოსების უანგარო დახმარებამ, ქართველი მუსიკოსების მთელი თაობების აღზრდამ მოსკოვისა და პეტერბურგის, ხოლო შემდგომ ლენინგრადის კონსერვატორიებში, ბევრი შესანიშნავი რუსი მუსიკოსის მოღვაწეობამ თბილისში. მაგრამ ფაქტიურად ეროვნული საკომპოზიტორო სკოლა საქართველოში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამჟამად ქართველ კომპოზიტორთა რიგები მრავალ ათეულ აქტიურად მოღვაწე მუსიკოსს ითვლის, ბევრი მათგანის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მისი ფარგლების მიღმაც.

ახლა კი რაოდენობრივ მხარეს რამდენადმე სხვა ჭრილში დავუკვირდეთ. ფაქტიურად თვით საოპერო ნაწარმოებების დადგმა, რომლებიც რევოლუციამდე შეიქმნა, უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ განხორციელდა. მაგრამ თუკი საოპერო მუსიკამ თავისი გზა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაიწყო, ყველა სხვა ჟანრი საბჭოთა წყობილების მიერ დამყარებული კულტურული ვითარების პირმშოა, მაშინ შეიქმნა ჩვენში სიმფონიური ორკესტრი, ინსტრუმენტული ანსამბლები, მაშინვე შეიქმნა მათთვის პირველი ნაწარმოებებიც, დაწყებული კამერულ-ინსტრუმენტული და საორკესტრო მინიატურით, პოპურით, ფანტაზიით და რაფსოდიით,

რომელთა მუსიკალური მასალა მთლიანად ხალხური წყაროებიდან იყო ნასესხები, და გათავებული სიმფონიითა და ინსტრუმენტული კონცერტით... კამერულ მუსიკაში ამ პროცესის პოლუსებია ხალხური სიმღერები და ცეკვები, და სტილისტურად დამოუკიდებელი მრავალჟანრული მუსიკა. ვოკალურ ჟანრებში ეს დიაპაზონი მოიცავს ყოფითსა და ნახევრადყოფით სიმღერებს და მეორეს მხრივ სრულმეტრაჟიან კანტატასა და ორატორიას, განვითარებული ფორმის გუნდებს და ვოკალურ ციკლებს. განვითარების გზამ ერთმანეთს დაუკავშირა ფერადოვანი საცეკვაო სიუიტა, რომელიც აუცილებელი იყო ადრეული ქართული ოპერების დრამატურგიაში, და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნება, რომელიც თვითმყოფადობით და სრული დრამატურგიული დამოუკიდებლობით გამოირჩევა. მუსიკა დრამატული სპექტაკლისათვის ადრეულ ნიმუშებშიაც იპყრობს ყურადღებას, თუმცა მისი როლი იშვიათად თუ სცილდება გამოყენებით ფუნქციებს, ამჟამად კი ჩვენ მრავალი ისეთი დრამატული სპექტაკლი შეგვიძლია დავასახელოთ, რომელთა სახეების განვითარებაში მუსიკა აქტიურ როლს თამაშობს. 30-იანი წლებიდან ფეხი აიდგა ხმოვანმა კინომ, რომლის მეშვეობითაც მრავალი საინტერესო მუსიკალური სახე შეიძინა ჩვენმა ყოფამ, დროთა განმავლობაში ინტენსიურად განვითარდა საოპერეტო ჟანრიც. საინტერესო პერსპექტივებს უსახავს ეროვნულ მუსიკალურ კულტურას მუზიკლის ჟანრიც, რომელშიც ერთდროულად საკუთრივ მუსიკალური და დრამატული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი მოქმედებს: აი ქართული მუსიკის რაოდენობრივი მხარის კიდევ ერთი ჭრილი, მისი რაოდენობრივი ზრდის და გაფართოების ხედი.

როდესაც ქართული მუსიკის მთელ პანორამას ვითვალისწინებთ, ვამჩნევთ დაძაბულობას, რომელიც მისი განვითარების წარსული 60 წლისათვის იყო დამახასიათებელი. ვამჩნევთ სხვადასხვა ჟანრების განვითარების გზებს. ამ გზებზე არის საკვანძო მომენტებიც, რომლებშიაც დიდ მნიშვნელობას იძენდა არა მარტო მოცემული, არამედ მომიჯნავე ჟანრების პრობლემებიც. ამ საკვანძო მომენტებში თავს იყრიდნენ ნაწარმოებები, რომლებშიაც ეროვნული სტილის მთავარი საკითხები წყდებოდა, რომლებშიაც ხდებოდა მთავარი სტილისტური ძვრები, გადახალისებას განიცდიდა მუსიკალური ენა, მდიდრდებოდა მისი შინაარსი. ამ ნაწარმოებებში ჩვენ ვგრძნობთ სხვადასხვა ძიებების სინთეზს, სხვადასხვა ტრადიციების—ეროვნულისა და ინტერნაციონალურის—შერწყმას. აქ ამ ნაწარმოებებში განსაკუთრებული ძალით იგრძნობოდა ევოლუციის პროცესის თანმიმდევრულობა. ის, რაც კომპოზიტორისეულ ცნობიერებაში გროვდებოდა და, როგორც არამარტო საკუთარი, არამედ საერთოდ ეროვნული გამოცდილების განზოგადება, ამ მომენტებში განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება და ეროვნული მუსიკალური კულტურის მთლიანობას განსაკუთრებულ თვალსაჩინოებას სძენს.

ამასთან ერთად ქართული თანამედროვე მუსიკის ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, მის პრინციპულ ერთიანობას მთელ საბჭოთა მუსიკალურ კულტურასთან, დაახლოებისა და კავშირების გაღრმავების პროცესების გარდუვალობას, რომლითაც საზოგადოდ სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტად დემოკრატიული და ინტერნაციონალური კულტურა გამოირჩევა, ჩვენ განსაკუთრებული სიმკვეთრით სწორედ ჩვენი მუსიკის განვითარების საკვანძო მომენტებში ვგრძნობთ.

მსურს ყურადღება გავამახვილო ჩვენი ქართული საბჭოთა მუსიკის უდავო მიღწევებზე, სხვადასხვა ჟანრის იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც განვითარების საერთო პანორამაში გამოირჩევა, თანამედროვე მხატვრულ ტრადიციას ქმნის და ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენს ჩვენი მუსიკის ჩამოყალიბების პროცესზე.

საოპერო ჟანრში ეს, უპირველეს ყოვლისა, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლაღიძის და შალვა მშველიძის ნაწარმოებებია. დიდი წარმატება ხვდა წილად ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“, რომელიც ბევრ თეატრში დაიდგა და მათ შორის უცხო ერის საოპერო სცენაზედაც... „მინდია“ გამოირჩევა მთლიანობით, დახვეწილი დრამატურგიით და მუსიკალური თავისებურებებით. მისი მიმზიდველი მხარეა ლირიკული ფურცლების სიწრფელე, დრამატული ფურცლების სიცხოველე. დიდი თეატრის სცენაზე თაქთაქიშვილის ახალი ოპერის „მთვარის მოტაცების“ დადგმა, რომელიც თანამედროვეობის ამაღელვებელ თემას — საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას და ქვეყანაში ახალი შრომითი ურთიერთობის დამყარებას, ცხოვრებისეულ ასპარეზზე ახალი ადამიანების გამოჩენას მიეძღვნა — ეროვნული მუსიკალური კულტურის დიდი წარმატებაა.

დიდ და რთულ თემებს მიმართავს თავის საოპერო შემოქმედებაში შ. მშველიძე მის ისეთ ქმნილებებში, როგორიცაა „ამბავი ტარიელისა“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის და კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანის მრავალი საინტერესო სახეა აღბეჭდილი.

დიდი წარმატება ხვდა ლაღიძის ოპერის „ლელას“ დადგმას, რომელმაც მსმენელი მოხიბლა უშუალობით, ლირიკის სითბოთი და მელოდიური საწყისის სიუხვით. კრიტიკამ სამართლიანად აღნიშნა ლაღიძის ოპერაში ბელ კანტოს საუკეთესო ტრადიციების აღორძინება, რამაც მომღერლებს ვოკალური ოსტატობის დემონსტრირების საშუალება მისცა.

ქართულმა ბალეტმა მრავალი საინტერესო ფურცელი ჩასწერა საბჭოთა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში. საქართველოში ჰეროიკული ბალეტის თავისებური სახეობა შეიქმნა, რომელშიც ორგანულად დაუკავშირდა ერთმანეთს ეროვნული და კლასიკური ცეკვის ტრადიციები, რომლის არა მარტო სიუჟეტსა და თემატურ მასალაში, არამედ დრამატურგიულ პრინციპებშიაც ეროვნული მუსიკალური შემოქმედების პრინციპებია გარდატეხილი. ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ბალანჩივაძის „მთების გული“, კილაძის „სინათლე“, დ. თორაძის „გორდა“ და, განსაკუთრებით, ა. მაჭავარიანის „ოტელო“ — გარკვეული მიჯნებია ქართული ბალეტის განვითარების გზაზე. უფრო გვიან ს. ცინცაძის „დემონი“, რ. გაბიჩვაძის „ჰამლეტი“ (ამ უკანასკნელის პრემიერა გდრ-ს ქალაქ როსტოკში საგულისხმო ფაქტია) ქართული ბალეტის სახეს და სტილისტურ არეს აფართოებენ. დიდი ფორმატის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებთან ერთად საქართველოში წარმატებით ვითარდება საბალეტო მინიატურის ჟანრიც, რომელშიც ნაყოფიერად მუშაობენ ს. ცინცაძე და ბ. კვერნაძე.

უნდა აღვნიშნოთ ქართული ოპერეტის გარკვეული წინსვლაც. მის სათავეებთან ვიქტორ დოლიძის ბრწყინვალე და მარად უჭკნობი „ქეთო და კოტე“ დგას. ბოლო წლებში მუსიკალური თეატრის ეს სახეობა გამდიდრდა მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებებით. ოპერეტის ჟანრის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ა. კერესელიძემ, ნ. გუდიაშვილმა, რ. ლაღიძემ, ვ. აზარაშვილმა, შ. ჯოჯუამ, ლ. იაშვილმა. განსაკუთრებით დიდია ამ ჟანრის წინაშე გ. ცაბაძის და შ. მილორავას დამსახურება.

საქართველო შესანიშნავი საგუნდო კულტურის, ვოკალური მუსიკის დიდი ტრადიციების ქვეყანაა. მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტ აღიარებას ჰპოვებს ქართული მრავალხმიანი სიმღერა. იგი საყოველთაო აღტაცებას იწვევს თავისი განუმეორებელი სახეებით, ინტონაციური წყობით, მუსიკალური ენის განუმეორებელი თავისებურებებით. თვით პროფესიონალებსაც ანცვიფრებს მისთვის დამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათებელი მუსიკალური აზრის მაღალი დონე, პოლიფონიური და ჰარმონიული სტრუქტურა. ხალხური საგუნდო კულტურის ტრადიციები თავის დროზე შეისისხლხორცა და თავისებურად განავითარა ზ ფალიაშვილმა „აბესალომ და ეთერ“-ში, სადაც ისინი დრამატურგიის თავისებურ ხერხემალსა ქმნიან. ქართული მრავალხმიანობა ორიგინალურადაა გარდატეხილი ქართველ კომპოზიტორთა მრავალ ნაწარმოებში. თუ ისევ საოპერო ჟანრს მივმართავთ, კვლავ „ამბავი ტარიელისა“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, „მინდია“ და „მთვარის მოტაცება“, რ. ლაღიძის „ლელა“ უნდა დავასახელოთ.

საგუნდო ტრადიციები მრავალფეროვნადაა გამოყენებული შ. მშველიძის ორატორიაში „კავკასიონი“, ა. ჩიმაკაძის კანტატაში „ქართლის გული“, ა. მაჭავარიანის ორატორიაში „ჩემი სამშობლოს დღე“, ო. თაქთაქიშვილის კანტატა-ორატორიულ ნაწარმოებებში „რუსთაველის ნაკვალევზე“, „ცოცხალი კერა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „გურულ სიმღერებსა“ და თავისებურ კამერულ კანტატაში „მეგრულ სიმღერებში“. ამ ნაწარმოებებში კომპოზიტორი ამჟღავნებს ფოლკლორის მშვენიერ გრძნობას, მისთვის დამახასიათებელი ჟანრულ-ინტონაციური მასალის დამუშავების უნარს. ამ ნაწარმოებებში მრავალი შემოქმედებითი ამოცანაა გადაჭრილი. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ფოლკლორული ფორმები ახალი დრამატურგიული იდეების, ჩვენი სინამდვილის ასახვის ამოცანისადმი დამორჩილება. მე განსაკუთრებით მსურს მშვენიერი ორატორია, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ აღვნიშნო, რომელშიც რეალისტური წვდომითაა აღბეჭდილი დიდი ქართველი პოეტის სახე. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ გვიზიდავს დრამატიზმით და ლირიკული სახეების სისავსით. ორატორიის საუკეთესო ეპიზოდია „შემოღამება მთაწმინდაზე“, რომელშიც ღრმა ფილოსოფიური ფიქრი ნატიფ კოლორისტულ ბგერწერას უერთდება.

საგუნდო მუსიკასთან დაკავშირებით აუცილებელია ი. კეჭეყმაძის „ძველი თბილისის სურათების“ აღნიშვნა, რომელმაც შარშან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა. ამ ნაწარმოების შეფასებაში კრიტიკამ და საზოგადოებამ იშვიათი ერთსულოვნება გამოამჟღავნეს. კეჭეყმაძის მუსიკის წარმატებას ბევრი მიზეზი აქვს. იგი უაღრესად ემოციური და ხატოვანია, მასში ძველი თბილისის სურნელიცაა დაფრქვეული და ამავე დროს თანამედროვე კომპოზიტორის ხელოვნებაც იგრძნობა, რომელიც თავის ხელობას სრულყოფილად ფლობს. ამ მუსიკის უბრალოება მოჩვენებითია: იგი უბრალოა აღსაქმელად, თორემ ისე უტყუარი მხატვრული გემოვნების და დრამატურგიული ოსტატობის ნახელავია. მსმენელისაკენ უმოკლეს გზას იგი თავისი გულწრფელობისა და ჭეშმარიტი სილამაზის გამო პოულობს.

ქართული ინსტრუმენტული მუსიკის — როგორც სიმფონიურის, ასევე კამერულის — დაფასება ძნელია. საკვარტეტო ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატის სულხან ცინცაძის სახელი ბევრ რამეზე მეტყველებს. ეროვნული მუსიკის ამ ჟანრში მან მთელი ეპოქა შექმნა თავისი რვა კვარტეტით და ორ ათეულამდე მინიატურით.

თანამედროვეობის მახვილმა გრძნობამ და მისი ასახვისაკენ დაუოკებელმა მისწრაფებამ ბრწყინვალე საკვარტეტო ტექნიკამ მუსიკალური სახეების და გამომსახველი ხერხების განახლების მკაფიოდ გამოხატულმა უნარმა, ეროვნული კოლორიტის ნატიფმა შეგრძნებამ, არაჩვეულებრივმა ფანტაზიამ კომპოზიტორს შეაძლებინა ფერადოვანი. ნამდვილი ეროვნული იერით გამსჭვალული ნაწარმოების შექმნა. მშვენიერი კვარტეტები შექმნეს სულხან ნასიძემ და ნუგზარ ვაწაძემაც. კამერული ანსამბლის ჟანრში ნაყოფიერად მუშაობენ რ გაბიჩვაძე რომლის ნონეტიც აღბეჭდილია სახეების სიმკვეთრით და კოლორისტული გამომგონებლობით ნ. მამისაშვილი ა. შავერზაშვილი.

კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრებიდან ჩვენში განსაკუთრებული ინტენსიურობით საფორტეპიანო მუსიკა ვითარდება. მუსიკის ამ სახეობას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ანდრია ბალანჩივაძის ადრეულმა საფორტეპიანო პიესებმა. შემდგომში საფორტეპიანო მუსიკის სფეროში ნაყოფიერად მუშაობს ქართველი კომპოზიტორების ყველა თაობა. საკმარისია დავასახელოთ ა. მაჭავარიანის შესანიშნავი პიესები „ხორუმი“ და „ბაზალეთის ტბა“, ბ. კვერნაძის საფორტეპიანო მინიატურები, უფრო გვიან ნ. მამისაშვილისა და ნ გაბუნიას, რ ქარუხნიშვილისა და ვ აზარაშვილის საფორტეპიანო პიესები, ს. ნასიძის „პოლიფონიური სონატა“. ნ. გუდიაშვილის სონატინა და პრელუდიები, რ. გაბიჩვაძის მთელი რიგი პიესებისა.

ყველაფერი ის, რაც წინ უსწრებდა შ. მშველიძის სიმფონიური პოემის „ზვიადაურის“, ანდრია ბალანჩივაძის „პირველი სიმფონიის“ შექმნას (40-იანი წლების დასაწყისი) შეიძლება ქართული სიმფონიური მუსიკის წინაისტორიულ ხანად ჩაითვალოს. მაგრამ თავისებური მნიშვნელობა არც ამ „წინაისტორიულ ხანას“ და განსაკუთრებით, ქართულ სიმფონიურ მინიატურას დღემდე არ დაუკარგავს.

დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული ზემოქმედების ძალა მშველიძის „ზვიადაურმაც“ — კომპოზიტორის შემოქმედების უმნიშვნელოვანესმა ქმნილებამ. „ზვიადაური“ თამამი და მე ვიტყოდი, წარმატებით განხორციელებული ცდაა ქართულ მუსიკაში მთის პოეზიისა, მისთვის დამახასიათებელი დიალექტების ამეტყველებისა. მშველიძის „ზვიადაურში“ თავისი მუსიკალური ექვივალენტი ჰპოვეს ვაჟას პოეტურმა სახეებმა. მუსიკისა და ვაჟას პოეზიის ერთმანეთისადმი შესატყვისობას განაპირობებს „ზვიადაურის“ ენა, მისი ემოციური ტონუსი. უფრო გვიან, კომპოზიტორმა ეს ხაზი განაგრძო სიმფონიურ პოემა „მინდიაში“. და რაც მთავარია, ესტაფეტა ქართული მუსიკის იმ ნაკადს გადასცა, რომელიც ცხოველ ინტერესს იჩენს მთისადმი.

ქართული სიმფონია — მხედველობაში მაქვს ბალანჩივაძის დასახელებული ნაწარმოები — იქმნება როგორც ჩვენი ამაღელვებელი თანამედროვეობის, საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოძახილი. ისე როგორც იმ დროის საბჭოთა მუსიკის საუკეთესო ქმნილებებმა სამამულო ომის პერიოდში მან გამოხატა მთელი საბჭოთა ხალხის რწმენა გამარჯვებაში. სიმფონიაში ჩვენი გმირული დღეების პულსი ფეთქავს და გვხიბლავს ვაჟკაცური შემართებით, უღრმესი კავშირით ხალხურ საწყისთან.

სიმფონიის სახეთა მრავალფეროვნებას, მისი ფორმების ტევადობას და ჟანრულ სიმდიდრეს ჯერ კიდევ დიმიტრი შოსტაკოვიჩმა მიაქცია ყურადღება. ქართული მუსიკის ისტორიამ დაადასტურა ეროვნული მუსიკალური კულტურისათვის ბალანჩივაძის ქმნილების მნიშვნელობა. ამა თუ იმ სახით მისი ნაყოფიერი ზეგავლენა ყოველმა ქართველმა კომპოზიტორმა განიცადა, რომელიც კი სიმფონიური მუსიკის დარგში მუშაობს. სიმფონიის მნიშვნელობა კერძოდ იმაში მდგომარეობს, რომ მასში განხორციელებულია ეროვნული ტრადიციების ორგანული სინთეზი თანამედროვე მუსიკალური აზროვნების გამოცდილებასთან. მის მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ იგი ხალხურ მასალასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების, მისი ჭეშმარიტად სიმფონიური დამუშავების ნიმუშია.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ექსპერიმენტების შესახებ და თავისთავად ნაგულისხმევად მიგვაჩნია, რომ ექსპერიმენტი არსებული ფორმების რადიკალურ რევიზიას, მათ დაძლევას, და ნაცნობსა და დამკვიდრებულისაგან უცნობისა და დაუმკვიდრებლის სფეროში გადასვლას ნიშნავს ა ბალანჩივაძის პირველი სიმფონია ამ ჭეშმარიტად ნოვატორული ქმნილებების რიგს მიეკუთვნება, რომლებშიაც სიახლე — არსებული ფორმის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენაა, მისი ახლებური ცხოვრებისეული იმპულსით აღვსებაა. ამ ნაწარმოებში ყველაფერი მკაცრად კლასიკურია და ამავე დროს განუმეორებლად თავისებური. მთელი მისი თემატური და ჟანრული მასალა ტიპოლოგიურია, მკაცრად შეესატყვისება კლასიკური აზროვნების ნორმებს, მაგრამ ამასთან ერთად ცხოვრებისეული ასოციაციების ახალ წრეს იწვევს, დაკავშირებულს ჩვენს სინამდვილესთან ხაზს ვუსვამ — ჩვენს სოციალისტურ სინამდვილესთან.

მე საკმაოდ დიდხანს შევჩერდი ანდრია ბალანჩივაძის სიმფონიაზე და ამის გამო იძულებული ვარ რამდენადმე ნაკლები ვთქვა ქართული სიმფონიზმის სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ. წმინდა სიმფონიზმის სფეროდან მაინც უნდა აღინიშნოს შ. მშველიძის ხუთი სიმფონია და განსაკუთრებით მათ შორის საუკეთესო მესამე, რომელიც აგრეთვე თანამედროვეობისადმი, ახალი ცხოვრების მშენებლობის, ახალი მშრომელი ხალხის — ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი გმირებისადმია მიძღვნილი.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბების თემისადმია მიძღვნილი აგრეთვე 40-50 წლების მიჯნაზე შექმნილი ო. თაქთაქიშვილის ორი სიმფონია, რომლებშიც გზას იკვლევს ეროვნული სიმფონიის ახალი სახეობა, დაკავშირებული მუსიკაში ფსიქოლოგიური საწყისის გაღრმავებასთან. ნოვატორობით ამ ჟანრში წარმატებით იწყებს მუშაობას ს. ნასიძე, რომლის ნაწარმოებებშიაც ხალხური საწყისი საინტერესოდაა დაკავშირებული თანამედროვე აზროვნების და განსაკუთრებით დ. შოსტაკოვიჩის სიმფონიზმის შემოქმედებით ტრადიციებთან. არ შეიძლება არ დავასახელოთ მისი მესამე სიმფონია (კამერული), რომელიც ფსიქოლოგიური სიღრმით, ორიგინალური დრამატურგიული ჩანაფიქრით, გამომსახველ ხერხთა მახვილგონიერებითა და საინტერესო ინტონაციური წყობით გამოირჩევა. უდავოდ საინტერესო მოვლენაა მეხუთე სიმფონიაც, რომელიც ფიროსმანის პიროვნებით და მისი დიდი ხელოვნებითაა შთაგონებული. თავისი სიმფონიის შთამბეჭდავ მუსიკაში კომპოზიტორმა განსაკუთრებული ძალით გადმოგვცა კონფლიქტი ფიროსმანსა და მის გარემოცვას შორის. ნასიძის ნაწარმოების დრამატურგია მკვეთრი კონტრასტების შეპირისპირებაზეა აგებული და ფსიქოლოგიურ სიღრმესთან ერთად დიდი ფერადოვნებით გამოირჩევა.

საზოგადოდ, სიმფონიის ჟანრი ქართველი კომპოზიტორების გამახვილებული ყურადღებით სარგებლობს. ამ ჟანრში წარმატებით მუშაობს ს. ცინცაძე, — სამი სიმფონიის ავტორი, ფ. ღლონტი, რომლის კალამსაც ექვსი სიმფონია ეკუთვნის, დ. თორაძე, რომლის მეორე სიმფონიამ გარკვეული სტილისტური განახლება აღნიშნა მის შემოქმედებაში, ბ. კვერნაძე, რომლის სიმფონია და სიმფონიური ჩანახატი „სერაფიტა" ავტორის საუკეთესო შემოქმედებით თავისებურებებს — ინტონაციის გრძნობას და საორკესტრო აზროვნების სინატიფეს ამჟღავნებს, ა. მაჭავარიანი და სხვ. ბოლო წლებში ფართო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიიპყო ამ ჟანრში გია ყანჩელის და რ. გაბიჩვაძის ქმნილებების გამოჩენამ.

მუსიკალური სახეების და გამომსახველი ხერხების განახლებისადმი მისწრაფებითაა აღბეჭდილი რ. გაბიჩვაძის ბოლო წლების სიმფონიები (II—IV). აქ საინტერესოდ და ახლებურადაა გარდატეხილი ქართული ფოლკლორის ზოგიერთი თავისებურება, მძლავრ ნაკადად იჭრება თანამედროვე გამომსახველი ხერხები (კერძოდ ის, რაც XX საუკუნის პრაქტიკაში დაამკვიდრა ვენის ახალმა სკოლამ, ვარეზმა, და პოლონურმა სკოლამ.). რ. გაბიჩვაძის სიმფონიებში იგრძნობა ნეოკლასიცისტური ტენდენციებიც. პოპულარობა მოიპოვა მისმა მეორე სიმფონიამ, რომელიც „წამიერებათა" ციკლს მოგვაგონებს. მისი მუსიკა მახვილგონიერია. აღსავსეა კოლორისტული ეფექტებით, ამავე დროს მიმზიდველია ლოგიკურობით და ფორმის დახვეწილობით. მოწონებას იმსახურებს კომპოზიტორის მეხუთე სიმფონიაც, რომელიც დიმიტრი შოსტაკოვიჩის ხსოვნას მიეძღვნა.

გია ყანჩელის ოთხი სიმფონიის წარმატება და საყოველთაო მოწონება უპირველესად ყოვლისა იმასთანაა დაკავშირებული, რომ კომპოზიტორმა სიმფონიის საკუთარი ტიპის შექმნა შესძლო და დაუმორჩილა იგი ღრმა იდეური შინაარსის, ორიგინალური მუსიკალური იდეების აღბეჭდვის ამოცანას. კომპოზიტორმა გამოიმუშავა თავისი საკუთარი გამომსახველობითი ხერხები, დრამატურგიული პრინციპები, რომლებშიაც მრავალი ფაქტორია გათვალისწინებული: ერთის მხრივ, ეროვნული ხალხური მუსიკის ტრადიციები (უნდა ითქვას, რომ მასალის შერჩევისას კომპოზიტორი უაღრესად მკაცრია, ანოტაციას თითქოს ნაკრძალიდან, მივიწყებული თუ ნახევრად მივიწყებული ქანებიდან იღებს, ათავისუფლებს მას ყოველივე შემთხვევითისაგან, თავისებური ფორმულის ხასიათს აძლევს მას). მას აქვს უნარი ამ ინტონაციას დამახასიათებელი კოლორიტი შეუნარჩუნოს და ამავე დროს ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ვნებათა ღელვით გამსჭვალოს. ამასთან ერთად გია ყანჩელის სიმფონიებში გათვალისწინებულია თანამედროვე მუსიკის აზროვნების თავისებურებანი და იმდენად ორგანულადაა ათვისებული, რომ ეროვნული ტრადიციების ბუნებრივ გამოვლინებად აღიქმება. მის ნაწარმოებებში სონორული აზროვნება განსაცვიფრებელ თავისუფლებას აღწევს და ამასთან ერთად ფორმა უაღრესად დახვეწილი და მკაცრია, მთლიანად იდეური იმპულსისადმია დაქვემდებარებული.

ფართო საკონცერტო ესტრადაზე მტკიცედ დამკვიდრდა ქართული ინსტრუმენტული კონცერტის საუკეთესო ნიმუშები. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ა. მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი, ქართული მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება, რომელიც ამაღლებული ემოციურობით და ტემპერამენტით გამოირჩევა; ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი, გამსჭვალული ჭაბუკური სწრაფვით და ლირიკული გრძნობების მიმზიდველი უშუალობით. ეროვნული საფორტეპიანო მუსიკის საუკეთესო ქმნილებათა რიგს მიეკუთვნება აგრეთვე ა. ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი, სულხან ნასიძის საფორტეპიანო კონცერტები, რომელთაგანაც მეორემ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თავისი სახეების მრავალფეროვნებისა და მასშტაბური ფორმის, მასალის განვითარების ჭეშმარიტად სიმფონიური გაქანებით დამუშავების გამო, ბ. კვერნაძის სავიოლინო კონცერტი, აღსავსე ამაღლებული ლირიკით და ჟანრული საწყისის ფერადოვნებით გამორჩეული.

საკონცერტო ჟანრის მიღწევათა რიგს მიეკუთვნება ვაჟა აზარაშვილის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, ნაწარმოები, რომელიც აღბეჭდილია მელოდიური საწყისის მიმზიდველობით, ჟანრული ჩანახატების ფერადოვნებით, ქალაქური მუსიკის პოეტურ სიბრტყეში გარდატეხით. უდავო სიმპათიებს იწვევს კომპოზიტორის კონცერტი ალტისა და ორკესტრისათვის.

საკონცერტო ჟანრს წელს კიდევ ორი საინტერესო ნიმუში შეემატა. ეს არის ო. თაქთაქიშვილის სავიოლინო და ნ. გაბუნიას საფორტეპიანო კონცერტები. ეს ნაწარმოებები გვიდასტურებენ ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელ სტილისტურ ძიებათა დიდ დიაპაზონს. თვითეულ მათგანს თავისი ენა და გამომსახველი ხერხები, სახეების საკუთარი სამყარო და ორიგინალური დრამატურგია გააჩნია. თვითეული მათგანი სხვადასხვა ფოლკლორულ წყაროს ემყარება და სხვადასხვანაირად გარდატეხს მას. ამავე დროს თვითეული მოწმობს ქართული მუსიკის ინტერნაციონალური კავშირების მრავალფეროვნებას.

ქართულმა ვოკალურმა მინიატურამ განვითარების დიდი და, მე ვიტყოდი, სახელოვანი გზა განვლო. ამ ჟანრის ჩამოყალიბება წინ უსწრებდა ქართული კლასიკური ოპერის შექმნას. მასში დიდი მონდომებით მუშაობდნენ ჩვენი ეროვნული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლები და განსაკუთრებით, დიმიტრი არაყიშვილი, რომელმაც ქართული ვოკალური მუსიკის კლასიკური ნიმუშები შექმნა. დღეს ძნელია დავასახელოთ კომპოზიტორი, რომელსაც ბედი არ უცდია ამ ჟანრში. ახალ ქართულ რომანსში დაირღვა ის ელეგიური განწყობილება, რომელიც მას თავის დროზე დიმიტრი არაყიშვილმა დაუმკვიდრა. აღსანიშნავია, რომ ქართული ვოკალური მინიატურა დაკავშირებულია ყოფით რომანთან დღესაც ყოფით მუსიკასთან მას მრავლად გააჩნია შეხების წერტილები [illegible] იგი ფოლკლორული ტრადიციული ჟანრების კეთილ [illegible] ზეგავლენას განიცდის. მის ჩამოყალიბებაში და შინაარსეული საწყისის თავისებურებების დადგენაში გარკვეული [ფაქტორის] როლს ესტრადა, კინო და დრამატული თეატრი თამაშობენ [illegible] [illegible] აღვნიშნო ა. მაჭავარიანი, ავტორი ბრწყინვალე რომანსებისა: „ცისა ფერს"... „არ დაიდარდო დედაო", „მზეთა მზის სახეო" და სხვა, რომლებშიც ამაღლებული განწყობილება სუფევს და ღრმა [illegible] აღბეჭდილი. ამ მინიატურებში კომპოზიტორმა შესძლო შესაბამისი პოეტური სახეებისათვის (ყოველი მათგანი კი ქართული პოეზიის შედევრს ეყრდნობა) მუსიკალური ექვივალენტის გამონახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებები, რომლითაც აღინიშნა ო. თაქთაქიშვილის პირველი ვოკალური რვეულები ვაჟასა და გალაკტიონის ლექსებზე, ნიშანდობლივია იმით, რომ მათში ქართულმა ვოკალურმა მინიატურამ მტკიცედ გადადგა ნაბიჯი სალონური სარომანსო ჟანრიდან სიმღერისაკენ. ამ სტილისტურ ძვრას ბევრი ასპექტი გააჩნდა, რომელთაგან უმთავრესი ის იყო, რომ ამიერიდან ვოკალური მუსიკა უკვე მხოლოდ განწყობილებების სფერო არაა, აქ ძლიერდება სოციალურ-ფსიქოლოგიური თემა დაკავშირებული რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან, უფრო რელიეფურადაა გამოხატული სიუჟეტი, რომელმაც, შესაძლოა, რამდენიმე სიმღერის გაერთიანებაც კი მოითხოვოს. კომპოზიტორმა შესძლო სახეების საკმაოდ მდიდარი სამყაროს შექმნა, რომელიც პოეტური შთაგონებით, ჟანრული ტიპების ვოკალურ და ინსტრუმენტულ შეფარდებათა სიუხვით გამოირჩევა. განსაკუთრებული მხატვრული ღირსებები გააჩნია ციკლს გალაკტიონის ტექსტებზე. აქ თვითეული ეპიზოდი — თავისებური ვოკალური პოემაა, ფსიქოლოგიური სიღრმით და მკაფიო სახეებით აღბეჭდილი.

ვოკალურ ჟანრში აღსანიშნავია რ. ლაღიძის წვლილიც, კომპოზიტორის, რომლის სიმღერებიც საქართველოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მათი ლირიკული სისავსით და მელოდიური სილამაზის გამო. ვოკალურ ჟანრში წარმატებით მუშაობენ ვ. აზარაშვილი, გ. ჩლაიძე (ამ უკანასკნელის სიმღერათა ციკლმა „სიყვარულის საგალობელი" კარგი გამოხმაურება ჰპოვა), ლ. შავერზაშვილი, მ. დავითაშვილი და სხვები.

პოეტური ინტონაციის გამომსახველობის, განწყობილებათა სიღრმითა და მხატვრული სახეების გამოკვეთით, საინტერესოდ მიგნებული მუსიკალური ფორმებით და მათი სრული დაქვემდებარებით მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური იდეის გახსნის ამოცანისადმი ქართული ვოკალური მუსიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა ს. ნასიძის ვოკალური ციკლი „ქართული ხალხური პოეზიიდან". ციკლის ექვსი ეპიზოდისათვის ხალხური ლექსები ერთი კუთხითაა შერჩეული — წუთისოფლის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკვდილის გარდუვალობის შესახებ აზრის გამოსახატავად. სიკვდილზე ფიქრი ემოციურად იმდენად მეტყველია, იმდენად მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ მოტივებს შეიცავს, რომ მუსიკაში თვით გმირის სახე გამოიკვეთება, როგორც მწუხარებით და დარდით შეპყრობილი ვაჟკაცისა, ულმობელ ძალას ფეხთ რომ არ ჩავარდნია და სასოწარკვეთილებას არ მისცემია. მან კარგად იცის, რომ სიკვდილს ისევ სიცილმა და ლაზათიანმა სიტყვამ აჯობა და რომ კეთილი საქმე უკვდავების საწინდარია. ეს კი დარდს თუ არ უქარვებს, სიმტკიცეს მაინც მატებს. მან მეგობრობის ფასიც იცის, ბუნების სილამაზესაც გრძნობს და სიყვარულისთვისაც გული ღიად აქვს, რაც მის ცხოვრებას განსაკუთრებულ მშვენებას ანიჭებს.

ჩემს მიერ დახატული პანორამა რასაკვირველია, სქემატურია და მას ძალა არ შესწევს თანამედროვე ქართულ მუსიკაზე სრული წარმოდგენა შეგვიქმნას. ეს გარდაუვალიც იყო, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში მე მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით მომიხდა დაკმაყოფილება, სხვა შემთხვევებში კი თვით ფაქტების დასახელებაც კი ვერ მოვახერხე. მაგალითად, ჩემი მიმოხილვიდან სრულებით ამოვარდა ეროვნული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა კინომუსიკა. მასში კი, განსაკუთრებით უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე, ბევრი საგულისხმო რამ მოხდა. რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის, დ. თორაძის, ა. კერესელიძის, გ. ცაბაძის, ბ. კვერნაძის, გ. ყანჩელის, ნ. ვაწაძის, ვ. აზარაშვილის ბევრმა სიმღერამ, რომელიც ქართული სასიმღერო საესტრადო მუსიკის განვითარებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა, თავისი გზა ეკრანიდან დაიწყო.

ყოველივე ზემოთ თქმული მიეკუთვნება ქართული მუსიკალური კულტურისათვის დამახასიათებელი პროცესების გარეგან ხედს, მსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ პროცესის შინაარსობრივ მხარეზეც, იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც მის არსს განსაზღვრავს.

მთავარი პრობლემა — თანამედროვეობის რეალისტური ასახვაა, თანამედროვე ადამიანის განვითარებაში თანამონაწილეობა. პროფკავშირების XVI ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სპეციალურად აღნიშნა თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური ზრდისათვის ხელოვნების მნიშვნელობა. დიდმა ოქტომბერმა კულტურის ისტორიაში ახალი ხანის დასაწყისი აღნიშნა — დასაწყისი ხალხის ისტორიისა, ინტელექტუალური ცხოვრების ეპოქისა, კულტურისა, რომელიც ხალხის ნააზრსა და ნაგრძნობს გამოხატავს, ახალ სამყაროს, კომუნიზმს რომ აშენებს. ოქტომბერმა ხელოვნების წინაშე ახალი ჰორიზონტები გახსნა, საშუალება მისცა პოეზიისა და მუსიკის, პლასტიკისა და ფერების ენაზე ყველაზე მასობრივ აუდიტორიასთან დაემყარებინა კავშირი. მთელი ჩვენი საბჭოთა ხელოვნების ისტორია მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვების ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილი ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, რომ იგი მისთვის გასაგები უნდა იყოს, მის გრძნობებსა და მისწრაფებებს ასახავდეს, ზრდიდეს მას. ხელოვნების როლის ბრძნული ლენინური განმარტება მხატვრული შემოქმედების, კერძოდ, მუსიკის შესახებ ჩვენი შეფასებების ქვაკუთხედია. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ქართული საბჭოთა მუსიკა თანამედროვეობის ტალღაზეა აწყობილი, რომ თავის საუკეთესო ნიმუშებში იგი მკვეთრად გრძნობს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ დაძაბულ რითმს და მოვლენებში ღრმა წვდომით იჭრება ჩვენი სინამდვილის შემოქმედთა — სოციალიზმის მშენებელთა სულიერ სამყაროში.

ამიტომაცაა, რომ როდესაც თანამედროვეობის შესახებ ვლაპარაკობთ, მივისწრაფვით დავძლიოთ იმ შეხედულების შეზღუდულობა, რომელიც თანამედროვეობას, როგორც მხოლოდ წმინდა ტექნოლოგიურ კატეგორიას განიხილავს. ჩვენ ამ ცნებაში შინაარსეულ, თემატურ აზრსა ვდებთ, ჩვენ მხატვრული სახეების რეალური ხასიათიდან გამოვდივართ. თანამედროვეობა ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების პათოსია, თანამედროვეობა ჩვენ გვესმის როგორც ხალხის შემოქმედებითი ბუნების გაგება, წვდომა ადამიანისა, მისი პასუხისმგებლობის შეგრძნება. ამ სოციალურ-ეთიკური მომენტების გარეშე ნამდვილი ხელოვნება არ არსებობს. თანამედროვეობა ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა მუსიკის ჟანრულ-ინტონაციურ თავისებურებაში, მის შინაარსეულში იღებს გამოხატულებას, მის უნარში, კონკრეტული ცხოვრებისეული ასოციაციები გამოიწვიოს. ჭეშმარიტი ხელოვნება — ეს, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეპოქის დოკუმენტია.

რასაკვირველია, ტრადიციები, კულტურისეულ წარსულთან მჭიდრო კავშირები, მხატვრული ფორმების მემკვიდრეობითი ხასიათი, ფორმებისა, რომლებიც ეროვნულ ცნობიერებაში უკვე დამკვიდრდა ესთეტიკური აზროვნების აუცილებელი კანონზომიერების უფლებით — ყველაფერი ეს მძლავრი ფაქტორებია, რომლებიც ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის მტკიცე გარანტიაა. მაგრამ მისი ორიგინალურობა, განუმეორებელი თავისებურებანი კიდევ უფრო მეტად იმით განისაზღვრება, რომ ჭეშმარიტად რეალისტური ხელოვნება მიმართულია თანამედროვეობაზე, დღევანდელ დღესა და ჩვენი ეპოქის ადამიანებზე. ჩვენი საბჭოთა ხელოვნება გამოირჩევა სოციალისტური მიზანდასახულობით, იგი გარკვეულ ისტორიულ აუცილებლობას ასახავს, სახელდობრ, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

მუსიკოსი მხატვრულ სამყაროს აგებს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და იმ კოლექტივის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელშიც მისი როგორც პიროვნების და ხელოვნების ჩამოყალიბება მოხდა. ხელოვანი, უპირველესად ყოვლისა, ამ კოლექტივთანაა დაკავშირებული. ამ საზოგადოებასა და ამ ხალხთან, მოცემულ ეროვნებასთან, რომელსაც თავისი საკუთარი ფსიქოლოგიური წყობა, თავისი ტემპერამენტი, თავისი მსოფლშეგრძნება და თავისი ცხოვრების წესი გააჩნია. ხელოვნების ადამიანურ შინაარსს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ხასიათი განაპირობებს. „ადამიანური — სწერდა ბელინსკი — ხალხთან მოდის არა გარედან, არამედ მისგანვე და ყოველთვის თავს ავლენს როგორც ეროვნული".

მთელი თავისი სიფართოვისა და ტევადობის მიუხედავად, ეროვნების ცნება ნათელი და გარკვეულია. მის მთავარ დამახასიათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა





გ. კორძახია. მაიაკოვსკი

ნ. კანდელაკი. იმერელი მაღაროელი

ალ. გორგაძე. რუსთავის მეფოლადეები





უ. ჯაფარიძე. შრომის ზეიმი

ნ. იანქოშვილი. მეჩაიე გოგონა

ჯ. ხუნდაძე. შემოდგომის პეიზაჟი

ზ. ნიჟარაძე. მეფოლადეები

ნ. იგნატოვი. ფიროსმანის გახსენება





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





თ. მირზაშვილი. წყაროზე

დ. ერისთავი. საბავშვო ბაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ მომენტებს გარკვეული ხალხის ფსიქოლოგიური წყობა, ტემპერამენტი და კულტურული ტრადიციები განსაზღვრავს. მაგრამ განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა, რომ მხატვრულ ფორმებში ეროვნულ-სახასიათო განუყოფელია თვით ხელოვანის პირადული საწყისისაგან, პრობლემის მისეული გაგებისაგან, მისი სტილისტური მიდრეკილებებისა, ესთეტიკური პოზიციისა, მისი ხელოვნების იდეური გამიზნულობისაგან.

ეროვნულის ერთ-ერთი ასპექტია ხელოვანის მიმართება ფოლკლორისადმი, ხალხური ტრადიციებისადმი. ტრადიციულ ფორმებში აკუმულირებულია გარკვეული მხატვრული გამოცდილება. ყველაზე უფრო განზოგადებული პასუხი, რომელიც ადამიანმა დასმულ კითხვას შეიძლება გასცეს, იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტად მხატვრულში ტრადიციული უდავოდ აქტიური შემოქმედებითი საწყისის მატარებელია. იგი ასევე განუყოფელია მხატვრის პიროვნებისაგან, იმ იდეურ-ემოციური ატმოსფეროსაგან, რომლის გამოსახატავადაც განიცდის აღორძინებას. ჩვენ ბევრი ისეთი ნაწარმოების დასახელება შეგვიძლია, რომლებშიაც მოცემული ამოცანა წარმატებითაა გადაწყვეტილი.

პრობლემის მეორე ასპექტია ეროვნულისა და ინტერნაციონალურის შეფარდება. ესეც მნიშვნელოვანი საკითხია, მით უმეტეს, რომ მის გაგებაში აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა. როგორ უნდა გავიგოთ ეს საწყისები, როგორც ურთიერთგამომრიცხველნი თუ მხატვრულობაში ერთმანეთის შემავსებელი მომენტები? ვფიქრობ, რომ სპეციფიკურად განუმეორებელი, რომელიც ყოველი მუსიკალური კულტურისათვისაა დამახასიათებელი და არავითარ დაბრკოლებას არა ქმნის ამ მუსიკის აღსაქმელად კულტურის სხვა სფეროში. პირიქით, როდესაც ეს სპეციფიკური მნიშვნელოვანი სოციალურ-ფსიქოლოგიური განსაკუთრებულობის ექვივალენტია, იგი საერთო-საკაცობრიო ინტერესს უნდა იწვევდეს როგორც მხატვრულის განუმეორებლობა, ორიგინალობა, მხატვრული ხომ ყველაფერთან ერთად მიმზიდველია თავისი თვითმყოფადობითაც.

ინდუსტრიული ეპოქის კულტურის ბურჟუაზიული თეორიები ხელოვნებას საყოველთაო ნიველირებას უწინასწარმეტყველებს. ეროვნული კულტურების აყვავება ერთა სოციალისტური თანამშრომლობის პირობებში — და იგი განუყოფლადაა დაკავშირებული სწორედ ინდივიდუალურ-თვითმყოფადობის გამოვლენასთან — ამსხვრევს ამ ანტიმეცნიერულ პესიმიზმს. სპეციფიკური მუსორგსკის, პროკოფიევის, ბარტოკის, ენესკუს და სხვა გამოჩენილ თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაში, რასაც აპირობებს ამ შემოქმედთა დაყრდნობა შესატყვის ეროვნულ ტრადიციებზე, სრულებითაც არ ვნებს მათი მუსიკის პოპულარობას, მისაწვდომობას, მთელ მსოფლიოში გავრცელებას. მათი გამოცდილება ამ მხრივ უდიდეს ინტერესს წარმოადგენს და მხედველობაში მისაღებია ახალი ეროვნული საკომპოზიტორო სკოლების წარმომადგენელთა მიერ. ჩვენი საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარება ინტერნაციონალური კავშირების გაღრმავება-გამტკიცების გარეშე წარმოუდგენელია. ამაში ვლინდება საბჭოთა მრავალეროვანი ხელოვნების განვითარების დიალექტიკა: ერთის მხრივ, სულ უფრო დიდ როლს თამაშობს გამაერთიანებელი ფაქტორები, საბჭოთა მუსიკის საერთო ტრადიციები, კულტურულ ღირებულებათა გაცვლის სულ უფრო და უფრო მზარდი პროცესი, ხოლო, მეორეს მხრივ, ვლინდება ინტერესი მშობლიური კულტურის სპეციფიკური ფორმებისადმი, სახასიათო ჟანრულ-ინტონაციური მასალისადმი, ფორმის ქმნადობის მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებისადმი.

სხვადასხვა ეროვნული სკოლების გამოცდილების შემოქმედებითი ათვისება აპირობებს ე. წ. პარალელური მოვლენების წარმოქმნას, ქმნის ისეთ სიტუაციას, როდესაც რომელიმე შემოქმედებითი პრობლემა სხვა სკოლებისათვისაც საერთო მნიშვნელობას იძენს. ამის საუკეთესო მაგალითი 30-იანი წლების სასიმღერო მოძრაობაა. იგი დაიწყო რუსულ მუსიკაში, გადაახალისა სასიმღერო ფორმები, შეიჭრა სხვა ჟანრებშიაც, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ოპერის და სიმფონიის, კანტატა-ორატორიისა და თვით საბალეტო ფორმების ევოლუციაზე. უფრო გვიან კი სასიმღერო მოძრაობა სხვა ეროვნულ კულტურებში იწყება და აქაც მისი ზემოქმედება მთლიანად კულტურის განახლებისათვის უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. სასიმღერო ტალღის შედეგია მუსიკალური ხელოვნების დემოკრატიზაცია, მან ხელი შეუწყო ხალხური შემოქმედების მრავალფეროვანი ჟანრების აღორძინებას, ბიძგი მისცა ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ხასიათის მუსიკალური ფორმების წარმოქმნას, რომელშიც თვით ჩვენი სინამდვილე სუნთქავს.

შეიძლება საბჭოთა მუსიკის „გამაერთიანებელ" ფაქტორთა შორის დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მხატვრების ზემოქმედება დავასახელოთ. მაგალითად, უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე იზრდება შოსტაკოვიჩის მუსიკის ზეგავლენა, იგი მრავალ ეროვნულ სკოლას დაეტყო (ბალტიისპირეთის და ამიერკავკასიის კომპოზიტორთა შემოქმედებას). შოსტაკოვიჩის ტრადიციები შემოქმედებითადაა გარდატეხილი ა. ბალანჩივაძის, ს. ნასიძის, ნაწილობრივ გ. ყანჩელის სიმფონიებში. შეიძლება აღინიშნოს არამ ხაჩატურიანის მუსიკის დიდი ზეგავლენა „საბჭოთა აღმოსავლეთის" საკომპოზიტორო სკოლების ჩამოყალიბებაზე. ბოლო წლებში საბჭოთა მუსიკაში შეიმჩნევა სტრავინსკისა და პროკოფიევის ტრადიციების ზეგავლენის ზრდაც, მათი შემოქმედებითი ათვისება. საინტერესოა, რომ ბარტოკის შემოქმედებით პრინციპებთან ერთად სტრავინსკისეული საწყისი თავისებურად გარდატყდა ნ. გაბუნიას შესანიშნავ ნაწარმოებში „არაკში" ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლისათვის. აქ ლაპარაკი ზედმეტია რაიმეს სესხებაზე ანდა ეროვნულის შელახვაზე, რადგანაც სპეციფიკურად ეროვნულის სიმკვეთრე „არაკის" მიმზიდველობის უპირველესი მიზეზია. გაბუნია შემოქმედებითად იყენებს პრინციპებს, მასალისადმი მიდგომის გარკვეულ ტიპებს და ამავე დროს მტკიცედ დგას ეროვნული მუზიცირების ნაყოფიერ ნიადაგზე. შემოქმედებითადაა გარდატეხილი ცნობილი რუსი კომპოზიტორის გიორგი სვირიდოვის პრინციპები ო. თაქთაქიშვილის მუსიკაში, კერძოდ, ახალი „სასიმღერო ტალღისათვის" დამახასიათებელი ინტერესი ვოკალური ჟანრებისადმი.

როდესაც ქართული მუსიკის ინტერნაციონალურ კავშირებს ვეცნობით, ადვილად ვრწმუნდებით, რომ დროთა განმავლობაში ისინი სულ უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს, ფართოვდება და ღრმავდება.

ჩვენ, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსებს, კარგად გვესმის, რომ არ უნდა შევანელოთ იმ გზების ძიება, რომლებიც ჩვენს კავშირებს კიდევ უფრო გააღრმავებს, რომლებიც ჩვენს ჭეშმარიტ თანამშრომლობას კიდევ უფრო მეტ ქმედითობას შესძენს. დღეისათვის ამ მიმართულებით ცოტა რამ არაა გაკეთებული და ამას თავისი დადებითი ნაყოფი მოაქვს ჩვენი კულტურების ურთიერთგაცნობისა და წინსვლისათვისაც. მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს და თანაც სხვადასხვა სფეროში: ჩვენ მზად ვართ გაცვლითი კონცერტებისათვის, შემოქმედებით საკითხებზე დისკუსიებისათვის, სოციალისტური ქვეყნების მუსიკის განვითარებით მიღებული მდიდარი გამოცდილების ათვისებისათვის, მათთვის ჩვენი გამოცდილების გაზიარებისათვის. აქტიური თანამშრომლობის აუცილებლობას თვით ჩვენი თანამედროვეობა, ჩვენი კულტურების სასიცოცხლო ინტერესები გვკარნახობს.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

# ხელოვნების ზეიმი

„ხელოვნების ზეიმი" ეწოდა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ დიდი წარმატებით ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში. ათი დღის მანძილზე თბილისელები მასპინძლობდნენ მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს — სახელოვან შემოქმედებით კოლექტივებსა და შესანიშნავ მომღერლებს, დირიჟორებს, ინსტრუმენტალისტებს.

ფართო და მრავალფეროვანი იყო ფესტივალის საკონცერტო პროგრამა, იგი მოიცავდა სხვადასხვა ჟანრის, ფორმისა და სტილის ნაწარმოებებს, როგორც კლასიკური და თანამედროვე პროფესიული მუსიკის, ისე ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ზეინაბ ხანლაროვა.





საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი „რუსთავი“.

ფესტივალი გაიხსნა სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა რსფსრ სახალხო არტისტის ვ. ფედოსეევის დირიჟორობით გამართა რამდენიმე კონცერტი. წარმატებით შესრულდა გლინკას უვერტიურა რე-მაჟორი და ვალს-ფანტაზია, მოცარტის მეორმოცე, ჩაიკოვსკის მეხუთე და შოსტაკოვიჩის პირველი სიმფონიები. ამავე კოლექტივმა საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს დიდ აკადემიურ გუნდთან ერთად წარმოადგინა სვირიდოვის ,,პათეტიკური ორატორია“ და ო. თაქთაქიშვილის ორატორია ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ვაჟთა ვოკალური ანსაბლის ,,რუსთავის“ (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი), სსრკ სახალხო არტისტის, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატის ზურაბ ანჯაფარიძისა და



მოლდავეთის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორიზონტის“ სოლისტი მარია კოდრიანუ

ბელორუსიის ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ციმბირი“.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ჰამლეტ გონაშვილის მონაწილეობით.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საგუნდო მუსიკის საღამო, რომელზედაც საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს დიდმა აკადემიურმა გუნდმა სსრკ სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ კლავდი პტიცას ხელმძღვანელობით, სხვათა შორის, შეასრულა ფრაგმენტები ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორის კასტალსკის ორატორიიდან „ძმათა მოსაგონარი“ გუნდის, სოლისტებისა და ორღანოსათვის. დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ეს ორატორია პირველად შესრულდა ჩვენს დედაქალაქში. ანავე საღამოზე გაიმართა დ. თორაძის ახალი ნაწარმოების პრემიერა. ავტორმა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების საფუძველზე შექმნილ შვიდ საგუნდო პოემას შერეული გუნდის, ჰობოისა და კლარნეტისათვის „ქართული ჩანამღერები“ უწოდა.

საგუნდო მუსიკის კონცერტში მონაწილეობდნენ ლ. ბელობრაგინა (სოპრანო), ე. ვლადიმიროვი (ბანი), ნ. მალინა (ორღანო), გუნდის სოლისტები ლ. ლეშკოვა და ა. კოლესნიკოვი.

ფესტივალზე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა თურქმენეთის მახტუმკულის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრკ სახალხო არტისტი მაია შახბერდიევა. მან კონცერმეისტერ ნ. კუზმიჩთან ერთად წარმატებით შეასრულა ჩაიკოვსკის, პროკოფიევისა და ხალმამედოვის ვოკალური ნაწარმოებები.

დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი საბჭოთა პიანისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის სტანისლავ ნეიჰაუზის კლავირაბენდმა, რომლის პროგრამა შედგებოდა ბეთჰოვენის, შოპენის, სკრიაბინისა და რახმანინოვის ნაწარმოებებისაგან.

ფოლკლორული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები წარმოადგინეს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა კრასნოიარსკის ციმბირული ცეკვის სახელმწიფო ანსაბლმა სსრკ სახალხო არტისტის მიხეილ გოდენკოს ხელმძღვანელობით და ი. ჟინოვიჩის სახელობის ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრმა ბელო-

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი სოლისტი ლექსო თორაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსიის სსრ სახალხო არტისტის ზ. ბაბიის და მ. ლოპატინას მონაწილეობით.

ახუნდოვის სახელობის ბაქოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტმა, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ზეინაბ ხანლაროვამ ხალხურ საკრავთა ანსამბლის თანხლებით (ხელმძღვანელი აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ალასი მეშადიბეკოვა) კონცერტები გამართა თბილისში, ბათუმსა და სოხუმში. ზ. ხანლაროვამ შეასრულა როგორც აზერბაიჯანული, ისე პოპულარული რუსული, ქართული და სომხური სიმღერები.

ფესტივალის დღეებში ჩვენს რესპუბლიკას ეწვია კიშინიოვის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორიზონტი" პიანისტ ო. მილშტეინის ხელმძღვანელობით. მსმენელმა გულთბილად მიიღო მოლდავეთის სსრ დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მარია კოდრიანუ და ახალგაზრდა მომღერლები — ა. ნოსკოვი, ნ. კრულიკოვსკაია, შ. პედრაგე.

სტუმრებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი შემოქმედებითი კოლექტივები — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტი ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების კ. ვარდელის, თ. ბათიაშვილის, ნ. ჟვანიასა და ო. ჩუბინიშვილის შემადგენლობით. სოლისტი — საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი პიანისტი ლექსო თორაძე. კონცერტები გამართეს სახელმწიფო ვოკალურ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „რუსთავმა", საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა ე. სანაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ გ. მუნჯიშვილის დირიჟორობით, და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა დამსახურებულმა ანსამბლმა სსრკ სახალხო არტისტების, სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი გადაიქცა მოძმე ხალხების შემოქმედებითი მიღწევების დემონსტრაციად, მეგობრობის ზეიმად.

საქართველოს სახელმწიფო კაპელა
დირიჟორი გ. მუნჯიშვილი





# ხალხთა მეგობრობის მუზეუმი

თინა დონჯაშვილი

რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში დგას შენობა — დედაქალაქის ამ უბნის მშვენება, დახვეწილი სისადავით თვალსაამო, თბილი, სტუმართმოყვარე—და ვინდა არ იცის, რომ ის ქართველი ერის ისტორიის მატერიალურ ძეგლთა საცავია, გარდასულ საუკუნეთა მანძილზე მრავალ ჭირთამთმენი ხალხის ხელუყოფი სეიფი. და რა ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხის სულიერმა საუნჯემაც, ოდითგანვე მისი არსებობის გამტანმა, უძლიერესმა და უსათუთესმა ღვთიურმა ნიჭმა მეგობრობისამ აქ გადაშალა თავისი მატიანე და ამ შენობის ფრთას დაეკიდა აბრა: „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი“.

ცხადია, წილადხვდენილი მცირე სათავსო ვერ დაიტევს იმ უზარმაზარ მატიანეს, საბოლოოდ ის სხვაგან გაიხალვათებს, მაგრამ მის თავფურცელს სამუდამოდ, ჯომავალ თაობათა საცოდინრად დაეწერება ეს პირველი მისამართი — რუსთაველის პროსპექტი, № 3.

კეთილშობილების, ჰუმანურობის, მაღალი იდეებისა და მაღალიდეურობის დამადასტურებელი და ამსახველი „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი“ საქართველოს კომპარტიის და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაარსდა 1973 წლის ივლისში. დაარსდა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, თავისი არსით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან გათანაბრებული.

ყველა დარგის მეცნიერებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარი მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, მუზეუმი თავისი არსებობის პირველ ეტაპზე გაშლის საბჭოთა ხალხების მეგობრობის ამსახველ ექსპოზიციას. მეორე ეტაპზე ექსპოზიცია გაფართოვდება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობის ჩვენებით, მესამე ეტაპი კი დასრულდება საბჭოთა ხალხისა და კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებთან საქმიანი ურთიერთობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების წარმომადგენლებთან მეგობრობის ასახვით.

მუზეუმმა სამივე ეტაპისათვის მოიძია და დააგროვა უამრავი მდიდარი მასალა: დოკუმენტები, ნივთები, მულაჟები, ფოტოსურათები, ფონოფირები, პირადი არქივები, მიმოწერის ორიგინალები და ალები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული სტატიები ქართველებზე და ქართველებისა — სხვა ხალხების შრომაზე თუ შემოქმედებაზე. შეიძლება თამამად ითქვას, სარეკორდო მცირე ვადაში მათ შესძლეს მთლიანად პირველი ეტაპისათვის განკუთვნილი ფონდების დაგროვება და სისტემატიზაცია, მაგრამ ფართობის სიმცირის გამო, სამეცნიერო საბჭოს გეგმის თანახმად, პირველ რიგში მოეწყო დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობის ამსახველი ექსპოზიცია.

და ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავზე, 1975 წლის 9 მაისს მუზეუმის კარი გაიღო პირველმნახველთა მისაღებად.

ალბათ ყოველი ადამიანის სიცოცხლეში სამუდამო აწმყოდ რჩება რომელიღაც წუთი, საათი ან დღე... ახლო მომავალში მუზეუმი მიიღებს მისთვის საჭირო ფართობს და სამივე ეტაპის ამსახველი ექსპოზიცია საყოველთაო გასაგებ მეგობრობის ენაზე იმეტყველებს მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხის ყველა კონტინენტის ხალხებთან ურთიერთობის ამბავზე. ის უსათუოდ მღელვარე და მშვენიერი დღე იქნება, მაგრამ 1975 წლის მაისში მუზეუმის გახსნის იმ პირველ დღეს ვერც პირველმნახველთა და ვერც მათ წინაშე მკაცრ გამოცდაზე წამდგარ მასპინძელთა მეხსიერებაში ვერაფერი დაჩრდილავს. უთუოდ იმიტომ, რომ პირველი გამოფენა ეძღვნება საბჭოთა ხალხის უმძიმესი განსაცდელის, ვერაგულად მოჩხდურ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების ჟამთააღწერას. და ალბათ იმიტომაც რომ სუნთქვაშეკრული სამყაროს თვალწინ სიკეთისა და სიბოროტის უბადლო ორთაბრძოლას — საგამოფენო დარბაზში ესათაურება:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

სათაური, რაღაც ზეშთამბეჭდავს რომ ხდის სამშობლოს დასაცავად ამხედრებულ მილიონთა რვალივით შედუღებულ სულისკვეთებას; სათაური, გულშიჩამწვდომს და უბრალოდ გასაგებს რომ ხდის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრძნობათა-გრძნობის ზენა ძალას, მრავალეროვან საბჭოთა ხალხს ერთხმად რომ ათქმევინა:

—ყველაფერი ფრონტს!

—ყველაფერი გამარჯვებისათვის!

თავისთავად ცხადია, მთელი ექსპოზიციის აღწერა შეუძლებელია, მოკლედ კი: 1941 წლის 22 ივნისის სისხამ დილას მტერმა შემოლეწა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები; მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ერთივით დადგა სამშობლოს დასაცავად; შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე გაწოლილ ფრონტზე დღითიდღე მძვინვარებდა სისხლისმღვრელი ბრძოლები; ძნელად მოპოვებული და სიძნელით გადიადებული გამარჯვება.

შეუძლებელია იმ ავბედითობის წლების და გამარჯვების ისტორიაში შესული ქართველი ხალხის წვლილის აღწერაც, რაც ასეთი სიყვარულით და ასე სათუთად აუსახავთ მუზეუმის თანამშრომლებს. მოკლედ კი — დაფაზე ამოკვეთილია ცნობა:

სამამულო ომში წავიდა 700 ათასამდე კაცი, მ. შ. 16 ათასი ქალი. (ანუ ქართველების ერთი მეხუთედი).

მათგან 23 ათასი ოფიცერი, 48 გენერალი და ადმირალი იყო.

მთავრობის მაღალი ჯილდო დაიმსახურა 244700 კაცმა.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 148 კაცს.

სხვადასხვა ფრონტზე დაიღუპა 230 ათასი (ანუ ყოველი მესამე).

ამ „ცნობაში" ჩაქსოვილია კედელზე აკრული პორტრეტიდან გადმოსული გალაკტიონის ხმა:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ".

ამ „ცნობაში" ჩაქსოვილია ყველა პოეტის, ყველა ქართველის გული. იგი შეიცავს შვიდას ათასამდე რაინდის ამბავს. ცოცხლისა და დაღუპულისას. თვითეულს თავისი ისტორია აქვს: მირზა გელოვანსაც, ფორე მოსულიშვილსაც, თინა იოსებიძესაც და ათასობით მათ თანატოლს, მარად უქკნობ სიჭაბუკეში დარჩენილთ. თვითეულს თავისი ისტორია აქვს: გენერალ-ლეიტენანტ ვ. ჯანჯღავასაც, ჯარისკაც აკაკი არობელიძეს, ექთან მანანა მჭედლიშვილსაც. და ათასობით მათ თანატოლს — ომის ქალარა ვეტერანს. ცოცხალთ — თანამებრძოლთან განვლილი ქარცეცხლიანი გზა და სისხლით ნაფიცი ძმობა აკავშირებთ. დაღუპულთ — მარადი ცეცხლი, გვირილები, ჭიქა მოსაგონარი. და ისევ გალაკტიონის ხმა:

„... დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს..."

მყუდრო დარბაზებში ომი გრგვინავს და ყვირიან პორტრეტები. ირგვლივ ცოცხალთა და დაღუპულთა სახეებია. მათი ნივთები, მათი ჯილდოები, სიგელები, მედლობები, მათი ტანსაცმელი, მათი დაწერილი წერილები, მათი სიყვარული, მათი ლექსები, მათი სიცოცხლე და მათი სიკვდილი. აქ არ არის მეტი ან ნაკლები მნიშვნელობის დეტალი. აქ ყველაფერი ღაღადებს საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმზე, სამშობლოსადმი ერთგულებაზე, გზად და ხიდად გაგებულ სიყვარულზე, და აქ თვით სიკვდილიც ამას ღაღადებს...

...სიცოცხლით სავსე, ცნობისმოყვარე თვალებით იყურებიან დარბაზში ოდესელი კოსტია ტერნოვოი და თბილისელი თენგიზ უზნაძე. 1943 წელს მიუსთან მძვინვარე ბრძოლებში დაიჭრნენ ერთდროულად. ჰოსპიტალში გაიცნეს ერთმანეთი. აღმოჩნდა, რომ ლეიტენანტი ტერნოვოი თავისი ბატარეით ფლანგს უმაგრებდა კაპიტან უზნაძის ბატალიონს. მერე აღმოჩნდა, რომ თენგიზი ომის შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში შესვლაზე ოცნებობს, კოსტია კი სამხატვრო აკადემიაში აპირებს სწავლას. ოცნებობდნენ ბიჭები, მაგრამ თენგიზის მდგომარეობა უარესდებოდა და ექიმებმა თბილისში წერილი გამოუგზავნეს. შვილის წასაყვანად ჩასულ მამას თენგიზმა გადაჭრით უთხრა: „თუ კოსტიას არ წამოიყვან, მე მარტო არ წამოვალო". „რატომაც არ წავიყვანო?!" — შეიცხადა მამამ, როგორც იქნა, დაიყოლია მეტისმეტად მოკრძალებული კოსტია და ორივე მძიმედ დაჭრილი წამოიყვანა თბილისში. ერთი თვის შემდეგ თენგიზი გარდაიცვალა. ჯერ ისევ საწოლს მიჯაჭვულმა კოსტიამ იფიქრა, ჩემი აქ ყოფნა უაღრესად გაუმწვავებს შვილის დაკარგვის ტკივილსო, და ჰოსპიტალში გადასვლა დააპირა. მაგრამ თენგიზის დედ-მამამ და დებმა არსად გაუშვეს, იშვილეს და იძმეს, თავს შემოევლნენ, მოუარეს, უწამლეს და ფეხზე დააყენეს. ცხოვრობდა კოსტია, როგორც ღვიძლი შვილი დედ-მამის ოჯახში, უზნაძეების მწუხარების მოზიარეც და მათი ნუგეშიც. სულაც დარჩებოდა, მაგრამ ევაკუაციიდან დაბრუნებული მარტოხელა დედა დაჟინებით ეძახდა ოდესაში. და წავიდა. თენგიზისადმი სიყვარულმა, მისი ოჯახისადმი განუზომელმა სითბომ და მადლიერებამ კოსტია სამედიცინო ინსტიტუტში მიიყვანა. კარგი ექიმი დადგა. მალე სამეცნიერო ხარისხიც დაიცვა. მერე გამოჩენილი პროფესორი კონსტანტინე ტერნოვოი უკრაინის სსრ-ის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. მაგრამ რა ცვალებადობაც უნდა ხდებოდეს მის ცხოვრებაში, რადაც არ უნდა უღირდეს, ყოველი წლის 21 სექტემბერს — თენგიზის დაბადების დღეს — ის თბილისშია. ის თბილისშია უზნაძეების ყველა ჭირშიც და ლხინშიც. ამას წინათ მუზეუმში ახალი ფოტოსურათი რომ დაინახა: „პროფესორი კ. ნ. ტერნოვოი თავის დებთან ერთად თენგიზის საფლავზე" — წამწამზე ცრემლი დაეკიდა.

...მიხეილ მაჩაბელი ლენინგრადის ფრონტზე იბრძოდა, ალექსეი ბატურინის ესკადრილიაში. ისინი მალე განუყრელები გახდნენ — ბრძოლაშიც და დასვენების დროსაც. აიჭრებოდა ცაში ბატურინი, მტრის განლაგებისაკენ აიღებდა გეზს და რადიო-მიმღებში გასძახებდა:

— **Мишико Мачабели, за мной!**

— **Иду, мой капитан!** — უპასუხებდა მიშიკო.

და 1944 წლის თებერვალში მოხდა: ალექსეი ბატურინი მტრის თვითმფრინავს დაედევნა და ვერ შენიშნა უკანიდან სახიფათოდ მიახლოებული მესერშმიდტი. მაჩაბელი თავისი თვითმფრინავით გადაეღობა მტერს და თვითონ მიიღო დარტყმა. დაზიანებული თვითმფრინავიდან ისღა მოასწრო, რადიოში დაიძახა: „ვვარდები, მშვიდობით ხალხო!.."

ბატურინი ვერა და ვერ შეურიგდა მეგობრის დაკარგვას, ვერაფრით ვერ დაინელა ტკივილი და ბოლოს ერთი ახალგაზრდა, შავგვრემანი მფრინავი დ. ობრაზცოვი, რაღაცით მაჩაბელს რომ ჰგავდა, ის აირჩია თანმხლებლად. აიჭრებოდა ბატურინი ცაში, მტრის განლაგებისაკენ აიღებდა გეზს და რადიომიმღებში გასძახებდა:

— **Мишико Мачабели, за мной!**

—**Иду, мой капитан!** —მიშიკოსავით უპასუხებდა ობრაზცოვიც.

ექვსი თვის შემდეგ კი ბატურინს ცოცხალი, ნამდვილი მიშიკო მაჩაბელი გამოეცხადა. პარტიზანებს ეხსნათ იგი დაღუპვისაგან. ბეჯითად შენიღბული ნახვევებით გამოპარულიყო მიშიკო ჰოსპიტლიდან. ომის დამთავრებამდე იფრინეს განუყრელად. ახლა საბჭოთა კავშირის გმირი ალექსეი ბატურინი აქტიუბინსკში ცხოვრობს, მიხეილ მაჩაბელი თბილისის აეროპორტის დისპეტჩერია, და დიდხანს ერთმანეთის უნახავად ვერ სძლებენ.

...აი დიმიტრი იოსელიანი — უკრაინაში, სიდორენკოს რაზმში ცნობილი თავისი გამჭრიახობით და სიმამაცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი ვასაძე და ალექსეი ტოლსტოი.



მიხეილ შოლოხოვი და გიორგი ლეონიძე

მარცხნიდან: შ. მშველიძე, ს. პროკოფიევი, ა. ხაჩატურიანი



... აი ივანე შუბითიძე — ბელორუსიაში მებრძოლ ინტერნაციონალური კორპუსის მეთაური, პინსკის საპატიო მოქალაქე.

...აი ბელორუსიის პარტიზანთა ნაძმობი თენგიზ შავგულიძე.

... აი დავით ბაქრაძე, საბჭოთა კავშირის გმირი, კოვპაკის შენაერთის ერთ-ერთი კორპუსის მეთაური. იგი მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრია, საგამოფენო დარბაზებში ხშირად ხვდება დამთვალიერებლებს, ხშირად შეხედავს ხოლმე კედელს, რომელზეც ჩარჩოში ჩასმული დოკუმენტი ჰკიდია და იგონებს:

...გორელი ირაკლი ყანდარელი ჩეხოსლოვაკიაში იბრძოდა. განსაკუთრებით თავი ისახელა მაღაროელთა ქალაქ ოსტრავას განთავისუფლებაში და ოსტრავას საპატიო მაღაროელის წოდება დაიმსახურა. ომის დამთავრებისას შინ მშვიდობით დაბრუნებულმა, გორში თავის სახლში საქართველო-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მუზეუმი მოაწყო. ოსტრაველი ჩეხები ყანდარელის ხშირი სტუმრები არიან და სიხარულით ეხმარებიან მუზეუმის გამდიდრებაში საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობის ამსახველი საინტერესო ექსპონატებით.

...ტარიელ ქურხულიც ჩეხოსლოვაკიაში იბრძოდა. ქალაქ ლუჩინოს განთავისუფლებისათვის მძაფრ ბრძოლაში ჭაბუკი ლეიტენანტი ქურხულის ასეულმა დროზე იხსნა ბავშვებით სავსე სახლი ფაშისტების ბარბაროსული განზრახვიდან. თვითონ ტარიელი კი გმირულად დაიღუპა. ომი რომ დამთავრდა, ტარიელის დედა, თბილისის უნივერსიტეტის ლათინური ენის პედაგოგი, ჩეხოსლოვაკიაში მიიწვიეს. ლუჩინოში დაკრძალული შვილის, პიონერების მიერ მოსათუთებული საფლავი აჩვენეს. ამას შემდეგ ქალბატონი ნინო შვილის დაღუპვის ყოველი წლის თავს ლუჩინოშია. მას ხვდებიან, როგორც შეჰფერის ქალაქის საპატიო მოქალაქეს. ქ-მა ნინომ თავისი დანაზოგიდან 5 ათასი მანეთი შეიტანა ლუჩინოს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაში, და ამბობს: „მადლობის სიტყვა ენაზე უწყალდებათ, ვგრძნობ, რომ ფიქრობენ, ადამიანმა შვილი შემოგვწირა და ფულზე მადლობა როგორ უნდა ვუთხრათო...“

...გულახდილად უნდა ვაღიარო, არაფერი ისე არ გამჭირვებია, როგორც ამ სტატიის დაწერა. თავიდანვე ამეკვიატა და ბოლომდე ხელს მიშლიდა აზრი, რომ ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპოზიციის აღწერა ვერ შექმნის გამოფენაზე სრულ წარმოდგენას, როგორც თხრობა ვერ შექმნის წარმტაც წიგნზე სრულ შთაბეჭდილებას. თან მიკვირდა, რომ მასალის სიუხვესაც სცოდნია საქმის გაძნელება. რომელ ერთზე შემეჩერებინა ყურადღება? ნურავის ეგონება, რომ დღეს გამოფენილი ექსპონატები უფრო მნიშვნელოვანია იმ უამრავ მასალაზე, რაც ფართობის უკმარობის გამო უცდის ექსპონირებას. გამოფენილ და გამოსაფენ მასალასაც ერთ უწყვეტ ზოლად გასდევს მეგობრობა, მარტო პირადული კი არა, მეგობრობა სოფლების, ქალაქების, რაიონების, ხალხების, ერების, მეგობრობა და უანგარო ურთიერთდახმარება.

ვილას არ გაუგონია მახარაძის რაიონის სოფელ შრომისა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს დაძმობილება, რაც უკვე მეოთხე ათეულ წელს ითვლის, ანდა ნატანებისა და სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის, ზუგდიდისა და ტალალაევკასი, ჩუმლაყისა და უსტ-ლაბინსკაიას, გორისა და მოსკოვის ოლქის დაბა რამენსკოეს, გუდაუთისა და ხერსონის რაიონის სამაგალითო მეგობრობაზე. და ვინ მოსთვლის, ომით დაობლებულმა, დაპყრობილი რაიონებიდან ევაკუირებულმა რამდენმა ბავშვმა საქართველოში ჰპოვა მშობლიური კერა, სიყვარული, და-ძმობა, რამდენი დედობილი და მრავალი წლის შემდეგ ნაპოვნი მშობელი დედა დაადობილეს, რამდენი ოჯახი დაანათესავეს დაუცხრომელმა კვალმაძიებლებმა?!

მე შევჩერდები მხოლოდ ერთ, სათქმელად „პატარა“ ამბავზე— საბჭოთა ხალხის ერთსულოვნების, სამამულო ომში გამარჯვების ურყევი რწმენის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითზე:

დონბასი ჯერ არ იყო განთავისუფლებული, როცა საკავშირო ნახშირის მრეწველობის მინისტრმა ვახრუშევმა და მინისტრის მოადგილემ ელიზბარ მინდელმა მოწოდებით მიმართეს საბჭოთა სპეცია-

ლისტებს დონბასისათვის დახმარება აღმოეჩინათ დარბეული მაღაროების აღდგენაში.

1943 წლის 7 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა დონბასი გაანთავისუფლეს, მაგრამ მის მიმდებარე მიდამოებში ჯერ ისევ ცხარე ბრძოლა იყო, მოძმე რესპუბლიკებიდან წამოსული აღმდგენელი ჯგუფები კი უკვე დონბასში იყვნენ. ქართველების 45-კაციან რაზმში ერთი ქალიც იყო, თამარ ჯაფარიძე. თამარზე წიგნი იწერება, მე კი მინდა ორიოდე სიტყვით გავაცნო იგი ამ წერილის მკითხველს. შთამომავლობით, გარეგნობით, ზნე-ჩვევებით წმინდა ქართველი იყო, მაგრამ ქართველი ქალის ხასიათის არც თუ ტიპიური ზოგი თვისებაც დაჰყვა. პედაგოგი მამის ხათრით თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. მაგრამ პედაგოგობა არ იყო მისი მოწოდება, საყვარელი საქმე ეძალებოდა და ლენინგრადში წავიდა სამთო ინსტიტუტში შესასვლელად. რუსული უჭირდა და მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა. ვიღაც უცნობმა კაცმა ყურადღება მიაქცია ინსტიტუტის კართან მდგომ თვალცრემლიან ქალიშვილს და მიზეზი ჰკითხა, მერე დეკანთან შეიყვანა და სთხოვა, ჩემი პირადი პასუხისმგებლობით მიიღეთ ეს ქალიშვილი ინსტიტუტშიო. თვითონ თამარს კი დამშვიდობებისას უთხრა: „ხომ გაიგონეთ, მე თავდებად დაგიდექით და აბა თქვენ იცით თუ არ შემარცხვენთო". გაოგნებულმა თამარმა მადლობის თქმაც ვერ მოახერხა და როდის-როდის იკითხა, ვინ არის ის კაციო? თურმე იმ ინსტიტუტის შეფი, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი სერგეი მირონის ძე კიროვი იყო... თამარმა წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, ასპირანტურაში დარჩენაზე კატეგორიული უარი თქვა, სამუშაოდ უძნელეს უბანზე, უკიდურეს ჩრდილოეთში გაგზავნა ითხოვა. ახალგაზრდა სპეციალისტმა ათეული წელი იმუშავა კამჩატკა-მაგადანი-იაკუტის მაღაროებში. ცოდნით, ვაჟკაცური შრომით და ქალური კდემამოსილებით საერთო პატივისცემა დაიმსახურა და შორამდე გაითქვა სახელი. გამოცდილი ჩრდილოეთის ძნელ პირობებში გამობრძმედილი სამთო ინჟინერი ის-ის იყო დაბრუნდა სამშობლოში და იმ მოწოდების ხმა მისწვდა. აღარ დადგა. ქართველ მამაკაცებთან ერთად ჩავიდა დონბასის აფეთქებულ, დანგრეულ, დატბორილ მაღაროებში...

საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ მალე აღადგინა და კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩააყენა დონბასის ქვანახშირის საბადოები.

* * *

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში და საპროგრამო პრობლემების გადაწყვეტაში მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთდახმარების ამსახველი უამრავი მასალაა დაგროვილი მუზეუმის ფონდებში. მუზეუმის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების მიერ მოძიებული ოციანი და ოცდაათიანი წლების მასალა აღბეჭდილია იმდროინდელი რომანტიკული ელფერით და განსაკუთრებით მიმზიდველია იმით, რომ იმ დიდი გარდაქმნების უშუალო მონაწილე ადამიანები ჩვენი თანამედროვენი არიან, დღესაც ჩვენთან არიან ისინი, ვისაც თავისი ადრიანი სიჭაბუკიდან საკუთარი მხრებით მოჰქონდათ მშობლიური ერის დღევანდელი დღე.

აქაც ყოველ საექსპოზიციო დეტალს თავისი ისტორია აქვს. ატესტატები, დიპლომები, ბრძანებები, სიგელები, ჯილდოები, სამახსოვრო საჩუქრები, ფოტოსურათები, წერილები, პირადი ნივთები აღადგენენ ახალი ცხოვრების მშენებლობის და მშენებელთა ჰეროიკულ პათოსს. საქართველოს მზარდი მრეწველობა მოითხოვდა საკუთარ, კვალიფიციურ ტექნიკურ კადრებს და ოციანი წლების დასაწყისშივე ქვეყნის სხვადასხვა მხარეს, უმთავრესად რუსეთისა და უკრაინის უმაღლეს სასწავლებელში, ტექნიკუმებში, მუშფაკებში, სპეცკურსებზე იგზავნებოდნენ ახალგაზრდები. ნაწილი კი სწავლობდა თანდათან საქართველოშიც დაარსებულ დარგობრივ ინსტიტუტებში, სადაც პირველ ხანს ლექციებს კითხულობდნენ რუსეთიდან და უკრაინიდან მოწვეული ცნობილი სპეციალისტები. კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები ოცდაათიანი წლებიდან წარუძღვნენ რესპუბლიკის მრეწველობას, ისინი ქმნიდნენ ახალ, სამამულო ტექნიკას და უკვე თვითონ ეხმარებოდნენ მოძმე რესპუბლიკებს მრეწველობის სხვადასხვა დარგთა განვითარებაში და სამრეწველო კადრების მომზადებაშიც.



მარტიროს სარიანის გამოფენაზე თბილისში

საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკა პირველივე დღეებიდან ჩაერთო ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და გარდაქმნის თავბრუდამხვევ ტემპში. ძალზე პრიმიტიული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ერთ-ერთი საწინდარი გახდა რესპუბლიკის წყლის რესურსების გამოყენება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ბესარიონ ჭიჭინაძე. ბ. ჭიჭინაძემ პეტერბურგის ჰიდროტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. პირველ წლებში მუშაობა უხდებოდა სხვადასხვა ხასიათის მშენებლობაზე, მაგრამ მისმა ცოდნამ და განათლებამ, დამპროექტებლის და მშენებლის გამოცდილებამ, მეცნიერის ალღომ და ბრწყინვალე ტალანტმა ნამდვილი გამოყენება ჰპოვა ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის „გოელროს" შესაბამისად დაწყებულ ჰიდროელსადგურების მშენებლობაზე. 1922 წ. 10 სექტემბერს საძირკველი ჩაეყარა ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობას. მუზეუმს მოძიებული აქვს იმ — ისტორიული დღის ფოტომასალები: მომავალი ჰესის მშენებლობაზე პირველი ბარის დარტყმას ათასობით მუშა ესწრება თბილისიდან, სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, რაც მეტყველებს საქართველოს პროლეტარიატის იდეურ-პოლიტიკური შეგნების მაღალ დონეზე.

ზაჰესის პროექტის ავტორმა და მშენებლობის უფროსმა ბ. ჭიჭინაძემ მშენებლობა აქცია სამჭედლოდ, სადაც იწრთობოდა ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა (მებეტონეების, მბურღავების, ხეინკლების, ამფეთქებლების და სხვა) კადრები, რესპუბლიკის შემდგომი ელექტროფიკაციისათვის საჭირო კვალიფიციური კოლექტივი.

საკუთარი, საბჭოთა სპეციალისტების მიერ დაპროექტებულმა, საკუთარი წრთობის მუშა-ხელით აშენებულმა, და 90 პროცენტით საკუთარი, საბჭოთა ელექტრომექანიკური დანადგარებით აღჭურვილმა, საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის პირმშომ — ზაჰესმა 1927 წ. 26 ივნისს ზეიმით გაუხსნა გზა ელექტროდენს. ეს მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვება იყო, რადგან „გოელროს" გეგმით საქართველოში — პირველი, და საბჭოთა კავშირში მეორე ჰიდროელსადგური იყო, ის ლენინის ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული გამოხატულება იყო, ამიტომ მას დიდი ლენინის სახელი მიენიჭა. და ვინ იქნება დღეს ისეთი, გზად მიმავალი სიამაყით და სიყვარულით რომ არ შეეგებოს ზაჰესის ხიდს, ბუნებისა და ინდუსტრიის თვალწარმტაც შერწყმულ პეიზაჟში ორგანულად ჩაწერილ ლენინის ძეგლს, ერთ-ერთ პირველს საბჭოთა კავშირში.

ბ. ჭიჭინაძე ზაჰესის მშენებლობის დროს ხელმძღვანელობდა აბაშის ჰესის მშენებლობასაც, საქმიანად მეთვალყურეობდა ქართველ ჰიდრომშენებლებს აჭარის წყალზე, ალაზანზე, სომხეთში მშენებარე სევანის კასკადზე. ერთდროულად მრავალი რთული და პასუხსაგები თანამდებობის შემსრულებელი, იგი თავის პერსპექტიულ გეგმებში ყოველთვის ითვალისწინებდა მთელი ამიერკავკასიის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. პრესის ფურცლებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ აშუქებდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის, ჰიდროენერგეტიკის დარგში ჯერ კიდევ უცნობ საკითხებს, ცხარედ იცავდა მთიან რესპუბლიკებში ჰესების მშენებლობაზე თალოვანი კაშხალების უპირატესობას. ის იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მის მიერ გამოცემულ სპეციალურ სახელმძღვანელოებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალობა. ფასდაუდებელია მისი დამსახურება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაში და საქართველოში მეორე მძლავრძალოვანი რიონჰესის მშენებლობის საკითხის მომზადებაში, ტექნიკურ დასაბუთებაში. ი. მელიქ-ფაშაევის პროექტის ვარიანტის დაზუსტებაში და მშენებლობის ორგანიზაციაში ბ. ქიქინაძეს ეკუთვნოდა გადამწყვეტი სიტყვა. 1934 წელს იგი მოსკოვში გადაიყვანეს. აქაც ერთდროულად მრავალ პასუხსაგებ დავალებას ასრულებდა და თავდადებული შრომის ვახტზე გარდაიცვალა 1937 წელს. ელექტროფიკაციის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მას საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა შრომის გმირის წოდება და ორჯერ „შრომის წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოვდა, საკანდიდატო სტაჟის გარეშე იგი 1931 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა საქართველოს ჰიდრომშენებლობის ფუძემდებელს ზაჰესის ტერიტორიაზე დაუდგა ძეგლი და ლაჯანურის ჰესს, საბჭოთა კავშირში თაღოვანი კაშხალით ნაგებ პირველ ჰესს, მისი სახელიც მიენიჭა.

ზაჰესის გახსნის მესამე დღეს, 1927 წ. 28 ივნისს საძირკველი ჩაეყარა რიონჰესის მშენებლობას. მას პირველი ხუთწლიანი გეგმა წამოეწია. მშენებლობაზე უმალვე გაჩნდნენ დამკვრელი მუშები, ბრიგადები. კომუნისტები და კომკავშირელები სათავეში ჩაუდგნენ მუშებს, ბრიგადებს, საამშენებლო უბნებსა და მოძმე რესპუბლიკების მშენებელ მწარმოებელთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას, მუშებში დაიბადა მრავალი რაციონალიზატორული წინადადება.

ქ. ტულას მექანიკური ქარხნის მოწოდების საპასუხოდ ჰესის მშენებლობაზე გაჩაღდა ბრძოლა სამშენებლო მასალის და ნედლეულის დაზოგვისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროფესიული დაოსტატებისათვის. ყველა ახალ საქმეში მუშებთან განუყრელი იყო დაუღალავი, დღელამ მუხლჩაუხრელი ვლადიმერ ჯიქია. სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის უდიდესი გამოცდილება ჰქონდა. მან პეტროგრადში ჯერ უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი დაამთავრა, მერე საარტილერიო სასწავლებელი. 1917 წ. მარტიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი, ოქტომბრის მრისხანე დღეებში და სამოქალაქო ომის წლებში თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლებისა და პეტროგრადის გმირული დაცვის მონაწილე — ლენინის ორდენით და მრავალი საპატიო სიგელით იყო დაჯილდოებული. რიონჰესის მშენებლობაზე იგი მკაცრი, მომთხოვნიც იყო და მუშების კეთილდღეობაზე მზრუნველი უფროსი. თავისი დაუცხრომელი ენთუზიაზმით რომ აღაფრთოვანებდა მუშებს გმირულ შრომაზე.

1933 წლის 13 ივლისს რიონმა იცვალა გეზი და ირგვლივეთი აჩახჩახა ელექტროშუქით.

ქართველი ელექტრო მშენებლები განაგრძობდნენ ამიერკავკასიაში ჰესების შენებას. თანდათან დგებოდნენ მწყობრში ტყიბულჰესი, ხრამჰესი პირველი და ხრამჰესი მეორე, ალაზანჰესი, შაორიჰესი, ძორაჰესი, აჭარჰესი, ნურეკჰესი, ლაჯანურჰესი, მინგეჩაურჰესი, სევანის კასკადი. დამთავრებულია ძირითადი სამუშაოები ვარციხისჰესზე და შენდება ენგურჰესი... და ყოველი ახალი ჰესი — სოციალიზმისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. ყოველი ახალი ჰესი — ახლობელ და შორეულ მოძმე რესპუბლიკების მშენებლებთან დამაკავშირებელი კაპილარია. განსაკუთრებით განამტკიცა ამ კაპილარებით ნასაზრდოები ძმობა და ურთიერთდახმარება ტრესტმა, „კავკასელექტროქსელმშენმა". ტრესტის ფუნქციაა კავკასიის და სამხრეთ რუსეთის რაიონების ელექტროფიკაცია და მათი ჩართვა რესპუბლიკების ენერგოსისტემების გაერთიანებაში. საბჭოთა კავშირში ეს ერთადერთია სპეციალიზებული ტრესტი — მაღალმთიანი გადამცემი ხაზების მშენებელი. ტექნიკის სიახლის გამოყენებით აშენდა მაღალი ძაბვის ხაზები: მინგეჩაურ-თბილისი, აქსტაფა-ერევანი, რუსთავი-ზესტაფონი, სოჭი-ტერსკაია. განსაკუთრებით რთულ პირობებში შენდება ბურშტინმუკაჩოვის, ჩირიურტ-მახაჩყალა-დერბენტის ხაზები და ქვესადგურები. მუზეუმში მრავლადაა ამ რთული და საინტერესო სამუშაოთა ამსახველი მასალა და დამზადებული აქვს აგრეთვე ხატოვანი დიაგრამა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს ენერგოსისტემის თანდათან მომატებული სიმძლავრისა და მეათე ხუთწლედის დასასრულისათვის ნავარაუდევი კილოვატების და კილოვატსაათების საერთო რაოდენობაზე.

1932 წელი. იწყება მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა. თითქმის ყველა რესპუბლიკიდან დაიძრა მშენებლობისკენ საჭირო საამშენებლო მასალით დატვირთული ეშელონები. მშენებლობაზე მიწვეული არიან სპეციალისტები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

და აი მეტროს მშენებლობის პიონერთა გალერეა. აქ საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ილია გოცირიძეს. მოსკოვის რკინიგზის საინჟინრო-სატრანსპორტო ინსტიტუტი დაამთავრა და ახალგაზრდა კომუნისტმა-სპეციალისტმა თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია იმ მნიშვნელოვან მშენებლობაში მონაწილეობა. უბნის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა და ცოდნამ, ორგანიზატორულმა უნარმა, თავდადებულმა შრომამ დიდებით მოსილი გზით მეტრომშენის უფროსობამდე მიიყვანა. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით, მადლობებით დაჯილდოებული, ომის დროს ტექნიკური ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი, ომის შემდეგ კი მანქანათმშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე (გარდაიცვალა 1967 წელს).

აი, ილიას ძმა ვიქტორ გოცირიძე. 1926 წელს კომკავშირის საგზურით მოსკოვს მიავლინეს სასწავლებლად. ჯერ ისევ სტუდენტმა დაიწყო მეტროს სადგურის „კიროვსკაიას" მშენებლობაზე მუშაობა

აი, ნიკოლოზ ესაკია. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსკოვის სამთო აკადემიაში მიავლინეს. 1932 წლიდანვე მეტროს მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა უბნის მთავარი ინჟინერი იყო. ომის დროს მოსკოვში მრავალ დაცვით ნაგებობას ხელმძღვანელობდა. სოციალისტური შრომის გმირი, ლენინისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ამჟამად თბილისის მეტრომშენის მთავარი კონსულტანტია.

აი, მოსკოვის მეტროს მშენებლობის სხვა პიონერთა დიდი ჯგუფი. აქ არიან: ძმები შალვა და ვლადიმერ ნიჟარაძეები, შალვა დანელია, ო. კანდელაკი, გ. ურუშაძე, კ. დიდებულიძე, ი. სარჯველაძე დ. ბრელიძე, ვ. შერვაშიძე, ვ. ბოკერია და მრავალი სხვა ჩვენი თანამემამულე. ათეული წლების მანძილზე მოსკოვის მეტროს მშენებლობაზე მათ სამშობლოს არა ერთი ასეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დაუვაჟკაცეს.

მუზეუმში გადაიშლება კიდევ ერთი დიდი წიგნი და მისი ფურცლებიდან დამთვალიერებლის თვალწინ აღსდგებიან პირველი ხუთწლედების გმირები, რომელთა სახელები სოციალისტურმა მშენებლობამ ჩაიწერა თავის ისტორიაში.

აი, პირველი ხუთწლედი ტემპებს ანვითარებს. წარმოების მრავალ დარგში ხალხი ხუთი წლის გეგმას ოთხ, ზოგან სამნახევარ წელიწადში ასრულებს. დამკვრელური ტემპით, სარეკორდო მცირე ვადაში აიგო და ამუშავდა საქართველოს მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი ობიექტი — ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა. იგი შექმნილია ცნობილი მეცნიერის და სპორტსმენი-ალპინისტის, ინჟინერ-მეტალურგის გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით და იმ დროს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ფერომანგანუმის ქარხნის საპროექტო ბიუროს თავმჯდომარის ბესარიონ ქიქინაძის აქტიური დახმარებით. პირველივე ხუთწლედში ქარხანაში დაოსტატებული სპეციალისტი-მეტალურგები, მდნობელები კონსულტაციების გასაწევად იგზავნებოდნენ მოძმე რესპუბლიკებში, სადაც ქიმიური შენადნობის წარმოება მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, 1935 წლის 31 აგვისტოს დონბასში, მაღაროს მნგრეველმა ალექსეი სტახანოვმა 6 საათში, ნაცვლად ტექნიკურ ნორმად დაწესებული 6 ტონისა, მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გახმაურდა მთელ ქვეყანაში. სტახანოვურ მოძრაობაში ჩაებნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები. უცებვე შეუდარებლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ეს ეპოქალური მოვლენა იყო — ძველი ტექნიკური ნორმების ნგრევა და საყოველთაო სწრაფვა პროგრესული სიახლისაკენ.

საქართველოსაც უცებ მოედო სტახანოვური მოძრაობა.

აი, გრიგოლ გორგიძე. უკვე 9 სექტემბერს ტყიბულის ქვანახშირის მემაღაროემ 9 ტონა ქვანახშირის ნაცვლად 70 ტონა მოანგრია, დღიური გეგმა 800 პროცენტით შეასრულა. იმავე თვეს მთელი მისი ბრიგადა გახდა სტახანოვური. შრომის ნაყოფიერების ზრდამ მკვეთრად გააუმჯობესა მუშების ეკონომიური მდგომარეობა. ნაცვლად 200 მანეთისა, ახლა მემაღაროე თვეში 1900 მანეთამდე ღებულობს. ეს ახლებურად მუშაობის მძლავრი სტიმულია. რესპუბლიკის წარმოებებში და პლანტაციებზე პირველი ნოვატორები წინ მიუძღვიან თავიანთ კოლექტივებს ახალი შრომითი მიღწევებისკენ.

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროში მემაღაროე ვასილ სამხარაძემ დღიური გეგმა 561 პროცენტით შეასრულა.

თავი ისახელა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროელმა, დონბასის მაღაროებში დაოსტატებულმა კომკავშირელმა ნიკოლოზ ხუნტუამ.

ხელვაჩაურელმა მემედ ფაღავამ, რომელიც ბაქოში დაეუფლა ნავთობის გადამუშავების რთულ ტექნოლოგიას, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში ასახელა თავისი კოლექტივი.

დაწინაურდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მდნობელი ვლადიმერ სალაძე, შემდგომ წლებში საავიაციო ქარხნის დირექტორობამდე რომ გაიზარდა.

თბილისის მაუდის ფაბრიკის მრთველმა გიორგი ხუციშვილმა, რომელიც რუსეთში, შჩოლკოვის საფეიქრო ფაბრიკაში დაეუფლა პროფესიას, მთელი საამქრო ჩააბა ახლებური ნორმებით მუშაობაში.

თავი ისახელა თბილისის 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატმა მირდატ აკოფოვმა.

სახელი შორს გაითქვეს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნოვატორმა-ფეიქარმა ეთერ მაზანაშვილმა და მქსოველმა თამარ ბირკაძემ, შემდგომში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ.

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელმა დავით ჭიჭინაძემ ერთ ცვლაში დაწესებული :: ლატანის ნაცვლად 8 ლატანი გამოჭედა და მისი თაოსნობით შემდეგ თვეში უკვე ასამდე სტახანოველი იყო ქარხანაში. ახლად შემოღებული პროგრესულ-პრემიალური სისტემა კიდევ უფრო აძლიერებდა მუშათა ეკონომიკას.

იმავე ქარხნის მჭედელმა კონსტანტინე ილურიძემ ომიანობის წლებში უთაოსნა ქარხანაში ნალისატყორცნის მთავარი ნაწილების ჩქაროსნულ ჭედვას, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა რკინიგზის ტრანსპორტის ნოვატორ-მემანქანეს, ჩქაროსნული მოძრაობის მოთავეს ანდრია წიკლაურს და შალვა კოხრეიძეს.

მრავალრიცხოვანი სტახანოველები გაჩნდნენ ჩაის და ჭარხლის პლანტაციებზე, სიმინდის ყანებში, მეცხოველეობის ფერმებში.

გაგრის რაიონის ალახარის კოლმეურნეობის თამბაქოს პლანტაციაზე მნეესავმა ბოსტანჯიანმა 18 ზონარის ნაცვლად, 75 ზონარი ანემსა და მისმა მიმდევარმა ლაგოდეხის მეთამბაქოემ ტოსია ლომიძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში აჯობა — სოციალისტური შრომის გმირობა მიიღო.

შრომის ახალი ტექნიკური ნორმები მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა შეგნებაში, ყოფა-ცხოვრებაში. ის უფრო განმტკიცდა მესამე — ომიანობის ხუთწლედში.

აი, ტიბაანელი ელენე ნატროშვილი. ტრაქტორისტების კურსები გაიარა და ალაზნის მტს-ში დაიწყო მუშაობა. ქმარი და 2 ვაჟი გააცილა ფრონტზე და თვითონ შინ შესვლაც აღარ უნდოდა, ტრაქტორზე და კომბაინზე ათენ-აღამებდა. ოკუპირებული რაიონიდან ჩამოსული 4 პატარა ბიჭი შვილივით მიიღო და ტრაქტორისტობა ასწავლა. ფრონტიდან მხოლოდ ერთი შვილი დაუბრუნდა, მაგრამ შვილობილების ყურადღება და ზრუნვა, მათი შრომისმოყვარეობა უნელებდა დარდს. მან მთავრობის მრავალი ჯილდო დაიმსახურა და რაიონში მოწინავე ტრაქტორისტისათვის მისი სახელობის პრიზი დაწესდა.

ქისტაურელმა მეაბრეშუმემ, ნოვატორმა ოსანა აივაზაშვილმა ომის დროს მხურვალე მოწოდებით მიმართა მეაბრეშუმე ქალებს. მან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ოქროს მედალი და ფასიანი საჩუქარი დაიმსახურა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-ზრდის ახლებური მეთოდის დანერგვისთვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა დაიმსახურა.

ფართოდ არის გაშუქებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორია — დაბადებიდან დღევანდლამდე. ეს ხომ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ხალხთა ძმობისა და ურთიერთდახმარებისა, განსაკუთრებით ქართველი, რუსი, უკრაინელი, სუმგაითელი მეტალურგების ხანგრძლივი მეგობრობისა. თურმე სიბერე წამოჰპარვიათ თითქოს გუშინდელ ახალბედა მეფოლადეებს, ბავშვებივით რომ შეჰხაროდნენ თავისი პირველი დნობის ჭაშნიკს. მიდიან, გააცილეს ვალმოხდილები დამსახურებულ პენსიაზე. მუზეუმში რჩება მათი ფოტოსურათები, სიგელები, ჯილდოები, საჩუქრები, ვიმპელები. რჩება წითელი ლენტი, რომელზეც აღნიშნულია ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ჩატარებული მეგობრული დნობის მონაწილეთა გვარები. ლენტს ბოლო არ ექნება — დასვენებაზე მიმავალი თაობა ადგილს უთმობს ღირსეულ ცვლას — და ამას ბოლო არ ექნება...

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე „ხალხთა მეგობრობის მუზეუმის" ერთ მეტად ამაღელვებელ და მნიშვნელოვან „აღმოჩენაზე". ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მრავალი გიგანტური ნაგებობა, გეოლოგიური ძიების შედეგი, დიადი გარდაქმნა ჩაიწერა ოქროს ასოებით, მათ შორის, თავისი სირთულით, მასშტაბურობით, მნიშვნელოვანებით უპირველესი ადგილი უკავია შორეული აღმოსავლეთის და უკიდურესი ჩრდილოეთის წიაღისეული სიმდიდრის მიკვლევა-ათვისებას. არცთუ შორეულ წარსულში ძალზე ჩამორჩენილი ქვეყნის განაპირა მხარის განვითარება, მოწინავე რესპუბლიკების დონეზე მისი აყვანა მოითხოვდა საბჭოთა ადამიანების ფიზიკურ და მორალურ ძალთა უსაზღვრო დაძაბვას, ხშირად კი მსხვერპლსაც.

იმ შორეული რაიონების ათვისება ოცდაათიან წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მრავალი ეროვნების პირველკვალგამყვანთა, პირველ გეოლოგ-მკვლევართა, პირველ მშენებელთა შორის ბევრი თანამემამულეც ყოფილა! აქვე უნდა ითქვას, რომ მუზეუმის ამ „აღმოჩენის" ქართველი ხალხის საყოველთაო ცნობისთვის პატივცემულ ბატონ ბორის ჭკუასელის დამსახურებაა — ადამიანის, რომელიც 35 წელი უცვლელად იდგა სამშობლოს უკიდურეს შორეთში შრომის ვახტზე და ამჟამად პენსიონერი — მუზეუმთან დაარსებულ უკიდურესი ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის ვეტერანთა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლავთ.

ოცდაათიან წლებში სხვადასხვა ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა განაწილებით ან კომკავშირის საგზურით მივლინებული ქართველი ახალგაზრდები, მათთვის უჩვეულო, მკაცრ ბუნებრივ და კლიმატურ პირობებში, გაყინულ მიწაზე დადგმულ კარვებში სახლდებოდნენ და რომანტიკული გზნებით, დაუცხრომელი შემართებით იწყებდნენ თავისთვის ახალაღმოჩენილ სამყაროს ათვისებას. პირველ ხანებში მეტ-ნაკლებად ყველას უჭირდა, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ვინმეს რომ სისუსტე გამოეჩინა, უკანდახეულიყო, გაჰქცეოდა სიძნელეს. თანდათან შეეჩვივნენ და დაიპყრეს თეთრი იდუმალება, გაუშინაურდნენ. აახმაურეს კაცთ ფეხუდგმელი „ქვეყნის ბოლო". 50-გრადუსიან ყინვასაც შეეჩვივნენ (უფრო დაბალი ტემპერატურის დროს გეოლოგიური ძიებაც და მშენებლობაზე გარე სამუშაოც შეჩერებული იყო), პოლარულ ღამესაც, კონცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიხონოვი ქართველ მწერალთა შორის.

მარცხნიდან: მ. ბაჟანი, ნ. ტიხონოვი, ს. ჩიქოვანი



ი. აბაშიძე, ს. მიხალკოვი, გ. ტაბიძე მწერალთა II საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში 1954 წ. დეკემბერი



ტრაქტებსაც—გაყინული კარტოფილიც, ხახვიც, ნიორიც კი, შინიდან ამბის დაგვიანებასაც — მაშინ ნავიგაცია დეკემბრიდან მაისამდე დახურული იყო. პირველ რიგში მათ პირად თვისებებზე იმიტომ ვჩერდები, რომ ალბათ ის უადვილებდა მათ გაძლებას. მათ ცეკვა და სიმღერა უყვარდათ, მათ გაყინული სურსათიდან გემრიელი კერძის გაკეთებაც ეხერხებოდათ. ნადირობა და თევზაობა უყვარდათ, სიცილი უყვარდათ და მეგობრობის ნიჭი ჰქონდათ. მათ ირგვლივ უმალვე ინტერნაციონალური ოჯახი იქმნებოდა და რუსიც, უკრაინელიც, ოსიც, სომეხიც, ბელორუსიც, ესტონელიც, თათარიც ადვილად ითვისებდა ქართულ ტრადიციებს, ადათ-ჩვევებს, ქართულ სიმღერებს, თამადობის ოსტატობასაც. ეს ყველაფერი ეთანაბრებოდა ქართველი ბიჭების მუშაობას. ტექნიკურად განათლებული, ცნობისწადილით შეპყრობილი, თავდადებული შრომით ჰპოვებდნენ საყოველთაო აღიარებას, სწრაფად ვაუკაცდებოდნენ, ოსტატდებოდნენ თავის სპეციალობაში და მალე თავად ხდებოდნენ ურთულესი სამუშაო უბნების ხელმძღვანელები. მრავალი ქართველი გეოლოგის, ინჟინრის, მშენებლის, მეზღვაურის, მფრინავის, მეკავშირის, ექიმის, აგრონომის, შემოქმედის სახელი გახდა ცნობილი მთელ იმ შორეულ მხარეში. მრავალმა მათგანმა მთავრობის მაღალი ჯილდო და საპატიო წოდება დაიმსახურა. მრავალი მათგანის სახელი დაერქვა დასახლებულ პუნქტს, ინსტიტუტს, ქუჩას, წარმოებას, დაწესებულებას...

შეუძლებელია იმ შორეულ მხარეში სახელგანთქმული ყველა ჩვენი თანამემამულის უბრალო დასახელებაც კი, ისინი ბევრნი არიან, მხოლოდ რამდენიმე ადამიანს მოვიხსენებთ. მაგალითად, კონრადი ბარნაბის ძე მაწკეპლიძე. მან მოსკოვის სამთო ინსტიტუტი დაამთავრა და განაწილებით გაემგზავრა უკიდურეს ჩრდილოეთში. ნიჭისა და შრომისუნარიანობის წყალობით მალე იაკუტია-მაგადანის სამთო სამმართველოს მთავარი ინჟინერი გახდა. ოქროსა და ალმასის მრეწველობის განვითარებისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და მრავალჯერ იყო მთავრობის მადლობის სიგელით დაჯილდოებული. ამჟამად კონრადი ბარნაბის ძე ცხოვრობს მოსკოვში.

ნადიბაიძე შალვა გიორგის ძე შორეული აღმოსავლეთის თევზის მრეწველობაში ტექნიკური რევოლუციის ინიციატორი, „დალრიბის" უფროსი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1964 წელს გარდაიცვალა და ვლადივოსტოკშია დაკრძალული. მისი სახელი აქვს მინიჭებული სახალინზე თევზის კომბინატს, ნახოდკაში თევზის ქარხანას, ვლადივოსტოკში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას. შალვა ნადიბაიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრებისას ლენინგრადში იმაღლებდა კვალიფიკაციას და იქიდან გაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში. მისი მეუღლე და 5 შვილი ახლაც ვლადივოსტოკში ცხოვრობს.

ვლადივოსტოკის სასაფლაოზე მის გვერდით არის დაკრძალული შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ლეგენდარული გმირობით მთელ შორეულ აღმოსავლეთში ცნობილი გიორგი ანთიძე. „წითელი დროშის" ორდენის კავალერი ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა 1967 წელს. მის სახელს ატარებს ერთ-ერთი საოკეანო ლაინერი. მისი ოჯახი — მეუღლე და 2 შვილი ცხოვრობს ვლადივოსტოკში.

გიორგი მიხეილის ძე ჩხეიძე, ასევე ცნობილი შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ახლა საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის წარმომადგენელია იაპონიაში.

სამთო ინჟინერი ა. გომელაური, კომბინატის ყოფილი დირექტორი, ახლა დასახლება მირნის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია.

ვლ. ბუჩუკური ანადირის რაიონის მთავარი ექიმია.

ი. ძაბირიძემ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და კომკავშირის საგზურით გაემგზავრა ჩრდილოეთში. მაგადანში საბადოების ჯგუფის მთავარი ინჟინერია, ქ. ოშიაკოვას საპატიო მოქალაქე.

გ. პირველი — კამჩატკაზე გემთსარემონტო ქარხნის დირექტორია.

გ. თავაძე — კურილიის კუნძულების და სამხრეთ სახალინის სამშენებლო სამმართველოს უფროსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. გუგეშაშვილი — საბადო „ბოლშევიკის“ უფროსია.

ალ. ჭანკვეტაძე — „ვტორჩერმეტის“ მაგადანის სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ბ. ჭკუასელი — კალიმაზე და ჩუკოტკაზე კავშირგაბმულობის ობიექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის უფროსი იყო 32 წელი. ამჟამად პენსიონერია და თბილისში ცხოვრობს.

ამ სიის გაგრძელება შორს წაგვიყვანდა. მუზეუმის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ მიერ მიკვლეული და მოძიებული მასალა გამოაბრწყინებს ბევრი ჩვენი თანამემამულის აქამდე უცნობ სახელებს. შორეთში მცხოვრები პატრიოტების ცხოვრება და საქმიანობა, მორალური სიმტკიცე, ინტერნაციონალური ძმობისა და მეგობრობის ტალანტით დაგროვებული მატერიალური ფასეულობა, არჩეული საქმის სიყვარული და შრომითი გმირობის მაგალითი სამაყო და მისაბაძი გახდება ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობისათვისაც.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მასალას ბაიკალ-ამურის მაგისტრალის პირველმშენებლების შესახებ. ჩვენში განა ბევრმა იცის, რომ ოცდაათიან წლებში დაწყებულ ამ გიგანტურ მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ახალგაზრდებმა? ან განა შეედრება ბამის დღევანდელი მშენებლების ტექნიკური აღჭურვილობა და საყოფაცხოვრებო პირობებში მაშინდელ მატერიალურად ჯერ კიდევ გაჭირვებულ დროს, როცა უკაცრიელ ტაიგაში მშენებლობის პრიმიტიული ტექნიკა თითქოს ადამიანის ფრჩხილების და კბილების დახმარებას საჭიროებდა?

სანდრო დალაქიშვილმა **1930** წელს დაამთავრა მოსკოვის სამთო ინსტიტუტი და განაწილებით წავიდა მომავალი მაგისტრალის მშენებლობაზე. უცნობსა და უცხოსთვის უსალმო ტაიგას ვაჟკაცურად შეერკინა კომკავშირელი ბიჭი და სძლია კიდევაც, გაჭკვეთა მისი უშუალო მონაწილეობით დაპროექტებულმა და გაყვანილმა რკინიგზამ ტუნგუსკაიადან იმ წერტილამდე, სადაც ქალაქი უნდა აშენებულიყო, და თვით ამ ქალაქის, ამურის კომსომოლსკაიას პირველმშენებელთა მრავალეროვან თანატოლებს უძმო. ალექსი შალამბერიძე, გ. ცისკარიშვილი. რ. ბერაძე, თბილისელი კ. ლარიონოვი, ვ. კოხრეიძე, შ. კანკავა და მრავალი სხვა შესული არიან ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის მატიანის პირველ თავში. მათ ხომ უნდა იცნობდეს ჩვენი ხალხი?!

და უნდა იცნობდეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თბოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს სამსონ ქუთათელაძეს. მისი თაოსნობით კამჩატკის ჰეიზერებზე აშენდა პირველი თერმული ელსადგური, ჩვენი თანამემამულე, სახელოვანი მეცნიერი განაგრძობს მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ტექნიკური პრობლემების დამუშავებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაარსებული მუზეუმები თავის ასაკს რამდენიმე ათეული წლებით ითვლიან. ბუნებრივია, ამ წლების მანძილზე თვითეული მათგანი სხვადასხვა საშუალებას მიმართავს „თავისი“ შინაარსის გამამდიდრებელი მასალის მოსაპოვებლად.

საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დაარსების (1929 წ.) ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და პირველი დირექტორი — საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, შეპყრობილი იყო ლიტერატურული კვლევის ჟინით. მის მაძიებელ თვალყურს ძვირად თუ გამორჩებოდა ქართული ლიტერატურის, მისი ისტორიის, და სხვა ხალხთან ლიტერატურული ურთიერთობის საინტერესო ფაქტი ან მოვლენა. ამ დარგში ახალი სიტყვის მოძებნა მით უფრო გაძნელდა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი წარმატებით ასრულებს თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას — ამ საკითხების კვლევას და მეცნიერულად დამუშავებას.

ამიტომ არის დასაფასებელი ხალხთა მეგობრობის ახალგაზრდა მუზეუმის, მისი ლიტერატურული ურთიერთობის განყოფილების მონაპოვარი ამ დარგში. წერილების უნიკალური ჯგუფური ფოტოსურათების, სამახსოვრო წარწერით მიძღვნილი წიგნების, მემორიალური თუ სხვა ნივთების საშუალებით თვალსაჩინოდაა გამოვლენილი ქართველი მწერლების მეგობრული ურთიერთობა გამოჩენილ რუს, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. მაგრამ ცოტად თუ ბევრად ცნობილი ამბების გარდა, აქ ბევრია ახალი და მეტად საინტერესო მასალა. მაგალითად, 1922 წ სექტემბრით დათარიღებული ესენინის წერილის ორიგინალი ტიციან ტაბიძისადმი; ეღიშე ჩარენცის გამოგზავნილი ტიციანის ნარკვევების კრებულის „მე-19 საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურა“ სომხურ ენაზე, ასეთი წარწერით: **«Дорогому Тициану! О, Тициан, так как твоя книга в условиях бумажного кризиса напечатана нами не очень блестяще, то велел сей экземпляр озолотить в стиле наших переплетов допотопных времен. Прими и не огорчайся на Армengиз.**



ბორის პასტერნაკი, მისი მეუღლე და ნინო ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიმიტრი ალექსიძე კიევის ი. ფრანკოს სახელობის თეატრის სპექტაკლის „ხსოვნა გულისა“ მონაწილე მსახიობებთან




ხარკოვის საოპერო თეატრის სპექტაკლ „აბესალომ და ეთერის“ აფიშა.

ვახტანგ ჩიქოვანის დედა, საბჭოთა კავშირის გმირი შუშანა რუხაძე-ჩიქოვანი



**Привет сердечный. Твой Егише Чаренц. 1932 г. Эривань».**

ერევნის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თხოვნით, მათ გადაეცათ ამ წიგნის და წარწერის ფოტოასლი. სამაგიეროდ, მათთან მიღებულია ერევანში დიდი სომეხი მწერლის გაბრიელ სუნდუკიანის თხზულებათა აკადემიური გამოცემის იმ ნაწილის ფოტოასლები, სადაც დაბეჭდილია მწერლის მიერ დედ-მამისა, და-ძმებისადმი პეტერბურგიდან ქართულად მოწერილი წერილები და მათი სომხური თარგმანი. მუზეუმში არის სუნდუკიანის პირადი არქივის ნაწილი, რომელიც უმთავრესად შეიცავს მის წერილებს მოსკოვში მყოფი ქალიშვილის თინათინისადმი. აქვეა მწერლის შვილიშვილის მიერ მუზეუმისთვის მიძღვნილი სახელოვანი პაპის და ბებიის ქორწინების ბეჭდები, ზედ ამოკვეთილი წარწერით და თარიღით, და სხვა მემორიალური ნივთები.

ამ მუზეუმის მიერ მოძიებული და დამუშავებული მასალა საინტერესო ფურცელს შლის ორი საუკუნის მიჯნაზე რუსული და ქართული ურთიერთობის ისტორიაში: 1901 წ. სექტემბერში პეტერბურგის გამომცემლობა „ზნანიემ“, რომელსაც მ. გორკი ხელმძღვანელობდა, დასტამბა ლეონიდ ანდრეევის მოთხრობების პირველი წიგნი, რომელიც უკვე 1902-1905 წ. წ. ქართულად თარგმნილი (ირ. ევდოშვილის, ქ. ლომთათიძის და სხვების მიერ) გამოიცა. თბილისის პერიოდულ პრესაში უმალვე დაიბეჭდა ქართველი პუბლიცისტებისა და კრიტიკოსების სტატიები ლ. ანდრეევის შემოქმედების შესახებ, შემდგომში კი 1910-1912 წ წ. ქართულ სცენაზე დადგმული მისი სამი პიესის შესახებ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლ. ანდრეევის გახმაურებული მოთხრობა „წითელი სიცილი“ ავტორის ნებართვით ხელნაწერიდან ითარგმნა და ქართულად უფრო ადრე დაიბეჭდა ვიდრე რუსეთში, და ქართულ პერიოდიკაშიც უფრო ადრე გამოქვეყნდა რეცენზიები, კრიტიკული წერილები (გ. თუმანიშვილის, ივ. რამიშვილის, ილ. ნაკაშიძის, ივ. გომართელის, ნ. მიწიშვილის, კიტა აბაშიძის) და პოლემიკური სტატიები. ლ. ანდრეევის მოთხრობების კვალდაკვალ გამოთქმული ქართული ლიტერატურის მოღვაწეების აზრი და შეფასება ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებდა და ემთხვეოდა რუსულ პროგრესულ-დემოკრატიულ კრიტიკას. მუზეუმში წარმოდგენილია აგრეთვე 1903 წ. მარტის გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სამი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ივ. რამიშვილის სტატია „რუსი ბელეტრისტი ლეონიდ ანდრეევი“, რაც ნათელყოფს იმდროინდელი ქართული კრიტიკის ღრმა გარკვევას რუსეთის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში და მის მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რუს-ქართველთა კულტურული ურთიერთობის უფრო ადრინდელი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. მიკვლეულია უცნობი ავტორის მიერ რუსულიდან თარგმნილი ბოლხოვიტინოვის წიგნი: **«Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии. Сочинено в Александро Невской Академии в Санкт-Петербурге с дозволения указанного печатано в типографии Шнора 1802г.»** ამ წიგნის თარგმანის ფოტოასლი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ლიტერატურული განყოფილების უდავოდ დიდი შენაძენია. რუს მეცნიერს ევგენი ალექსანდრეს ძე ბოლხოვიტინოვს (1767-1837), მეცნიერებაში ევგენი მიტროპოლიტის სახელით ცნობილს, პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიის პრეფექტს, ფილოსოფიისა და უმაღლესი მჭევრმეტყველების მასწავლებელს, რუსეთის აკადემიის ნამდვილ წევრს რუსეთში პირველს მოუკიდია ხელი საქართველოს მეცნიერულად შესწავლისათვის. ჩანს, მან პირველმა გააცნო რუსეთს შოთა რუსთაველი და მანვე პირველმა დააკვნა, „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა შორს სცილდება ეროვნულ ჩარჩოებსო“. 1803 წელს მისი წიგნი გერმანულად ყოფილა თარგმნილი და ამით ევროპაში დაინტერესებულ პირებს პირველად მიუღიათ ინფორმაცია საქართველოს შესახებ უძველესი დროიდან 1801 წლამდე. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ წიგნის შესავალში ავტორი წერს, ცნობები ამოღებულია ორიგინალური წყაროებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც პეტერბურგში მყოფმა ქართველებმა მომაწოდესო. „რუსკი არხივში“ გამოქვეყნებულ ბოლხოვიტინოვის წერილებში ჩამოთვლილია პეტერბურგის ქართველთა კოლონიის შემადგენლობა — ბატონიშვილები იოანე, ბაგრატი და მიხეილი, გარსევან ჭავჭავაძე, ზაზა ანდრონიკაშვილი, გაბრიელ რატიშვილი, იოსებ ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ვახვახიშვილი, გიორგი თუმანიშვილი და ა. შ. უდავოა, რომ ავტორს ახლო ურთიერთობა ჰქონია მათთან, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის წიგნში ის ვერ ახსნიდა ქართული კლასიკური ლექსთაწყობის სპეციფიურობას და ვერ მიაწვდიდა მკითხველს ზოგიერთ მნიშვნელოვან ცნობას ქართველ მოღვაწეთა დახმარების გარეშე. ამჟამად მუზეუმი მოლაპარაკებას აწარმოებს კიევის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებასთან, სადაც დაცულია ბოლხოვიტინოვის პირადი არქივი, რადგან იგი 1822 წლიდან გარდაცვალებამდე კიევის მიტროპოლიტი ყოფილა.

* * *

როგორც ვიცით, მე-15 საუკუნეში ანონიმ რუს ავტორს დაუწერია მოთხრობა ივერიის დედოფალზე, სახელად „დინარა“. მოთხრობაში აღწერილია საქართველოს ბრძოლა მაჰმადიანებთან. წიგნს ახლავს აგრეთვე ანონიმი მხატვრის მიერ შესრულებული 5 მინიატურა. ამ მოთხრობის სიუჟეტი ფერებში გამოსახულია კრემლის „ცარიცინოს პალატის“ კედლებზე. მეგობრობის მუზეუმის თანამშრომლებს ჩამოუტანიათ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცული „დინარას“ ტექსტის და ხუთივე მინიატურის ქსერო-ფირი, და აგრეთვე „ცარიცინოს პალატის“ კედლებზე მოხატული სიუჟეტის ფოტოსურათები. იმავე საპატრიარქო ბიბლიოთეკიდან წამოღებულია ფოტოასლები კახთა მეფის ალექსანდრეს მილოცვის წერილისა, გაგზავნილი მოსკოვის მთავარ ივანე მესამისადმი მოსკოვიაში თათართა ბატონობის დამხობის გამო, ხოლო მოსკოვის ძველ საბუთთა არქივში მოძებნილია იმერთა მეფის ალექსანდრე III მოსკოვის მეფის ალექსეი მიხეილისძისადმი გაგზავნილი საჩუქრების ნუსხა, და, წესისამებრ, მოსკოვის მეფის გამოგზავნილი საჩუქრების ნუსხა. მრავალი ქსეროფირი და ფოტოასლი გადმოგვცემს საინტერესო ამბავს არჩილის დასის მოღვაწეობის შესახებ მოსკოვში, პეტრე პირველის მიერ მათთვის სვესვიატსკოესა და ნიჟნი-ნოვგოროდში მამულების ბოძების სიგელს, ასახავენ მოსკოველი ქართველების როლს ქართველ-რუსთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნაში მე-18 ს. ოციან წლებში. შეუძლებელია აუღელვებლად ეცნობოდე მასალას ვახტანგ მეექვსის (ორი ათასი ქართული ოჯახით) ჩამოსვლაზე რუსეთში, პეტრე მეორის მიერ 1729 წელს ქართველების დასასახლებლად პრესნის (მაშინ მოსკოვის გარეუბნის) მიდამოებში ადგილების ბოძება და იქ დასახლება „გრუზინოს“ დაარსებას. მოპოვებულია მასალა იმის შესახებ, რომ მოსკოვის ქართველებისაგან ჩამოყალიბდა ჰუსართა პოლკი, რომელშიც დავით გურამიშვილიც ჩაეწერა. პოლკმა დიდი როლი ითამაშა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობაში, განსაკუთრებით რუსეთის მიერ მე-18 ს. გადახდილ ომებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქალაქ მოსკოვის ზრდასთან დაკავშირებით, ყოფილ დასახლება „გრუზინოდან“ დღეს დარჩენილია ქუჩა „ბოლშაია გრუზინსკაია“. ძველთაგან შერჩენილ ერთ-ერთ შენობაში, ცხადია, განახლების, გადაკეთების და კაპიტალური რემონტის შემდეგ დაიწყო გაცხოველებული მუშაობა საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფილიალის მოსაწყობად. მუზეუმმა მიაგნო და თავს უყრის ასტრახანში, გორკში, კალინინის, კალუგა-ტულის ოლქებში დაცულ მნიშვნელოვან ქართულ ნივთებს, დოკუმენტებს, ფოტოებს, წიგნებსა და სხვა მასალებს. მე-17, მე-18 ს. ს. მოსკოვში ქართულად თარგმნილი და ორიგინალური თხზულებების მულიაჟების დიდი ნაწილი თბილისის მუზეუმისთვის და მისი ფილიალისთვის დამზადდა თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერების ინსტიტუტში, პროფ. ელენე მეტრეველის დახმარებით.

ისტორიული ურთიერთობის განყოფილების ექსპოზიციაში მრავალფეროვნად აისახება უფრო გვიანდელი კავშირი ახლო თუ შორეულ მეზობელ ხალხთა შორის, მათ ერთობლივ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მოძიებულია ასეთი მასალა: 1906 წელს ქაშუეთი გლეხი იოსებ ხიზანიშვილი ოხრანკის დასმენით ვოლოგდაში გადაასახლეს. მან ვერ აიტანა ციხის სასტიკი რეჟიმი და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის პროცესია პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა და დასაბამი მისცა რევოლუციურ მოძრაობას მთელ გუბერნიაში. დემონსტრანტებმა ციხის კედლებთან გამართეს მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გისოსიან სარკმლებთან მომდგარმა პოლიტპატიმრებმა. დემონსტრაციის ორგანიზატორებმა ხალხს მიმართეს წინადადებით, რომ უმარჩენალოდ დარჩენილი ხიზანიშვილის ოჯახისათვის საქართველოში მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ. მიტინგის მონაწილე ქალმა სამაჯური მოიძრო ხელიდან, დანარჩენებმაც ერთსულოვნად დადეს, ვისაც რა შეეძლო. ვოლოგდიდან, რევოლუციის მუზეუმიდან ჩამოტანილია იმ სამაჯურის მულიაჟი და ადგილობრივი გაზეთის „სევერნაია ჟიზნის“ იმდროინდელ ნომრებში ხიზანიშვილის სიკვდილთან დაკავშირებით დაბეჭდილი სტატიების ასლები. ვოლოგდის მუზეუმიდან ჩამოტანილია აგრეთვე იმავე ციხეში სხვადასხვა დროს ჩაკეტილი ქართველი რევოლუციონერების ი. სტალინის, ა. ჯაფარიძის, შ. ელიავას და სხვათა შესახებ მასალები. მანვე მოსკოვიდან, ლენინის მუზეუმიდან ჩამოიტანა გაზეთ „ვპერიოდის“ (საზღვარგარეთ გამოდიოდა) ნომრების ფოტოასლები, რომლებშიც დაბეჭდილია ქართველი ხალხოსნების ივ. ჯაბადარის, ალ. ციციშვილის და სხვების სტატიები, განსაკუთრებით საინტერესოა ციმბირიდან გაქცეული ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიები და ვრცელი ნეკროლოგი, მიძღვნილი დაღესტნელ რევოლუციონერ დალმატოვის ხსოვნისადმი, რომელიც სერბიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაიღუპა.

დიდი ოქტომბრის საიუბილეო თარიღს ეძღვნება მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა შრომების კრებული.

პირადი არქივებიდან მეგობრობის მუზეუმის მასალა ასახავს ნ. მუსხელიშვილის, გ. ახვლედიანის, ე. თაყაიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. თოფურიას, იუსტ. აბულაძის გ. წერეთლის, ილ. ვეკუას, გ. გეხტმანის, ს. ყაუხჩიშვილის, გ. ნიკოლაძის, ალ. ჯავახიშვილის, ე. ხარაძის ცხოვრებას, მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მუზეუმს მოპოვებული აქვს ისეთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, როგორიცაა სოლომონ დოდაშვილის რედაქტორებით ქართულ ენაზე პირველად ნაბეჭდი ჟურნალის „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ ხუთივე ნომერი, და აგრეთვე, მ. ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილი ვახუშტის ისტორია.

დამთვალიერებლის ყურადღებას მიიპყრობს ნინო და კალისტრატე სალიების რედაქტორობით პარიზში, ფრანგულ ენაზე ნაბეჭდი ჟურნალის „ბედი ქართლისა რევიუ-დე ქართველოლოჟის“ კომპლექტი. ეს ჟურნალი პარიზში ქართულ ენაზე გამოდიოდა 1948 წლიდან და შეიცავდა 64 გვერდს, ხოლო 1957 წლიდან ჟურნალი გამოდის ფრანგულ ენაზე, შიგადაშიგ ჩართული გერმანულად და ინგლისურად დაწერილი სტატიებითურთ. ფრანგულ ენაზე გამოსული ჟურნალის პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჟურნალის გამოცემა ფრანგულად უადვილებს უცხოელ მეცნიერებს საქართველოს კულტურის ისტორიის გაცნობას და შესწავლას, და რომ ევროპულ ენებზე დაბეჭდილი გამოჩენილი მეცნიერების ნაშრომების წყალობით ჟურნალი უფრო აქტიურ სამსახურს გაუწევს ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ამ ჟურნალის ბოლო № 36 შეიცავს 380 გვერდს. ამჟამად განყოფილებაში წარმოებს ჟურნალის მონოგრაფიულად შესწავლა-დამუშავება და მალე ქართველ მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ჟურნალი ეწევა ქართული მეცნიერებისა და კულტურის მსოფლიოში პროპაგანდირების საქმეში, და, გარდა ამისა, გაეცნოს ჟურნალში მოთავსებულ მეცნიერულ სტატიებსა და მათ ავტორებს.

* * *

მუზეუმის ხელოვნების განყოფილების საქმიანობას ძირითადში წარმოადგენს მუსიკის, კინოს, თეატრის, სახვითი ხელოვნების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედების, მოძმე რესპუბლიკების და საზღვარგარეთელ კოლეგებთან მათი ურთიერთობისა და თანამშრომლობის, ქართული ხელოვნების საწყისების და განვითარების შესახებ არსებული უამრავი მასალის თავმოყრა, დამუშავება და სისტემატიზაცია. ეს არამც და არამც არ გამორიცხავს ადრინდელ მკვლევარებს (მუსიკისმცოდნეებს, თეატრმცოდნეებს, ხელოვნებათმცოდნეებს) „მორჩენილი“ ორიგინალური მასალის აქტიურ ძიებას, „ხელუხლებელი“ საკითხების დამუშავებას. განყოფილებას ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი წარმატება აქვს. მაგალითად, აქ ნახავთ დიდი რუსი კომპოზიტორების: ჩაიკოვსკის, ტანეევის, იპოლიტოვ-ივანოვის, რუბინშტეინის საქართველოში ცხოვრების, მოგზაურობის თუ გასტროლების შესახებ ზოგიერთ, აქამდე უცნობ დეტალს; უკრაინელ, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ქართული პოეზიის მოტივებზე შექმნილი ნაწარმოებების პარტიტურას თუ კლავირს მუზეუმს მიძღვნითი წარწერით.

აქვე ნახავთ საინტერესო დოკუმენტებს რუსეთში დასახლებული ქართველების და თეატრალური ხელოვნების ცნობილი რუსი მოღვაწეების ურთიერთობის შესახებ; ერეკლეს კარის თეატრის დაარსების შესახებ; მე-19, მე-20 ს. ს. მიჯნაზე ცნობილი რუსი მსახიობების თბილისში გამართული გასტროლების და საბენეფისო სპექტაკლების შესახებ: კოტე მარჯანიშვილის რუსეთში, უკრაინაში და საქართველოში მოღვაწეობის, ქართული თეატრების თუ ანსამბლების სხვადასხვა ქვეყნებში საგასტროლო მოგზაურობის შესახებ.

დამთვალიერებელს უთუოდ გაახარებს საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის მოსკოვური ჩანახატების ორიგინალები, პარიზში ქ-ნ ელენეს გამოფენაზე მისული პიკასოს ჩანახატი სამახსოვრო წარწერით; საქართველოს სახალხო მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის შესრულებული რამდენიმე ფერწერული პორტრეტი და ქ-ნ ქეთევანისადმი ნორვეგიელი ჰანს ფოჰტის წმინდა ქართულით მოწერილი წერილები, რომლებშიც იგი აღწერს თავის შთაბეჭდილებას საქართველოზე. საინტერესოა სსრკ სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლ. გუდიაშვილის პირადი არქივიდან მიღებული რამდენიმე უნიკალური ფოტო: პარიზის კაფე როტონდაში“ გადაღებული ჯგუფი: ვ. მაიაკოვსკი, ი. ერენბურგი, ლ. გუდიაშვილი, მხატვარი მ. ლარიონოვი; ცნობილი რუსი მხატვრის სუდეიკინის, პოლონელი ს. ვალიშევსკის, თეატრალური მხატვრის ა. ზალცმანის, კ. ზდანევიჩის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული ძველი თბილისის კაფე-კაბარე „ქიმერიონის“ მოხატულობის ფოტო და სხვა.

აქ ნახავთ აგრეთვე ამერიკაში დაცულ და იქიდანვე მიღებულ დავით კაკაბაძის სამ ფერწერული ტილოს და ერთი ქანდაკების ფოტოებს, საერთო დასახელებით „დეკორატიული მოტივები“, და მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეიიდან მიღებულ ცნობილი რუსი მხატვრების: გაგარინის, კონჩალოვსკის, კუზნეცოვის, და სხვათა მიერ შესრულებულ საქართველოს პეიზაჟების ფოტოებს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დიმიტრი ნალბანდიანმა განყოფილებას მოსკოვიდან გამოუგზავნა თავისი პირადი არქივის ნაწილი, რომელიც შეიცავს საქართველოში მისი ცხოვრებისა და სწავლის პერიოდს. სომეხი მხატვარი ჯოტო გრიგორიანი ხანგრძლივად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. იგი 1975 წელს გარდაიცვალა ერევანში. მისმა მეუღლემ ხალხთა მეგობრობის მუზეუმს უძღვნა მხატვრის პირადი არქივი, ფერწერული ტილოები და სლაიდები.

მუზეუმს მოპოვებული აქვს მასალა და იტალიური აფიშა იტალიაში გამართული ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი პირველი სიმპოზიუმისა და თბილისში 1977 წელს გამართული მეორე სიმპოზიუმის სრულად ფოტოგრაფირებული მასალა და ქართული აფიშა სიმპოზიუმის მონაწილე სტუმართა ავტოგრაფებითურთ.

ამჟამად მუზეუმი ცდილობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სხვადასხვა ხაზის საშუალებით მიიღოს პარიზში გამოსული ილია ზდანევიჩის წიგნი ფიროსმანაშვილზე. წიგნი გაფორმებულია პიკასოს მიერ და ახლავს მისივე შესრულებული დიდი ქართველი მხატვრის პორტრეტი. ეს ითვლება პიკასოს ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევრად.

აჰა, დამთავრდა წერილი... წერილი საბჭოთა ხალხის სულიერ მატიანეზე, რომელიც მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში ნივთიერად და სახოვნად წარმოუდგენს დამთვალიერებელს ექსპოზიციას, დასათაურებულს, როგორც ზევით იყო მოხსენებული, ქართული გენიის 800 წლის წინათ ნათქვამით: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად...“

ამოუწურავია ამ ნათქვამის შინაარსი, სათვალავი არ ექნება ამ მატიანეს ფურცლებს, იმიტომ, რომ ამოუწურავია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, მტერზე გამარჯვების ძნელი და სახელოვანი გზით განუხრელად წინსვლის ამბავი. ამოუწურავია ამბავი, შექმნილი ხალხთა ძმობით, მეგობრობით, უანგარო ურთიერთდახმარებით, რასაც მადლიანი ნიადაგი მოუმზადა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი





# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მუსიკა

ამ რამდენიმე ხნის წინ, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მუსიკა". სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სოციალისტური ქვეყნების კომპოზიტორთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ცნობილი საბჭოთა მუსიკოსები. სტუმრებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე. სიმპოზიუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. ორჯონიკიძემ. მერე კი გაიმართა დიდი სჯა-ბაასი სოციალისტური ქვეყნების მუსიკალური ხელოვნების აქტუალური საკითხების ირგვლივ.

საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენად გადაიქცა, უფრო მეტად განამტკიცა მოძმე სოციალისტური ქვეყნების შემოქმედებითი კავშირები.

ვბეჭდავთ საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა გამოსვლებს.

**ფ. ი უ პ ა ნ ი** (უნგრეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი) უპირველესად, მადლობას მოგახსენებთ ამ შესანიშნავი შეკრების ორგანიზაციისათვის, მერე კი ორიოდე სიტყვით შევეხები თანამედროვე უნგრულ მუსიკალურ კულტურას:

ყველამ კარგად იცით, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა უნგრეთის მუსიკალური კულტურა მეორე მსოფლიო ომის წინამორბედ ხანებში. ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ბლოკადის პირობებში ცხოვრობდა. იგი სრულიად იზოლირებული იყო საბჭოთა მუსიკალური კულტურისაგან, რომელიც ჩვენთვის რევოლუციური იდეების მაღალმხატვრული განსახიერების უბრწყინვალეს მაგალითს წარმოადგენდა. გამოჩენილი უნგრელი კომპოზიტორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ზოლტან კოდაი გულდაწყვეტილი წერდა: „იმისათვის, რომ მოვუსმინოთ თანამედროვე რუსული მუსიკის შესანიშნავ ნიმუშებს — სტრავინსკის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის თხზულებებს, იძულებული ვართ წავიდეთ პარიზში". კოდაი საბჭოთა მუსიკის ცოდნასა და სიყვარულს გვინერგავდა, იგი გამოჩენილ საბჭოთა მუსიკოსებთან შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებისაკენ მოგვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებდა, რადგან ამაში ხედავდა თანამედროვე უნგრული მუსიკის განვითარების საფუძვლებს. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უნგრეთში სოციალისტური წყობილების დამყარებისთანავე. დღეს უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი იმ ნაყოფიერ გავლენაზე, რომელსაც მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნება ახდენს უნგრეთის მუსიკალურ კულტურაზე.

დიდი ოქტომბრის იდეების ზემოქმედებით უნგრეთის მუსიკამ მიაღწია ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ ჟღერადობას. ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი, ამას მოწმობს ქართველი მუსიკოსების ინტერესი ჩვენი მუსიკალური კულტურისადმი. თუნდაც გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის ჩინებული კვარტეტი, რომელიც ავტორმა ბელა ბარტოკის ხსოვნას მიუძღვნა, ამისათვის სულხან ცინცაძეს დიდ მადლობას მოვახსენებ მრავალრიცხოვანი უნგრელი მუსიკოსების სახელით. ამასვე მოწმობს ნიჭიერი ქართველი პიანისტის ნოდარ გაბუნიას მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ბარტოკის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. ამაზე მეტყველებს შესანიშნავი ქართველი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის მიერ გამართული კონცერტი, რომელზეც დიდი წარმატებით შესრულდა უნგრული მუსიკის მრავალი ნაწარმოები. თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანაში დიდი ინტერესით სწავლობენ ქართულ ხალხურსა და პროფესიულ მუსიკას. უნგრეთის კონსერვატორიის პროფესორი სამოლჩი ბენცე ქართული მუსიკის მცოდნეა და პროპაგანდისტი. უნგრეთის მუსიკალური საზოგადოება კარგად იცნობს ა. ბალანჩივაძის, ო. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, ს. ცინცაძის, გ. ყანჩელისა და სხვათა შემოქმედებას.

ტრადიციად იქცა თბილისისა და ბუდაპეშტის კონსერვატორიების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შემოქმედებითი შეხვედრები, ქართული და უნგრული საბავშვო მუსიკის კვირეულები, რომლებიც დროდადრო იმართება თბილისსა და ბუდაპეშტში. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი შემსრულებლების ურთიერთგაცვლის პრაქტიკაც, რომელიც დღითიდღე ფართოვდება და დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენი ქვეყნის მუსიკალური ხელოვნებისათვის.

ასეთი კონტაქტების წყალობით იზრდება მუსიკალური შემოქმედების გავრცელების არე, მდიდრდება ჩვენი კომპოზიტორებისა და შემსრულებლების გამოცდილება, სულ უფრო მყარდება ის დიდი ტრადიციები, საბჭოთა მუსიკის ზეგავლენით რომ ვითარდება თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორების შემოქმედებაში.

**პ. ხუჭუა** (თბილისი) — უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დღევანდელ შეხვედრას. იგი ასახავს იმ შესანიშნავ შემოქმედებითსა და მეგობრულ ურთიერთობებს, რომლებიც დიდი ოქტომბრის წყალობით დამყარდა და ნაყოფიერად ვითარდება მოძმე სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსთა შორის. უპირველესად ვიტყვი, რომ ჩვენ მოვალენი ვართ ავსახოთ ყველა ის მოვლენა, რომელიც ერთმანეთთან გვაახლოვებს და გვაკავშირებს. ეს ევალება დიდ სოციალისტურ ოჯახში გაერთიანებულ ყველა ხალხს, ნებისმიერი ეროვნული სკოლის წარმომადგენელს, რადგან ჰუმანისტური იდეალების საყოველთაო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი ძალებით. ამ თვალსაზრისით უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობების განმტკიცების მიზნით კარგი იქნებოდა შეგვექმნა ისეთი მუსიკალური ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენს სისტემატურ შეხვედრებს, ამ გზით უფრო ღრმად ჩავწვდებით ერთმანეთის მუსიკალურ ცხოვრებას, მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს, წარმატებებსა თუ ნაკლოვანებებს. ყოველივე ეს დააკმაყოფილებს არა მარტო ჩვენს პროფესიულ ცნობისმოყვარეობას, არამედ აქტუალური შემოქმედებითი პრობლემების გადაწყვეტაში დაგვეხმარება.

**ვ. ლ ე ს ე რ ი** (გდრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე): ჩემს თავს უფლებას მივცემ დიდი ოქტომბრის მონაპოვრებზე ვილაპარაკო ქართული საბჭოთა მუსიკის მიხედვით.

ყველას მოგეხსენებათ, რომ საქართველო უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა. ამას მოწმობს მრავალსაუკუნოვანი ქართული მუსიკალური ფოლკლორი, რომელიც უნიკალურია თავისი პოლიფონიით, ჰარმონიით, რიტმით, კილოტონალური სტრუქტურებით. რა თქმა უნდა, ეს უმდიდრესი განძი, შესანიშნავ ნიადაგს ქმნიდა პროფესიული მუსიკის განვითარებისათვის, რისი განხორციელებაც მოხდა სოციალისტური წყობილების პირობებში.

ისტორიისათვის 60 წელი წამია, ქართულმა პროფესიულმა მუსიკამ სწორედ ამ უმოკლეს დროში განიცადა უდიდესი წინსვლა და განვითარება, იგი აღიარებულია ყველგან, მისი მიღწევები ცნობილია არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

საქართველოში მოღვაწეობს ნიჭიერ კომპოზიტორთა დიდი რაზმი, რომელთა შემოქმედებითი იდეების რეალიზაცია შესაძლებელი გახდა სოციალიზმის პირობებში. მათ შემოქმედებაში ვითარდება ხალხური მუსიკის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ქართველი კომპოზიტორები ეროვნული მუსიკის შესანიშნავ საწყისებს დიდი ოსტატობით უკავშირებენ ევროპული კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ტრადიციებს. ისინი ტრადიციათა ათვისებისა და ურთიერთშერწყმის პროცესს ფორმალურად კი არ ეკიდებიან, არამედ შემოქმედებითად, რაც განსაზღვრავს თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკის ორიგინალობასა და სიახლასეს. დიახ, ქართულ მუსიკას აქვს თავისი საკუთარი გზა, ეროვნული სახე და ხასიათი, რაც ისევ და ისევ სოციალიზმის მონაპოვრად მესახება. ამას მოწმობს ქართული მუსიკის ყოველი ჟანრი — სიმფონია, ოპერა, კანტატა — ორატორული მუსიკა, კამერულ-ინსტრუმენტული შემოქმედება და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ინტერესით ეცნობიან ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, დიდი სიხარულით ხვდებიან ქართველი შემსრულებლების კონცერტებს, შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართულ პროფესიულ მუსიკას თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური სამყაროს კულტურაში, რაც მის ინტერნაციონალურ ხასიათზედაც მეტყველებს. ქართული მუსიკის მიღწევები სამაგალითოა ჩვენთვის, სამაგალითოა კოლონიალური ჩაგვრის პირობებში მყოფი ხალხებისთვისაც, ისინი ქართველი კომპოზიტორებისაგან სწავლობენ ეროვნული კულტურის განვითარების გზებს, თქვენგან ითვისებენ ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებისა და მობილიზაციის საშუალებებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს შემდეგი განცხადებისათვის — საბჭოთა საქართველოს მუსიკოსები ღირსეულად ხვდებიან დიდი ოქტომბრის იუბილეს.

დო ნიუანი (ვიეტნამის კომპოზიტორთა კავშირის გენერალური მდივანი) ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ქარცეცხლში იბადებოდა. ჩვენს ქვეყანას ჯერაც არ მოშუშებია ომის იარები. მიუხედავად ამისა, ვიეტნამში ინტენსიურად მიმდინარეობს ეროვნული კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესი, რაც დიდი ლენინის იდეების წყალობით ხდება. სოციალისტურ წყობილებას ჩვენთვის მოაქვს უდიდესი წარმატებები.

ვიეტნამელთა ეროვნულ მოძრაობას საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ხალხის დიდმა ბელადმა ხო ში მინმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ეროვნული კულტურის წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ მაღალ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. სწორედ ამიტომ შევიარაღდით მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით, იგი ვიეტნამის ეროვნულ დროშად ვაქციეთ.

ჩვენ ვეყრდნობით საბჭოთა ხალხის გამოცდილებას, მივყვებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ გაკაფულ გზას. ყოველივე ეს გვეხმარება სოციალიზმის, ეროვნული კულტურის მშენებლობაში. ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ ვიეტნამელ კომპოზიტორებს, რომელთა მუსიკა თანდათან იმსჭვალება მაღალი იდეებით, რევოლუციური პათოსით, ჰუმანიზმით. ვიეტნამურ მუსიკაში მკვიდრდება სოციალისტური რეალიზმის ის მაღალი პრინციპები, რომლებიც გამოიწრთვნა მრავალეროვან საბჭოთა მუსიკალურ კულტურაში.

გვჯერა, რომ მხატვრული აზროვნების ეს ნაცადი მეთოდი სწორ გზაზე გაგვიყვანს, დაგვეხმარება მასების ესთეტიკური აღზრდის საქმეშიც.

ი. ნესტიევი (მოსკოვი): საბჭოთა საქართველოს მუსიკალური სინამდვილე თვალსაჩინოდ ადასტურებს ეროვნულ კულტურებზე სოციალიზმის კეთილისმყოფელ გავლენას. 1917 წლამდე საქართველოში პროფესიული მუსიკის განვითარების გზაზე გადადგმული იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯები. რევოლუციის შემდეგ კი ქართული პროფესიული მუსიკა გიგანტური ნაბიჯებით განვითარდა და საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა.

დღეს საქართველოში შექმნილია ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა შესრულება თავისუფლად შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერ მუსიკალურ ცენტრში. მაგალითების მოსაყვანად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ახლახან, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე უდიდესი წარმატებით დაიდგა ცნობილი კომპოზიტორის ო. თაქთაქიშვილის ახალი ოპერა „მთვარის მოტაცება“, რომლის პრემიერა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ახლობელი აღმოჩნდა მრავალეროვანი საბჭოთა აუდიტორიისათვის. მან ნამდვილი შემოქმედებითი მღელვარება და სიხარული მიანიჭა დიდი თეატრის მრავალრიცხოვან კოლექტივს — მომღერლებს, ორკესტრს, ბალეტისა და გუნდის მსახიობებს. ამ სპექტაკლში სახელოვანმა საბჭოთა მომღერლებმა შექმნეს დაუვიწყარი სახეები. დიდი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ღრმად ჩასწვდა და გაითვალისწინა ქართული ხალხური ქორეოგრაფია და მუსიკა, რომელიც უხვადაა ამ ოპერაში. აქედანაც თვალსაჩინოდ ჩანს, თუ როგორ უზიარებს ერთმანეთს საბჭოთა ხალხი თავის შემოქმედებით ტრადიციებსა და მხატვრულ სიმდიდრეს.

მოსკოვში ხშირად ვუსმენთ ხოლმე შესანიშნავ ქართველ შემსრულებლებს — ელისო ვირსალაძეს, ლიანა ისაკაძეს, მარინე მდივანს, სიმფონიურ ორკესტრს ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით და სხვებს, რომელთა სახელებით ამაყობს არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყანა.

ახლახან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უდიდესი წარმატებით გამოვიდა რუსთაველის თეატრი, რომელმაც მაყურებელს წარუდგინა ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ კომპოზიტორ გია ყანჩელის მუსიკით. ამ მშვენიერი სპექტაკლის ეროვნულმა უღერადობამ, ქართულმა სულმა და ტემპერამენტმა ბრეხტის პიესას შესძინა სრულიად ახალი სახე და ხასიათი, ორიგინალობა და სიახლე, ესეც იმის მაგალითია, თუ როგორ ამდიდრებენ ერთმანეთს ეროვნული შემოქმედებითი სკოლები, ეროვნული კულტურები.

როცა თანამედროვე ქართულ მუსიკას ვუსმენ, ვრწმუნდები, რომ იგი მიჰყვება ეროვნულობის გზას და თანამედროვე მუსიკის მონაპოვრებითაც სარგებლობს. ქართველი კომპოზიტორები თამამად იყენებენ უახლესი ტექნიკის მიღწევებს, რომელსაც ეროვნულ ტრადიციებთან ოსტატურად აკავშირებენ. ეს საინტერესო სინთეზი განაპირობებს ქართული პროფესიული მუსიკის განსაკუთრებულობას. იგი ეროვნულიცაა და თანამედროვეც.

ქართული მუსიკა გამოირჩევა სულიერი სილამაზით, კეთილშობილებით, იდეური უღერადობით. ეს ვლინდება არა მარტო პროგრამულ ნაწარმოებში, სადაც შინაარსი სიტყვიერად არის განმარტებული, ამას მოწმობს უპროგრამო მუსიკა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

აღვნიშნავ ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებას — ეს არის ხალხური მუზიცირების ეროვნული ფორმების განვითარება და ფოლკლორული ტრადიციების დაცვა. ამგვარი დუალიზმი სამაგალითო უნდა იყოს ეროვნული შემოქმედებითი სკოლებისათვის. იგი, ერთის მხრივ, განაპირობებს ფოლკლორული ტრადიციების პროპაგანდასა და პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ბიძგს აძლევს პროფესიული მუსიკის წინსვლასაც.

საერთაშორისო ტრიბუნაზე დღემდე არ დამცხრალა კამათი სხვადასხვა წარმოშობის — ევროპული და არაევროპული მუსიკალური კულტურების სინთეზის შესაძლებლობაზე. ზოგს ასეთი რამ წარმოუდგენლად მიაჩნია. ამ შეხედულების სიმცდარეს აბათილებს მე-20 საუკუნის უდიდესი კომპოზიტორების სტრავინსკისა და ბარტოკის შემოქმედება, ამასვე ამტკიცებს ქართული პროფესიული მუსიკა, რომელიც წარმოადგენს საპირისპირო სტილური სტრუქტურების ურთიერთშენაცვლების შესანიშნავ ნიმუშს.

ვისურვებდი, რომ ჩვენთანაც ასეთივე სიყვარულითა და მზრუნველობით ეკიდებოდნენ ხალხურ შემოქმედებას, როგორც საქართველოში. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ჩვენი ახალგაზრდობა აგრერიგად გატაცებულია გასართობი ხელოვნებით, ხალხური შემოქმედება არქაიკა კი არ არის, არამედ კლასიკაა, იგი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი კრიტერიუმებისაკენ მოგვიწოდებს. სწორედ ამას მოწმობს თანამედროვე ქართული საგუნდო მუსიკა, უპირველესად კი ი. კეჭეყმაძის შესანიშნავი ციკლი „ძველი თბილისის სიმღერები“, რომელიც გვაძლევს მუსიკალური კულტურის გათანამედროვების ბრწყინვალე მაგალითს, როცა ამ ნაწარმოებებს ვუსმენდი, უნებურად გავიფიქრე: თურმე რამდენ გამოუვლინებელ სიმდიდრესა და სიახლეს ფლობს ხალხური მუსიკა. იგი მართლაც რომ ამოუწურავია.

ქართული პროფესიული მუსიკის მიღწევები ადასტურებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. მოძმე ეროვნული მუსიკალური სკოლების რენესანსი სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია.

ვრცელდებოდა პროფესიული მუსიკალური აზროვნების შესანიშნავი ტრადიციები. მრავალი ნიჭიერი ქართველი მუსიკოსი დღესაც სწავლობს მოსკოვის კონსერვატორიაში. ბევრი მათგანი საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.

დღითიდღე ფართოვდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შემოქმედებითი კოლექტივების არე. ჩვენ ვთანამშრომლობთ ბუდაპეშტის, ვაიმარის, პრაღის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებთან, შემოქმედებითი შეხვედრების გზით ვეცნობით ერთმანეთის მუშაობასა და გამოცდილებას, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს პედაგოგიური მეთოდოლოგიისა და პრაქტიკისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია კოდაის მეთოდის დანერგვა სოლფეჯიოს სწავლების სფეროში.

ერთი სიტყვით, მუსიკალური განათლების დარგში მიღწეულია დიდი წარმატებები. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ყველა პირობა ნიჭიერი ახალგაზრდობის პროფესიული აღზრდისა და დაოსტატებისათვის.



კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი კუბელ მუსიკოსებთან.

**ალ. შავერზაშვილი** (ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორი, თბილისი): თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დიდი ოქტომბრის ტოლია. წელს მას 60 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მუსიკალური განათლების სფეროში. რევოლუციამდე საქართველოში იყო მხოლოდ ერთი მუსიკალური სასწავლებელი. ახლა კი ჩვენს რესპუბლიკაში გახსნილია 120-ზე მეტი მუსიკალური სკოლა, 17 მუსიკალური სასწავლებელი, კონსერვატორიაში მუშაობს 20 კათედრა, სწავლობს 100-მდე სტუდენტი, თავისი არსებობის მანძილზე თბილისის კონსერვატორიაში აღიზარდა მრავალი ნიჭიერი შემსრულებელი, კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე.

ქუთაისში დაარსებულია კონსერვატორიის ფილიალი, რომელსაც სხვა სასწავლებლებთან ერთად შეაქვს თავის წვლილი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში.

ნაყოფიერად მუშაობს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა, რომელშიც მრავალი სახელოვანი მუსიკოსი აღიზარდა.

დიდი ტრადიციები აქვს ქართველი და რუსი მუსიკოსების შემოქმედებით თანამშრომლობას. ჩვენი მუსიკოსების უფროსი თაობის წარმომადგენლები სწავლობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის კონსერვატორიებში. საქართველოში სწორედ ამ კერებიდან

**ს. გონჩიკსუმლა** (მონღოლეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი): მონღოლეთის მუსიკალური კულტურა ორ ათეულ წელს ითვლის. მას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. ამ მოკლე დროში მონღოლეთის მუსიკა სწრაფად განვითარდა. დაარსდა მუსიკალური განათლების კერები, დაიწყო ეროვნული ფოლკლორის შესწავლა, დაინერგა მუსიკალური ხელოვნების მრავალი დარგი. გვყავს ნიჭიერ შემსრულებელთა და კომპოზიტორთა დიდი რაზმი. აქტიურად მუშაობს ულან-ბატორის ფილარმონია და საოპერო თეატრი, სადაც წარმატებით იდგმება ევროპული და საბჭოთა ოპერები და ბალეტები. ამასთან ერთად ულან-ბატორის საოპერო სცენაზე იდგმება 9 ეროვნული ოპერა, 8 ეროვნული ბალეტი.

ულან-ბატორის სიმფონიური ორკესტრი წარმატებით ასრულებს ჰაიდნის, ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკისა და სხვათა ნაწარმოებებს. დღითიდღე ვითარდება მონღოლური სიმფონიური, კანტატა-ორატორიული, კამერული და საბავშვო მუსიკა.

დიდ მუშაობას ვეწევით მსმენელთა აღზრდის სფეროში.

ასეთი ძვრების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციალიზმის პირობებში, ჩვენი წინსვლა განაპირობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხარდაჭერამ. იმ დიდმა დახმარებამ, რომელსაც ვგრძნობთ საბჭოთა მუსიკოსების მხრიდან.

რ. ბ ი რ კ ო თ ა შ უ (რუმინეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი) სასიხარულოა, რომ ჩვენი სიმპოზიუმი მიმდინარეობს საქართველოში — უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაში, ერთ-ერთ წამყვან საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელშიც ასე მძლავრად ვითარდება პროფესიული მუსიკა, რომელსაც ჰყავს შესანიშნავი კომპოზიტორები, შემსრულებლები, მსმენელები.

ძალზე ნაყოფიერია ის შემოქმედებითი კავშირები, რომლებიც დამყარებულია რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი მუსიკალური კულტურის წარმომადგენლებთან. ეს განაპირობებს ჩვენი მუსიკის წინსვლასა და წარმატებებს.

დასაწყისიდანვე ქართული მუსიკისმცოდნეობა განვითარდა სამი მიმართულებით: ფოლკლორისტიკა, მუსიკის ისტორია და თეორია. ამათგან ყველაზე ადრე საფუძველი ჩაეყარა ფოლკლორისტიკას, რაც გამოჩენილი კომპოზიტორის, მკვლევარისა და მეცნიერის დიმიტრი არაყიშვილის დამსახურება გახლავთ. მან ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოაქვეყნა ქართული ხალხური მუსიკის კრებულები, მასვე ეკუთვნის პირველი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები.

მას შემდეგ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში ბევრი რამ გაკეთდა: გამოქვეყნდა ქართული ხალხური სიმღერების კრებულები, დაიბეჭდა ცალკეული გამოკვლევები, გამოიცა ფირფიტები, მაგრამ ამ სფეროში ბევრი რამაა გასაკეთებელი, ქართველ ფოლკლორისტებს ძალზე დიდი რთული და შრომატევადი სამუშაო ელით. საჭიროა მისი საფუძვლიანი ათვისება, შესწავლა,



კომპოზიტორი ბ. კვერნაძე და მუსიკისმცოდნე მ. ღრუსკინი.

ჩვენს ურთიერთობებს საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა რუმინელმა კომპოზიტორმა, დირიჟორმა და მოღვაწემ ჯორჯ ენესკუმ, რომელიც თანამედროვე საბჭოთა მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი, დაუცხრომელი პროპაგანდისტი იყო. იგი მთელი თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა ხალხთა დაახლოების პოლიტიკას, სწავლობდა და გვასწავლიდა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მან პირველმა შეასრულა რუმინეთში პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ღრმა ინტერესს არა მარტო რუსული, არამედ სხვა ხალხთა მუსიკალური კულტურებისადმი.

სიამოვნებით აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს დამყარებული ქართველ კომპოზიტორებთან, ქართველ შემსრულებლებთან, რომელთა კონცერტებს მუდამ ინტერესით ელის რუმინელი მსმენელი.

ბ. ტ ო რ ა ძ ე (თბილისი): ქართულ მუსიკისმცოდნეობას, ქართულ მუსიკალურ კრიტიკას გაცილებით უფრო გვიან, 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, ვიდრე ქართულ პროფესიულ მუსიკას, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე არსებობდა. ქართული მუსიკალური კრიტიკის განვითარება დაკავშირებულია უფროსი თაობის მუსიკისმცოდნეების სახელებთან.

პროპაგანდა, ყოველივე ეს ევალება ფოლკლორისტების ახალგაზრდა თაობას, რომლის წინაშე მრავალი ამოცანა დგას.

ქართულმა მუსიკისმცოდნეობამ თავიდანვე მიაპყრო ყურადღება ეროვნული მუსიკალური შემოქმედების პრობლემებს — ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიასა და თეორიას. ჩვენს მუსიკისმცოდნეებს გააჩნიათ გარკვეული წარმატებები, მათ მიერ შექმნილია მონოგრაფიები ქართული მუსიკის კლასიკოსებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ლ. დონაძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ზაქარია ფალიაშვილი“, რისთვისაც ავტორს მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია.

გამოქვეყნებულია ცალკეული მონოგრაფიები ქართული საბჭოთა მუსიკის გამოჩენილ ოსტატებზეც. აღსანიშნავია კრებული „ქართული მუსიკალური ლიტერატურა“, რომელშიც განხილულია ქართული მუსიკის მრავალი ჟანრი.

სულ ახლახან დამთავრდა ექვსტომეულის „სსრკ ხალხთა მუსიკის ისტორიის“ გამოცემა, რომელშიც ასახულია ეროვნული სკოლების შემოქმედება 50 წლის მანძილზე. ამ კრებულში ქართველ მუსიკისმცოდნეთა მიერ წარმოდგენილია ქართული პროფესიული მუსიკა.

ცხადია, რომ უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო, რადგან ქართული მუსიკისმცოდნეობა ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება ჩვენს

პროფესიულ მუსიკას, რომელიც ასე სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება. მით უფრო, რომ ქართველ მუსიკისმცოდნეთა ჯგუფი არც თუ ისე მრავალრიცხოვანია.

ჩვენი მუსიკისმცოდნეები მუშაობენ დასავლეთისა და განსაკუთრებით საბჭოთა მუსიკის სფეროშიც, რითაც თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკისმცოდნეების გ. ორჯონიკიძის და ა. წულუკიძის შრომები პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის შესახებ.

ქართველ მუსიკისმცოდნეებს შემოქმედებითი კონტაქტები აქვთ დამყარებული მოსკოვის, ლენინგრადის, აგრეთვე სხვა მოძმე რესპუბლიკების კოლეგებთან, დროდადრო მონაწილეობენ იმ საერთო კრებულებში, საბჭოთა მუსიკის პრობლემები რომ შუქდება. დიდ ყურადღებას იჩენენ ქართველი კომპოზიტორებისა და მუსიკისმცოდნეების მიმართ ცნობილი სპეციალისტები: ნესტიევი, დრუსკინი, მარტინოვი და სხვები.

ასეთივე მეგობრული კავშირი გვაქვს დამყარებული უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების მუსიკოსებთან. ჯერ კიდევ 20 წლის წინ ერთობლივი ძალებით გამოქვეყნდა კრებული: „ამიერკავკასიის მუსიკისმცოდნეობა და მუსიკალური კრიტიკა“. სულ ახლახან კი ახალი კრებული „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური კულტურა“.

შედარებით უფრო სუსტია ქართველი მუსიკისმცოდნეების კავშირი სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსებთან. თუმცა ამ მიმართულებითაც გაკეთდა ზოგი რამ, ასე მაგალითად, 1975 წელს რუსულ და გერმანულ ენებზე გამოიცა I ტომი კრებულისა „დემოკრატიული ქვეყნების სოციალისტური კულტურა“, რომლის შემდგენელი და რედაქტორია გივი ორჯონიკიძე. ეს ძალზე სასიამოვნო ფაქტია. მის მიერვე მზადდება ამ კრებულის მეორე ტომი.

სასურველია, რომ ეს კონტაქტები უფრო გააქტიურდეს. რადგანაც ქართველი მუსიკისმცოდნეები თითქმის არ მონაწილეობენ იმ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, სადაც შუქდება მუსიკალური ხელოვნების მრავალი აქტუალური პრობლემა, ჩვენ გვყავს ისეთი მუსიკისმცოდნეები, რომელთა წარდგენა თავისუფლად შეიძლება. სალაპარაკო და განსახილველი კი უფრო მეტია. ყოველივე ამაზე უნდა ზრუნავდეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, სწორედ მან უნდა შეუწყოს ხელი ქართული მუსიკისმცოდნეობის განვითარებას, ქართული მუსიკისმცოდნეების წინსვლას. ეს, უპირველესად, ეროვნული მუსიკის პროპაგანდას სჭირდება.

**ლ. ჟელეზნი** (ჩეხოსლოვაკიის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე): მოგახსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი მუსიკალური ტრადიციები აქვს. ჩეხოსლოვაკიაში პროფესიული მუსიკა XIV საუკუნიდან ვითარდება. განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს იგი ბაროკოს ეპოქაში, ჩეხეთის მუსიკოსებმა ნიადაგი შეუმზადეს ვენის კლასიკურ სკოლასაც, ჩვენმა მუსიკამ ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია რომანტიზმის ეპოქაშიც, რაზედაც მეტყველებს სმეტანასა და იანაჩეკის შემოქმედება.

მაგრამ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში, საგრძნობლად შენელდა ჩვენი მუსიკალური კულტურის განვითარება. შესუსტდა საოპერო თეატრებისა და სიმფონიური ორკესტრების მოღვაწეობა.

ჩვენს ეროვნულ კულტურას უდიდესი ზიანი მიაყენა ფაშიზმის ბატონობამ.

სოციალიზმის დამყარების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის შემოქმედებითი ინტელიგენცია მთლიანად გადავიდა პროლეტარიატის მხარეზე და შეუდგა აქტიურ მოღვაწეობას, ეროვნული კულტურის აღორძინებას, რამაც შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

დღეს ჩეხოსლოვაკიაში ნაყოფიერად მოღვაწეობს სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა დიდი რაზმი, გვყავს 17 სიმფონიური ორკესტრი. მრავალი საოპერო თეატრი, სხვადასხვა სახის ანსამბლები. ყოველივე ეს სოციალიზმის პირობებში განხორციელდა.

ჩეხოსლოვაკიის მუსიკოსებმა კარგად იციან, რომ თანამედროვეა მხოლოდ ის, რაც კომუნისტური იდეების ზემოქმედებით ვითარდება. უამისოდ არ იქნება პროგრესი, არ იქნება წინსვლა, არ შეიქმნება მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ჩეხოსლოვაკიაში კარგად იცნობენ ქართულ ხალხურსა და პროფესიულ მუსიკას, იცნობენ თქვენს კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს. დიდი წარმატებით დაიდგა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ორი ოპერა „მინდია“ და „სამი ნოველა“. ამ ნაწარმოებებმა მოხიბლეს, ააღელვეს მსმენელი. კარგად იცნობენ ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძის, გია ყანჩელის ნაწარმოებებს.

ვისურვებდი ამ კონტაქტების შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას, რაც ორმხრივ იქნება ნაყოფიერი.

**ო. თაქთაქიშვილი** (საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი): შევეხები იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც შემოქმედებითი კონტაქტების გაფართოებისა და განვითარების სფეროში უნდა განხორციელდეს.

მოგეხსენებათ, რომ ახლახან საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა კამერული ორკესტრი, რომელმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ამ კოლექტივს კამერულ გუნდთან ერთად, სურს თავისი მუშაობა წარმართოს თანამედროვე მუსიკის, კერძოდ, სოციალისტური ქვეყნების კომპოზიტორთა ნაწარმოებების პროპაგანდის ხაზით.

აქედან გამომდინარე ჩვენ მზადა ვართ შევასრულოთ თქვენი მუსიკა. ამ შესანიშნავ წამოწყებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა კოლექტივებიც — საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, სიმფონიური ორკესტრი, საგუნდო კაპელა, ცალკეული შემსრულებლებიც.

გარწმუნებთ, რომ ჩვენი მუსიკოსები წარმატებით გაართმევენ თავს ამ რთულსა და საპატიო საქმეს.

ახლახან თბილისში გავმართეთ თანამედროვე იტალიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც ჩვენმა შემსრულებლებმა ნშვენივრად შეასრულეს ურთულესი ნაწარმოებები. ამან დაგვარწმუნა, რომ ქართველ მუსიკოსებს სულაც არ უჭირთ თანამედროვე ტექნოლოგიის ათვისება.

აქედან გამომდინარე გთავაზობთ აქტიურ შემოქმედებით თანამშრომლობას, სადაც თქვენ მხოლოდ საკონცერტო პროგრამების დაზუსტება გევალებათ.

ცხადია, ყოველ ხალხს გააჩნია თავისი მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური ტრადიციები, თავისი გზა, თავისი ამოცანები. მაგრამ ჩვენ ბევრი საერთო პრობლემებიც გვაქვს, ვინაიდან ერთ იდეურ ატმოსფეროში ვცხოვრობთ. საჭიროა ამ პრობლემების გადაწყვეტა ერთობლივი ძალებით. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ერთმანეთის გამოცდილება.

ახლახან ვიყავი ჩეხოსლოვაკიაში, სადაც შევიტყვე, რომ „შრომითი რეზერვების“ სკოლებთან დაარსებულია სპეციალური კლასები, სადაც ბავშვებს უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლების აღდგენის ტექნიკას ასწავლიან. ამ გზით ჩეხოსლოვაკიაში რეგულარულად იზრდება პროფესიონალ რესტავრატორთა დიდი არმია.

ეს მისაბაძი ამბავი გახლავთ. ჩვენ უნდა დავნერგოთ ასეთი პრაქტიკა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება ხელოვნების ყოველი დარგიდან.

გულახდილად გეტყვით, რომ ბულგარეთის საბავშვო გუნდების ზეგავლენით ჩამოვაყალიბეთ რამდენიმე საბავშვო კოლექტივი, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს.

ერთი სიტყვით, გამოცდილების გაზიარებას, სხვათა მიღწევების გამოყენებას უდიდესი შედეგები მოაქვს ნებისმიერი ეროვნული კულტურისათვის. საჭიროა ცოდნა და ათვისება იმ უდიდესი სულიერი სიმდიდრეებისა, რომელიც დაგროვილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთობათა პრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტიკულ მხარეზე, უპირველესად, უნდა ზრუნავდეს სსრკ კომპოზიტორთა კავშირი, სსრკ კულტურის სამინისტრო, ვინაიდან სწორედ მათ ევალებათ ამ ღონისძიებათა ორგანიზაციული მხარეების მოგვარება.

მ. დრუსკინი (ლენინგრადი): მე სავსებით ვეთანხმები ო. თაქთაქიშვილს, მხარს ვუჭერ მის წინადადებებს. უფრო საქმიანი უნდა გახდეს სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსთა თანამშრომლობა. დისკუსიები, სიმპოზიუმები, კონფერენციები ამოწმებენ ჩვენს თეორიულ დონეს, გვიქმნიან აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებას. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა უფრო აქტიური ფორმების გამოძებნა მოძმე ხალხთა შემოქმედების შესწავლისა და პროპაგანდის მიზნით.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქმის კეთებაა საჭირო.

ვ. კრისტოვი (ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი): ძალზე მაოცებს ქართული პროფესიული მუსიკის წარმატებები. ეს მაგალითია იმისა, თუ რა დიდი ძვრები განიცადა მცირე ხალხების ეროვნულმა კულტურამ სოციალიზმის პირობებში.

ბულგარეთში 20-იან წლებამდე არ არსებობდა პროფესიული მუსიკალური კულტურა. გვყავს სულ რამდენიმე კომპოზიტორი, რომელთაც განათლება მიღებული ჰქონდათ რუსეთში ან ჩეხეთში.

ბურჟუაზიული ხელისუფლების პირობებში, ბულგარეთში მხოლოდ ერთი თეატრი იყო, სადაც რიგრიგობით იდგმებოდა დრამატული და საოპერო სპექტაკლები.

ახლა კი სრულიად სხვა სურათია შექმნილი. ბულგარეთში მუშაობს 10-ზე მეტი სიმფონიური ორკესტრი, გუნდები, კამერული ანსამბლები, გვაქვს მუდმივმოქმედი საოპერო თეატრი, რომელშიც შესანიშნავი მომღერლები მოღვაწეობენ. განსაკუთრებით ვამაყობთ ჩვენი მხატვრული თვითმოქმედებით, რომელშიც გაერთიანებულია ასი ათასზე მეტი მუსიკის მოყვარული.

ბულგარული მუსიკის ინტენსიური განვითარების პროცესი იწყება 30-იანი წლებიდან. იგი ეყრდნობა რუსული და საბჭოთა მუსიკალური კულტურის გამოცდილებას და სოციალისტურ ტრადიციებს მიჰყვება.

ჩვენს წინსვლას ხელი შეუწყო საქმიანმა კონტაქტებმა საბჭოთა კომპოზიტორებთან, შემსრულებლებთან, პედაგოგებთან. ამის წყალობით ბულგარელი მუსიკოსები კარგად გაეცნენ ქართულ პროფესიულ მუსიკასაც, რომელსაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს ჩვენს შორის.

ქართული მუსიკის საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ — თუ წინათ მუსიკალური გავლენების ტალღა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, ახლა უკვე ვითარება მკვეთრად შეცვლილია, ამ ტალღამ პირი იბრუნა კავკასიისაგან დასავლეთისაკენ. დიახ, დღეს იმდენად გაფართოვდა ქართული მუსიკის გავრცელების არე, რომ სრულიად თავისუფლად შეიძლება ასეთი განცხადებით გამოსვლა.

რა თქმა უნდა, ასე აყვავება მხოლოდ სოციალიზმის პირობებშია შესაძლებელი; დიახ, სწორედ ოქტომბერმა მისცა ბიძგი ეროვნული კულტურების წინსვლას, შემოქმედებითი ძალების აღმავლობას.



# აფხაზეთის პროფესიული მუსიკა

სვეტლანა ქეცბა

აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი სიხარულითა და მღელვარებით ეგებება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. ეს შესანიშნავი თარიღი გვავალდებულებს ღრმად, საფუძვლიანად და პირუთვნელად გავაანალიზოთ განვლილი გზა, საკუთარი ნამოღვაწარი. მრავალი კითხვა იბადება: რამდენად ასახავს ჩვენი ხელოვნება დიადსა და მრავალფეროვან სოციალისტურ სინამდვილეს, საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და სულისკვეთებას? რა წვლილი შეგვაქვს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული მაღალი იდეურ-ესთეტიკური ამოცანების განხორციელების საქმეში, ჰუმანისტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში? ჩვენი შემოქმედებით ვახდენთ თუ არა ზემოქმედებას სოციალისტური საზოგადოების წევრთა შეგნებისა და მრწამსის ფორმირებაზე?..

სწორედ ამ ცხოველმყოფელი კითხვების ფონზე შევეცდები განვიხილო აფხაზური პროფესიული მუსიკა, აღვნიშნო ის, რაც ამ სფეროში გაკეთდა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის დაარსებიდან დღემდე.

ამჟამად აფხაზეთის საკომპოზიტორო სკოლა იმყოფება ჩამოყალიბების პროცესში. ყოველდღიურად ვაწყდებით იმ დიდ სიძნელეებს, რომლებიც ახლავს შემოქმედებითი თვითდამკვიდრების, პროფესიონალიზმისა და ოსტატობის დაუფლების ამოცანებს. ჩვენი მიღწევების საერთო მასშტაბი არც თუ ისე დიდია, მაგრამ წარმატებები მაინც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი თვალსაჩინოდ მეტყველებენ წარსულში დაბეჩავებული აფხაზი ხალხის სულიერი ძალების აღმავლობაზე. ბევრის მთქმელია უკვე ის ფაქტი, რომ დღეს აფხაზეთის მუსიკოსები მხარდამხარ მიჰყვებიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მუშებსა და კოლმეურნეებს, მეცნიერების მუშაკებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რაც მომავალი გამარჯვების საწინდარად გვესახება. გვჯერა, რომ აფხაზეთის მუსიკოსებიც შეიტანენ თავიანთ წვლილს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში, კომუნისტური პარტიის დიადი ამოცანების განხორციელებაში, მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის კულტურულ საგანძურში. ამის შეგნება სიამაყის გრძნობით ავსებს ყოველი ჩვენგანის გულს, საფუძველს აძლევს ჩვენს ოპტიმიზმს.

რას მიაღწია აფხაზეთის პროფესიულმა მუსიკალურმა შემოქმედებამ?

აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის მუშაობამ უპირველესად ბიძგი მისცა ეროვნული საგუნდო და ვოკალურ-სიმფონიური მუსიკის განვითარებას. ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებაში წამყვანი გახდა ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრი, როგორიცაა კანტატა. მიდრეკილება საგუნდო მუსიკისადმი, კერძოდ კი საკანტატო ჟანრისადმი განპირობებულია მრავალი მიზეზით: უპირველესად შესანიშნავი აფხაზური ხალხური მუსიკით, რომელიც უმთავრესად ვოკალურია. კანტატის საფუძველზე ჩვენი კომპოზიტორები ეუფლებიან, როგორც მშობლიური ისე კლასიკური მუსიკის ტრადიციებს მაღალი მოქალაქეობრივი თემატიკის მასშტაბური გადაწყვეტის ამოცანებს. კანტატის მეოხებით ისინი ესწრაფვიან მსმენელთან აქტიური შემოქმედებითი კონტაქტის დამყარებასაც. საქმე ისაა, რომ ჩვენი მსმენელის სმენითი გამოცდილება საჭიროებს გაწრთვნასა და განვითარებას, რაც შესაძლებელია სიტყვის, ანუ იმ პოეტური ტექსტის დახმარებით, საფუძვლად რომ ედება კანტატებს. ამრიგად, კანტატის საშუალებით აფხაზეთის კომპოზიტორები ანხორციელებენ უაღრესად მნიშვნელოვან შემოქმედებით ამოცანებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი კანტატები: ა. ჩიჩბას „ლენინი“, „პოეტი და ხალხი“, „ჩვენი პარტია“, რ. გუმბას „პარტია“, „შენ — სამშობლო“, „აფსნი“, მ. ბერიკაშვილის „მაღალი მთები“. აქტიურად მუშაობს საგუნდო მუსიკის სფეროში ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტის სტუდენტი ტ. აჯაპუა.

ეს ნაწარმოებები გამოირჩევიან ჰუმანურობით, პოეტურობით, მუსიკალური მასალის ეროვნულობით, ფორმისა და შინაარსის შესატყვისობით. მკაფიოდ ჩანს ამ კომპოზიტორთა კავშირი როგორც ხალხური, ისე კლასიკური მუსიკის ტრადიციებთან. თვალსაჩინოა ამ ხელოვანთა მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია. დიდი ლენინი, მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ადამიანი — ასეთია ამ კომპოზიტორთა შემოქმედების სახეები.

ფართოდ აღინიშნა გამოჩენილი სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების ასი წლისთავი. ეს თარიღი შთაგონების წყაროდ იქცა ჩვენი კომპოზიტორებისათვის. დ. გულიას შემოქმედების საფუძველზე შეიქმნა მრავალი საწამომოები, რომელთა შორის აღსანიშნავია მ. ბერიკაშვილის „მაღალი მთები“, ა. ჩიჩბას „პოეტი და ხალხი“, „ჩვენი პარტია ყველაზე დიდია“, რ. გუმბას „პარტია“, ტ. აჯაპუას „ბედი ხალხისა“ და სხვა. ამრიგად, აფხაზური მუსიკა დაუკავშირდა მშობლიურ პოეზიას, რომელმაც გადაშალა სრულიად ახალი ჰორიზონტები მუსიკალური ხელოვნების წინაშე.

აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის პირველივე პლენუმმა, რომელიც 1972 წელს ჩატარდა, გამოავლინა მიღწევები ეროვნული კაპელური სტილის საგუნდო მუსიკის სფეროში. კომპოზიტორმა ა. ჩიჩბამ წარმატებით გადაამუშავა ხალხური სიმღერები, წარმოადგინა თავისი გუნდებიც. მოწონება დაიმსახურა მ. ბერიკაშვილის გუნდმა „შაძა-შაძა“, რ. გუმბას „აფხიარცამ“. ეს ნაწარმოებები იმთავითვე დამკვიდრდნენ აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის რეპერტუარში. პოპულარობა მოიპოვეს მოგვიანებით შექმნილმა საგუნდო ნაწარმოებებმაც: ა. ჩიჩბას „უარადაშ“, კ. [illegible] „ნანიკერამ“, ტ. აჯაპუას „აფხაზეთო, შენ გიმღერი“ და სხვა.

რა თქმა უნდა, აფხაზეთის კომპოზიტორები არ უნდა დაკმაყოფილდნენ საგუნდო და ვოკალურ-სიმფონიური [illegible] დარგში მიღწეული წარმატებებით. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მათ უნდა გაამახვილონ ყურადღება საგუნდო ტექნიკის განვითარებაზე, სამომღერლო ხმის თავისებურებათა შესწავლაზე.

ახლო წარსულში, როცა აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის საფუძველზე შექმნილ სიმფონიურ ნაწარმოებებზე ვლაპარაკობდით, ვიშველიებდით მაგალითებს რუსული და ქართული მუსიკიდან. მაგრამ უკვე აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის პირველივე პლენუმზე ჩვენმა კომპოზიტორებმა ამ სფეროშიაც გააკეთეს ფრიად სერიოზული განაცხადი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც საიმედო პერსპექტივებს სახავდა ეროვნული სიმფონიური მუსიკის წინაშე. მართლაც, თანდათან მუსიკალური ხელოვნების ეს უმთავრესი და ურთულესი ჟანრი მოექცა ჩვენი კომპოზიტორების ყურადღების ცენტრში და საფუძვლიანი შესწავლის საგნად გადაიქცა. აფხაზეთის სიმფონიური მუსიკა დაადგა ჩამოყალიბებისა და განვითარების იმ ნაცად გზას, რომელიც წარმატებით განვლეს მოძმე ხალხების მუსიკალურმა სკოლებმა. მათი გამოცდილება ჩვენთვის ყოველმხრივ სამაგალითოა და მისაბაძი. აფხაზური სიმფონიური მუსიკაც ვითარდება მარტივიდან რთული ფორმებისაკენ. დღეს უკვე მკაფიოდ გამოიხატა აფხაზური სიმფონიური მუსიკის ტიპოლოგიური ტენდენცია — ჟანრულ-ყოფითი და სურათოვან-აღწერითი სიმფონიზმიდან ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური სიმფონიზმისაკენ, თვალსაჩინოა თანამედროვეობის ასახვის ცდებიც.

ახლახან შესრულებულ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია ა. ჩიჩბას სიმფონიური პოემა ,,აბრსკილი", მ. ბერიკაშვილის სიმფონია-პოემა ,,სიმღერა კლდეზე" რომელიც ავტორმა სკკპ XXV ყრილობას მიუძღვნა, ლ. ჩეპელიანსკის უვერტიურები ,,დიმიტრი გულია" და ,,საზეიმო" შექმნილი დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავად, რ. გუმბას სიმფონიური სურათი ,,აფხაზური ქორწილი". ეს ნაწარმოებები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თემატიკით, სტილისტიკით, გამომსახველობითი ხერხებით. ამავე დროს მათ შორის ბევრი რამაა საერთოც, რაც რეალისტური აზროვნების პრინციპებით აისახება. დასანანია, რომ თანამედროვეობის თემამ, თანამედროვეთა სახეებმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს დამაჯერებელი გადაწყვეტა. აფხაზური სიმფონიური მუსიკის გმირებს მსმენელთათვის ყოველთვის არ მოაქვთ კმაყოფილება და სიხარული. ჩვენ ვცხოვრობთ უაღრესად ღრმა და მრავალფეროვან გარემოში. კომპოზიტორი მოწოდებულია გამოავლინოს და მხატვრულად წარმოსახოს ჩვენი ცხოვრების ყოველი მხარე, მისი თითოეული წახნაგი, ღრმად ჩასწვდეს მოვლენათა არსს. მან უნდა შეისწავლოს თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყარო, მისი არსების ყოველი კუთხე-კუნჭული, იგი უნდა იცნობდეს თანამედროვეთა ფსიქოლოგიას, ზნეობრივ თვისებებს, ინტერესებს, ლტოლვებს, მისწრაფებებს, უამისოდ ვერ შეიქმნება ჭეშმარიტი ნაწარმოებები, ვერ დამყარდება კავშირი მსმენელთან, ხალხთან.

აფხაზეთის კომპოზიტორებმა გულდასმით უნდა იმუშაონ ეროვნულობისა და ხალხურობის პრობლემებზედაც. ისინი მიმართავენ ხალხური მასალის ციტირების მეთოდს, მაგრამ ხალხური წყაროები უნდა გამოიყენებოდეს არა მარტო საწყის თემატურ მასალად. ამასთან ერთად საჭიროა ფოლკლორული ელემენტების განვითარება, მათი ჩართვა ურთიერთსაპირისპირო საწყისთა შენაცვლების პროცესში. საგულისხმო აზრი გამოთქვა სსრკ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ხრენიკოვმა: ,,მარტო ხალხური შემოქმედების არანჟირების ცოდნა როდია საკმარისი. ამასთან უნდა დამყარდეს შეურყეველი, ორგანული, კანონზომიერი კავშირი".

აფხაზეთის კომპოზიტორთა წინაშე ასევე დგას პროფესიული დაოსტატებისა და საკუთარი შემოქმედებითი ხელწერის გამომუშავების საკითხიც. ამბობენ, რომ ხელოვნებას ემუქრება ორი საფრთხე: ოსტატი, რომელიც ვერ იქცა მხატვრად და მხატვარი, რომელიც ვერ დაოსტატდა. დღეს დღის წესრიგში დგას სწორედ დაოსტატების ამოცანა. ეს განსაკუთრებით ეხება დიდი ფორმის ნაწარმოებებს, სადაც მუსიკალური დრამატურგიის, მკვეთრი იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება და განვითარება დიდ ცოდნასა და განათლებას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა, წარსულისა და თანამედროვეობის უდიდეს ხელოვანთა გამოცდილების აქტიური შემეცნება, რაც წინსვლისა და დაოსტატების საწინდარია. ცხადია, ეს დიდი ტრადიციები მოითხოვენ შემოქმედებით გადააზრებას, ეროვნულ მუსიკალურ ნიადაგზე დამყნობას. ერთი სიტყვით, ჩვენს კომპოზიტორებს სიმფონიზმის სფეროში მართებთ მასშტაბური, ჭეშმარიტად ეროვნული, ფილოსოფიურად ღრმად გააზრებული და განზოგადებული, ცხოველი ნაწარმოებების შექმნა.

სიმღერა ფართო მასების საყვარელი ჟანრია. იგი ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას, მხარში უდგას ხალხს, მისი მესაიდუმლეა. აფხაზეთის კომპოზიტორები ნაყოფიერად მუშაობენ ამ ჟანრში და საბჭოთა სასიმღერო შემოქმედების ტრადიციებს მიჰყვებიან. პოპულარობა მოიპოვეს რ. გუმბას, მ. ბერიკაშვილის, კ. ჩენგელიას სიმღერებმა, რომლებიც სათავეს იღებენ მშობლიური ხალხური შემოქმედების წიაღში. ეს სიმღერები გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების გულისთქმას. მაგრამ ჩვენ ხშირად ვხვდებით ისეთ სიმღერებსაც, რომლებიც უკმარისობის გრძნობას იწვევენ. ცხადია, ყოველდღიურად არ კეთდება აღმოჩენები, მაგრამ ყოველი კომპოზიტორი უნდა ესწრაფვოდეს მაღალ მხატვრულ ხარისხს, მაღალ იდეურ ჟღერადობას.

აქვე მინდა აღვნიშნო არასერიოზული დამოკიდებულება სიმღერათა ტექსტების მიმართ. ჩვენი კომპოზიტორები ხშირად მიმართავენ სუსტ, უშინაარსო ლექსებს, რასაც ემატება ბანალური მელოდია; უხარისხო პროდუქციას უნდა ვებრძოდეთ უპირველესად ჩვენ — მუსიკოსები. უნდა გვახსოვდეს, რომ სიმღერის შექმნა ისევე მოითხოვს ოსტატობას, როგორც მუსიკალური ხელოვნების სხვა ჟანრები.

უკანასკნელ ხანებში შექმნილ სიმღერებს შორის უპირველესად აღსანიშნავია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები: ლ. ჩეპელიანსკის ,,ერთგულება" და ,,შვილს", რ. გუმბას ,,ბალადა დაღუპულ მეგობარზე", ა. ჩიჩბას ,,სიმღერა სამამულო ომის გმირებზე", ,,დროშა რაიხსტაგზე", კ. ჩენგელიას ,,გამარჯვების სიხარული", ,,ჩვენი არმია", მ. ბერიკაშვილის ,,ბალადა დედაზე", ქალთა საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადს მიეძღვნა კ. ჩენგელიას ,,დედის წერილი'', რ. გუმბას ,,ორი ქალიშვილის საიდუმლოება'', ,,დედის გოდება ობელისკთან''.

მისასალმებელია, რომ ჩვენი კომპოზიტორები აქტიურად თანამშრომლობენ თვითმოქმედ შემოქმედებით კოლექტივებთან, რომელთა უმრავლესობა შექმნილია აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით. სპეციალურად ამ კოლექტივებისათვის დაიწერა მრავალი სიმღერა, რომელთა შორის გამოირჩევა კ. ჩენგელიას ,,ერცახუ'', ,,საოქტომბრო'', ,,სიმღერა აფხაზეთზე'', ,,ლირიკული'' და სხვა. ამით აფხაზეთის კომპოზიტორები ხელს უწყობენ თვითმოქმედების განვითარებას, ეროვნული კულტურის შემდგომ წინსვლას.

ნაკლებად მუშაობენ ჩვენი კომპოზიტორები საესტრადო მუსიკის სფეროში. არადა, საესტრადო სიმღერა ახალგაზრდობის საყვარელი ჟანრია. ჩვენი ამოცანაა — უზრუნველვყოთ ახალგაზრდობა მაღალმხატვრული ნაწარმოებებით. კომპოზიტორებმა ბრძოლა უნდა გამოუცხადონ იმ უხამს, უიდეო საესტრადო სიმღერებს, ყოველდღიურად რომ ვაწყდებით საკონცერტო ესტრადაზე, გასართობ მოედნებზე და ა. შ.

უაღრესად საყურადღებო სფეროა მუსიკა ახალი საბჭოთა წეს-ჩვეულებებისა და მასობრივი დღესასწაულებისათვის. ჩვენს კომპოზიტორებს ამ დარგშიც მართებთ მეტი მუშაობა. უნდა შეიქმნას მაღალმხატვრული სიმღერები იმ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენების აღსანიშნავად, განსაკუთრებულ როლს რომ თამაშობენ ყოველი საბჭოთა ადამიანის პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აფხაზეთის კომპოზიტორთა სიმღერები უნდა ამშვენებდნენ ჩვენი ხალხის ყოფას, შრომასა თუ დასვენებას. სიმღერა უნდა ასახავდეს ყოველ აქტუალურ მოვლენას, რაც თავისთავად გააფართოებს სასიმღერო ჟანრის თემატიკას, მის იდეურ-ემოციურ დიაპაზონს. ამ მხრივ, გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენი კომპოზიტორები ჯერ კიდევ ვალში არიან აფხაზეთის ახალგაზრდობისა და მშრომელთა წინაშე. ვგულისხმობ არა მარტო სიმღერების თემებსა და სიუჟეტებს, არამედ ეთიკურსა და ესთეტიკურ მხარეებსაც. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალურსა და პატრიოტულ თემატიკას, ლირიკული და გმირული საწყისების განვითარებას. ამ მიზნით აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირს განზრახული აქვს სპეციალური კონკურსის ჩატარება საუკეთესო პატრიოტული და მოქალაქეობრივი ჟღერადობის სიმღერებზე, რაც ბიძგს მისცემს, გააააქტიურებს ჩვენი კომპოზიტორების მუშაობას ამ სფეროში.

უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ჩვენთან ყველა ჟანრი არ ვითარდება ერთნაირი ინტენსიურობით. ზოგიერთ ჟანრს კი ჩვენი კომპოზიტორები საერთოდ არ შეხებიან. მხედველობაში მაქვს კამერული მუსიკა, რომლის მიმართაც ინტერესი რატომღაც შენელებულია. არადა, კამერული მუსიკა წარმოადგენს შესანიშნავ შემოქმედებით ლაბორატორიას, სადაც იწვრთნება კომპოზიტორთა შემოქმედებითი ხელწერა, სტილი, ყალიბდება სხარტი და ლაკონიური აზროვნების მანერა. სადღეისოდ კამერული მუსიკის სფეროში შექმნილია შემდეგი ნაწარმოებები: ლ. ჩეპელიანსკის საფორტეპიანო სონატა, მისივე ლეგენდა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, მ. ბერიკაშვილის რომანსი ,,ნუ გაფრინდები'', რ. გუმბას ვოკალური ნაწარმოებები — ,,ძეგლთან'', ,,პოეტის ფიქრი'', ტ. აჯაპუას ორი სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის, პიესები კამერული ორკესტრისათვის. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეტისმეტად ცოტაა. აფხაზურ მუსიკაში არ მოიძებნება ნაწარმოებები სიმებიანი და სასულე ანსამბლისათვის. ჯერ კიდევ სუსტადაა წარმოდგენილი მუსიკა ცალკეული სასულე საკრავისათვის (გამონაკლისს წარმოადგენს ა. ესებუას პედაგოგიური დანიშნულების პიესები), ნაკლებობას განვიცდით საბავშვო მუსიკის ხაზითაც. ყოველივე ამას შეიძლება მოეძებნოს გამართლება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში კამერული მუსიკის ჩამორჩენა გამოწვეულია შემოქმედებითი ინერტულობით. არადა, აუცილებელია ინსტრუმენტული ტრიოების, კვარტეტებისა და სხვა სახის ანსამბლების შექმნა,ურომლებოდაც ვერ განვითარდებიან კამერული მუზიცირების ეროვნული ტრადიციები. ასევე უნდა შეიქმნას რეპერტუარი სასულე ორკესტრებისათვის, ვინაიდან ამ ჟანრის მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროს. ასევე უნდა იქმნებოდეს რეპერტუარი ეროვნული საკრავებისა და ეროვნული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის.

აფხაზი კომპოზიტორები ხშირად წერენ მუსიკას დრამატული თეატრის სპექტაკლებისათვის. სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან აქტიურად თანამშრომლობენ კომპოზიტორები მ. ბერიკაშვილი, ლ. ჩეპელიანსკი, რ. გუმბა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. გუმბას მუსიკა ლვოვის დრამატული თეატრის სპექტაკლისათვის ,,შემოდგომაზე, როცა აყვავდება ვაშლის ხე'', რომელიც დაიდგა უკრაინელი დრამატურგის ი. ვერეშჩაკის პიესის საფუძველზე. ეს სპექტაკლი ხალხთა მეგობრობის თემას მიეძღვნა. ვფიქრობთ, რომ ეს შემოქმედებითი კონტაქტი შემდეგშიც განვითარდება, რაც ხელს შეუწყობს მოძმე ხალხთა კულტურების დაახლოებას.

აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირმა თავისი პირველი პლენუმიდან დღემდე მრავალი საყურადღებო ღონისძიება ჩაატარა. საგულისხმო მოვლენად გადაიქცა აფხაზური ხალხური მუსიკის კონცერტი, რომელმაც გამოიწვია სერიოზული სჯა-ბაასი ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების თაობაზე. 1976 წელს ჩატარდა მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტების საკავშირო სემინარი, რომელზედაც წარმოვადგინეთ აფხაზური შემოქმედება. სემინარმა დასახა გზები აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის მეცნიერული შესწავლისა და პროპაგანდისათვის.

1975-76 წლებში აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის მთელი მუშაობა სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად იყო მიმართული. ჩატარდა მრავალი კონცერტი აფხაზეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთათვის. სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად მოეწყო შემოქმედებითი შეხვედრები მოძმე სომხეთის კომპოზიტორებთან, გავმართეთ კონცერტები ერთობლივი ძალებით. საინტერესოდ ჩატარდა საღამო „მოძმე საბჭოთა ხალხების მუსიკა“ აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრისა და საგუნდო კაპელის მონაწილეობით.

1975 წელს ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღეებში პროფესიული მუსიკა პირველად წარსდგა ფართო მუსიკალური აუდიტორიის წინაშე.

1976 და 1977 წლებში აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით გაიმართა საესტრადო მუსიკის ორი კონცერტი, რომლებმაც გამოავლინეს ამ ჟანრში აფხაზეთის კომპოზიტორთა მიღწევები და ამავე დროს ნაკლოვანებებიც, ჩატარდა საიუბილეო კონცერტები ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლების — ზ. ფალიაშვილისა (1971) და დ. არაყიშვილის (1973) დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, ასევე აღინიშნა ა. მაჭავარიანის 60 წლისთავი (1973), დ. კაბალევსკის 70 წლისთავი (1975), სპეციალური კონცერტი მიეძღვნა დიდი კომპოზიტორის დ.შოსტაკოვიჩის ხსოვნას (1976).

საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების განმტკიცების მიზნით აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირმა 1972-73 წლებში გამართა თემატური კონცერტები, რომლებზედაც აჟღერდა მოძმე აზერბაიჯანის, უზბეკეთის, თურქმენეთისა და უკრაინის კომპოზიტორთა მუსიკა. ამავე პერიოდში გაიმართა კონცერტები, რომლებზედაც შესრულდა უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

უაღრესად ფართო რეზონანსი ჰპოვა საბჭოთა მუსიკის კვირეულმა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. ასზე მეტი კონცერტი გაიმართა ბავშვთა მუსიკის საკავშირო კვირეულის დღეებში. მოზარდებს შეხვდნენ აფხაზეთის კომპოზიტორები — კ. ჩენგელია და ლ. ჩეპელიანსკი, მუსიკისმცოდნეები მ. ხაშბა და ამ სტრიქონების ავტორი. მაგრამ ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის სფეროში კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. უნდა დაარსდეს სპეციალური მუსიკალური სკოლა-ინტერნატი, რომელიც თავს მოუყრის ნიჭიერ მოზარდებს აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან. აღმზრდელობით მუშაობაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს აფხაზეთის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ, სოფლად სწორედ მან უნდა დააარსოს მუსიკალური სკოლები.

საინტერესოდ წარიმართა თათბირი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში რადიომაუწყებლობის კომიტეტის მუშაობის შესახებ. ჩვენ — აფხაზეთის კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები — რადიომაუწყებლობის მუშაკებთან ერთად ვაგებთ პასუხს ეთერში აჟღერებული მუსიკის ხარისხზე. ბევრი რამ მნიშვნელოვანი გაკეთდა მსმენელთა ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით. მაგრამ რადიომაუწყებლობის მუშაკებმა უფრო მეტი უნდა იზრუნონ ეროვნული პროფესიული მუსიკის პროპაგანდაზე, უფრო მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი უნდა დაამყარონ აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირთან.

აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის მუშაობას წარმატებებთან ერთად ნაკლოვანებებიც ახასიათებს. ჩვენ ყოველთვის ზუსტად როდი ვასრულებთ დასახულ ღონისძიებებსა და დადგენილებებს. ასე მაგალითად, ჯერაც არ განხორციელებულა დადგენილება სპეციალური კრებულების „აფხაზეთის საესტრადო მუსიკა“ და „აფხაზეთის ხალხური სიმღერა“ გამოცემის შესახებ, რაც მიუტევებელია.

უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის მუსიკისმცოდნეები ნაყოფიერად მუშაობენ სალექტორო და კვლევითი ხაზით. მეტისმეტ პასიურობას იჩენს მუსიკალური კრიტიკა. არადა, კრიტიკულ-პუბლიცისტური მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია ეროვნული მუსიკალური კულტურის ზრდა და განვითარება. მუსიკისმცოდნეებმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ მშობლიური ხალხური და პროფესიული მუსიკის შესწავლისა და პროპაგანდის სფეროში.

აფხაზეთის მუსიკალური კულტურისადმი მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენს აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა. მხარდაჭერას ვგრძნობთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირის მხრიდან. დიდ დახმარებას გვიწევს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, სადაც იზრდებიან აფხაზეთის კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნეები, შემსრულებლები.

ასეთია აფხაზეთის მუსიკალური კულტურის ზოგადი სურათი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მუსიკოსები ღირსეულად ხვდებიან საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს. ამას მოწმობს აფხაზური პროფესიული მუსიკა, რომელიც სულ უფრო მკაფიოდ ავლენს საკუთარ შემოქმედებით უნარსა და ძალებს, დაჟინებით მიიკვლევს გზას მაღალი ხელოვნებისაკენ.

# ლეონიდ ანდრეევი და კოტე მარჯანიშვილი

ლამარა სარიბეკოვა

ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს— ლეონიდ ანდრეევსა და კოტე მარჯანიშვილს მრავალი წლის მჭიდრო მეგობრობა და შემოქმედებით მისწრაფებათა ნათესაობა აკავშირებდათ. შეუძლებელია მკითხველი არ ააღელვოს კოტე მარჯანიშვილის გულწრფელმა, მართალმა და საოცარმა ჩანაწერებმა,[1] ლეონიდ ანდრეევთან დაკავშირებული მისი ბიოგრაფიის ფაქტებსა და ეპიზოდებს რომ აღადგენენ.

ამ ორი შემოქმედის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის ესა თუ ის მონაკვეთი მათი სულიერი სამყაროს ახალ-ახალ შტრიხებს ხსნის. მათ ხომ თეატრალური ხელოვნების სიყვარულისა და ერთგულების მაღალი გრძნობა ამოძრავებდათ.

ისინი პირველად 1904 წელს შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ კოტე მარჯანიშვილი რიგის ნეზლობინის რუსულ თეატრში რეჟისორად მიიწვიეს. მაისში მარჯანიშვილი თავისი ოჯახით სტარაია რუსაში ჩავიდა, სადაც ნეზლობინს დასი ჰყავდა ჩაყვანილი დასასვენებლად. სტარაია რუსაში მაშინ მაქსიმ გორკი ცხოვრობდა. იგი ახლოს იყო ნეზლობინთან და აქტიურად მონაწილეობდა მისი თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. გორკი ხშირად ნეზლობინისა და მარჯანიშვილის თათბირებსაც ესწრებოდა ხოლმე. მარჯანიშვილი იხსენებს, რომ სტარაია რუსაში მაქსიმ გორკისთან, როგორც ხატში, ისე მიდიოდნენ მწერლები, უკითხავდნენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს და მომავალი ქმნილების ჩანაფიქრს უზიარებდნენ. აი, აქ გაიცნეს ერთმანეთი ანდრეევმა და მარჯანიშვილმა, შემდეგ კი მათ შორის დიდი, გულითადი და ხანგრძლივი მეგობრობა დამყარდა.

ახლოვდებოდა 1905 წელი, მზადდებოდა რევოლუცია. თეატრი არ ჩამორჩა ცხოვრებას და აქტიურად დადგა რევოლუციის მხარეზე. მსახიობები რეპეტიციებიდან პირდაპირ მიტინგებზე მიდიოდნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამდნენ. ტრაგიკულ 9 იანვარს მასობრივი დაპატიმრებები მოჰყვა. დააპატიმრეს ლეონიდ ანდრეევიც. გორკის დავალებით მარჯანიშვილი მსხვილ მეფაბრიკესთან, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცნობილ მეცენატთან სავა მოროზოვთან მივიდა თხოვნით ხუთი ათასი მანეთი შეეტანა ანდრეევის გამოსასყიდლად. მეცენატმა თხოვნა შეასრულა, რის შემდეგაც ანდრეევი გაანთავისუფლეს.

მარჯანიშვილმა პირველივე წლებში დიდი მეგობრობა გაუწია ანდრეევს. ჯერ ერთი, დადგა პირველად მისი პიესა „ცხოვრება კაცისა", რომელმაც ლიტერატურული და თეატრალური საზოგადოების ყურადღება მიიზიდა მხატვრული ძიებების სიახლით და ცხარე დისკუსიის საგნად იქცა.

---

1 „კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი" სტატიები, მოგონებანი, მოხსენებანი. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა", თბილისი 1958.

თავის მხრივ, მარჯანიშვილისავე აღიარებით, ანდრეევის პიესამ სიახლით დრამატურგიული პოეტიკის დარგში „გადამწყვეტი როლი" შეასრულა რეჟისორის შემოქმედებაში.

შემდეგში, როდესაც განმარტავდა „ადამიანის ცხოვრების" წარმატებას და თავის ინტერესს მის მიმართ, მარჯანიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ პიესა აშკარად გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებით ორგანულად ეხმიანებოდა „ახალი დრამატურგიის" შემოქმედებითი ძიების პროცესს, რამაც თავის მხრივ ფართო განვითარება ჰპოვა XX საუკუნის ლიტერატურასა და თეატრალურ ხელოვნებაში.

ამ პერიოდის თეატრალურ შემოქმედებაში მისტიკა ბატონობდა, ინერგებოდა სულის შეუცნობელ ინტელექტუალურ განცდებში ჩაწვდომის ხერხები, ვინაიდან რევოლუციის შემდგომმა დაბნეულობამ და სულიერმა დაცემულობამ საზოგადოებრივი ცხოვრება მიიყვანა თვითჩაღრმავებამდე, მისტიკამდე, იქამდე, თითქოს უაზრობაა ნებისყოფა, რაიმე იდეალისკენ მისწრაფება და ადამიანი ფატალურად ემორჩილება მხოლოდ გარდუვალ ბედისწერას. მწერლები და მხატვრები გაურბოდნენ რეალური სახეებით მსჯელობას, ცდილობდნენ ყველაფერზე გადაკვრით და სიმბოლოებით ელაპარაკათ, რათა, მარჯანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველას თავად ამოეცნო მათში პირადი გრძნობები".

მეტაფიზიკური, განყენებული შინაარსის გადმოცემის მიზნით პირობით-განმაზოგადოებელი პოეტური ენის ძიებისკენ მისწრაფებამ განსაზღვრა აგრეთვე მხატის ხაზიც. აქ ჩეხოვის დრამატურგია შეცვალა ჰამსუნისა და მეტერლინკის დრამებმა, აგრეთვე მეიერჰოლდის ძიებანიც კომისარჟევსკაიას თეატრში. ახალი განწყობილების ტალღამ დროებით მარჯანიშვილიც ჩაითრია. იგი წერდა: „მკვეთრი ყოფითი საღებავების ნაცვლად, შევიყვარე ნახევარტონები, ბინდ-ბუნდი. მონოლოგების ნაცვლად — პაუზები, განწყობილებანი". მაგრამ მარჯანიშვილმა თავის თავში ვერ იპოვა ის რწმენა, რაც მას მისტიკამდე მიიყვანდა: „თითქოს ვაღიარებდი კიდეც რაღაც უმაღლეს ნებას, მაგრამ ამავე დროს არც მჯეროდა მისი, უარვყოფდი... როგორ მოვქცეულიყავი ასეთ პირობებში?"

ამ დროს გამოჩნდა პიესა „ადამიანის ცხოვრება", რომელშიც მარჯანიშვილმა შორსმჭვრეტელურად ამოიკითხა ბედისწერის რწმენაც და, ამავე დროს, მისი დაცინვა და გამოწვევაც.

ამრიგად, ანდრეევს „დრამის რეფორმის" განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ესაჭიროებოდა რეჟისორი, რომელიც შეძლებდა მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას, მარჯანიშვილი კი ეძებდა პიესას, მის განწყობილებას რომ მიესადაგებოდა. ასე გადაწყდა „ადამიანის ცხოვრების" პირველი დადგმის ბედი. ანდრეევმა პიესა გაუგზავნა მარჯანიშვილს ხარკოვში, სადაც იგი 1906-07 წლების სეზონში ანტრეპრენიორ ლიტვარიოვის მიწვევით მუშაობდა.

მარჯანიშვილმა ლიტვარიოვთან ერთად შეადგინა დასი და შეუდგა დრამის დადგმას[2].

იმ სეზონში ყველაზე დიდი წარმატება ამ პიესას ხვდა. ხარკოვის შემდეგ დაიდგა კიევში დუვან-ტორცოვის თეატრში, საზოგადოებას იგი მოეწონა და მთელი სეზონი ანშლაგით მიდიოდა. წარმატებით გახალისებულმა მარჯანიშვილმა და დუვან-ტორცოვმა გადაწყვიტეს პიესა პარალელურად ოდესაშიც ეჩვენებინათ.

1909 წლის შემოდგომაზე ნეზლობინი მოსკოვში დიდი დრამატული თეატრის გახსნას აპირებდა. კვლავ მოიწვია მარჯანიშვილი, რომელსაც ფაქტიურად დააწვა ახალი თეატრის შექმნის მთელი სიმძიმე. რეპერტუარში ძირითადად თანამედროვე მწერლების პიესები უნდა შესულიყო. მარჯანიშვილმა მიმართა ანდრეევს და სთხოვა დაეწერა პიესა ახალი თეატრისათვის. ჩქარა მარჯანიშვილი პეტერბურგში ჩავიდა და ცნობილ მწერალ ე. ჩირიკოვთან ერთად, რომელიც ანდრეევთან მეგობრობდა, ფინეთში გაემგზავრა ჩორნაია რეჩკაზე, სადაც მაშინ ცხოვრობდა ანდრეევი.

ფინეთის მიწაზე, ანდრეევის აგარაკზე გატარებული დღე აღსავსე იყო შთაბეჭდილებებით. მარჯანიშვილის მეხსიერების წყალობით მის დღიურებში აღბეჭდილია ეს ნათელი და საინტერესო შეხვედრა ანდრეევთან, მათში წარმოდგენილია მწერლის ცოცხალი სახე მთელი მისი მრავალმხრიობით და მკვეთრი ინდივიდუალობით. ეს სახე შეიძლება დავაყენოთ ლეონიდ ანდრეევის საუკეთესო ლიტერატურული პორტრეტების გვერდით, რომლებიც კი შეუქმნიათ მის მეგობრებს: გორკის, ჩუკოვსკის, ტელეშოვს და სხვებს.

„ჩემზე ყოველთვის მომხიბვლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ლეონიდ ანდრეევი, მუდამ ნერვიულად ჩაფიქრებული, ნიადაგ დაკავებული რომელიმე ახალი მოთხრობის ან პიესის თემით", — იხსენებს მარჯანიშვილი, როდესაც აღადგენს გონებაში ყველაზე ადრეულ შეხვედრას ანდრეევთან ჯერ კიდევ 1906 წელს, კამენოოსტროვსკიზე, სადაც ანდრეევთან საქმეზე მივიდა. მაშინ ანდრეევი მუშაობდა თავის „შვიდი ჩამოხრჩობილის ამბავზე". მუშაობდა დღე და ღამე, ჩაკეტილი, არავის არ ღებულობდა. მარჯანიშვილის ხმა რომ გაიგონა, თავისი ოთახის ზღურბლზე გამოვიდა. თმები აბურძგნული ჰქონდა, თვალები ანთებული, მაგრამ მხიარული და აღგზნებული იყო. მეგობრულად მიესალმა სტუმარს და ოთახში შეუძღვა. ჩქარა ჩამოვიდა პიატნიცკი — „ზნანიეს" კრებულების გამომცემელი, რომლისთვისაც ანდრეევს წინადღეს ტელეგრაფით შეეტყობინებინა მოთხრობის დამთავრება, და მწერალმა დაიწყო თავისი ახალი მოთხრობის კითხვა. მარჯანიშვილი იგონებს: „არც ერთი ჩვენგანი არ განძრეულა ადგილიდან, სანამ ანდრეევმა არ დაასრულა მოთხრობის კითხვა. ვგრძნო-

---

2 „ახალი თეატრის" შექმნისთვის კ. მარჯანიშვილის მხატვრულ ძიებათა არსი, რომელიც დაკავშირებულია ლ. ანდრეევის დრამატურგიასთან, საფუძვლიანად და პროფესიულადაა გაანალიზებული ე. გუგუშვილის წიგნში „კოტე მარჯანიშვილი". საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სცენა სპექტაკლიდან „ადამიანის ცხოვრება“

ბდი თმები ყალყზე როგორ დამიდგა, მომენტებში ყელი მიშრებოდა. თვალს ვერ ვაცილებდი ამ შთაგონებულ სახეს, სულის სიფაქიზეს რომ გამოხატავდა, სხვის საშინელებას, სხვის განსაცდელს რომ გრძნობდა და განიცდიდა“.

ამრიგად, მარჯანიშვილს წილად ხვდა ბედნიერება პირველი მსმენელი ყოფილიყო შემდგომში ცნობილი „შვიდი ჩამოხრჩობილის ამბავისა“. აქ, ფინეთში მოისმინა მან ჩირიკოვთან ერთად ის-ის იყო დამთავრებული პიესა ანდრეევისა „შავი ნიღბები“, რაც, მარჯანიშვილის თქმით, მას გულზე ძლიერ მოხვდა. იგი გაიტაცა მთავარი მოქმედი პირის, ჰერცოგი ლორენცოს გაორებამ — როგორი იყო სხვებისთვის და როგორ წარმოედგინა მას საკუთარი თავი. მაგრამ, რაც მთავარია, „შავი ნიღბების“ დრამა ერთი კაცის სულში გარდატყდებოდა. ეს იყო სწორედ ის, რაც იმ პერიოდში ასე იტაცებდა მარჯანიშვილს, მისივე აღიარებით — როლის ანალიზი და ფსიქოლოგია, და გარეგნული წარმოდგენის გადმოცემა ერთი ადამიანის განწყობილების მიხედვით. ლორენცოს გაორება საინტერესო თეატრალური ამოცანა იყო. მარჯანიშვილი „აენთო“. იქვე ჩამოაყალიბა პიესის დადგმის მისეული ჩანაფიქრი. ანდრეევი კმაყოფილი დარჩა და დაპირდა, რომ გენერალურ რეპეტიციას დაესწრებოდა.

საღამოთი, მარჯანიშვილი და ჩირიკოვი უკან გამობრუნებას რომ აპირებდნენ, სანაოსნო სპორტით გატაცებულმა ანდრეევმა მათ ზღვაზე ნავით გასეირნება შესთავაზა. სამივენი ჩასხდნენ მოტორიან ნავში, რომელსაც თავად ანდრეევი მართავდა. ღია ზღვაში რომ გავიდნენ, ქარი ამოვარდა და ნავს აქეთ-იქით აქანავებდა, მეგობრების თხოვნის მიუხედავად, ანდრეევი უფრო შორს მიდიოდა. მას ართობდა მეგობრების შიში, ნაპირისკენ ხშირ-ხშირად რომ იყურებოდნენ. მაგრამ მალე ანდრეევიც შეფიქრიანდა, ნავს ქარი თავის გემოზე მოაქროლებდა. საბედნიეროდ, ზღვიდან უბერავდა ქარი და ორი საათის შემდეგ ტერიოკებთან მიაგდო, თუმცა ნაპირთან მისვლა შეუძლებელი გახდა, რადგან საშიში იყო ნავი ქვებზე არ დამტვრეულიყო, ასე ტრიალებდნენ ნაპირთან, მანამ ისინი არ შენიშნეს იახტის კლუბის მეზღვაურებმა და არ მიეშველნენ.

ეს გასეირნება ზღვაზე მარჯანიშვილს მთელი სიცოცხლის მანძილზე დაამახსოვრდა.

მოსკოვში დაბრუნებული მარჯანიშვილი ოთხი პიესის რეპეტიციებს შეუდგა, მათ შორის „შავი ნიღბებისაც“. დღე-ღამეში ჩვიდმეტ-თვრამეტ საათს მუშაობდა, მაგრამ მაინც ამაღლებულ განწყობილებაზე იყო. თუმცა კი ღელავდა — შეძლებდა თუ არა თავისი მსოფლშეგრძნების გადაცემას მსახიობებისთვის და მაყურებელთა დარბაზისთვის. ის ჯერ კიდევ იმ მისტიკური განწყობილების გავლენის ქვეშ იყო, „ადამიანის ცხოვრების“ დადგმისას რომ განიცდიდა: ჩემში უფრო მეტად მწიფდებოდა რწმენა იმისა, რომ ამქვეყნად ყველაფერი შედარებითიაო, წერს მარჯანიშვილი. მთავარი როლების შემსრულებლებს ხანგრძლივად და დაძაბულად ესაუბრებოდა, მანამ არ გადასდო მათ ის განწყობილება და დამოკიდებულება პიესასთან, რაც მას თავად ჩამოუყალიბდა: უნდოდა ყველაფერი აღევსო საიდუმლოებითა და აუხსნელობით. ამ ამოცანას აკისრებდა იგი დეკორაციებსაც, კოსტუმებსაც და ბოლოს, სიმბოლური ნიღბები, დარბაზს რომ ავსებდნენ, ჩნდებოდნენ უჩვეულო ადგილებზე, არა კულისებიდან, ან მაყურებელთა დარბაზიდან, არამედ საიდანღაც, მაყურებლის თვალისთვის დაფარული საორკესტრო ორმოდან, და რაღაც საშინელი, გამოუცნობი არსებების შთაბეჭდილებებს სტოვებდნენ. სპექტაკლმა მიზანს მიაღწია: „შავმა ნიღბებმა“ მაყურებელზე გამანადგურებლად იმოქმედა. არავითარ ღიმილს, ცრემლს არ იწვევდა. მარჯანიშვილი იგონებს, რომ მაყურებელი ანტრაქტებზეც კი ვერ თავისუფლდებოდა საზარელი შთაბეჭდილებისაგან, „შავმა ნიღბებმა“ სასტიკი რეაქციისაგან გათელილი და მისტიკისკენ მიქცეული მაყურებლის სული შესძრა, ასე ხსნიდა მარჯანიშვილი მაყურებლის მძაფრ რეაქციას სპექტაკლზე.

და თუმცა „შავი ნიღბების“ დადგმას მაღალი შეფასება მისცა ავტორმა და მაყურებელმა, პრესამაც, მარჯანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით, მისთვის დამახასიათებელი მკაცრი მომთხოვნელობით ამ სპექტაკლის ანალიზისას, თავის თავს საყვედურობდა, რომ იმ, ისედაც პირქუშ, წლებში ფერფლავდა უმისოდაც შეშფოთებულ სულებს, სიხარულის ნაცვლად შიშს უნერგავდა.

ანდრეევის უკანასკნელი პიესა, რომლის დადგმასაც ხელი მოჰკიდა მარჯანიშვილმა, იყო „ანფისა". თუმცა ამ დადგმას განხორციელება არ ეწერა, მან მაინც გადამწყვეტი როლი ითამაშა მარჯანიშვილის რეჟისორულ ბედ-იღბალში.

როდესაც პიესა წაიკითხა, მარჯანიშვილმა ნეზლობინს უთხრა, რომ მათ დასში (მოსკოვის თეატრი) არ მოიძებნებოდა ანფისას როლის შემსრულებელი მსახიობი და შესთავაზა ამ როლისთვის მოეწვიათ როშჩინა-ინსაროვა. ნეზლობინი ამაყობდა თავისი თეატრით, მარჯანიშვილის ნათქვამმა გაანაწყენა და მოითხოვა როლი ერთ-ერთი მსახიობისთვის მიეცათ. რეჟისორის შეგონების მიუხედავად, ნეზლობინი ჯიუტობდა, დავა იმით დასრულდა, რომ მარჯანიშვილი წავიდა თეატრიდან. მსახიობების წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს მას წყენა დაევიწყებინა და დაბრუნებულიყო თეატრში. მარჯანიშვილმა აუხსნა მათ, რომ ეს ინციდენტი იყო მხოლოდ გართულება ძველი უთანხმოებისა, რაც ჯერ კიდევ რიგაში დაიწყო.

ნეზლობინსა და მარჯანიშვილს შორის განხეთქილების მიზეზი რომ შეიტყო, ანდრეევმა ნეზლობინს უდეპეშა, რომ პიესას მისცემდა დასადგმელად მხოლოდ მარჯანიშვილის სურვილის შესრულების შემთხვევაში, ნეზლობინი გონს მოეგო. მისმა მეუღლემ მარჯანიშვილს მისწერა ბარათი, რომელშიც ატყობინებდა, რომ ნეზლობინი ნანობს მომხდარს და სურს შერიგება. მარჯანიშვილი შეუწყნარებელი იყო, მით უმეტეს, რომ მოსკოვის პრესა უკვე იტყობინებოდა თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლას, ამასთან აღნიშნავდა, რომ ეს თეატრისთვის საკუთარი სახის დაკარგვას მოასწავებდა.

შუაგულ სეზონზე საყვარელ საქმეს ჩამოცილებული, უსახსროდ დარჩენილი მარჯანიშვილი იძულებული იყო მიეღო სოფიის სახელმწიფო თეატრის მიწვევა და ბულგარეთში წასასვლელად მოემზადა, რომ მოულოდნელად მასთან მივიდა ნემიროვიჩ-დანჩენკოს გამოგზავნილი პირი და გადასცა დიდი რეჟისორის სურვილი მარჯანიშვილთან შეხვედრისა. სამხატვრო თეატრში, ნემიროვიჩ-დანჩენკოს კაბინეტში მას სიურპრიზი ელოდა — მხატში მუშაობა შესთავაზეს. მარჯანიშვილს თავბრუ დაესხა: „სამხატვრო თეატრი, ჯერ კიდევ ჩემი თეატრის იდეალი, მეძახის!... და მე კი არ ვეხვეწები, ისინი თავად მეძახიან, ვიდექი და ვერაფერი მომესაზრებინა".

ამრიგად, ანდრეევის პიესა გახდა საბაბი ბედნიერი შემობრუნებისა მარჯანიშვილის რეჟისორულ ბედ-იღბალში, მისი გზა სამხატვრო თეატრს დაუკავშირდა.

მარჯანიშვილის უშუალო შთაბეჭდილებებსა და მოგონებებზე დამყარებული, ცოცხლად და გატაცებით დაწერილი შესანიშნავი ჩანაწერები ერთადერთი მოწმე როდია ლეონიდ ანდრეევთან მისი სიახლოვისა და შემოქმედებითი თანამეგობრობისა.

ეს წერილი მხოლოდ ცდაა მარჯანიშვილისა და ანდრეევის ურთიერთობის კვლევისა, რაც მთლიანად მარჯანიშვილის დღიურებს ეყრდნობა. ეს არის რუსულ-ქართული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობის ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელი.



სცენა სპექტაკლიდან „ადამიანის ცხოვრება"

# გევორქ გრიგორიანი

რუბენ ანგალადიანი

თექვსმეტი წლისა ვიყავი, როცა ერთხელ, სახლში დაბრუნებისას, ეზოში შევედი და დავინახე: დედაჩემი ცეცხლში ყრიდა ჩემს სურათებს. შეძრწუნებისაგან გავქვავდი იმის შემყურე, თუ რა გულდამშვიდებით გამოჰქონდა მას ჩვენი ერთადერთი პაწაწინა ოთახიდან ჩემი ნამუშევრები, რომლებსაც სწრაფად ნთქავდა ალი. გაუნძრევლად ვიდექი და ვუმზერდი, ვიდრე სულ არ დაიფერფლა და ნაცრად არ დაილექა მიწაზე. ეს ფერფლი შეერწყა ჩემს ტკივილს და დაილექა მეხსიერებაში. დედამ დაყვავებით ამიხსნა, რომ ჩემი ტილოები და მუყაოები შეიძლება კარგიცაა, მაგრამ მათში ბაღლინჯოებმა მოიკალათეს, არ გეწყინოს, რომ ზოგი მათგანი გავიმეტეო.

აღარ გავუჯავრდი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვიგრძენი — ეს იყო თვით ცხოვრება, ცხოვრების უკუღმართობის გამო გადადგმული ნაბიჯი, და მე გავუგე დედას, რომელიც უსაზღვროდ მიყვარდა“..

როცა თავისი ცხოვრების ამ პატარა ეპიზოდს მიამბობდა, გევორქ გრიგორიანმა (ჯოტომ) მღელვარება ვერ დაიოკა. მან თითქოს ხელახლა განიცადა შორეული წუთები.

მხატვრის მეხსიერებას შემორჩა მაშინდელი ტკივილი. დედის ხსოვნა კი, ყველაზე დაუვიწყარი, მის ტილოზე აღიბეჭდა. ცხოვრებისაგან გატანჯული, ნაღვლიანი, მოკრძალებული და სათუთი პოეტური სულის ქალია გამოსახული პორტრეტზე. მოყვარულმა შვილმა იგი ქარგვის დროს დახატა. ქარგვით არჩენდა ქალი ექვსი სულისაგან შემდგარ ოჯახს, რომელსაც ადრე გამოეცალა ბურჯი. მხატვრის მამა მეშუშე იყო, კარგი, პატიოსანი ოსტატი. ახალგაზრდა გარდაიცვალა და პატარა გევორქს ნაადრევად მოუხდა საარსებო ლუკმაპურზე ზრუნვა. ნაირნაირ „ხაზეინებს“ ჰყავდათ დასაქმებული და გასამრჯელოდ თვეში ოთხ აბაზს უხდიდნენ. უფრო გვიან იგი წერილების დამტარებლადაც მუშაობდა, ნახევრადბნელ სარდაფში რძეს ყიდდა, ერთხანს მეშუშის ხელობასაც მოჰკიდა ხელი.. ასე გრძელდებოდა 1922 წლამდე.

ჭაბუკს მხატვრობის ნიჭი შეამჩნია თბილისელმა ექიმმა სიმონ ცოტაძემ, რომელიც დაეხმარა მას შესულიყო თბილისის ხატვისა და ქანდაკების სკოლაში. ეს იყო 1916 წელს, როცა მომავალი მხატვარი, თბილისის მკვიდრი გევორქ გრიგორიანი ცხრამეტი წლისა იყო.

1918 წელს „კავკაზსკოე სლოვოში“ პოეტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი გოროდეცკიმ, თბილისში მოწყობილ გამოფენასთან დაკავშირებით დაწერილ წერილში სხვა მხატვართა ნამუშევრებს შორის გრიგორიანის კომპოზიციებიც აღნიშნა. სწორედ ამ გამოფენის მოწყობის დროიდან იღებს სათავეს ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის, ლადო გუდიაშვილისა და გრიგორიანის ხანგრძლივი მეგობრობა.

ერევნის სამხატვრო გალერეის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც მხატვრის ნაწარმოებებია ექსპონირებული, გამოფენილია სწორედ 1918 წლით დათარიღებული მცირე ზომის ტილო „ნატურმორტი ხილით" — ადრინდელი პერიოდის ერთადერთი ნამუშევარი. გაოცებას იწვევს, რომ ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ იცნობდა თვით კლასიკის ნაწარმოებებსაც კი, პირველივე ნამუშევარში ამჟღავნებს სახვით კულტურას, ტაქტს, გემოვნებას. ნატურმორტი დახატულია მკვრივ ყავისფერ გამაში, შუქისა და ჩრდილის დაპირისპირებებით. კარგადაა განაწილებული საგნები. თავისი მოწაფის წარმატებით გახარებული და კმაყოფილი იყო შესანიშნავი სომეხი მხატვარი ეღიშე თათევოსიანი.

ჩემთან საუბარში გევორქ გრიგორიანმა აღნიშნა, რომ წარსულის ხელოვნებიდან მას განსაკუთრებით იზიდავდა შუა საუკუნეების სომხური მინიატურა, აგრეთვე ჯოტო, ელ გრეკო, მორალესი. თვით ეს შერქმეული სახელი — „ჯოტო" სწორედ იქიდან მოდის, — თქვა მან, — როცა ერთ-ერთი გამოცემით საფუძვლიანად გავეცანი დიდი ფლორენციელი მხატვრის ხელოვნებას, ჩემს ნამუშევრებში აშკარად განვიცადე მისი გავლენაო. ამ დროის „ავტოპორტრეტში" კი, როგორც მაშინ მხატვრები და კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, გარეგნულადაც ძალზე ვგავდი ჯოტოსო. მეგობარმა კოლეგებმა კი საბოლოოდ შემარქვეს „ჯოტო". ასეთი დიდი მხატვრის სახელის ფსევდონიმად ქცევა ჩემის მხრივ როდი გამოიყურება მაინცდამაინც მოკრძალებულად, მაგრამ ამაში ბრალი მე არ მიმიძღვისო...

გევორქ გრიგორიანი რთული, წინააღმდეგობრივი მხატვარია. მისი სურათები თუმცა არ გვაოცებენ, ჩვენს წინაშე არ ხსნიან რაიმე უჩვეულოს, ისინი შთამბეჭდავი არიან ცხოვრების სიმართლით, განცდის სიწრფელით. ადრინდელ ნამუშევრებში ჯოტოს გავლენა მართლაც თვალსაჩინოა, როგორც კოლორიტის, ისე სახის ერთგვარი ფრესკული გადაწყვეტის, პლასტიკის მხრივ. მაგრამ ნამდვილი მხატვრის ძალა სწორედ იმაშია, რომ ისწავლოს დიდ ხელოვანთაგან, მაგრამ იპოვოს საკუთარი თავი. თანდათან ყალიბდება გრიგორიანის შემოქმედებითი მსოფლმხედველობა, მისი თვალსაზრისი ცხოვრებაზე. 1921-1923 წლებში იგი მოსკოვის უმაღლეს სამხატვრო ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს ძმებ ვესნინებთან. ეს იყო დაძაბული შრომის და ძიების წლები, მაგრამ საარსებო პირობების უქონლობის გამო გრიგორიანი მალე ისევ თბილისს დაუბრუნდა.

მხატვრის ტილოებზე აღიბეჭდა თბილისი, მისი რიტმი და კოლორიტი. ქალაქის სახე ცოცხლდება ფერებში, როგორც ფიქრები წარსულზე, როგორც ბავშვობის სურათების გახსენება: ასეთია „კინტო", „თბილისური მოტივი", „ფიროსმანი, ხოჯაბეგოვი და გუდიაშვილი"... „კინტო" რიტმული ექსპრესიითაა გამსჭვალული, და ამ ექსპრესიას აწყნარებს მშვიდი კოლორიტი. „თბილისური მოტივი" მხატვრის მცირერიცხოვან ქალაქურ პეიზაჟებს მიეკუთვნება. ხეების მოძრავ პლასტიკურ რტოებში ჩაფლულა განცალკევებით მდგარი ძველი თბილისური სახლი. გვიანი შემოდგომის ფოთლებშემოძარცული ხე მაინც გასაოცრად სხივოსანია. მხატვარს ძალიან უყვარს გაძარცული ხის გამოხატვა. სხვა ნამუშევრებში ეს სახე სიმყარისა და მარტოობის, ვაჟკაცური დუმილის სიმბოლოდ წარმოგვესახება, „თბილისურ მოტივში" კი პირიქით, — იგი ლირიკულია, თბილ დამოკიდებულებას ამკვიდრებს სახლთან, სიყრმის მეგობრების დამოკიდებულებას, რამდენადაც ორივე — ხეცა და სახლიც თანატოლები და უკვე ხანდაზმულები არიან. ამგვარი, რბილი ტონალობის სურათებს ცოტას ვხვდებით გრიგორიანის შემოქმედებაში. მას უფრო მეტად კონფლიქტური, დრამატული განწყობილება იზიდავს. ამ სურათებში კი იგი გამოხატავს სათუთ დამოკიდებულებას თავისი ყრმობის ქალაქთან.

მხატვრის გზა — ეს მისი მეთოდია, მისეუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი ხედვა ცხოვრებისა, მისი ჭეშმარიტება. ნამდვილი მხატვრის ძალა ისაა, რომ იგი არასოდეს დაეშვება მანერამდე. ცნობილია — მხატვარს ფორმას კარნახობს შინაარსი და ის თვალსაზრისი საგნებზე, მოვლენებზე, ხელოვანის სულის სიღრმეებიდან მთელი გულწრფელობით რომ მომდინარეობს. გევორქ გრიგორიანს არ უყვარს გადამღერება, იგი ეძიებს არსს, განაზოგადებს, უარს ამბობს ყოველგვარ შემთხვევითობაზე. სწორედ ამიტომ მხატვრის ნამუშევრები მონუმენტური ხასიათისაა, თუმცა ზომების მიხედვით დიდი როდია. თითოეული პორტრეტი (ნამუშევართა დიდი ნაწილი კი პორტრეტებია) ზუსტია სახის დახასიათების, შინაგანი გააზრების, განწყობილების მხრივ. მხატვარს უყვარს პოეზია და ისიც გასაგებია, რომ მის პორტრეტულ ტილოებზე ბევრი ცნობილი პოეტია აღბეჭდილი (დანტე, ჩარენცი, ესენინი...).

ესენინის პორტრეტი რამდენჯერმე დახატა მხატვარმა. ბოლო ნამუშევარი 1970 წლით თარიღდება. ტილოდან ღრმა, სევდიანი და კეთილი თვალებით გვიმზერს პოეტი, ხელში მაყურებლისკენ გაწვდილი ნაზი რტო უკავია, მთელი მისი იერი ასოციაციას იწვევს მისსავე პოეზიასთან. პორტრეტის კომპოზიცია ლაკონიურია, კოლორიტი ხსნის სურათის ემოციურ დედააზრს, განწყობილებას. ღრმა ადამიანურობა, ბუნებრიობა, რასაც ამ თავისებურად გააზრებულ პორტრეტში მიაღწია მხატვარმა, დიდი რუსი პოეტის დამაჯერებელ დახასიათებას იძლევა.

სომხური ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი მისაკ მეცარენცი 23 წლისა გამოეთხოვა სიცოცხლეს. მხატვარმა ახალგაზრდა შემოქმედის პორტრეტი მკაცრ, მკვრივ გამაში დაწერა. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ნაწარმოების არქიტექტონიკა. ფერმწერს თითქოს სურს სახვითი ხერხებით გახსნას მეცარენცის ლექსთა არქიტექტონიკა, მოძებნოს მისი პოეზიის რიტმული წყობის შესატყვისი გასაღები. მეტად მეტყველია პოეტის ჭკვიანი, თითქოს რამდენადმე დაღლილი და შიშჩამდგარი თვალები. ეს არის ნაზი და მოკრძალებული, ამავე დროს მგზნებარე და მტკიცე სულის პოეტის მზერა.

დიანას პორტრეტი.



ქართველი ქალი.



მხატვრისათვის ძვირფასი ქალის სახეა აღბეჭდილი ერთ-ერთ ტილოზე. ეს გახლავთ მისი მეუღლისა და ერთგული მეგობრის, მისი ხელოვნების ღრმა რწმენით აღსავსე, ამ ხელოვნების დამფასებლის დიანა უკლებას პორტრეტი. ერთმანეთთან შეპირისპირებულია მქღერი ფერები, რამდენადმე გამახვილებულია სახასიათო ნაკვთები, რაც გამიზნულია ქალის შინაგანი სულიერი მოძრაობის გადმოსაცემად. მხატვარმა ამ კეთილშობილი ქართველი ქალის ბევრი პორტრეტი შექმნა და თითოეულ მათგანში იგრძნობა ავტორის ფაქიზი სიყვარული და მადლიერება მის მიმართ.

გრიგორიანის შემოქმედება ძლიერია თავისი მეამბოხური სულით და, ამავე დროს, რაღაც ნათელი სევდით, უსაზღვრო რწმენით ადამიანისადმი. ეს ერთნაირად კარგად ჩანს მის პორტრეტებშიც, ნატურმორტებშიც და პეიზაჟებშიც, რომლებიც ერთსა და იმავე რეგისტრშია დაწერილი. პორტრეტებში, ჩემი აზრით, ჩანს ესპანურ სკოლასთან ერთგვარი კავშირი (ელ გრეკოს, მორალესის ხელოვნებასთან), XX საუკუ-



მე და დედა



წითელკაბიანი ქალი



სტეფანე შაუმიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მხატვართა შემოქმედებიდან კი — რუსის მხატვრულ პრინციპებთან სიახლოვე. გრიგორიანი თავშეკავებულია, მკაცრია და ამ სიმკაცრეს ერწყმის სითბო, რითაც ღრმადაა გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება. ამიტომაც გრიგორიანის მიერ შექმნილი პორტრეტული სახეები ვაჟკაცურია და, ამასთან, აღსავსე სიცოცხლის მთრთოლვარებით. რაც მთავარია, ისინი მაყურებელს გადაუხსნიან მოკრძალებულსა და ჭკვიან გულს, რომელსაც დანახვა, გაგება სჭირდება. ვინც ერთხელ მაინც მოხიბლულა ამ გულით, მუდამ გაჰყვება შთაბეჭდილება.

მხატვრის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ მგზნებარე რევოლუციონერის — სტეფანე შაუმიანის პორტრეტი. ჭკვიანი, დაკვირვებული თვალები, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი და ვაჟკაცური მომხიბვლელობა იზიდავს მნახველს ამ სახეში. ეს არის ღრმად ადამიანური პორტრეტი, რომელშიც კარგად იკითხება პირდაპირობა, სიმტკიცე, ნატურის ცეცხლოვანება. როცა 1927 წელს გამოფენაზე ,,ოქტომბრის რევოლუციის ათი წელი" ა. ლუნაჩარსკის გრიგორიანის მიერ შესრულებული შაუმიანის პორტრეტი უნახავს, ახალგაზრდა მხატვრის ამ ნამუშევარზე უთქვამს, რომ ეს არის ,,ჰუმანური ხელოვნება", ,,ნამდვილად ადამიანური შაუმიანი".

ღრმა ლირიზმითაა გამსჭვალული ფიროსმანის პორტრეტი. ხაზების მშვიდი დინება, საღებავების ტემბრალური სიდინჯე ხელს უწყობს ფიროსმანის ხასიათის ნიშანდობლივი მხარეების, მოკრძალებულობისა და მარტოობის განცდის გადმოცემას. გრიგორიანი არ ისწრაფვის მიაღწიოს პორტრეტულ მსგავსებას. ამ ტილოში, რომელიც 1966 წელს არის შექმნილი, იგი სიყვარულით ხატავს მისი სათაყვანო შემოქმედის სახეს და მასში თითქოს საკუთარ ცხოვრებაზე დაფიქრებასაც აქსოვს.

,,როცა ფიროსმანი თავის ტილოებზე სუფრას შლის, მან იმ კერძების გემოც კი იცის, რომელსაც მასზე აწყობს". — მახვილად შენიშნავს მხატვარი გიორგი იაკულოვი ფიროსმანზე. ასევე შეიძლება ითქვას სომეხი მხატვრის ნატურმორტების შესახებაც. ნატურმორტი — თავისებური პორტრეტია, რომელშიც მხატვარი ეძებს და გადმოგვცემს საგანთა არსს. ამიტომაც, ფუნჯით გაცოცხლებული ეს ჩვეულებრივი ყოფითი საგნები ადამიანისათვის კიდევ უფრო მახლობელი და მშვენიერი ხდება, გრიგორიანი წვდება ამ საგანთა სამყაროს და გრძნობს მათი სიცოცხლის ფეთქვას.

სომეხ მხატვართა შორის გევორქ გრიგორიანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო დრამატულია, ყველაზე უფრო ფაქიზი განცდის, მთრთოლვარე შემოქმედი. განწყობილების მხრივ თუნდაც ძალზე ნათელი მისი ნამუშევრები, მუდამ შეფერილია დრამატული ტონალობით. 1962 წელს გრიგორიანი საცხოვრებლად ერევანში გადავიდა, 1965-1966 წლებში აქ გაიმართა მისი პერსონალური გამოფენები და მხატვარს სომხეთის სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა (1967). შემოქმედის სიხარული მის სხივოსან ფერებში პოულობს გამოხატულებას. სომხური ფერწერული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის შემოქმედებას განსაკუთრებული მიმზიდველი ძალა გააჩნია. ,,გრიგორიანის შემოქმედება შინაგანად გასხივოსნებულია", — ხშირად აღნიშნავენ მხატვრის ნამუშევრების შესახებ მისი კოლეგები, ხელოვნებისმცოდნეები, მაყურებლები.

მხცოვანმა ხელოვანმა ერთხელ ჩემთან საუბარში აღნიშნა:

ჩამოდიან ადამიანები სომხეთში, მოდიან ჩემთან ნამუშევრების სანახავად და თან მოაქვთ ჩვენი დიდი ქვეყნის რიტმი, დროის რიტმი; მოდიან, რათა გამიზიარონ თავიანთი ფიქრები ადამიანებზე, ცხოვრებაზე. მხატვრის ნამუშევრების გაცნობის სურვილი ხომ — ეს მაყურებლის და შემოქმედის ურთიერთნდობით გამსჭვალულ საუბარს ნიშნავს. ეს კი ჩემი შრომის დაფასების საზომიცაა, მე მადლიერი ვარ ხალხის, მისი ნდობისა, რომელიც მარწმუნებს იმაში, რომ ჩემი ხელოვნება სჭირდებათ ადამიანებს"...

# 50 თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი



თბილისის რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობა

## პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე

ირინე გოცირიძე

ე. ახვლედიანი
კოსტიუმის ესკიზი სპექტაკლისათვის
„ბიძია თომას ქოხი"



პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებში, რომლებიც მომავალი ადამიანის აღზრდის საქმეში ხელოვნებას მაღალ მისიას აკისრებს, ზედმიწევნით გაზრდილია თეატრის როლი. ეს განსაკუთრებით საბავშვო თეატრს შეეხება, რადგან იგი მოზარდის მსოფლმხედველობის ფორმირებაში, მისი გემოვნების განვითარებაში უშუალოდ მონაწილეობს. მეორე მხრივ, ეს თეატრი მომავალი თაობის რწმენას, მის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და ნათელ კომუნისტურ იდეალებს განამტკიცებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მხარეც, ვინაიდან, ჩვენ, ვანვითარებთ რა მოზარდი თაობის ცნობიერებას, მოწოდებულნი ვართ დავადგინოთ ადამიანთა ურთიერთობანი და დავნერგოთ სიკეთე.

სავსებით კანონზომიერია, რომ პირველი საბავშვო თეატრი ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად დაიბადა. ამ ფაქტითაც თვალნათლივ ჩანს, თუ რა უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტია და მთავრობა მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდას. ამან კი განაპირობა ის უზარმაზარი ინტერესი, რომელსაც საბავშვო თეატრის მიმართ დღეს ყველა ქვეყანაში იჩენენ.

სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ: ამ საქმეში ჩვენი დიდი და მდიდარი გამოცდილება საფუძვლად დაედო სხვა ქვეყნებში საბავშვო თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

ჯერ კიდევ შორეულ ოციან წლებში, გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო წერდა:

,,სილამაზისაკენ ლტოლვა ყოველ ადამიანს ბუნებისაგან უხვადა აქვს ბოძებული.. ამიტომ ბავშვის ესთეტიკური აღზრდის საქმეში არ უნდა ვივიწყებდეთ თეატრის როლსაც". გავიხსენოთ თუ რა დროსაა ეს სიტყვები დაწერილი. გზებზე ათასობით უპატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რონო ბავშვი დაეხეტებოდა. ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნება ის-ის იყო ძალას იკრებდა. მაკარენკო კი არა მხოლოდ შორეულ მომავალს ელოდებოდა, არამედ სახვალიო საქმის დღეს მოგვარებისაკენ მოუწოდებდა ხალხს.

1927 წელი... გაზაფხული. ესაა ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი თეატრის, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაბადების თარიღი. მაშინ ყველაფერი პირველად ხდებოდა. პირველი საბავშვო თეატრი ამიერკავკასიაში, მის სცენაზე დადგმული პირველი პიესა. თეატრის პირველი რეჟისორი და ორგანიზატორი — საქართველოს სახალხო არტისტი ნიკოლოზ იაკობის ძე მარშაკი, რომლის სახელთანაც თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ცხოვრებაში მთელი ეპოქაა დაკავშირებული. თეატრი ერთგულად ინახავს მის ნათელ ხსოვნას. ერთ-ერთი ოთახის კედელზე მარშაკის პორტრეტი ჰკიდია. ჭაღარა თმა და სათვალის მიღმა კეთილი გამოხედვა. ამ მზერას დიდსა თუ პატარაში მშვენიერების დანახვა შეეძლო. მარშაკმა სიცოცხლის ოცდაათ წელზე მეტი შესწირა თეატრს.

თეატრის დაარსებიდან ნახევარმა საუკუნემ განვლო. ეს იყო აღმოჩენებისა და ძიების ნახევარი საუკუნე, რის გარეშეც შეუძლებელია რომელიმე შემოქმედებითი ორგანიზაციის წარმატება, რადგან ხელოვნება, ისევე როგორც პოეზია, მარადიული გზაა სამყაროში, ესაა წვდომა მიუწვდომლისა. ამ წლების მანძილზე ჩვენ საკმაო გამოცდილება შევიძინეთ და მნიშვნელოვან წარმატებასაც მივაღწიეთ.

საბავშვო თეატრი რთული ორგანიზაციაა. ის კომპლექსურ ერთიანობაში წყვეტს აღმზრდელობით ამოცანებს, რომლებიც ერთმანეთთან ისეთ ორგანულ კავშირშია, რომ ძნელია მათგან რომელიმეს გამოყოფა. და, მართლაც, თეატრთან ზიარება პატარაობიდანვე იწყება. იმაზე, თუ რამდენად სწორად და ოპტიმალურად გადავწყვეტთ ჩვენზე დაკისრებულ ამოცანებს, დამოკიდებულია თეატრის შემდგომი როლი ადამიანის ცხოვრებაში.

ამ მხრივ ბედმა გაგვიღიმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თეატრი ერთადერთია, რომლის ჭერქვეშ გვერდიგვერდ ცხოვრობს და მუშაობს ორი კოლექტივი — მოზარდ მაყურებელთა თეატრი და თოჯინების თეატრი. ერთობლივი მოღვაწეობა კი დიდად გვიმსუბუქებს ესთეტიკური აღზრდის ამოცანების კომპლექსურ გადაჭრას.

ე. ახვლედიანი
კოსტიუმების ესკიზები სპექტაკლისათვის
„ბიძია თომას ქოხი“

თეატრთან ზიარება იწყება ზღაპრის ჯადოსნური სამყაროდან, რომელშიც სიკეთე ოდითგან მოგზაურობს და მშვენიერებაც თავისი საწყისი, პირვანდელი ბუნებრიობითაა მოცემული. მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა, რომ ბავშვმა, მაყურებლის ზღურბლს რომ გადააბიჯებს, არა მარტო შეიყვაროს თეატრი, არამედ მასში საკუთარი თავიც იპოვოს. ამიტომ ძალღონეს არ ვიშურებთ, რათა თეატრში პირველად მოსულ ბავშვს გაჰყვეს და დაამახსოვრდეს ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მასზე ახალმა გარემომ მოახდინა. იქნება ეს ნორჩ მაყურებელთა საზეიმო შეხვედრა, რომლის დროსაც ჩვენი პედაგოგები თეატრის ბუნებას აცნობენ პატარებს და ექსკურსიას ატარებენ მის დარბაზებში, თუ საუბრები აქტიორებსა და სცენის საიდუმლოებებზე.



ამრიგად, თოჯინების თეატრის პირველი სპექტაკლებიდანვე ჩვენს მაყურებელს უფრო რთული პრობლემების აღსაქმელად ვამზადებთ და მათში თეატრის სიყვარულს ვნერგავთ. ზღაპრიდან — ცხოვრებისაკენ; ჯადოსნური სამყაროდან— რეალობისკენ, —ამ კანონს მთელი ჩვენი მუშაობა ემორჩილება. საბჭოთა კავშირის სხვა მოზარდთა თეატრების მსგავსად, ჩვენც ვითვალისწინებთ მოზარდი მაყურებლის სამ კატეგორიას. უმცროსკლასელებს, მოზარდებსა და უფროსკლასელებს. ეს ასაკობრივი ნიუანსი ხელოვნების სამყაროს აღქმის თავისებური სპეციფიკის შექმნას უწყობს ხელს. ზოგადად, მხატვრული შემოქმედების დონე საბავშვო თეატრის ნიშანთვისებებზე არის დამოკიდებული, რადგან, როგორც კ. სტანისლავსკი წერდა: ,,ბავშვებისათვისაც ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც უფროსებისათვის, ოღონდ უფრო უკეთესად... უფრო ბუნებრივად და სუფთად“.

ეს სიტყვები ჩვენ ბევრს გვავალებს.

ბრწყინვალე, დასამახსოვრებელი სპექტაკლი — ესაა ნანახის ღრმა გააზრება სცენაზე ნაჩვენები ცხოვრებისეული მოვლენებისა და ამბების (არსის) წვდომის უმოკლესი გზა. მეორეს მხრივ, იგი მხატვრული ხორცშესხმის თავისებურებათა აღქმის

და გააზრების, ნაწარმოების დედააზრისა და ფორმის გასაგები საშუალებებისაკენ მიმავალ უტყუარ გზასაც წარმოადგენს.

მთლიანობაში კი ყოველივე ეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინაშე მდგომი ესთეტიკური ამოცანების მრავალფეროვანი და რთული კომპლექსია.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მაქსიმალურად განვსაზღვროთ, თუ როგორი უნდა იყოს საბავშვო თეატრი, რათა იგი იდეურ-ესთეტიკური აღზრდის თანამედროვე პრინციპებს პასუხობდეს.

,,საკუთარი მაყურებლის ცოდნა — თეატრის პროფესიონალური მოვალეობაა'' — ამბობს ლენინგრადის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი ზ. კოროგოდსკი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს პირობებში. ამიტომაც თეატრის მთელი პედაგოგიური მუშაობა მაყურებლის ,,შესწავლას'' ემსახურება. როგორც თეატრში, ასევე უშუალოდ სკოლებში რეგულარულად განვიხილავთ სპექტაკლებს. ვაანალიზებთ მაყურებელთა პასუხებს, შეფობას ვუწევთ სასკოლო დრამატულ წრეებს, ბავშვებს ვუკითხავთ ლექციებს, ვაწყობთ სასკოლო თვითმოქმედების საუკეთესო სპექტაკლების დათვალიერებებს. ჩვენს მუშაობაში დიდად გვეხმარება სოციოლოგიური გამოკვლევები. მონაწილეთა მიერ შევსებული ანკეტების ანალიზის მეშვეობით როგორღაც ვახერხებთ ჩვენს სამუშაოს შევხედოთ უცხოს თვალით, რაც რეპერტუარის სწორ შერჩევას უწყობს ხელს და საშუალებას გვაძლევს დროის გარკვეულ პერიოდში ზუსტად განვსაზღვროთ თეატრის პოზიცია.

,,აღვზარდოთ, ეს ნიშნავს წინასწარ განვჭვრიტოთ ადამიანის ბედი'', — წერდა ბელინსკი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი და რთული ამოცანების წინაშე ვდგევართ ჩვენ, რადგან ამ განსაცვიფრებლად ფაქიზ კონსტრუქციაში თვით უმცირესმა შეცდომამაც კი შეიძლება უაღრესად არასასურველ შედეგთან მიგვიყვანოს. მთავარია, რომ გვიყვარდეს ბავშვები, ვიყოთ ჩვენი საქმის ერთგულნი, ყოველმხრივ განვავითაროთ მოზარდი თაობის ესთეტიკური გემოვნება და ჩვენი ქვეყნის პატრიოტი მოქალაქეები გავზარდოთ. ამაზე კეთილშობილური და რთული ამოცანა არ არსებობს.

ჩვენ უკვე გრძელი გზა გვაქვს განვლილი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც დავაგროვეთ. მაგრამ, ამასთანავე, იზრდება მომავლის წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობაც. გარკვეული ხარისხით ჩვენს ხელთაა მომავალი თაობის ბედი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს ბედი ნათელი და მზიანი იყოს იმათთვის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საბავშვო თეატრს მიუძღვნა. ამაზე მაღალი მოვალეობა არ არსებობს.



რეჟისორი ნ. მარშაკი სპექტაკლ ,,ჰაიავატას'' მონაწილეებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

50

# მოზარდთა თეატრის სახელოვანი იუბილე

კონსტანტინე ვაისერმანი

1927 წლის 18 აპრილს თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის დრამატულმა წრემ, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის შენობაში ბავშვებისთვის რუსულ ენაზე წარმოადგინა ნ. ოგნევის პიესა „ჰაიავატა — იროკეზების ბელადი", ამერიკელი პოეტის ჰ. ლონგფელოს ნაწარმოების მიხედვით. პიესა დადგა რეჟისორმა ნიკოლოზ მარშაკმა (შემდგომში თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი). ეს დღე იქცა ამიერკავკასიაში პირველი რუსული საბავშვო თეატრის დაბადების დღედ. აქედან მიეცა დასაბამი თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ისტორიას.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის დრამატული წრე შეიქმნა ნ. მარშაკის ინიციატივით, რკინიგზის მუშათა და მოსამსახურეთაგან. შემდეგში ამ წრეში გაერთიანდნენ ავჭალის სახალხო სახლთან არსებული დრამწრის წევრები: გ. ბარუჩევი, ნ. გლობენკო-თურმანიძე, მ. ვახნიანსკი, გ. კირსანოვი, მ. ემსკი, კ. შახაზიზოვი. ახალშექმნილი მოზარდთა თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი იყო ს. ფედორჩენკო, (სწორედ მისი ხელმძღვანელობით გააფორმა მხატვრულად რკინიგზის მე-5 სკოლის მასწავლებელმა ვ. ბენუამ თეატრის პირველი სპექტაკლი), თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრი პოლიკარპე ფალიაშვილის დირიჟორობით, ადმინისტრატორი — მ. ბარუჩევი, თეატრის პედაგოგიური ნაწილის ხელმძღვანელი — ამ სტრიქონების ავტორი, თეატრი უკვე პირველივე სპექტაკლიდან იწყებს აღმზრდელობით მუშაობას ბავშვებს შორის.

დრამწრეს ცუდ პირობებში უხდებოდა მუშაობა. არ ჰქონდათ შენობა, თავდაპირველად არ გააჩნდათ სარეპეტიციო ადგილიც კი.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტმა ავჭალის (ახლა საბჭოს) მოედანზე დასს რეპეტიციებისათვის წითელი კუთხის ერთი ნაწილი დაუთმო. ამ ერთ ოთახში ფაქტიურად ბილიარდსაც თამაშობდნენ და დომინოსაც. ადვილი წარმოსადგენია ასეთ პირობებში რეპეტიციის გავლა. მალე თეატრს მარჯანიშვილისა და კლარა ცეტკინის ქუჩების კუთხეში მოთავსებულ სარდაფში გამოუყვეს ორი ოთახი სარეპეტიციოდ. ისიც მხოლოდ საღამოს 8 საათის შემდეგ დართეს ნება მუშაობისა. სპექტაკლებს თეატრი მართავდა კვირაობით, დღისით ხან რუსთაველის, ხან მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, ხან კი პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში. აბონემენტებზე, რომლებსაც-მოზარდი მაყურებლისათვის უკვე მაშინ უშვებდა თეატრი, ერთდროულად მითითებული იყო ადგილი რუსთაველის სახელობის თეატრშიც და პლეხანოვის სახელობის კლუბშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის თეატრალური და პედაგოგიური საზოგადოებრიობა აღფრთოვანებული შეხვდა თეატრის შექმნას, სათანადოდ შეაფასა წამოწყება და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ახლადდაარსებული თეატრის საქმიანობაში. მის სპექტაკლებს ხშირად ესწრებოდნენ: ს. ახმეტელი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, დ. ანთაძე, ა. თაყაიშვილი და სხვები. მოზრდილების თეატრები ეხმარებოდნენ მას კოსტუმებითა და დეკორაციებითაც.

სიძნელეების მიუხედავად, 1927 წლის 29 მაისს თეატრმა ახალი დადგმა მოამზადა „სტიოპკა-რასტრიოპკა", შემდეგ მესამე დადგმაც უჩვენა „რობინ ჰუდი".

მეორე სეზონისათვის თეატრს 25 თებერვლის ქუჩაზე მისცეს კიდევ ერთი სარდაფი, სადაც სადეკორაციო სახელოსნო მოეწყო.

მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა ჯერ კიდევ თავისი არსებობის პირველივე წელს ურთიერთობა დაამყარა მოსკოვისა და ლენინგრადის მოზარდთა თეატრებთან. მათი ხელმძღვანელები ნ. საცი და ა. ბრიანცევი ქმედით დახმარებას უწევდნენ თბილისის ახლადდაარსებულ თეატრს.

თბილისის თეატრმა თანდათან გააფართოვა თავისი საქმიანობა, მეორე სეზონში მისი რეპერტუარი უკვე რამდენიმე სპექტაკლს ითვლიდა: ლ. მაკარიევის „ტიმოშკას წყარო", ს. როზოვის „იყავ მზად", „ბალდა" პუშკინის ზღაპრის მიხედვით და ნ. სმირნოვისა და ს. შჩერბაკოვის „აფეთქება".

1928 წელს თებერვალში რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა თეატრი საგასტროლოდ მიავლინა ბაქო-ბალაჯარში, რკინიგზის ბაქოს კვანძის სკოლების მომსახურების მიზნით. ბაქოს მუშათა წრეებსა და ინტელიგენციაში დიდი მოწონება ხვდა წილად თბილისის თეატრის სპექტაკლებს: „აფეთქებასა" და „ბალდას". ამ გასტროლებმა ნაყოფიერი შედეგი გამოიღო — ძალიან მალე ბაქოშიც ჩამოყალიბდა მოზარდთა თეატრის ორი — აზერბაიჯანული და რუსული დასები, ცოტა უფრო გვიან სომხეთშიც, ქ. ლენინაკანში შეიქმნა მოზარდთა თვითმოქმედი თეატრი.

არსებობის ერთი წლისთავზე თეატრთან შეიქმნა მუზეუმი, სადაც აისახა ჩატარებული მუშაობა.

ჩვენი ქვეყნის სხვა თეატრების მაგალითისამებრ, თბილისის მოზარდთა თეატრმა ამიერკავკასიის ჯარების ერთ-ერთი პოლკის შეფობა იკისრა და პერიოდულად ყველა თავის დადგმას უჩვენებდა ამ პოლკის მებრძოლებს.

რუსული მოზარდის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დირიჟორობდა პოლიკარპე ფალიაშვილი და რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მუსიკის მოყვარულები ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშებიდან და სამმართველოს თანამშრომლებიდან, თეატრში ძირითადი სამუშაოს გარდა კვირაობით, დღევანდელ ოფიცერთა სახლის შენობაში, თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის კონცერტებსაც მართავდა. სადირიჟორო პულტთან იდგნენ მაშინ ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტები შალვა აზმაიფარაშვილი და ოდისეი დიმიტრიადი.

დრო გადიოდა, თეატრი იზრდებოდა და შეუძლებელი ხდებოდა მოზარდი, პოტენციური კოლექტივის სარდაფებში დატოვება. პრესაში ქვეყნდებოდა წერილები, რომელთა ავტორები დაბეჯითებით მოითხოვდნენ გაეუმჯობესებინათ თეატრის სამუშაო პირობები და მიეცათ მისთვის კინოთეატრ „ოდეონის" შენობა. ამასვე მოითხოვდა მთელი საზოგადოებრიობა, ვის მხარდაჭერასაც თეატრი მუდამ გრძნობდა.

1929 წელს, დიდი ხნის ცდის შემდეგ, მთავრობის გადაწყვეტილებით თეატრს გადაეცა კინოთეატრ „ოდეონის" ყოფილი შენობა. ამ დღიდან კიდევ უფრო ფართოდ გაშალა თეატრმა მუშაობა და იმავე წლის მარტში, უკვე ახალ შენობაში წარმოადგინა თავისი მეთხუთმეტე დადგმა „მარადიულ ყინულეთში". თუმცა ჯერჯერობით კვლავ თვითმოქმედ თეატრად რჩებოდა და სპექტაკლებს მხოლოდ შაბათობით და კვირაობით მართავდა. დანარჩენ დღეებს კი ანდომებდა დადგმების მზადებას და ბავშვთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, რასაც თავის ძირითად მოვალეობად და დანიშნულებად სთვლიდა.

თეატრის პედაგოგიურ ნაწილს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა თბილისის სკოლებთან, მათთან ერთად იმუშავებდა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისთვის საჭირო ღონისძიებებს, განიხილავდა რეპერტუარს, არჩევდა სპექტაკლებს. თეატრის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხშირად იმართებოდა ცხარე კამათი თეატრის შემოქმედებით საკითხებზე, მის მიმართულებასა და სპეციფიკაზე. კამათი ეხებოდა საკითხს, როგორ უნდა ითამაშონ მსახიობებმა ბავშვებისთვის. ნაწილი იშველიებდა სტანისლავსკის მოსაზრებას: ბავშვებისთვის ისევე უნდა ითამაშონ, როგორც მოზრდილებისთვის და კიდევ უფრო უკეთესადაც. ნაწილი კი ეთანხმებოდა ამ აზრს, მაგრამ, ითვალისწინებდა რა მოზარდთა თეატრის სპეციფიკას, აღნიშნავდა, რომ აქ სპექტაკლის დამთავრებით არ წყდება მაყურებელზე ზრუნვა, რომ თეატრი შემდეგაც უნდა ეხმარებოდეს სკოლას ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ასეთი კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა საინტერესოს ხდიდა მუშაობას, ზრდიდა პასუხისმგებლობას, მომავლის ამოცანებს. ამტკიცებდა კავშირს სკოლებთან. თეატრის დასახმარებლად სკოლებში შეიქმნა უჯრედები, რომლებშიც შედიოდნენ მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები. უჯრედების წევრები ადგილებზე აწყობდნენ სპექტაკლების განხილვას.

თეატრთან ჩამოყალიბდა მხატვრული თვითმოქმედების, ლიტერატურულ-ისტორიული, მათემატიკური, ქორეოგრაფიული, მუსიკალური, მეჩონგურეთა წრეები.

30-იან წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში წამოყენებულ იქნა ლოზუნგი „რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა სწყვეტს ყველაფერს", მოზარდთან შეიქმნა ნორჩ ტექნიკოსთა წრეები: ავიომოდელისტთა, ხელსაქმის ოსტატთა, ნორჩ რკინიგზელთა, სადაც ბავშვებს უღვიძებდნენ ტექნიკის სიყვარულს. ამ წრეებში დაიბადა იდეა თბილისში საბავშვო რკინიგზის მშენებლობისა. იდეამ ფრთები შეისხა კიდეც ვ. ი. ლენინის სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერ-



პაველ კორჩაგინი — ე. პასილაშვილი
(„დრამატული სიმღერა“)

თა ინსტიტუტის ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით. ნორჩმა ტექნიკოსებმა მომავალი რკინიგზის გეგმაც შეადგინეს, თბილისის მოსწავლეებისაგან შედგა აგრეთვე მშენებელთა ბრიგადები, რომლებშიც 500 მოსწავლე ახალგაზრდა გაერთიანდა. მათ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, უფროსკურსელთა დახმარებით შეისწავლეს რკინიგზის ექსპლოატაციის წესები და რკინიგზის სამსახურის ყველა სახეობა.

1934 წლის შემოდგომაზე რკინიგზელთა კლუბის, ახლა სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ხეივნებში დაიწყო მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები. 1935 წლის 24 ივნისს დამთავრდა მშენებლობა. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო და ამაში განსაკუთრებული წვლილი მოზარდთა თეატრს მიუძღვის.

თბილისის რუსული მოზარდის ეს ინიციატივა აიტაცეს ჩვენი ქვეყნის მსხვილმა ქალაქებმა და ამჟამად საბავშვო რკინიგზების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში 50-ს აღწევს.

სამამულო ომის წლებში ნორჩმა რკინიგზელებმა თავიანთ დეპოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შეკვეთა შეასრულეს, რისთვისაც უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა და ფულადი ანაზღაურება დაიმსახურეს. ბრიგადების საერთო კრების გადაწყვეტილებით ეს ფული გადარიცხეს ომის საჭიროებისთვის.

თეატრის პედაგოგიურმა ნაწილმა თეატრის არსებობის პირველივე დღეებში დააარსა კედლის გაზეთი „მოზარდი მაყურებლის ხმა“. ამ გაზეთში ათავსებდნენ მოსწავლეთა, პედაგოგთა თუ მშობელთა გამოხმაურებებს სპექტაკლებზე, თეატრის პედაგოგიური ნაწილის მუშაობაზე, აქვე ნახავდით ბავშვების ჩანახატებს.

მესამე სეზონის დაწყებისათვის დაარსდა ბეჭდური კედლის გაზეთი „მოზარდის მოამბე“, რომელიც თვეში ორჯერ გამოდიოდა, მას იღებდნენ სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, სახალხო განათლების განყოფილებები, აკრავდნენ კლასებში. ამგვარად, ბავშვები მუდამ იყვნენ თეატრში მომხდარი ამბების საქმის კურსში, თეატრი მათთვის უცხო არ იყო.

1932-33 წლების სეზონში, თეატრის მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით, ორკვირიანი გაზეთი ვეღარ ასახავდა თეატრის საქმიანობას, ცხოვრებას. ისტორიისა და ლიტერატურის წრეში თანდათან მომწიფდა აზრი საკუთარი მრავალტირაჟიანი გაზეთის შექმნისა. იგი დაარსდა კიდეც „ოქტომბრის შვილების“ სახელწოდებით. ამ გაზეთში ყველაფერს ბავშვები აკეთებდნენ: საკუთარი ხელით აწყობდნენ, კრავდნენ გვერდებს, ასწორებდნენ, ბეჭდავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გამოცდილი მუშების ხელმძღვანელობით, „ოქტომბრის შვილებმა“ უდიდესი როლი შეასრულა მოსწავლეთა სულიერი სამყაროს, მათი მოქალაქეობრივი სახის ჩამოყალიბებაში, თეატრთან მოსწავლეთა დაახლოების საქმეში. ამ გაზეთის ბევრი კორესპონდენტი დღეს გამოჩენილი მწერალი და ჟურნალისტია.

1936 წელს მოზარდთა თეატრი გადავიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უწყებაში და სახელმწიფო თეატრი ეწოდა. შეიცვალა და გაფართოვდა რეპერტუარი. ახლა უკვე ყველა ასაკის მოსწავლეებისათვის იყო გათვალისწინებული სპექტაკლები. უფროსი და საშუალო კლასებისათვის განსაზღვრული იყო კლასიკოსებისა და საბჭოთა დრამატურგების პიესების დადგმა, უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის ძირითადში ზღაპრები იდგმებოდა. რეპერტუარი ისე ირჩეოდა, რომ დახმარებოდა მოსწავლეებს სასკოლო პროგრამის ათვისებაში, ძირითადად ლიტერატურასა და ისტორიაში.

თეატრის ერთი ძირითადი მიზანთაგანი იყო გაეცნო თბილისის რუსული სკოლების მოსწავლეებისათვის ქართული დრამატურგიის ნიმუშები. ამ მიზნით რამდენჯერმე დაიდგა გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“, მას შეუნელებელი ინტერესით ეცნობოდნენ ნორჩი მაყურებლები, დიდი წარმატებით იდგმებოდა გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, „რისთვის“ — ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელაზედ“, ინსცენირებული ა. ალექსიძის მიერ, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“ და ა. წერეთლის „პატარა კახი“.

თეატრის რეპერტუარში სხვადასხვა პერიოდში იყო შექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირის — ,,რომეო და ჯულიეტა'', შილერის ,,ყაჩაღები'', გოგოლის ,,ქორწინება'', ალ. ოსტროვსკის ,,უეცარი სიმდიდრე'', ,,რაც არ გერგება, არ შეგერგება'', ,,სიღარიბე საძრახისი როდია'', ,,შინაურები ვართ, მოვრიგდებით'', ,,ჭექა-ქუხილი'', ,,უდანაშაულო დამნაშავენი'', ნ. ოსტროვსკის ,,როგორ იწრთობოდა ფოლადი''. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებული იყო სასკოლო ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებზე ,,ცისფერი და ვარდისფერი'', ,,თეთრად ფრიალებს აფრა ეული''.

მოსწავლე-ახალგაზრდებში პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდა თავიდანვე იყო მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მოწოდება, ამიტომ რეპერტუარში მუდმივად იყო სპექტაკლები, შთამბეჭდავად რომ მოუთხრობდნენ ბავშვებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობაზე, ლენინური იდეების ტრიუმფზე, ასეთები იყო ,,პოლკის შვილობილი'', ,,შეხვედრა სიბნელეში'', ,,სახლი მაღლობზე'' და მრავალი სხვა.

თეატრი არც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ტოვებდა უყურადღებოდ. მაშინ როცა ქართული თოჯინების თეატრის ფუძემდებელი ა. მიქელაძე უკვე მართავდა სპექტაკლებს თბილისის საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი კლასების ბავშვებისთვის, რუსული მოზარდის სამხატვრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოზარდთა თეატრის ბაზაზე შექმნილიყო თეატრი ყველაზე პატარა მაყურებლებისთვის.

ასე ჩაეყარა საფუძველი თოჯინების რუსულ თეატრს 1928 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ისტორია, მან ჩქარა შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ გვიან, რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის არსებობის ათი წლისთავზე, კვლავ აღდგა მისი საქმიანობა, ახლა უკვე პროფესიულ საწყისებზე და დღეს თოჯინების რუსულ თეატრს თავისი მაღალპროფესიული დადგმებით დიდი წვლილი შეაქვს სკოლამდელი და უმცროსი კლასების ბავშვების ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

მოზარდ მაყურებელთა რუსულ სახელმწიფო თეატრში მუდამ ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო იყო დამკვიდრებული. ყოველი ახალი დადგმა მზადდებოდა ენთუზიაზმით, შემართებით, გატაცებით. აქ აღიზარდნენ შესანიშნავი თეატრალური მოღვაწეები, რომელთაგან ბევრი დღეს სიამაყით იხსენებს, რომ ამ თეატრის კედლებში გადადგა თავისი შემოქმედების პირველი ნაბიჯები.

აქ, ამ თეატრში, ითამაშა თავისი პირველი როლი, როგორც სცენისმოყვარემ, ახლა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა გამოჩენილმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ტოვსტონოგოვმა, აქვე სცადა მან პირველად რეჟისორული ბედი და ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დადგა ჩეხოვის ,,წინადადება'', გოგოლის ,,ქორწინება''. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც რამდენიმე დადგმა განახორციელა მოზარდთა რუსულ თეატრში. გ. ტოვსტონოგოვი დღესაც მადლიერებით იხსენებს თავის მასწავლებელს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნიკოლოზ მარშაკს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ევგენი ლებედევი სიყვარულით იხსენებს 1940-41 წლების სეზონს, როდესაც მან, თბილისის რუსული მოზარდის სცენაზე ითამაშა მეფე თეიმურაზის როლი ,,პატარა კახში''.

ბაქოს რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ენვერ ბეიბუთოვი

სცენა სპექტაკლიდან ,,ბუმბარაში''



1930 წელს ამ თეატრში მუშაობდა. როსტოვის დრამატული თეატრის დირექტორი ს. პონომარიოვი ჩვენი რუსული მოზარდის ყოფილი მსახიობი და რეჟისორის თანაშემწეა. შორს წაგვიყვანს ყველას ჩამოთვლა, ვინც შემოქმედებითი გზა იმ თეატრში დაიწყო.

დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობთა საკონცერტო ბრიგადები ემსახურებოდნენ სამხედრო ნაწილებს, ჰოსპიტლებს, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებს, სადგურზე აცილებდნენ ომში მიმავალთ. ათასზე მეტი კონცერტი გამართეს ამ ბრიგადებმა, რაც აღნიშნულია კიდეც რესპუბლიკის სამხედრო-საშეფო კომისიის მასალებში.

1955 წლის 12 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში მოეწყო საღამო, რომელიც მიეძღვნა ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრების არსებობის 25 წლისთავს. ეს საღამო იყო ორივე თეატრის მიერ წლების მანძილზე გაწეული შრომის ღირსეული დაფასება, იმ წვლილის აღიარება, რაც ამ თეატრებმა გაიღეს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის დიდ საქმეში.

მოზარდთა რუსული თეატრის რეპერტუარის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება კოლექტივის მიმართ. თეატრი თანდათან იმკვიდრებდა სცენური სიმართლისთვის მებრძოლი თეატრის სახელს, თავისი დადგმებით გმირობას, შემართებას რომ უნერგავდა მოზარდ თაობას, ენერგიას რომ არ იშურებდა მათი სულიერი სამყაროს გაფართოებისთვის. ამ კოლექტივში ხომ გაერთიანებული არიან პედაგოგები, რომლებიც აზროვნებენ როგორც შემოქმედნი, და შემოქმედნი, რომლებიც აზროვნებენ როგორც პედაგოგები. ასე იქმნებოდა თეატრის ,,ოქროს ფონდი‘‘, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილ სპექტაკლებთან ერთად შევიდა აგრეთვე ,,ბიძია თომას ქოხი‘‘, ,,ალისფერი ყვავილი‘‘, ,,ჩექმებიანი კატა‘‘, ,,კუზიანი კვიცი‘‘, ,,ცისფერი და ვარდისფერი‘‘, ,,თავადი მსტისლავ მამაცი‘‘ და სხვ.

სათანადოდ დაფასდა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მოღვაწეობაც.

მთავრობის დადგენილებით ბევრ მსახიობს მიენიჭა საპატიო წოდება, რესპუბლიკის სახალხო არტისტისა — ო. ბელენკოს, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტისა მ. ბუბუთეიშვილს, ა. იუდინს, ჩ. კიროვას, თ. პაპიტაშვილს, ა. ენგელგარდტს, ო. ორიოლს, ი. აივაზოვს, გ. მალიშევას, ი. ბალას, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა — მ. რუსლანოვს და კ. ვაისერმანს.

ყოველწლიურად იზრდებოდა მაყურებელთა რიცხვი, რამაც დააყენა თეატრისთვის ახალი შენობის აგების აუცილებლობა და ამჟამად მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი ახალ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ შენობაში მუშაობს და წარმატებით ასრულებს თავის კეთილშობილურ მისიას — მომავალი თაობის, ჩვენი ხვალინდელი დღის ადამიანის აღზრდის მისიას.

ახლა თეატრის მსახიობთა ამ ნაცად, ძველ გვარდიას მხარს უმშვენებს ნიჭიერი ახალგაზრდობა: ე. ბასილაშვილი, ლ. პარფიროვა, ს. შველიძე, ს. და ვ. ვინოგრადოვები, ს. ვარდანიანი, ტ. კირიჩენკო, ა. მუზიკანტოვა, ლ. ლობოვა, ს. კარნიუშინა და სხვები.

ეს კი იმის საწინდარია, რომ საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი თეატრის კოლექტივი კვლავაც მრავალჯერ მიანიჭებს სიხარულს ჩვენს მოზარდ თაობას.



სცენა სპექტაკლიდან „ქორწილი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 50 მსახიობთა შესანიშნავი თაობები

ნადეჟდა ჯაფარიძე

საბავშვო თეატრი დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავ მიღწევათაგანია. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველსავე დღეებში, მომავალი თაობის აღზრდის სფეროში წამოჭრილ სხვა ამოცანებთან ერთად დადგა აგრეთვე საკითხი ბავშვებისათვის სპეციალური თეატრის ჩამოყალიბების შესახებ.

უკვე 1918 წლის მაისში სახალხო განათლების კომისარიატის თეატრალურ განყოფილებასთან შეიქმნა მუდმივმოქმედი ბიუროები, აგრეთვე საბავშვო თეატრისა და ზეიმების მომწყობი საბჭო. იმავე წლის ნოემბერში კი გაიხსნა მოსკოვის საბჭოს პირველი სტაციონარული საბავშვო თეატრი, ხოლო 1922 წელს — ლენინგრადში დაარსდა მეორე სტაციონარული თეატრი. შემდეგ „მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაისახა და განვითარდა მოზარდ მაყურებელთა თეატრები“ (გაზეთი „პრავდა“ 6 ივნისი, 1936 წელი).

საქართველო ერთი პირველთაგანი იყო ამიერკავკასიაში, სადაც აღმოცენდა სპეციალური თეატრი ბავშვებისათვის. 1927 და 1928 წლებში თბილისში თითქმის ერთდროულად დაიწყო ქართული და რუსული მოზარდთა თეატრების საქმიანობა, შემდეგ — სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ თეატრების დამაარსებელნი ეხმარებოდნენ პატარებს დიდი და უცნობი სამყაროს შეცნობაში, აფიქრებდნენ მათ ცხოვრებისეულ პრობლემებზე.

მოზარდთა თეატრის რეპერტუარი უსაზღვროდ ვრცელია. პოეტური მომხიბვლელი ზღაპრის გვერდით აქ ნახავთ კლასიკურ ტრაგედიასაც და თანამედროვე პიესასაც. მაგრამ აქვს ამ თეატრს თავისი, საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თემატიკა. ეს არის თეატრის უშუალო მაყურებლის ყოველდღიური საქმიანობა, მათი ხიფათისა და მღელვარების ამსახველი პიესები.

პიესები ბავშვების შესახებ — ეს მხოლოდ და მხოლოდ საბავშვო თეატრის დამსახურებაა.

ახალი გმირის აღმოჩენას, ბავშვისა და მოზარდის გრძნობათა და აზრთა წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ფაქიზ წვდომას საბჭოთა თეატრალური ხელოვნება უნდა უმადლოდეს მსახიობ ქალებს — მოზარდ მაყურებელთა თეატრის აღმზრდელებს, როგორც მათ უწოდებენ, ტრავესტებს.

რევოლუციამდელ თეატრში ბავშვების როლებს კი ხშირად მსახიობი ქალები თამაშობდნენ.

„ტრავესტის ამპლუა ძველ თეატრში, — წერდა ა. ბრიანცევი, — საკმაოდ ვიწრო და ძალზე დაშტამპული კატეგორიაა, აქ ეპიზოდური როლის შესასრულებლად ძირითადად საჭიროა მიახლოებით გარეგნული მსგავსება. (ა. ბრიანცევის პირადი არქივი).

ამიტომ მათ მიერ შესრულებული როლები უფრო ხშირად ზერელე და ნაკლებ დამაჯერებელი იყო ხოლმე და მხოლოდ საბჭოეთის საბავშვო თეატრმა აიყვანა ხელოვნების დონეზე ბავშვთა სახეების შესრულება.

მსახიობ-ტრავესტთა შესანიშნავი პლეადიდან, რომელთაც ჩვენი ქვეყნის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში უმუშავიათ, სიამაყით შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი, თბილისელი მსახიობები გოგუცა კუპრაშვილი და თამარ თვალიაშვილი ქართული მოზარდიდან და მარიამ ბუბუთეიშვილი და ჩარა კიროვა — რუსულიდან. მათ თავიანთი განუმეორებელი სცენური სახეებით თვალსაჩინო ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა საბავშვო თეატრის ისტორიაში.

მარიამ ბუბუთეიშვილი და ჩარა კიროვა რუსულ მოზარდთა თეატრში მოვიდნენ ჯერ კიდევ მისი არსებობის პირველ წლებში და შექმნეს ამ თეატრის ისტორიის მთელი ეპოქა. მაშინ თეატრი სანახევროდ მოყვარული იყო. ორივე მსახიობის

ეროვნული ბიბლიოთეკა



სცენა სპექტაკლიდან „ნაცარქექია"
დედა — ა. ბოლცანი, ვახუშტი — მ. ბუბუთეიშვილი, მამა — ლ. რომანოვი

დებიუტი ,,ბიძია თომას ქოხში" შედგა. ბუბუთეიშვილი ასრულებდა ტოპსის როლს, კიროვა — ფანიას.

ტოპსის როლი ბებუთეიშვილმა სრულიად მოულოდნელად მიიღო. მაშინ იგი მეცხრე კლასში სწავლობდა და თეატრზე მხოლოდ ოცნებობდა. ერთმა ნაცნობმა მსახიობმა მიიყვანა თეატრში და რეჟისორ მ. ვახნიანსკის გააცნო. რეჟისორმა გოგონას ტოპსის როლი გადასცა და იქვე წაიყვანა სარეპეტიციოდ. შთაბეჭდილება კარგი იყო, გოგონამ ყველა მოხიბლა გულწრფელობით და იგი მიიღეს თეატრში.

აღმოჩენა იყო თეატრისთვის ჩარა კიროვაც (მისი ნამდვილი გვარია შლაინი). თეატრის ხელმძღვანელებმა იგი პირველად გამოცდაზე ნახეს მუშათა თეატრის დასში და თავიანთ თეატრში მიიწვიეს.

ბუნებით მომხიბვლელი, ემოციური და უშუალო კიროვა მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის იყო დაბადებული. ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა იგი გოგონებისა და ბიჭების როლებში და ქმნიდა დასამახსოვრებელ სახეებს.

ორივე მსახიობი ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად: ბუბუთეიშვილი უფრო ძლიერი იყო, მკვეთრი, მგზნებარე სულით, ანთებული თვალებით, ჰეროიკულ-რომანტიკული საწყისებით. კიროვა კი სილბილის, მომხიბვლელობის, სინაზის განსახიერება. მისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ლირიკული ხასიათის როლები.

თითქმის ყველა სპექტაკლში, სადაც გმირები ბავშვები იყვნენ, ისინი ერთად თამაშობდნენ. მაგალითად, სპექტაკლში ,,თეთრად ფრიალებს აფრა ეული" ბუბუთეიშვილი გავრიკის როლს ასრულებდა, კიროვა — პეტიას, ,,ტომ სოიერში" — პირველი ტომი იყო, მეორე — ჰეკი, ,,თოვლის დედოფალში" — მარიამი კაის როლს ასრულებდა, ჩარა — ჰერდას, ,,ოქროს გასაღებში" ერთი ბურატინო იყო, მეორე მალვინა და ა. შ. გარდა ამისა, მათ ხშირად ერთი და იგივე როლის თამაშიც უხდებოდათ და თითოეული მათგანი, საკუთარი მონაცემებიდან და ნიჭიდან გამომდინარე, თავისებურად უდგებოდა გმირს. ამის დამადასტურებელია მათ მიერ კატის როლის განსახიერება ,,ჩექმებიან კატაში".

კიროვამ შექმნა ბრწყინვალე რაინდი-კატის სახე, ბუბუთეიშვილმა წარმოაჩინა მდაბიო კატა. საინტერესოა, რომ ბუბუთეიშვილი ამ როლს დამოუკიდებლად ამზადებდა, ვინაიდან სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორ გიორგი ღვინიაშვილს ამ როლის შესაფერად მხოლოდ კიროვა მიაჩნდა. სპექტაკლის მხატვარმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ირინე შტენბერგმა ბუბუთეიშვილის თხოვნით დაუხატა მას ესკიზი, რის მიხედვითაც მსახიობმა შექმნა სრულიად სხვაგვარი სახე, ვიდრე პირველმა შემსრულებელმა და მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა კიდეც მას სცენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუბუთეიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტომს („ტომ სოიერის თავგადასავალი“ — რეჟისორი ნ. მარშაკი, ახალგაზრდა დიპლომანტ-რეჟისორ მ. რეხელსთან თანამშრომლობით). ონავარი გმირი — ტომი ბებუთეიშვილის შესრულებით გადაუშლიდა ბავშვებს მათი საყვარელი პერსონაჟის ხიფათიან თავგადასავალს, მარკ ტვენმა ასე მომხიბვლელად რომ დახატა თავის ნაწარმოებში. მსახიობს აქამდეც არაერთი ბიჭის როლი ჰქონდა შესრულებული, მაგრამ ტომმა განსაზღვრა მისი ძირითადი ამპლუა — ბიჭი — გმირი, ნიჭიერი, მამაცი, თამამი. ეს პირველი წარმატება მსახიობისათვის წინა წლების ძიებათა შედეგი და მომავლის განაცხადი იყო. აქედან გავიდნენ ცხოვრებაში მისი გმირები: გავრიკი („თეთრად ფრიალებს აფრა ეული“), გავროში („განკიცხულნი“), პავლიკ მოროზოვი („პავლიკ მოროზოვი“), ალიოშა („გორკის ბავშვობა“), დიმკა („რევოლუციური სამხედრო საბჭო“ გაიდარის მიხედვით), ჰეკლბერი ფინი („ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“) და მრავალი სხვა.

„თოვლის დედოფლის“ — რუსული მოზარდთა თეატრისათვის საეტაპო სპექტაკლის წარმატება დაკავშირებული იყო კიროვას სახელთან, რომელმაც შეძლო შეექმნა ჰერდას — ანდერსენის ზღაპრის მთავარი გმირის — მართალი სახე. მოსიყვარულე, ნაზი, გულწრფელი და მზრუნველი მეგობრების მიმართ და შეუპოვარი ბოროტ ძალებთან ბრძოლაში — ასეთი იყო კიროვას ჰერდა. მას არ ეშინია არავისი. მან თავისი თავდადებულობით და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენის წყალობით იხსნა კაი თოვლის დედოფლის ტყვეობიდან. როგორც პრესა აღნიშნავდა, ამ როლში მსახიობმა დიდ შემოქმედებით წარმატებას მიაღწია.

„ძველ ინგლისში“, რომელსაც ასევე საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა თეატრისათვის, კიროვამ ითამაშა პატარა ბიჭის დანიელის როლი. ვოლრადის მიერ დიკენსის „დავით კოპერფილდისა“ და „ოლივერ ტვისტის“ მიხედვით დაწერილი პიესა ამხელდა კაპიტალისტური საზოგადოების არსს. პატარა დანიელი და მისი სუსტი ნებისყოფიანი დედა ხდებიან სწორედ ამ საზოგადოების მსხვერპლნი. დანიელის მწარე ხვედრი მოზარდი მაყურებლის თანაგრძნობას იწვევდა. კიროვას დანიელი ისეთი მომხიბლავი, სუფთა, კეთილშობილი იყო, რომ მაყურებელი სხვა მსახიობს ვერც წარმოიდგენდა. მაგრამ მარტო ეს როდი ხიბლავდა მაყურებელთა დარბაზს. კიროვამ ამ როლით დაადასტურა თავისი შემოქმედებითი სიმწიფე, ინდივიდუალობა, უნარი ღრმა საინტერესო სახეების შექმნისა.

თითქოს ზღაპრიდან გადმოდიოდა სცენაზე კონკია-კიროვა სპექტაკლში „კონკია“, ავი, ანჩხლი დებისა და ბოროტი დედინაცვლის გვერდით კონკია კიროვას შესრულებით იყო სიწმინდის, კეთილშობილების, სინაზისა და სიკეთის განსახიერება. რამდენ გამომგონებლობას ავლენდა მსახიობი სამზარეულოში გამართული „მეჯლისის“ სცენაში, მისთვის ჩვეული მუსიკალობით მღეროდა და ცეკვავდა მსახიობი „წარმოსახვით სტუმრებთან“, როგორც ნამდვილ მეჯლისზე. და უდიდეს სიხარულს ანიჭებდა მაყურებელს, რადგანაც „მაყურებელი ყოველთვის კმაყოფილი რჩება, როცა მის წარმოდგენაში დიდი ხნის წინათ აღბეჭდილ სახეს მსახიობი განახორციელებს გამოკვეთილად, სიმართლით“. (დ. მუმლაძე, გაზ. „მოლოდორი სტალინეც“ 1955 წ 4/X). სწორედ ასეთი იყო კიროვა კონკიას — მოზარდი მაყურებლის საყვარელი გმირის როლში.

რა შესანიშნავი იყო კიროვას შესრულებით ჩიპოლინო (ჯანი როდარის „ჩიპოლინოს თავგადასავალი“). ეს იყო ხილბოსტნის ქვეყნის მომხიბვლელი, ლაღი ბიჭუნა. ბუბუთეიშვილის ჩიპოლინო გამოირჩეოდა სიმკაცრით, უხეშობით, სერიოზულობით. ბუბუთეიშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველთვის თავისი გზით მიდიოდა. იგი როლზე გულმოდგინედ, თავდადებით მუშაობდა, მომავალი გმირის სიარულის მანერას, ჟესტებს, ხასიათს ეძებდა უშუალოდ იმ ბავშვებში, ვისთანაც მეგობრობდა. ბურატინოს სა-

სცენა სპექტაკლიდან „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“
ჰეკი — ნ. ნელიუბოვა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეზე მუშაობისას მან მიაგნო შესაფერის ზუსტ სიარულს და სცენაზე ისე დადიოდა, როგორც ნამდვილი ხის თოჯინა, ფეხებს რომ არ ღუნავს და ნახევრად მოხრილი მკლავებით მკვეთრ მოძრაობას აკეთებს, თვალები, როგორც ორი პატარა ბურღი, ხვრეტდნენ მოსაუბრეს, თითქოს უნდათ მის სულში ჩაიხედონ და შეიტყონ რა ხდება იქ. ბებუთეიშვილის ბურატინო ნამდვილი ხის კაცუნა იყო, ცნობისმოყვარე, ცოდნის მოყვარული და გულკეთილი. ამ როლმა დამსახურებული წარმატება მოუტანა მსახიობს.

დიდი წარმატებით თამაშობდა მარიამ ბუბუთეიშვილი ბავშვების საყვარელ გმირს, უშიშარსა და თავზეხელაღებულ გავროშს სპექტაკლ ,,განკიცხულნში‘‘. და თუმცა ეს როლი სპექტაკლში არ იყო ცენტრალური, მსახიობმა ჩვეული თავდადებით შექმნა პატარა გმირის სახე და იგი მსახიობის რეპერტუარის მშვენებად იქცა.

ოცდაათი წელი მუშაობდნენ მსახიობები თეატრში. თვითეულმა მათგანმა ასამდე დიდი თუ პატარა როლი შეასრულა. შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა. განა მარტო ბავშვებს წარმოსახავდნენ ისინი სცენაზე? მოზრდილებსაც. მაგრამ სწორედ მათ მიერ განხორციელებულმა გოგონებისა და ბიჭუნების სახეებმა ჩაწერეს რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიაში ნათელი ფურცელი. ესენია: ბუბუთეიშვილის დიმკა და კიროვას ჟიგანი სპექტაკლ ,,რევოლუციურ სამხედრო საბჭოში‘‘; ბუბუთეიშვილი ჩხუბისთავი კაზაკი ვოსკრესენსკი და კიროვას ეშმაკი და კერპი ვანია სოლნცევი კატაევის ,,პოლკის შვილობილში‘‘; კიროვას მომხიბვლელი, შრომისმოყვარე, ალალი მაშენკა აფინოგენოვის ,,მაშენკაში‘‘, ბუბუთეიშვილის ყეყეჩი და მსუნაგი ვახუშტი ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექიაში‘‘, ნაზი და უხეში, ურჩი და ალერსიანი ჟენია სპექტაკლ ,,ცისფერსა და ვარდისფერში‘‘.

დღეს ეს ყველაფერი უკვე რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიაა. დრო გადის, იცვლება მსახიობთა თაობა, მაგრამ ბუბუთეიშვილისა და კიროვას დიდი შემოქმედებითი შრომით ჩაყრილმა საფუძველმა თავისი გაგრძელება და განვითარება ჰპოვა სხვა მსახიობტრავესტთა სახით.

1948 წელს მოვიდა თეატრში ახალგაზრდა მსახიობი სვეტლანა ევანგელიდი. მას ამ დროისთვის უკვე გავლილი ჰქონდა კარგი სკოლა სარატოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, ცნობილი რეჟისორის ი. კისელიოვის ხელმძღვანელობით. როდესაც იგი თბილისის მოზარდში მოვიდა, ყველა საბავშვო როლს თამაშობდნენ ბუბუთეიშვილი და კიროვა, ბუნებით მოკრძალებულმა ევანგელიდიმ ერთბაშად ვერ მიიქცია ყურადღება რეჟისორისა. პირველად იგი შენიშნეს ,,გორკის ბავშვობაში‘‘, როდესაც ჩუმი და წყნარი გოგონა კატიას როლი შეასრულა და გააოცა ყველა რაღაც არაჩვეულებრივი შინაგანი სხივით. ამის შემდეგ არაერთი გოგონას როლი განასახიერა მან მოზარდის სცენაზე: ტოპსი (,,ბიძია თომას ქოხი‘‘), მაშა (,,თალგამი‘‘), ნადია (,,ცხოვრების ფურცლები‘‘), პრინცესა (,,თოვლის დედოფალი‘‘), ნასტია (,,ივანე რიბაკოვი‘‘), ნადეჟდა (,,სახლი განაპირას‘‘), ლუიზა (,,უთავო მხედარი‘‘) და მრავალი სხვა. ყოველი მათგანი გამოირჩეოდა სიმართლით, ცხოვრების ღრმა ცოდნით. გმირის ბიოგრაფიას სცენაზე იგი იწყებდა აუჩქარებლად, ცარიელ ადგილზე და მიდიოდა აღმავალი ხაზით, თანდათანობით იპყრობდა მაყურებელთა დარბაზის ყურადღებას.

ევანგელიდის ფხიზელი გონება და ემოციურობა ახასიათებდა ერთდროულად. ამიტომ მისი გმირები გამოირჩეოდნენ ადამიანთა ხასიათების გახსნის სიღრმით. ეს კი მაყურებელს ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებს, რადგან თუ მსახიობი თავისებურად, ახლებურად, მოულოდნელად გადმოსცემს უკვე ცნობილ ჭეშმარიტებას, მაშინ მაყურებელიც მას სავსებით ახლებურად აღიქვამს. ეს კი მთავარია ხელოვნებაში.

განსაკუთრებით ეხერხებოდა ევანგელიდის გოგონებისა და ქალიშვილების სახეები. ძალიან ზუსტად და მართლად წარმოაჩენდა გარდამავალი ასაკის მოზარდის რთულ შინაგან სამყა-



სცენა სპექტაკლიდან „თოვლის დედოფალი“
გერდა — გ. კიროვა, კაი — მ. ბუბუთეიშვილი.

როს, ძალზე მნიშვნელოვანს და რთულს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ერთი ასეთი როლთაგანი იყო ნატაშა ლ. კულიჯანოვისა და ი. სეგალის პიესაში ,,ჩვენი ქალიშვილი“.

ბავშვის სულიერი სამყაროს დიდი ცოდნით გახსნა ევანგელიდიმ შინაგანი ბუნება 14 წლის გოგონასი, რომელსაც ცხოვრებაში რთული პრობლემების გადაჭრა არგუნა ბედმა. მსახიობმა, ხსნიდა რა სულ ახალ-ახალ მხარეებს მისი ხასიათისას, სცენაზე წარმოსახა გოგონას სულიერი ზრდის პროცესი.

ევანგელიდი თავისი ნიჭისა და გონების წყალობით სცენაზე ყოველთვის მართალი და გულწრფელი იყო. პატარა როლშიც კი დიდი სიცოცხლით ცხოვრობდა. მაგალითად, ბორის პოლევოის ,,ამბავი ნამდვილი ადამიანის“ მიხედვით შექმნილ სპექტაკლში მან ითამაშა ქალიშვილის როლი, რომელიც თავისი ზურგით მიათრევს დაჭრილ ჯარისკაცს და ფაშისტის ტყვიით იღუპება. სცენაზე პირველივე გამოჩენისას მაყურებელი ხედავდა სანდომიან, მორცხვ, სათნო და ამავე დროს, ძლიერ ქალიშვილს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სიკვდილის სცენა. ფართოდ გახელილი, გაოცებული თვალები საყვედურით შეხედავდნენ უკანასკნელად სამყაროს... მაყურებელი შეძრწუნებული რჩებოდა. ქალიშვილის სიკვდილი თანაგრძნობას კი არ იწვევდა მასში, არამედ პროტესტს ომის სისასტიკისა და უაზრობის გამო.

ევანგელიდი ხშირად ასრულებდა ბუბუთეიშვილისა და კიროვას ნათამაშევ როლებს, სადაც მისი ნიჭის ახალი მხარე გაიხსნა — წარმატებით გაართვა თავი ონავარი ბიჭების გასცენიურებას. იგი ჩასწვდა ბუბუთეიშვილის ჰეროიკულრომანტიკულ ბიჭებს და ახალი შინაარსით გაამდიდრა ისინი. მისი ბიჭები, ბუბუთეიშვილის ბიჭებისგან განსხვავებით, თავშეკავებულნი იყვნენ გრძნობების გამჟღავნებაში, კრიტიკულად და გამომცდელად უყურებდნენ ყველაფერს, ცდილობდნენ თავად ჩაღრმავებოდნენ მოვლენების არსს და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ. დღეს ბიჭუნა-გმირი აღარ არის 30-40-იანი წლების თავისი თანატოლის მსგავსი, თუმცა ენათესავება მას სიკეთისა და სამართლიანობის რწმენით, გმირობისა და თავგადასავლების ძიებით. ისინი რომანტიკოსები არიან.

1956 წელს თეატრში ინგა სადკოვას მისვლით გაჩნდა კიდევ ერთი შესანიშნავი წყვილი მსახიობ-ტრავესტებისა — ერთის მხრივ, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ევანგელიდი და მეორეს მხრივ, სრულიად ახალგაზრდა, თითქმის უცნობი, ბავშვურად უშუალო და ამიტომ ძალზე ახლობელი მაყურებლისთვის, ინგა სადკოვა. თუ ევანგელიდიმ განავითარა ბუბუთეიშვილის ბიჭების გმირულ-რომანტიკული საწყისი, სადკოვამ თავისი მომხიბვლელობითა და დამთმობი ბუნების წყალობით გააგრძელა კიროვას მიღწევა პატარა, გულუბრყვილო და ამაღელვებელი ბიჭების როლების შესრულებაში.

ჯერ კიდევ მეათე კლასის მოსწავლე სადკოვა თავისი უკვე გამოცდილი წყვილისა და უფროსი კოლეგებისაგან სწავლობდა სცენაზე მართალ და ორგანულ ცხოვრებას. გამომსახველი გარეგნობით, გამორჩეული ნიჭით მან ჩქარა დაიმსახურა პატარა მაყურებლის სიმპათიები. მისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ისეთი ეშმაკი, მოუსვენარი და ამავე დროს გულუბრყვილო და მიამიტი ბიჭების სახეები, როგორიცაა პესტიკი (,,სომბრერო“), დიმკა (,,უჩინარი დიმკა“), ვოვკა (,,ვოვკა პლანეტა იალმეზზე“), პეტკა (,,კარუსელი“), ჟიგანი (,,რევოლუციური სამხედრო საბჭო“), პაშა (,,პაკეტი აფრიკიდან“) და სხვები. როლების განსახიერებისას

სცენა სპექტაკლიდან „თაფლის პურის სახლი“.
მაშა — ს. ევანგელიდი, ვანია — ი. სადკოვა



იგი მთლიანად ეყრდნობოდა თავის მსახიობურ ინტუიციას, რითაც ბუნებას უხვად დაეჯილდოებინა, ამიტომ მისი თამაში სცენაზე ცხოვრება იყო.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო სადკოვა გულუბრყვილო და სასაცილო ვოვკას როლში („ვოვკა პლანეტა იალმეზზე"). მსუყე ფერებით ხატავდა მსახიობი თავის კვიმატიან გმირს და დარბაზის მხიარულ სიცილს იწვევდა: 1963 წელს თეატრის გასტროლების დროს მოსკოვში, მსახიობის ამ ნამუშევარმა კრიტიკის აღიარება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სადკოვა და ევანგელიდიც ბევრ სპექტაკლში ერთად გამოდიოდნენ და იმავე როლებს ასრულებდნენ, რომელთაც მათი წინამორბედები განასახიერებდნენ. მაგალითად, „რ. ს. ს."-ში ევანგელიდი დიმკა იყო, სადკოვა — ჟიგანი, „პოლკის შვილობილში" პირველი კაზაკი ვოსკრესენსკი იყო, მეორე — მწყემსი ვანია სოლნცევი, „ნაცარქექიაში" პირველი გიო იყო, მეორე — ვახუშტი.

დიდი წარმატებით გამოდიოდნენ ისინი ვასიასა და პეტკას როლებში („რევოლუციის სახელით").

ევანგელიდი ზუსტად განასახიერებდა ხალხის შვილს, რევოლუციის ქარ-ცეცხლში გამოწრთობილს, ჭკვიანს, ბრძენსა და გონებამახვილს. ცხოვრებამ დაუკარგა მას ადამიანებისადმი ნდობა, თუმცა მის გულში მუდამ იყო იმედი, ხვალინდელი დღის, სამართლიანობის რწმენა, რამაც იგი უმცროს ძმასთან ერთად მოსკოვში ჩამოიყვანა.

ევანგელიდი ისე გარდაიქმნებოდა ხოლმე ბიჭების როლებში, რომ ყველაზე მიზეზიანი ბავშვიც კი არ იჯერებდა, სცენაზე ბიჭი რომ არ თამაშობდა.

სადკოვას პეტკა სრულიად საწინააღმდეგო იყო თავისი უფროსი ძმისა — სიმპათიური, უშუალო და მიმნდობი. ამ როლში მან თავისი მსახიობური სიმწიფე წარმოაჩინა.

დიდი დრამატიზმით განასახიერა სადკოვამ ზანგი ბიჭის ჯორჯის როლი („პუერტო სორიდოს ალი") და თბილისელი მაყურებლის წინაშე სრულიად ახალი ნიშნებით წარმოდგა. სამწუხაროდ, ამ დრამატიზმმა შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა მსახიობის შემოქმედებაში, ამაში მარტო მსახიობს როდი მიუძღვის ბრალი.

სადკოვას მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია ლიუსია („ერთი თავი ხახვის მოტაცება"), ჩექმებიანი კატა, პეტკა („ჩემი ძმა კლარნეტზე უკრავს"), ტომ სოიერი („ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი"), დღესაც წარმატებით ასრულებს პრინცესას როლს თეატრის ახალ სპექტაკლში „პრინცესა და მეღორე".

ევანგელიდის თეატრიდან წასვლის შემდეგ გარკვეულ პერიოდში თეატრი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, არ ჩანდა მისი შემცვლელი. მხოლოდ ბოლო წლებში გამოჩნდა ორი ახალგაზრ-

სცენა სპექტაკლიდან „ჩემი კარგი ბიჭუნა"



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მსახიობი — ნატალია ნელიუბოვა და სვეტლანა შველიძე.

არც ერთი მათგანი არ ცხოვრობდა თბილისში და არ უნახავს სადკოვას გარდა არც ერთი მსახიობის თამაში, მაგრამ თავიანთი ნიჭის წყალობით, პირველთა საქმე განაგრძეს და განავითარეს.

ნატალია ნელიუბოვა დაიბადა ქ. ფრუნზეში, თეატრალური განათლება ტაშკენტის თეატრალურ ინსტიტუტში მიიღო, მუშაობდა ჯერ ტაშკენტის, შემდეგ კი ხაბაროვსკის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. 1972 წელს მოვიდა თბილისის მოზარდთა თეატრში. მისი როლი ამ თეატრში იყო ტომი სპექტაკლში „პეპი — გრძელი წინდა“, შემდეგ — ლიონკა „ხუმრობაში“, მაგრამ სრულად თავისი შესაძლებლობები ჰეკის როლში („ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“) გამოავლინა და განაცვიფრა მაყურებელი შინაგანი სიძლიერითა და ტემპერამენტით. მისი ჰეკი იყო ლაღად გაზრდილი ბიჭი, დამოუკიდებელი, თამამი, კეთილი და პატიოსანი. შემდეგმა როლმა (კატია — „ახალგაზრდავ, როგორ არის საქმე“) დაამტკიცა, რომ ნელიუბოვა მოაზროვნე, ღრმა და სერიოზული მსახიობია.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ნელიუბოვამ ფედიაკინის („ფედიაკინი — მსხვილი პლანით“) და ბიჭის („ბიჭი და სახურავის ბინადარი კარლსონი“) როლებში.

იგივე როლი შეასრულა სვეტლანა შველიძემაც. მისი ბიჭი — ნამდვილი ბავშვია, გულუბრყვილო და გონიერი, იგი მარტოა, უფროსებს მისთვის არა სცალიათ და ისიც თავისი ოცნებებით ცხოვრობს. სვეტლანა შველიძე — ემოციური, ღრმა და ნიჭიერი მსახიობია, უყვარს თავისი გმირები და ყოველ სპექტაკლს სრული დატვირთვით თამაშობს, რითაც მაყურებლის მოწონებას იმსახურებს.

შველიძე ჩამოვიდა ქ. ყაზანიდან, სადაც მოზარდ მაყურებელთა თეატრში გოგონებისა და ბიჭების არაერთი როლი შეუსრულებია წარმატებით.

თბილისის თეატრში პირველად ითამაშა კატის კნუტის როლი „კატის სახლში“ და მოხიბლა მაყურებელი გულწრფელობითა და სილაღით. მისი მეორე როლი ბიჭუნა იყო სომეხი დრამატურგის ა. შაგინიანის პიესაში „ჩემი მშვენიერი ბიჭუნა“. მსახიობმა შექმნა სერიოზული, რთული ხასიათი შვიდი წლის პატარა ფილოსოფოსი ბიჭისა, ნიჭიერისა და ჭკვიანისა. იგი ღრმად და ფართოდ ჭვრეტს სამყაროს და განიცდის, რომ ადამიანები არასრულყოფილნი არიან. მსახიობი ოსტატურად გადმოსცემს პროტესტის გრძნობის გაღვიძებას პატარა, პოეტურ არსებაში, იმ უხეშობისა და უსულგულობისადმი, მის ირგვლივ ადამიანები რომ ავლენენ. ისე აღელვებული იბრძვის თავისი გმირის იდეალებისათვის, რომ დარბაზში მსხდომი მოზრდილები, უთუოდ უხერხულობას უნდა განიცდიდნენ. ეს როლი ერთ-ერთი საუკეთესოა შველიძის შემოქმედებაში.

დასამახსოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა სპექტაკლ „ბუმბარაში“, (ირტიში) და აგრეთვე მაშას როლი სპექტაკლში „ეი, შენ, გაგიმარჯოს!“

ერთ-ერთ უკანასკნელ დადგმაში „მაშა, ვიტია და ველური გიტარები“ ორივე მსახიობი ერთად თამაშობს: სვეტლანა შველიძე გოგონას — მაშას, ნატალია ნელიუბოვა ბიჭს — ვიტიას. მათ ბავშვები შეჰყავთ ზღაპრების სამყაროში და წარმოდგენას სწორ ტონს აძლევენ, ამით აგრძელებენ ბავშვთა სახეების შექმნის ტრადიციას.

ბავშვების როლების განმასახიერებელ მსახიობებს უნდა დავუმატოთ თამარ კირიჩენკო, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა ერევნიდან. მხატვის სკოლაგავლილ პროფესიონალ მსახიობს თავის თავზე გადააქვს ტრავესტის როლების დატვირთვის დიდი წილი. წარმატებით გამოდის მაშას („ეი, შენ, გაგიმარჯოს!“), ვერკას („აი შენ რას აირჩევდი...“), ირტიშის („ბუმბარაში“), უმცროსი ძმის („ბალადა ორწლიანზე“), ჰეკის („ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“) როლებში.

თამარა კირიჩენკო სახასიათო მსახიობია, მისი გმირები გამოირჩევიან სცენური ნახატის სიმართლითა და სიზუსტით. თავის უარყოფით გმირებს იგი გვიხატავს თამამად, იუმორით, არ იშურებს ფერებს და უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მოზარდ მაყურებელს.

დღევანდელი მსახიობების შემოქმედების შეჯამება ჯერ ადრეა, მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასავლელი და ალბათ კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას ხელოვნებაში.

ლენინური კომკავშირის სახელობის რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მისი არსებობის 50 წლის მანძილზე კიდევ ბევრი სხვა მსახიობი ქალები — ტრავესტები მოღვაწეობდნენ, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თეატრის ისტორიაში. ამ წერილში წარმოდგენენ მხოლოდ ისინი, ვინც მთელი სიცოცხლე მშობლიურ თეატრს შეალიეს, და ვისი შემოქმედებაც თეატრის ძირითადი მიმართულების, გმირულ-რომანტიკული მიმართულების გამომხატველი იყო.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917
60
1977

მიხეილ შატროვი

# ექვსი ივლისი

პიესა ორ ნაწილად

თარგმნა გურამ ბათიაშვილმა

## მოქმედი პირნი

ლ ე ნ ი ნ ი — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ძ ე რ ჟ ი ნ ს კ ი — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე
ჩ ი ჩ ე რ ი ნ ი — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი
ლ ა ც ი ს ი — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
პ ო დ ვ ო ი ს კ ი — რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის თავმჯდომარე
ბ ო ნ ჩ-ბ რ უ ე ვ ი ჩ ი — სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი — სახკომსაბჭოს მდივანი
დ ა ნ ი შ ე ვ ს კ ი — ბოლშევიკი, საბჭოების V ყრილობის დელეგატი
ბ ე ლ ე ნ კ ი
ხ რ უ ს ტ ა ლ ე ვ ი
— სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომლები
ვ ა ც ე ტ ი ს ი — ლატვიური დივიზიის მეთაური
დ ა რ ა ჯ ი დ ი დ თ ე ა ტ რ შ ი
ს პ ი რ ი დ ო ნ ო ვ ა
კ ა მ კ ო ვ ი
კ ა რ ე ლ ი ნ ი
ს ა ბ ლ ი ნ ი
ჩ ე რ ე პ ა ნ ო ვ ი
პ რ ო შ ი ა ნ ი
გ ო ლ უ ბ ო ვ ს კ ი
კ ო ლ ე გ ა ე ვ ი
— მემარცხენე ესერთა პარტიის ლიდერები
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი ჩ ი — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მემარცხენე ესერი.
პ ო პ ო ვ ი — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ცხენოსანთა პოლკის მეთაური, მემარცხენე ესერი.
ბ ლ ი უ მ კ ი ნ ი — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების გამგე, მემარცხენე ესერი.
ა ნ დ რ ე ე ვ ი — ფოტოგრაფი, მემარცხენე ესერი
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი — უკრაინის გლეხთა იატაკქვეშა ყრილობის წარმომადგენელი.
მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი
უ ლ ვ ა შ ი ა ნ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი
ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი
მ ი რ ბ ა ხ ი — გერმანიის ელჩი
რ ი ც ლ ე რ ი — გერმანიის საელჩოს მრჩეველი
მ ი უ ლ ე რ ი — გერმანიის საელჩოს სამხედრო ატაშე
საბჭოების V ყრილობის დელეგატები, ჯარისკაცები, მეზღვაურები

## ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### 1918 წლის 5 ივლისი

### 12 ს. და 20 წ.

დიდი თეატრის სცენა. წინა პლანზე დგას მძიმე, წითელ მაუდგადაფარებული პრეზიდიუმის მაგიდა. სცენის მთელ სიგანეზე უზარმაზარი წითელი ტრანსპარანტი ჩამოუშვიათ. მასზე წერია — „სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობა“. სცენის სიღრმეში ჰკიდია ლარინების კარმიდამოს სურათი ოპერა „ევგენი ონეგინიდან“.

ახლა შესვენებაა. პრეზიდიუმის ბევრი წევრი მიმოფანტულა. სცენაზე დელეგატები მიმოდიან. სცენის სიღრმეში ფიქრებში ჩაძირული ვლადიმერ ილიას ძე ლენინი დადის. რამდენიმეჯერ ბარათი გადასცეს, ლენინი ამ ბარათებს კითხულობს და ჯიბეში ინახავს. ზოგჯერ სცენის პირს მოადგება და ყურადღებით აკვირდება დარბაზს. მემარცხენე ესერთა ცენტრალური კომიტეტის წევრი მარია სპირიდონოვა პრეზიდიუმის მაგიდასთან ზის. იგი გაფაციცებული კითხულობს ქაღალდებს. დარბაზიდან მოისმის მობაასე ადამიანთა ზუზუნი.

მარჯვნიდან შემოდიან მემარცხენე ესერთა ცენტრალური კომიტეტის წევრი კამკოვი და ჩეკას თავმჯდომარის მოადგილე ლაცისი. ლაცისი და კამკოვი არავის აქცევენ ყურადღებას, მარჯვნიდან მარცხნივ მოდიან და ხმამაღლა კამათობენ.

კ ა მ კ ო ვ ი . მიდით, მიდით და ჩაკოცნეთ ეგ თქვენი გრაფი მირბახი, გულში ჩაიკარით მკვლელი და პროვოკატორი! შეასრულეთ მისი ყოველი ბრძანება!

ლ ა ც ი ს ი . თქვენ ჩინებულად შესცვალეთ მემარჯვენე ესერები და მენშევიკები, ზუსტად მათნაირად ლაპარაკობთ, ბოლოსდაბოლოს, გავიგეთ, რაც ყოფილან მემარცხენე ესერები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამკოვი. არც ვაპირებთ ბოლშევიკების დაკრულზე ვიცეკვოთ. ბოლშევიკები რევოლუციას ჰყიდიან!

ლაცისი. თქვენ რა უფლებით ლაპარაკობთ რევოლუციაზე!

კამკოვი. დადგება დრო და გაგახსენებთ ამ სიტყვებს, ამხანაგო ლაცის! (კამკოვი აღშფოთებული აიქნევს ხელს და მიდის. ლაცისი ორკესტრის ორმოში ჩადის. ლენინი, სპირიდონოვა და სცენაზე მყოფი დანარჩენი პირები დუმილით გააყოლებენ მათ თვალს და თავთავიანთ საქმეს უბრუნდებიან. შემოდიან სვერდლოვი და ამერიკელი ჟურნალისტი).

სვერდლოვი. დიდი თეატრი ჰქვია, ადგილები კი ცოტაა. იქნებ აი, აქ მოვთავსდეთ, თორემ ვიდრე ჩვენ თავისუფალ ოთახს მოვნახავთ, შესვენებაც დამთავრდება.

ჟურნალისტი. რუსეთში ყველაფერი ორიგინალურია, პარლამენტის სხდომის დეკორაციაც კი! შარშან ეს დეკორაცია „ევგენი ონეგინში" ვნახე. თუმცა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.

სვერდლოვი. ძალიან მიხარია, ბატონო ჟურნალისტო, რომ თქვენც შეამჩნიეთ ეს ცვლილება.

ჟურნალისტი. ასეთია ჩემი პროფესია, ბატონო სვერდლოვ!

სვერდლოვი. თქვენს განკარგულებაში თითქმის ათი წუთია, მე მზად ვარ პასუხი გავცე თქვენს კითხვებს. გთხოვთ...

ჟურნალისტი. ხომ არ ინებებს აღმასრულებელი კომიტეტის ბატონი თავმჯდომარე მოკლედ გვიამბობს, რა დღეშია ახლა საბჭოთა რესპუბლიკა?

სვერდლოვი. მოკლედ შემიძლია მოგახსენოთ. წერეთ. ჩვენი როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობა, მეტწილად ბრესტის ზავით განისაზღვრება. ამ ზავის მეოხებით გერმანიამ დაიკავა ნაწილი რაიონებისა, რომლებიც რუსეთის ყოფილ იმპერიას ეკუთვნოდა. ესენია: უკრაინა, ესტლანდია, ლატვია, ლიტვა. ჩვენ იძულებულნი ვართ ვიხადოთ დიდი კონტრიბუცია. ყველაფერი ეს თქვენთვის კარგადაა ცნობილი. ზოგიერთებს სურთ დაგვარღვევინონ ბრესტის ზავი და ომი გამოვუცხადოთ გერმანიას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ შეთანხმებას. ამაოა ყოველი ჯურის პროვოკატორთა ცდა, ომში ვერ ჩაგვითრევენ, ეს არ მოხდება.

ჟურნალისტი. მაგრამ დღევანდელი კამათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საბჭოებში არიან ძალები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ შეთანხმების დარღვევას და გერმანიისთვის ომის გამოცხადებას.

სვერდლოვი. დიახ, არიან!

ჟურნალისტი. ამას მოითხოვს მემარცხენე ესერთა პარტია. ხომ ასეა? პარტია, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციისთანავე ბოლშევიკებთან ერთად კოალიციური მთავრობა შექმნა და მიწათმოქმედებისა და იუსტიციის მინისტრების მანდატებს ფლობდა, ხომ არაფერი მეშლება?

სვერდლოვი. დიახ, სახალხო კომისრები იყვნენ კოლეგაევი და შტეინბერგი, ამას გარდა, ამხანაგი მემარცხენე ესერები ყველა სახალხო კომისარიატის და საბჭოების პრეზიდიუმის წევრებიც გახდნენ.

ჟურნალისტი. რამ აიძულათ მემარცხენე ესერები სამთავრობო სავარძლები ოპოზიციის გაურანდავ სკამებზე გაეცვალათ?

სვერდლოვი. არ ეთანხმებიან ბრესტის ზავს.

ჟურნალისტი. ბატონო სვერდლოვ, თქვენს ყრილობაზე მემარცხენე ესერები მანდატთა მესამედს ფლობენ. ეს შთამაგონებელი და ანგარიშგასაწევი ძალაა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

სვერდლოვი. პარტიას, რომელიც თუნდაც ხმათა მესამედს ფლობს, უფლება არა აქვს ძალით მოახვიოს თავისი ნება დანარჩენ ორ მესამედს, თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ჟურნალისტო?

ჟურნალისტი. ჩვენ როლები შევცვალეთ!

სვერდლოვი. თუ არ გინდათ, ნუ მიპასუხებთ.

ჟურნალისტი. მემარცხენე ესერები ამტკიცებენ: რუსი ხალხის ხსნის ერთადერთი გზა ომი არისო.

სვერდლოვი. რომელი რუსი ხალხის? რუსი მუშების? თუ რუსი გლეხების? რომელ რუს ხალხს უნდა ომი? მემარცხენე ესერები ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველნი არიან. მათ აინტერესებთ კულაკობის აზრი, კულაკობა კი უკმაყოფილოა საბჭოთა ხელისუფლებისა. არა ბრესტის ზავის, არამედ ჩვენი სასურსათო პოლიტიკის გამო, მაგრამ არც იმავე კულაკობას, არც გლეხობას, — მე აღარაფერს ვამბობ მუშათა კლასზე — ომი არ უნდა, სიმართლე თუ გინდათ, სიმართლე ეს არის!

გორბუნოვი. (შემოდის). მაპატიეთ, იაკობ მიხეილის ძევ! თქვენ დაგვპირდით ბოლშევიკური ფრაქციის წევრებთან სურათს გადავიღებო, ყველანი თეატრის წინ გელოდებიან. შესვენება მთავრდება.

სვერდლოვი. გადაეცით, რომ ახლავე მოვალ.

გორბუნვი. კარგით, გელოდებით.

ჟურნალისტი. მე მინდა ინტერვიუ ვთხოვო მარია სპირიდონოვას. რას ფიქრობთ მასზე, როგორც მემარცხენე ესერთა პარტიის ლიდერზე და როგორც ადამიანზე?

სვერდლოვი. როგორც პარტიის ლიდერზე? მე მგონია, მასზე ზედგამოჭრილია დახასიათება, რომელიც ახლახან მემარცხენე ესერთა პარტიას მივეცი. რა უნდა გითხრათ, როგორც ადამიანზე? სამწუხაროდ, პოლიტიკური ბრძოლის დროს ასეთ რამეზე ფიქრის დრო აღარ გრჩება. ეჭვგარეშეა, რომ სპირიდონოვა გულწრფელი და მამაცი ადამიანია. თქვენ, ალბათ, იცით, — მან 1906 წელს ესროლა მეფის გენერალს, რომელმაც გლეხთა აჯანყების ჩაქრობისას სისასტიკით გამოიჩინა თავი. ჟანდარმებმა საძაგლად წაბილწეს სპირიდონოვა, ამას მოჰყვა ციხე და მეფის კატორღა.

ჟურნალისტი. ციხე და კატორღა, მგონი, არც თქვენ დაგკლებიათ!

სვერდლოვი. მხოლოდ თებერვლის რევოლუციამ გაანთავისუფლა იგი.

ჟურნალისტი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი ბიოგრაფიის ადამიანს შეუძლია მასების ბელადი გახდეს?

სვერდლოვი. არა, არ ვფიქრობ! იმისათვის, რომ ბელადი გახდე, რევოლუციონერის ბიოგრაფია არ კმარა. საჭიროა რაღაც უფრო დიდი. ბიოგრაფია შეცდომებისა და გზააბნეულობისაგან ვერ დაიცავს ადამიანს. მემარცხენე ესერთა ახლანდელი მოქმედება ამის საუკეთესო მაგალითია.

შემოდის ბლიუმკინი.

ჟურნალისტი. მადლობელი ვარ, ბატონო სვერდლოვ.

სვერდლოვი. ნახვამდის, წარმატებებს გისურვებთ.

ჟურნალისტი. ნახვამდის.

(სვერდლოვი გადის, ჟურნალისტი იწერს სვერდლოვის პასუხს. სპირიდონოვა ბლიუმკინთან მიდის).

სპირიდონოვა. ამხანაგო ბლიუმკინ, გუშინ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა გვქონდა. გადაწყდა ბოლო მოვუღოთ ბრესტის ზავს! ამის გამო მიზანშეწონილად და შესაძლებლად ჩავთვალეთ ტერორისტული აქტების მოწყობა. გავიხსენოთ „ნაროდნაია ვოლია"! ამ მეთოდით უნდა მოვიცილოთ გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლები. პარტიამ შენ დაგავალა ამ საქმის შესრულება.

ბლიუმკინი. მადლობელი ვარ.

სპირიდონოვა. შენი გმირობა გამოაღვიძებს ხალხს, ისე როგორც „ნაროდნაია ვოლიამ" გამოაღვიძა იგი. დაღლილი და მიძინებული რუსი ხალხი კვლავ ეკვეთება ოკუპანტებს. ეს მოძრაობა ბოლშევიკებს აიძულებთ გაასწორონ საბჭოთა ხელისუფლების გამრუდებული ხაზი და დაიწყონ განმათავისუფლებელი ომი. სახკომსაბჭოს შემადგენლობაში მხოლოდ მაშინ დავბრუნდებით, როცა ეს ხაზი გასწორდება. ჩვენი რევოლუციური ომი წარმოშობს მსოფლიო რევოლუციას, უამისოდ განწირულნი ვართ, ბლიუმკინ! ჩვენ ამ მოქმედებას არ განვიხილავთ, როგორც ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, ჩვენ ვუპირისპირდებით სახკომსაბჭოს ახლანდელ პოლიტიკას.

ბლიუმკინი. მესმის.

სპირიდონოვა. ეს ერთი! მეორე — არ არის გამორიცხუ-

ლი, რომ ამ ტერორისტული აქტის შემდეგ ბოლშევიკებმა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება დაიწყონ. თუ ეს ასე მოხდა, იარაღით უნდა დავიცვათ ჩვენი პოზიციები.

ბლიუმკინი. იარაღით?

სპირიდონოვა. (მკაცრად). დიახ, ასე დავადგინეთ.

ბლიუმკინი. ეს მეტად სერიოზული საქმეა.

სპირიდონოვა. ცეკას სხდომაზე წამოაყენეს წინადადება ყრილობა დავიყოლიოთ და ეს საკითხი დემოკრატიული გზით გადავწყვიტოთო. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ ბევრი ბოლშევიკი დელეგატი მერყეობს. მე არ ვიცი მერყეობენ თუ არა ბოლშევიკები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თავის პარტიას დაუჭერენ მხარს.

ბლიუმკინი. თუ სახელობით კენჭისყრას მოვაწყობთ?

სპირიდონოვა. ოთხას ხმაზე მეტს მაინც ვერ მოვაგროვებთ. მათ კი 750 ხმა ექნებათ. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მსოფლიო რევოლუციის ბედი რუსული დემოკრატიის ყინიანობას შეეწიროს. მე ახლა შევეცდები კარგად შევაჯანჯღარო ყრილობა. შესვენების შემდეგ უკრაინელი ალექსანდროვი გამოდის, იგი შეამზადებს ნიადაგს, მერე კი მე გამოვალ. ბოლშევიკებისთვის ეს უკანასკნელი შანსია, რომ დაგვიჯერონ. ჩემს შემდეგ ლენინი ილაპარაკებს, მისი გამოსვლიდან გავიგებთ რა გზას დაადგნენ... ყოველივე ამის შემდეგ წახვალ „ნაციონალში“ და შენთვის განზადებულ პორტფელს შიიღებ.

ბლიუმკინი. მესმის.

სპირიდონოვა. ხვალ, ექვს ივლისს, დღის სამ საათზე! (ხელი გაუწოდა. მიდის).

ბლიუმკინი. მადლობელი ვარ, მარია ალექსანდროვნა, მე დარბაზში ვიქნები (სპირიდონოვას უახლოვდება ჟურნალისტი და გადასცემს თავის სავიზიტო ბარათს).

ჟურნალისტი. გამარჯობათ, ქალბატონო სპირიდონოვა, ხომ არ აცნობებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, თუ რას ფიქრობს თქვენი პარტია ომისა და მშვიდობის საკითხებზე!

სპირიდონოვა. წერეთ! ჩვენ გვინდა დაუყოვნებლივ დავიწყოთ ომი გერმანიის იმპერიალიზმთან, დაუყოვნებლივ შევებრძოლოთ რევოლუციის ჯალათებს — ვილჰელმებს, მირბახებს და ათას ძაღლსა და მამაძაღლს (ჟურნალისტი იწერს).

ბონჩ-ბრუევიჩი. (მიდის ლენინთან). ვლადიმერ ილიჩ, თეატრში ძალზე დაძაბული ატმოსფეროა. ესერები ჩვენებს ეკინკლავებიან, არაფერს არ ერიდებიან, ქუჩურ სიტყვებსაც კი, არც ჩვენები რჩებიან ვალში. ყოველ წუთს მოსალოდნელია ხელჩართული შეტაკება.

ლენინი. სპირიდონოვას გადაეცით გააფრთხილოს თავისი ამხანაგები. (ლენინი კიბის საფეხურზე მოთავსდა, იგი გამოსვლისათვის ემზადება. ბონჩ-ბრუევიჩი სპირიდონოვასთან მიდის).

ჟურნალისტი. (სპირიდონოვას პასუხს იწერს). და ათას ძაღლს და მამაძაღლს.

სპირიდონოვა. მალე სიტყვით გამოვალ და ჩვენი პოზიცია გასაგები გახდება თქვენთვის.

ჟურნალისტი. მადლობელი ვარ, ნახვამდის!

სპირიდონოვა. ნახვამდის (ჟურნალისტი მიდის).

ბონჩ-ბრუევიჩი. (სპირიდონოვასთან მიდის). მარია, თეატრში ატმოსფერო ძალზე დაიძაბა. თუ ასე გაგრძელდა, ჩხუბი გარდაუვალია. გთხოვ რაიმე უთხრა თქვენს ხალხს.

სპირიდონოვა. ჩვენი ბიჭები ნამდვილი რევოლუციონერები არიან. ბუნებრივია, არ უნდათ დაიოკონ თავიანთი გრძნობები.

ბონჩ-ბრუევიჩი. არ ვაპირებ კამათს იმაზე, თუ რა არის ნამდვილი რევოლუციონერობა, ეს ძალზე შორს წაგვიყვანს, თქვენ მემარცხენე ესერთა პარტიის ცეკას გავლენიანი წევრი ხართ და ამიტომ უნდა მიიღოთ ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უსიამოვნება.

სპირიდონოვა. კარგით, მე მოველაპარაკები ამხანაგებს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ დილით ვთხოვე სვერდლოვს შესვენების შემდეგ რიგგარეშე განცხადებისათვის სიტყვა მისცეს ალექსანდროვს. იმედი მაქვს, რაიმე სიურპრიზს არ შემოგვთავაზებთ.

ბონჩ-ბრუევიჩი. შესვენების შემდეგ ალექსანდროვი გამოვა, მერე — შენ, ხოლო შენს შემდეგ — ვლადიმერ ილიჩი.

სპირიდონოვა. კარგი.

(სცენის სიღრმიდან გამოდის სვერდლოვი, მას მოჰყვებიან ბოლშევიკური ფრაქციის წევრები)

სვერდლოვი. ამხანაგებო, დროა დავიწყოთ! გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილები (პრეზიდიუმის წევრი ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები პრეზიდიუმის მაგიდას მოუსხდებიან). ამხანაგებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები... ამხანაგებო, გთხოვთ დაბრძანდეთ... ვიწყებთ სხდომას. დაიკავეთ თქვენი ადგილები. განვაგრძობთ საბჭოების მეხუთე ყრილობის მუშაობას. რიგგარეშე განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა უკრაინის გლეხთა იატაკქვეშა ყრილობის წარმომადგენელს ამხანაგ ალექსანდროვს.

მთელი დარბაზის აპლოდისმენტები. ალექსანდროვი ტრიბუნასთან მიდის.

ალექსანდროვი. საბჭოების მეხუთე ყრილობის ამხანაგო დელეგატებო, მიიღეთ უკრაინის დაუმორჩილებელი გლეხობის იატაკქვეშა ყრილობის უმდაბლესი სალამი და მოწოდება, რომ დაგვეხმაროთ. საშინელ დღეში არიან თქვენი მოძმე უკრაინელები! თქვენ იცით, რომ ბრესტის ზავის მეოხებით უკრაინაში მოვიდნენ გერმანელები და დაამხეს საბჭოთა ხელისუფლება. ბურჟუაზიას აღუდგინეს ყველა უფლება, რომლებიც ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ ჩამოართვა. გერმანელები ხვრეტენ მიწათმოქმედების კომიტეტის წევრებს, აჯანყებულ გლეხებს. ისინი არ ინდობენ არც მოხუცებს, არც ქალებს და არც ბავშვებს. უკრაინაში ვერ ნახავთ კუთხეს, რომ ადამიანთა დასჯის მაუწყებელი ახალ-ახალი ფურცლები არ ფრიალებდეს. უკვე დახვრეტილია ათასობით ადამიანი, ათასები კი დახვრეტას ელოდებიან. აი, რა მისცა უკრაინას ბრესტის ზავმა. ამხანაგებო, უკრაინის მშრომელ გლეხობას და პროლეტარიატს შეუძლია ებრძოლოს თავის მტერს. ახლა უკრაინის ყოველ კუთხეში გაჩაღებულია უწმინდესი პარტიზანული ომი. უკრაინა იბრძვის, მაგრამ არათანაბარია ჩვენი ძალები, ამხანაგებო! სისხლისგან იცლება უკრაინა! ჩვენი ყრილობა სთხოვს სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობას — გვიშველეთ, ძმებო! გვიშველეთ, თორემ მეტი აღარ შეგვიძლია!

(ტაში)

შეძახილი დარბაზიდან. ძირს ბრესტის ზავი!

შეძახილი დარბაზიდან. ამხანაგო ლენინ, მიეშველეთ უკრაინას!

შეძახილი დარბაზიდან. გაუმარჯოს უკრაინის მებრძოლ გლეხობას!

სპირიდონოვა. ბრესტ-ლიტოვსკის ყულფი ახრჩობს რუსულ რევოლუციას! ძირს ბრესტის ზავი!

შეძახილი დარბაზიდან. ძირს!

(ტაში, ხმაური, შეძახილები)

სვერდლოვი. (ხელი აწია). ამხანაგებო, გთხოვთ! მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ოვაციები და აპლოდისმენტები მეტწილად ეკუთვნის არა ორატორის სიტყვას, არამედ მთლიანად და სავსებით გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას უკრაინის მებრძოლი მუშათა კლასისა და გლეხობისადმი (დარბაზის მქუხარე ოვაციები), რაც შეეხება ბრესტის ზავს, მე მიმაჩნია, რომ ამ საკითხს გადაწყვეტს მიმდინარე ყრილობა და არა ზოგიერთი ამხანაგის თუნდაც გულწრფელი წამოძახილები. სიტყვა ეძლევა მემარცხენე ესერთა ფრაქციის წარმომადგენელს ამხანაგ მარია ალექსანდრეს ასულ სპირიდონოვას (მქუხარე ტაში. სპირიდონოვა ტრიბუნასთან მიდის).

სპირიდონოვა. ამხანაგებო, მემარცხენე რევოლუციური სოციალისტური პარტიის სახელით მე მინდა ვილაპარაკო იმ პუნქტზე, რომელშიც ჩვენ არ ვეთანხმებით ბოლშევიკებს. ბოლშევიკები მშვიდობის პოზიციებზე დგანან. ისინი წამოეგნენ სულისმოთქმის ლენინისეულ ანკესზე, ცეკვავენ ჯალათ მირბახის დაკრულზე და უნდათ გვებრძოლონ ჩვენ. ძალიან კარგი, ამხანაგებო! ჩვენ, მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრები, რომლებიც მშრომელი გლეხობისა და პროლეტარიატის ავანგარდია, ვღებულობთ ბოლშევიკების ამ გამოწვევას, ჩვენ ვღებულობთ ამ გამოწვევას მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალწინ, რადგან მსოფლიო ჩვენგან ელის შეურიგებლობას და არა მუხლებზე ჩოქვას, დიახ, ჩვენ ვღებულობთ ამხანაგი ბოლშევიკების ამ გამოწვევას! (ტაში დარბაზის იმ ნაწილიდან, რომელშიც მემარცხენე ესერები სხედან) ამხანაგებო, მე ვერა ვცნობ ლენინს, მე ვერ ვცნობ ხალხთა მასების რევოლუციურ ბელადს, რომელსაც ჰქონდა ერთი იდეა, ერთი მიზანი — რევოლუცია! ახლა ლენინი ცდილობს შეუთანხმდეს გერმანიის იმპერიალიზმს, ამასთან უბიწობაც შეინარჩუნოს და კაპიტალიც დააგროვოს. მე, ადამიანი, რომელიც აქამდე მჭიდროდ ვიყავი დაკავ-

შირებული ბოლშევიკებთან, მათთან ერთად ვიბრძოდი ბარიკადებზე და მათთან ერთად ვფიქრობდი დიდებული ბრძოლის დასასრულზე. ამაზე ვლაპარაკობ უდიდესი მწუხარებით და... (დარბაზში ხმაური) ამხანაგებო, ამხანაგო ბოლშევიკებო! მე გეკითხებით თქვენ — გესმით თუ არა რა ხდება? ჩვენ უკან ვიხევთ მძიმე ბრძოლაში, ჩვენს ხელში სულს ღაფავს დაჭრილი ამხანაგი, ნუთუ მტერს მივუგდებთ მას, რათა საკუთარი სიცოცხლე გადავირჩინოთ? სწორედ ასე იქცევა ბოლშევიკური მთავრობა. მან ჯალათებს მიუგდო უკრაინა, ლატვია, თავისუფლება, იდეალები, და, რაც მთავარია, რევოლუცია! და ახლა ბოლშევიკებს უნდათ პირში წყალჩაგუბებულნი შევცქეროდეთ მეგობართა დაღუპვას (დარბაზში ხმაური). ჩვენს ოჯახში მძარცველები შემოიჭრნენ, ხოცავენ ჩვენს ძმებს, ნამუსს ხდიან ჩვენს დებს, ჩვენ კი გვერდით ოთახში ვსხედვართ და განძრევისაც გვეშინია, რადგან საკუთარ ტყავს ვუფრთხილდებით. თუ ეს არის საბჭოთა მთავრობის პოზიცია, ჩვენ, მემარცხენე რევოლუციონერ სოციალისტებს არაფერი გვესაქმება ასეთ მთავრობასთან, ჩვენ ერთად ვერ ვივლით! (დარბაზში ერთმანეთში ირევა ყვირილი, აღშფოთება, ტაშისცემა, შეძახილები. მოისმის ხმები: „ძირს!“, „სირცხვილი!“, „გთხოვთ“, ლენინი ღრმა ყურადღებით უსმენს სპირიდონოვას).

სვერდლოვი. (პატარა ზარს დარეკა). მშვიდად, ამხანაგებო, თქვენს შეძახილებში ალარაფერი მესმის. ამხანაგებო, მე გთხოვთ პატივი სცეთ ჩვენს ყრილობას. გთხოვთ იყოთ ყურადღებით და დაიცვათ სიმშვიდე. (სპირიდონოვას) განაგრძეთ.

სპირიდონოვა. ჩვენი რევოლუციის ნაპერწკლები ოთხივ კუთხივ იფანტებიან მსოფლიო რევოლუციის უდიდესი კოცონის გასაჩაღებლად. მსოფლიოს ხალხები იმედით შემოგვყურებენ ჩვენ და ჩვენ უნდა განვუცხადოთ მოძმე უკრაინელებს, დაჩაგრულ ლატვიელ ძმებს, რომ ყველაფერს გავაკეთებთ მათთვის! უმჯობესია ბრძოლაში დავიღუპოთ, ვიდრე გულხელდაკრეფილნი შევცქეროდეთ იმას, რაც ხდება, მე მინდა მიმდინარე ყრილობას განვუცხადო: თუ კვლავაც გაგრძელდება გერმანელთა წინაშე კაპიტულაციის პოლიტიკა, თუ კვლავაც ასევე გაიყიდება სამშობლო, მუშათა კლასი, გლეხობა, მაშინ მე (ჩანთიდან ბრაუნინგს ამოიღებს და მაღლა აღმართავს) იმავე რევოლვერს, იმავე ყუმბარებს ავიღებ ხელში, რომლებმაც სამშობლოსა და რევოლუციის დაცვა შემაძლებინეს.

(დარბაზი გაირინდა, სპირიდონოვა ამ სიჩუმეში სტოვებს ტრიბუნას და პრეზიდიუმის მაგიდასთან იკავებს თავის ადგილს. წუთიერი დაბნეულობა ჩაივლის და იქუხებს მემარცხენე ესერთა ძლიერი ოვაცია, მას ერთვის ბოლშევიკთა აღშფოთების შეძახილები, ლენინი სვერდლოვისაკენ გადაიხრება და რაღაცას ეუბნება. სვერდლოვი წამოდგება).

სვერდლოვი. უწინარეს ყოვლისა, უმორჩილესად გთხოვთ შეწყვიტოთ ხმაური ადგილებზე... ნუთუ არ დავამთავრებთ ყვირილს, ამხანაგებო? უმორჩილესად გთხოვთ შესწყვიტოთ ყოველგვარი ხმაური ადგილებზე. თუ ყრილობისადმი რაიმე პატივისცემა გაქვთ, უმორჩილესად გთხოვთ უფრო მკაფიოდ გამოხატოთ თქვენი გრძნობები, იქნება ეს აღშფოთებისა, თუ რისაც გნებავთ. სხვაგვარად ჩვენ ვერ გავიგებთ რა ხდება და რა გწადიათ. შევიკავოთ თავი, რათა ხელი არ შევუშალოთ ყრილობის მუშაობას. საანგარიშო სიტყვას წარმოსთქვამს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ლენინი (ოვაციები ისმის დარბაზის იმ ნაწილიდან, სადაც ბოლშევიკები სხედან. ლენინი მიდის ტრიბუნასთან, დგება მის გვერდით და ყურადღებით აცქერდება დარბაზს).

ლენინი. (თავშეკავებულად). ამხანაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წინ გამოსული ორატორის სიტყვა ზოგან აღგზნებული იყო, ნება მომეცით სახალხო კომისართა საბჭოს სახელით შემოგთავაზოთ ჩემი ზოგადი მოხსენება, მოხსენებაში შევეხები მხოლოდ მთავარ, პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს ისე, როგორც ისინი ამას იმსახურებენ. მე თავს ავარიდებ პოლემიკას, რომლის ესოდენ დიდი მოსურნეც გახლავთ ჩემს წინ გამოსული ორატორი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ზოგიერთ საკითხში მაინც უნდა შევეკამათო მას. აქ გამოვიდა მარია ალექსანდრეს ასული სპირიდონოვა. არც მე, არც სხვას არა გვაქვს უფლება ეჭვი შევიტანოთ მარია ალექსანდრეს ასულის გულწრფელობასა და იდეისადმი ერთგულებაში, მაგრამ პოლიტიკაში გარდა მხურვალე გულისა, ფხიზელი გონებაც უნდა გქონდეს, თორემ შესაძლებელია ბრიყვი აღმოჩნდე. ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ წინა ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდის მთავარი ფაქტორი ბრესტის ზავი გახლდათ. სწორედ იგი განსაზღვრავდა ჩვენს მდგომარეობას, სწორედ ბრესტის ზავმა შესცვალა ჩვენი ტაქტიკა, იგივე განსაზღვრავდა ჩვენს პოლიტიკას. ნება მომეცით უფრო დაწვრილებით გესაუბროთ ბრესტის ზავზე.

მრავალწლიანმა ომმა იარებით აავსო მთელი რუსეთის სხეული. მემამულეებმა, მეფეებმა და კაპიტალისტებმა მემკვიდრეობად ნანგრევებილა დაგვიტოვეს. დღეს ჩვენი ხალხი სიკვდილისპირას მისულ ადამიანს ჰგავს. ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას კონტრრევოლუციის, ამბოხისა და ბლოკადათა ცეცხლის რკალი არტყია რგოლად. ჯერ ფეხზე ვერ დავმდგარვართ და იძულებული ვართ უთანასწორო ბრძოლებში ჩავებათ. ჩვენ უნდა გავუმკლავდეთ ჩეხოსლოვაკელი თეთრების აჯანყებას, ჩრდილოეთიდან გვიტევენ ინგლისელები და ფრანგები. დონზე გენერალი კრასნოვი გვებრძვის. არ გვყოფნის პური, უფრო ზუსტად, პურის ნამცეციც კი არა გვაქვს. ამას მიუმატეთ ცოფის, ხოლერისა და ცინგის ეპიდემია და ბოლოს რვა გერმანული დივიზია, რომლებიც ჩვენს ზურგს უკან, აგერ ორშა-მოგილიოვის ხაზზე დგას და მზად არის მთელი ძალით დაგვაცხრეს თავს. და აი, სწორედ მაშინ, როცა ჩვენ ასეთ მძიმე დღეში ვართ, ამხანაგი სპირიდონოვა მოგვიწოდებს დავარღვიოთ ბრესტის ზავი. დიახ, ეს არის უსამართლო, სამარცხვინო, ბილწი, მაგრამ ჩვენთვის მაინც აუცილებელი ზავი. როდესაც აცხადებენ ჩვენი რევოლუციის წინაშე ორი დილემა დგას — ან ზავი, რომელიც რევოლუციის გაყიდვას ნიშნავს, ან წმინდათაწმინდა, კეთილშობილური რევოლუციური ომიო, სტყუიან. სტყუიან, რადგან ჩვენს წინაშე სულ სხვა დილემა დგას — ან მძიმე, დამამცირებელი ზავი, ან საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვა.

ყოველი რევოლუციის მთავარ საკითხად, მთავარ და საბოლოო კრიტერიუმად ერთი რამ ითვლება — რა მისცა ხალხს ამ რევოლუციამ? მშვიდობა და მიწა! აი, რა დავაწერეთ ჩვენ ოქტომბრის დროშებს, მაგრამ თუ დავუჯერებთ ესერებს, რომლებიც, თითქოსდა, გლეხების ინტერესებს გამოხატავენ, მხოლოდ და მხოლოდ სამ არშინ მიწას მივიღებთ გლეხებისათვის. მამარცხენე ესერები აცხადებენ ამისთვისაც მზად ვართო.

დიახ, დღეს ჩვენ უკან ვიხევთ, ეს მწარე და დამამცირებელი სიმართლეა, მაგრამ სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს. თავს ნუ მოვიტყუებთ, ნუ გავეხვევით ილუზიების ბურუსში — დღეს ომი საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას ნიშნავს.

მსოფლიო რევოლუციის ბედი ჩვენთვის, ბოლშევიკებისთვის, არანაკლებ ძვირფასია, ვიდრე მემარცხენე ესერებისათვის. მე მჯერა, რომ შეიძლება ადამიანები გადაისროლო მსოფლიო რევოლუციის კოცონში, იმ კოცონში, რომელზეც სპირიდონოვა ლაპარაკობდა აქ, მაგრამ თავს ნებას მივცემ და გაგახსენებთ — ადამიანი ფიჩხი არ არის, რომ კოცონში შეუკეთო. რაც შეეხება მსოფლიო რევოლუციას, მის მოსამზადებლად ჩვენ უკვე ბევრი რამ გავაკეთეთ — ამ რევოლუციას მოამზადებს მთავარი და ერთადერთი დასაყრდენი ციხე-სიმაგრე. ეს არის ჩვენი სისხლით მონაპოვარი საბჭოების რესპუბლიკა. ეს ჩვენი ცოცხალი ბავშვია, მსოფლიოს სჯერა, რომ შევინარჩუნებთ და გავზრდით ამ ბავშვს, ჩვენთვის არ არსებობს ამაზე უფრო წმინდა ამოცანა (ბოლშევიკთა მქუხარე ტაში, ხმაური, შეძახილები).

### 1918 წლის ექვსი ივლისი
### 14 საათი და 45 წუთი

გერმანიის საელჩო მოსკოვში. მისაღებ ოთახში მაგიდა და რამდენიმე სავარძელი დგას. აქ ერთმანეთის წინაშე დგანან ბლიუმკინი, ჩეკას ყოფილი ფოტოგრაფი ანდრეევი და საელჩოს სამხედრო ატაშე მიულერი.

მიულერი. ბატონებო, სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ გერმანიის ელჩი გრაფი მირბახი ვერ მიგიღებთ.

ბლიუმკინი. ჩვენ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის წარმომადგენლები ვართ.

მიულერი. ვიმეორებ, ბატონებო, გერმანიის ელჩი გრაფი მირბახი ვერ მიგიღებთ.

ბლიუმკინი. ჩვენ ვალდებულნი ვართ სასწრაფოდ შევხვდეთ ბატონ ელჩს გრაფ მირბახს. აი, მოწმობა, რომლის მიხედვითაც უფლება გვეძლევა ვისაუბროთ მასთან.

მიულერი. (კითხულობს). „მოწმობა. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია უფლებამოსილს ხდის მის წევრს იაკობ ბლიუმკინს და რევოლუციური ტრიბუნალის წარმომადგენელს ნიკოლოზ

ანდრეევს აწარმოონ მოლაპარაკება რუსეთის რესპუბლიკაში გერმანიის ელჩთან ბატონ მირბახთან. მოლაპარაკების თემა უშუალოდ ეხება ბატონ ელჩს. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ძერჟინსკი, მდივანი...“

ბლიუმკინი. ქსენოფონტოვი. იმედი მაქვს ძერჟინსკის გვარი თქვენთვის უცხო არ არის...

მიულერი. რასაკვირველია, რასაკვირველია... კარგით, მე ახლავე მოვახსენებ (გადის, ბლიუმკინი და ანდრეევი ოთახს ათვალიერებენ).

რიცლერი. (შემოდის მიულერთან ერთად). ბატონებო, გთხოვთ დაბრძანდეთ. მე გახლავართ საელჩოს პირველი მრჩეველი დოქტორი რიცლერი, ხოლო ეს საელჩოს სამხედრო ატაშე ბატონი მიულერი გახლავთ.

ბლიუმკინი. მე გახლავართ ჩეკას საიდუმლო განყოფილების უფროსი ბლიუმკინი, ხოლო ეს — რევოლუციური ტრიბუნალის წარმომადგენელი ანდრეევი. დავალებული გვაქვს დაუყოვნებლივ ვესაუბროთ ბატონ ელჩს საკითხზე, რომელიც პირადად მას ეხება.

რიცლერი. მე უფლებამოსილი ვარ ვაწარმოო საიდუმლო მოლაპარაკებაც.

ბლიუმკინი. (დაბეჯითებით). არა, არა, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ბატონ ელჩთან, გრაფ მირბახთან ვისაუბრებთ. საქმე ეხება მის ნათესავს გრაფ რობერტ მირბახს, რომელიც ჩეკამ დააპატიმრა, რადგან ბრალად ედება შპიონაჟი. ნება მომეცით ყველაფერი დაუყოვნებლივ მოვახსენოთ გრაფს.

რიცლერი. (მიულერს). Sie sind erstaunlich hartnäckig.[1]

მიულერი. Deshald eben belästige ich Sie.[2]

რიცლერი. დაგაკმაყოფილებთ თუ არა გრაფ მირბახის წერილობითი დასტური, რომ მე უფლებამოსილი ვარ საიდუმლო მოლაპარაკებაზეც?.

ბლიუმკინი. არა, არ დაგვაკმაყოფილებს.

რიცლერი. არ დაგაკმაყოფილებთ. კარგით. ერთი წუთით მომითმინეთ, ახლავე მოვახსენებ (გადის).

(მდუმარე ბლიუმკინი და ანდრეევი სავარძლებში სხედან. მომქანცველად იწელება დრო. შემოდიან გრაფი მირბახი და რიცლერი. ყველანი დგებიან).

მირბახი. (მშრალად). გამარჯობათ, რით შემიძლია გემსახუროთ?

ბლიუმკინი. (ჩანთიდან ქაღალდების დასტა ამოიღო). საქმე ეხება თქვენი ოჯახის წევრს გრაფ რობერტ მირბახს.

მირბახი. არაფერი საერთო არა მაქვს ბატონ რობერტ მირბახთან.

ბლიუმკინი. (დაბეჯითებით). ჩვენ კი სულ სხვა ცნობები მოგვეპოვება. დაპატიმრებული მირბახი ამტკიცებს, რომ თქვენი ოჯახის უნგრულ შტოს განეკუთვნება. დაპატიმრებულს ბრალად ედება შპიონაჟი გერმანიის სასარგებლოდ. რობერტ მირბახს შუამდგომლობას უწევს დანიის გენერალური საკონსულო. ნება მომეცით გაგაცნოთ დოკუმენტები.

მირბახი. გთხოვთ დაბრძანდეთ, ბატონებო! (ქაღალდები გადაათვალიერა და რიცლერს გადასცა.) გაკსტაუზენის ხელმოწერაა.

ბლიუმკინი. როგორც თვითონვე ხედავთ, საკითხი მეტად მწვავედ დგას. ამ დღეებში გაიმართება რევოლუციური ტრიბუნალის სხდომა.

რიცლერი. Unmöglich sich mit ihnen in Gespräche einzulassen[3].

მირბახი. Was schlagen Sie vor?[4]

რიცლერი. ამ საკითხზე პასუხის გაცემა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის საშუალებით შეგვიძლია.

მირბახი. Ausgezeichnete Idee[5].

(წამოდგა, რითაც სტუმრებს ანიშნა აუდიენცია დამთავრებულიაო).

ანდრეევი. (მირბახს). იქნებ ბატონ ელჩს აინტერესებს, თუ რა ზომებს მიიღებს რევოლუციური ტრიბუნალი გრაფ რობერტ მირბახის მიმართ?

მირბახი. უსათუოდ, ნამდვილად მაინტერესებს...

ბლიუმკინი. ახლავე გაჩვენებთ.

(ბლიუმკინმა ჩანთაში ჩაჰყო ხელი. რევოლვერი ამოიღო და ჯერ მირბახს, ხოლო შემდეგ რიცლერსა და მიულერს ესროლა, მაგრამ მღელვარებისაგან ვერც ერთს ვერ მოარტყა, რიცლერი და მიულერი ინსტინქტურად იატაკზე დაეცნენ, მირბახი კი კარისკენ გაიქცა. ბლიუმკინი ესვრის და თავში მოარტყამს. მირბახმა კეფაზე წაივლო ხელი. მისაღებიდან გარბის, ბლიუმკინი მისდევს, თან ჩანთიდან ყუმბარას იღებს, კარებში ჩადგება და მირბახს ფეხებში ესვრის ყუმბარას. ძლიერმა აფეთქებამ ბლიუმკინიც უკან გადმოისროლა. ფანჯრის მინების მსხვრევის ხმა. ანდრეევი და ბლიუმკინი გარბიან, ყვირილი, სროლა).

მიულერი. Er ist tot! Er ist tot![6]

## 15 საათი და 05 წუთი.

(ლენინის კაბინეტი კრემლში. ლენინი მაყურებელთა დარბაზისკენ ზურგშექცეული დგას, საომარ მოქმედებათა რუკას აკვირდება. რუკაზე ფრონტის ხაზია, ფრონტის წრე მოსკოვთან ვიწროვდება. შემორბის აღელვებული ბონჩ-ბრუევიჩი).

ბონჩ-ბრუევიჩი. ვლადიმერ ილიჩ! მირბახი მოჰკლეს, ესესაა ყუმბარით მოკლეს მირბახი! ჩიჩერინმა გვაცნობა. მკვლელები მიიმალნენ.

ლენინი. ვინ არიან მკვლელები? თეთრგვარდიელები? ანარქისტები?

ბონჩ-ბრუევიჩი. ჯერ არაფერი ვიცით.

ლენინი. (დუმილის შემდეგ). ყოველნაირად ცდილობენ ომში ჩაგვითრიონ (ტელეფონის ყურმილს აიღებს). ძერჟინსკის სთხოვეთ, სასწრაფოდ! ფელიქს ედმუნდის ძევ, იცით თუ არა, რომ ეს-ესაა ყუმბარით მოკლეს მირბახი. მკვლელები მიიმალნენ. დიახ, ასეა. მე გთხოვთ სასწრაფოდ გამოიძიოთ ეს საქმე. სასწრაფოდ! კარგით, დამირეკეთ, არსად არ გავდივარ (ყურმილი დასდო.). ვლადიმერ დიმიტრის ძევ, თქვენ კი გთხოვთ ახლავე გაემგზავროთ საელჩოში და მიიღოთ ყველა საჭირო ზომა გერმანელების დასაცავად. დამირეკეთ და ყველაფერი მაცნობეთ.

ბონჩ-ბრუევიჩი. კარგით! (ლენინი ფეხზე მდგარი წერს ტელეფონოგრამას, ბონჩ-ბრუევიჩი იღებს ტელეფონის ყურმილს). კრემლის კომენდანტი! ამხანაგო მალკოვ, გელაპარაკებით ბონჩ-ბრუევიჩი. კრემლში სასწრაფოდ გამოაცხადეთ საბრძოლო განგაში! მსროლელთა ასეული ახლავე ავტომობილით გამოგზავნეთ კრემლის საკომენდანტო მმართველობის სახლისაკენ, მე წავიყვან. ყველა კართან გაძლიერებული დაცვა დააყენეთ! სახკომსაბჭოს შენობაში შეამოწმეთ მთელი შიდა დაცვა. არსად გახვიდეთ.

ლენინი. (ყურმილში) გამოგზავნეთ სტენოგრაფისტი.

ბონჩ-ბრუევიჩი. მირბახი მოჰკლეს. (ყურმილი დადო და გავიდა)

ლენინი. გთხოვთ ჩაიწეროთ: „ყველა რაიონულ კომიტეტს, დეპუტატთა ყოველ რაიონულ საბჭოს, წითელი არმიის ყველა შტაბს. დაახლოებით დღის სამ საათზე გერმანელთა საელჩოში ყუმბარით მოჰკლეს მირბახი. ეს საქმე მონარქისტებმა, ან იმ პროვოკატორებმა ჩაიდინეს, რომლებსაც სურთ ომში ჩაითრიონ რუსეთი და ამით სამსახური გაუწიონ ჩეხოსლოვაკელთა მომსყიდველ ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებს. მობილიზებული იქნას... რაო? უკაცრავად, ჩაიწერეთ? (უფრო ნელა კარნახობს.) „დამნაშავეთა შესაპყრობად თავი მოვუყაროთ მთელს ჩვენს ძალებს, ფეხზე დადგეს ყველა (შემოდის სვერდლოვი, მაგიდას მიუჯდა). გააჩერეთ ყველა ავტომობილი, შეუმოწმებელი არ დასტოვოთ მათი არცერთი ნაწილი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი“. დიახ, დიახ, სასწრაფოდ გადაეცით. მადლობელი ვარ (აიღებს შინაგანი ტელეფონის ყურმილს.) ჩიჩერინი კიდევ არ მოსულა? გამოჩნდება თუ არა, მაცნობეთ.

---

1 საოცრად ჯიუტნი არიან.
2 მაგიტომაც შეგაწუხეთ.
3 ამათთან საუბარი შეუძლებელია!
4 როგორი იქნება თქვენი წინადადება?
5 შესანიშნავი აზრია!
6 მოგვიკლეს! მოგვიკლეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვერდლოვი. (სიცილით). როგორც ჩანს, სახკომსაბჭოდან ისევ რევკომებზე გადასვლა მოგვიწევს.

ტელეფონის მკვეთრი ზარი.

ლენინი. გისმენთ (სვერდლოვს). ძერჟინსკია. მემარცხენე ესერები? უფრო ზუსტად ვთქვათ — რა ხალხი იყო? (სვერდლოვს) მანქანის ნომრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მემარცხენე ესერების ნახელავი უნდა იყოსო (ყურმილში.) საჭიროა გაირკვეს მკვლელი მარტო მოქმედებდა თუ ცეკას დავალებით. ამის გარკვევა უაღრესად საჭიროა (სვერდლოვს) არ იცის. (ყურმილში) გასაგებია. აჰა, მანდატებიც წარმოადგინეს? გელოდებით, არსად არ გავდივარ. (ყურმილს დასდებს) მემარცხენე ესერები ყოფილან. ჩიჩერინი სადღაა?

სვერდლოვი. უეჭველია, ეს აქცია ცენტრალური კომიტეტის დავალებით ჩატარდა, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ყველაფერი შედეგია იმ ისტერიკისა, რომელიც ყრილობაზე მოაწყეს ესერებმა.

ლენინი. ეს უკვე აღარ არის ბოლშევიკებისა და ესერების პატარ-პატარა კინკლაობა. ეს სერიოზული განხეთქილებაა. (ტელეფონის ზარი, ყურმილში.) მოვიდა? ძალიან კარგი!

სვერდლოვი. ვინ მოვიდა? ჩიჩერინი?

ლენინი. დიახ, ჩიჩერინი.

ჩიჩერინი. (შემოდის). ვლადიმერ ილიჩ, ეს პროვოკაციაა!

ლენინი. კარგად, ჩინებულად მოფიქრებული პროვოკაციაა. ორი კურდღელი დაიჭირეს ერთდროულად — მოკლეს მირბახი, კაცი, რომელიც რუსეთს არ უყვარდა, თანაც გერმანიას ისე აჩვენეს, თითქოს ეს საქმე ჩვენი გაკეთებულია. მკვლელებს საბჭოთა ხელისუფლების მანდატები ჰქონდათ ხელთ და მოქმედებდნენ, როგორც ჩვენი წარმომადგენლები. გიორგი ვასილის ძევ, საჭიროა რაიმე ვიღონოთ, რომ გერმანიის საელჩომ ეს ამბავი მიზანშეწონილად მოახსენოს ბერლინს, თორემ სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალია.

ჩიჩერინი. განსაკუთრებით იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მირბახი თავის მთავრობას მუდამ ერთსა და იგივეს მოახსენებდა — რუსები უძლურნი არიანო.

ლენინი. და ერთი პატარა დარტყმა საკმარისია, რომ რუსებისგან აღარაფერი დარჩესო.

ჩიჩერინი. მე მოველაპარაკები რიცლერს.

ლენინი. მოელაპარაკეთ. დაუყოვნებლივ უდეპეშეთ ბერლინში, ჩვენს საელჩოში იოფეს, ახლავე გამოცხადდეს საგარეო საქმეთა სამინისტროში და გადასცეს ჩვენი ბოდიში და სამძიმარი. განაცხადოს, რომ მთავრობას არავითარი კავშირი არა აქვს ამ მკვლელობასთან, რომ ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ ამ აღმაშფოთებელი შემთხვევის გამოსაძიებლად, რომ დამნაშავეებს უსათუოდ ვიპოვით და გავასამართლებთ. ყველა ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ გერმანელებმა ეს პროვოკაცია თავის სასარგებლოდ არ გამოიყენონ.

სვერდლოვი. თუ მოინდომეს, გამოიყენებენ კიდეც. ძალიან ახლოს დგანან მოსკოვთან.

ლენინი. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა...

(უცებ ორივე ტელეფონი აწკრიალდა, ლენინი და სვერდლოვი ყურმილებს დასწვდებიან. ერთდროულად ლაპარაკობენ)

სვერდლოვი. სვერდლოვი გისმენთ.

ლენინი. დიახ... მე ვარ... დაუკავშირდით მურალოვს?

სვერდლოვი. არა. ყრილობაზე ახლა შესვენებაა...

ლენინი. კარგით... აუცილებლად... მიმართეთ პოდვოისკის.

სვერდლოვი. დიახ, დიახ, თანახმა ვარ.

ლენინი. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ! (ყურმილი დადო).

სვერდლოვი. შემაგვიანდება. (ყურმილი დასდო).

ჩიჩერინი. ვლადიმერ ილიჩ, საჭიროა საელჩოში მისვლა და სამძიმრის გამოცხადება.

ლენინი. წაბრძანდით. ნუღარ აყოვნებთ.

ჩიჩერინი. არა, იქ უნდა წავიდეთ თქვენ, იაკობ მიხეილის ძე და მე.

ლენინი. (შეწუხებული). და მე უნდა ვილაპარაკო?

ჩიჩერინი. დიახ, შესაძლოა ჩვენმა მისვლამ და თქვენმა განცხადებამ შეარბილოს საელჩოს მოხსენება ბერლინისადმი.

ლენინი. მე უკვე გავიფიქრე რა უნდა ვთქვა და რასაკვირველია, ყველაფერი ავურიე. მინდოდა მეთქვა მიტლეიდ—სამწუხაროა-მეთქი, სინამდვილეში კი უნდა ვთქვა ბითლეიდ—თანაგიგრძნობთ-მეთქი. კიდევ რას ამბობენ ასეთ დროს?

ჩიჩერინი. საჭიროა ითქვას, რომ ჩვენი მთავრობა არაფერ შუაშია, უნდა აღვუთქვათ, რომ ყველაფერს მთელი სიმკაცრით გამოვიძიებთ. ჩვენ კი მოვამზადებთ და სახკომსაბჭოს ბლანკით გავავრცელებთ მთავრობის განცხადების ტექსტს.

(პაუზა. ლენინმა საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო. ბრაუნინგი ამოიღო, გასინჯა დატენილი არის თუ არაო და ჯიბეში ჩაიდო)

ლენინი. საძაგლობაა თავის ყოველგვარი დამცირება, ასეთი რამ კი — განსაკუთრებით. მომავალში ბოდიშები იმან იხადოს, ვინც ტყვიას გაისვრის. ახლა კი წავიდეთ.

15 საათი და 35 წუთი.

(გერმანიის საელჩო. მისაღები, ეზოს ერთი ნაწილი. შემოდის ბონჩ-ბრუევიჩი, მის შესახვედრად გაემართება მიულერი)

ბონჩ-ბრუევიჩი. მე სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ბონჩ-ბრუევიჩი გახლავართ.

მიულერი. აღარ არის, მოგვიკლეს, ორი კაცი მოვიდა, გრაფი ძალიან კეთილია, უარი ველარ უთხრა... იგი ყველას ღებულობს... გამოვიდა... ლაპარაკობდნენ... ყველაფერი ისე წყნარად და სასიამოვნოდ მიდიოდა... და უცებ სროლა!... მერე ყუმბარაც...

ბონჩ-ბრუევიჩი. ვინ იცავდა საელჩოს, თქვენი ხალხი?

მიულერი. კი... კი... ყველა ჩვენი იყო... ამას არავინ ელოდა...

ბონჩ-ბრუევიჩი. დაცვას კარგად იცნობთ?

მიულერი. ვიცნობთ, ყველა ჩვენიანია... ყველა სანდოა...

ბონჩ-ბრუევიჩი. ჩვენი ხალხი ხომ არ ყოფილა აქ?

მიულერი. არა, არ ყოფილან.

ბონჩ-ბრუევიჩი. გმადლობთ (შედის ოთახში, სადაც მირბახი მოჰკლეს, შემოდის ძერჟინსკი. იგი არავის არ აქცევს ყურადღებას, განაგრძობს შენობის საგულდაგულო დათვალიერებას. მიდის ჩანთასთან, რომელიც ბლიუმკინს დარჩა. ჩანთიდან ამოიღებს ყუმბარას, რევოლვერს, ქაღალდებს. მერე ყველაფერს უკანვე ჩაალაგებს და ჩანთას გადასცემს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელს ხრუსტალევს, რომელიც ახლახან შემოვიდა მისაღებში. შემორბის რიცლერი, იგი რაღაც ქაღალდს ატრიალებს ხელში).

რიცლერი. (ყვირის). ამაზე რაღას იტყვით, ბატონო ძერჟინსკი! აქ თქვენი ხელისმოწერაა. თქვენი მთავრობა პასუხს აგებს ამაზე!

ძერჟინსკი. (რიცლერს ბლიუმკინის პირადობის მოწმობა გამოართვა, დააკვირდა). ჩემი და ქსენოფონტოვის ხელმოწერა ყალბია. (მოწმობას ბლუზის ჯიბეში შეინახავს).

ბონჩ-ბრუევიჩი. (შემოდის). ბატონო რიცლერ, ახლა აქ მოვლენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სვერდლოვი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

რიცლერი. მადლობელი ვარ ინფორმაციისათვის. წამოდით, მიულერ! (გადის მიულერთან ერთად)

ძერჟინსკი. (სავარძელში ჩაჯდა). ნეტავი რა ხდება?

ბონჩ-ბრუევიჩი. მაგას რატომ ამბობთ?

ძერჟინსკი. ჩვენთან ვრეკავ და ყურმილს არავინ იღებს, მერე ვიღაცამ აიღო ყურმილი, ალექსანდროვიჩს დაუძახეთ-მეთქი, მაგრამ ალექსანდროვიჩი არსად ჩანს, არც სხვები ჩანან, რაღაც არეულობაა... მემარცხენე ესერები რაღაც... (ბლიუმკინის მანდატი ბონჩ-ბრუევიჩს მიაწოდა)

ბონჩ-ბრუევიჩი. ხელმოწერა ნამდვილად თქვენია?

ძერჟინსკი. არა.

ბონჩ-ბრუევიჩი. გასაგებია.

ძერჟინსკი. ბლიუმკინი ესერია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ იგი საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. პარტიაზე ეჭვის მიტანა გამორიცხულია... არა, ეს შეუძლებელია.

ბონჩ-ბრუევიჩი. ყრილობაზე მეტისმეტად ცხარობდნენ.

(შემოდის საბჭოთა მთავრობის დელეგაცია: ლენინი, სვერდლოვი, ჩიჩერინი)

ძერჟინსკი. (ლენინს). მკვლელი გახლავთ მემარცხენე ესერი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელი იაკობ ბლიუმკინი. აი, ამ მანდატით გამოცხადდა (მანდატი გადასცა).

ლენინი. (კითხულობს). გასაგებია (ჩიჩერინს). რასაკვირველია, ბერლინს აცნობებენ, რომ მკვლელობაში ჩვენცა ვართ გარეული. მოწმობაზე ძერჟინსკის ხელმოწერაა.

ძერჟინსკი. (აფეთქდა). ეს ხელმოწერა ყალბია!

ლენინი. (პირქუშად). ბეჭედი, რომელიც ამ დოკუმენტს ამშვენებს? (ძერჟინსკიმ ხელებილა გაშალა). სუფთა ნამუშევარია, ასეთ საქმეზე დილეტანტს არ გამოგზავნიდნენ.

ბელენკი. (შემორბის აღელვებული). ფელიქს ედმუნდის ძევ, ბლიუმკინი პოპოვის რაზმშია. რაზმიც და პოპოვიც უარს აცხადებენ თქვენი განკარგულებების შესრულებაზე.

ძერჟინსკი. რაო?!

ბელენკი. იქიდან მოვრბივარ, ძლივს გამოვაღწიე, ლამის დამაპატიმრეს.

ძერჟინსკი. ჩეკას სამხედრო ნაწილები ურჩობენ? სისულელეა, ახლავე წავალ და ყველაფერს გავარკვევ.

ბონჩ-ბრუევიჩი. არაფრით არ შეიძლება თქვენი იქ წასვლა. სახიფათოა!

სვერდლოვი. მე კი მგონია, რომ ფელიქსი უნდა წავიდეს, მივა და ყველაფერი რიგზე იქნება.

ბელენკი. ჩეკას თანამშრომელი მემარცხენე ესერები სადღაც გაქრნენ, ალექსანდროვიჩმა სალაროც თან წაიღო. შიგ 150 ათასი მანეთი იყო.

ლენინი. ალექსანდროვიჩი ვინ არის?

ძერჟინსკი. ჩემი მოადგილე.

ლენინი. დიახ, ამხანაგებო, მირბახის მკვლელობა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. ახლა მჟღავნდება მოქმედების მთელი გეგმა. ფელიქს ედმუნდის ძევ, მე მგონია, ბონჩ-ბრუევიჩი მართალია, უაზრობაა ახლა თქვენი იქ წასვლა. ყველაფერს სჯობია მსროლელთა რაზმი გავგზავნოთ.

ძერჟინსკი. (ნერვიულად). ჩეკას მუშაობაზე პარტიისა და მთავრობის წინაშე პასუხს მე ვაგებ, ამიტომ მე არ შემიძლია...

ლენინი. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

ძერჟინსკი. მივდივარ (გადის).

ლენინი. თავს გაუფრთხილდით, ფელიქს ედმუნდის ძევ!

ძერჟინსკი. (ბელენკისა და ხრუსტალევს). წავიდეთ, ამხანაგებო! (გადიან. შემოდიან გერმანიის წარმომადგენლები რიცლერი და მიულერი. თავის მსუბუქი დაქნევით მიესალმებიან დამხვდურთ. სამარისებური სიჩუმე).

ჩიჩერინი. Den Text der Regierungserklärung verlautbart der Vorsitzende des Rats der Volkskommissaren Uljanov-Lenin[7].

ლენინი. (საქაღალდე არც გახსნა, ძალიან აწუხებს ასეთი დამამცირებელი საქციელი — ლაპარაკობს ხმადაბლა, ყრუდ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უაღრესად ღელავს) Der Sowjet der Volkskomissaren äußert seine Enrüstung anläßlich des Vorfalls innerhald des Gebäudes der Botschaft, wo der Sowjet der Volkskommissaren leider keine Möglichkeit hatte, der deutschen Vertretung zu Hilfe zu kommen. Der Sowjet der Volkskommissaren und das allrussische zentrale Exekutivkomitée bezeigen ihr tiefes Beileid und Mitleid anläßlich des tragischen Todes des deutschen Botschafters Grafen Mirbachs.

Dieser Fall wird unverzüglich intersucht und die Schuldigen werden gesetzmäßig bestraft[8].

რიცლერი. Ich informiere unverzüglich meine Regierung über Ihre Erklärung. Muler, übersetzen Sie[9].

სვერდლოვი. (რიცლერს აწყვეტინებს). ich danke Ihnen, Herr Rizler... wir haben Sie ausgezeichnet verstanden[10].

---

7 მთავრობის განცხადების ტექსტს წაიკითხავს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი.

8 სახალხო კომისართა საბჭო გამოსთქვამს თავის გულისწყრომას და იხლის ბოდიშს იმის გამო, რაც მოხდა საელჩოს შენობაში, სამწუხაროდ, სახალხო კომისართა საბჭო უძლური იყო დახმარებოდა გერმანიის წარმომადგენლობას შენობის შიგნით. სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამენ ღრმა გულისტკივილს და თანაგრძნობას გერმანიის ელჩის გრაფ მირბახის ტრაგიკული სიკვდილის გამო. სათანადო ორგანოები ამ საქმეს დაუყოვნებლივ გამოიძიებენ და დამნაშავენი მიიღებენ კანონიერ სასჯელს.

9 თქვენი განცხადების თაობაზე დაუყოვნებლივ ვაცნობებ ჩემს მთავრობას. უთარგმნეთ, მიულერ.

10 მადლობელი ვარ, ბატონო რიცლერ. ჩვენ ყველაფერი გავიგეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეხსვიატიტელსკის შესახვევი. სახლი, რომელშიც სავა მოროზოვი ცხოვრობდა. აქ დაბანაკებულია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ცხენოსანთა პოლკის მეთაური პოპოვი. სხედან მეზღვაურები და ჯარისკაცები. დარბაზში შემოდის ძერჟინსკი. მას ახლავს ბელენკი და ხრუსტალევი.

ძერჟინსკი. გამარჯობათ, ამხანაგებო!

(ჯარისკაცები და მეზღვაურები ფეხზე წამოიჭრებიან).

ხმები. გამარჯობათ, ამხანაგო ძერჟინსკი!
გამარჯობათ, ფელიქს ედმუნდის ძევ!

ძერჟინსკი. ეს რა დღესასწაული გაგიმართავთ აქ, რა დროშები და ლოზუნგები გამოგიფენიათ?!

ულვაშიანი ჯარისკაცი. მირბახი მოვკალით.

ძერჟინსკი. მერე რა მოხდა?

ულვაშიანი ჯარისკაცი. იმ სისხლისმსმელისაგან განთავისუფლებას ვზეიმობთ, ამხან...

ძერჟინსკი. გასაგებია. პოპოვი მოვიდეს, სწრაფად! (მიდის ტელეფონთან; იღებს ყურმილს.) ჩეკას კომენდატურაა? ძერჟინსკი ვარ... ალექსანდროვიჩი როგორც კი გამოჩნდება, სასწრაფოდ დამირეკოს. პოპოვთან ვარ.

დარბაზში შემოდის პოპოვი

პოპოვი. (ნერვიულობს). გამარჯობათ, ფელიქს ედმუნდის ძევ!

ძერჟინსკი. სად არის ბლიუმკინი?

პოპოვი. არ ვიცი, ფელიქს ედმუნდის ძევ, აქ იყო, მე თვითონ ველაპარაკე, თავს ცუდად გრძნობდა, ფეხი ასტკივდა, ეტლი დაიქირავა და სადღაც წავიდა, მგონი, ჰოსპიტალში.

ძერჟინსკი. მომეცით რევოლუციონერის პატიოსანი სიტყვა, რომ არ იცით, სად არის ბლიუმკინი.

პოპოვი. სიტყვას გაძლევთ, ფელიქს ედმუნდის ძევ, რომ მე მართლა არ ვიცი აქ არის თუ არა იგი... არ ვიცი, არა, არ ვიცი...

ძერჟინსკი. ვიდრე მოიტყუებდეთ, ტყუილის თქმა უნდა ისწავლოთ, პოპოვ! შეიხსენით იარაღი და მომყევით!

პოპოვი. ფელიქს ედმუნდის ძევ...

ძერჟინსკი. (ბელენკის). განაიარაღეთ!

(პოპოვი ბელენკის გადასცემს ნაგანს და ძერჟინსკის მიჰყვება. ისინი მარჯვნივ მიდიან. მარცხნიდან სპირიდონოვას მეთაურობით შემოდიან მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები.)

პროშიანი. (ჯარისკაცებს). რა მოხდა?

ულვაშიანი ჯარისკაცი. ამხანაგი ძერჟინსკი მოვიდა, ბლიუმკინს დაეძებს, ამხანაგი პოპოვი დააპატიმრა. ბლიუმკინის საძებრად წავიდა. მეტისმეტად უგუნებოდაა.

სპირიდონოვა. (კოლეგებს) პირდაპირ უნდა ვუთხრათ სიმართლე.

კარელინი. ძერჟინსკი რევოლუციონერია, ყველაფერს გაგვიგებს.

გოლუბოვსკი. ბოლოსდაბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს ახლა გაიგებს სიმართლეს თუ ერთი საათის შემდეგ?

პროშიანი. ყველანი გავგიჟდით, იმ წუთში დაგვაპატიმრებს.

კარელინი. ვერ გაბედავს. ყრილობაზე გადაიტანს ამ საკითხს.

ალექსანდროვიჩი. თქვენ არ იცნობთ ძერჟინსკის, ახლავე დაგვაპატიმრებს ყველას.

პროშიანი. ალექსანდროვიჩი მართალია. სამწუხაროდ, ძერჟინსკის საამისო საფუძველიც ექნება. მის ადგილას ყოველი ჩვენგანი ასევე მოიქცეოდა.

სპირიდონოვა. რა გაეწყობა, თუ ასეა, იძულებული ვართ ჩვენ დავაპატიმროთ.

ჩერეპანოვი. სხვა გზა არა გვაქვს.

კოლეგაევი. დაფიქრდით. გესმით რას აკეთებთ? ხომ არსებობს ბრძოლის ლოგიკა. სად მიგვიყვანს იგი?

პროშიანი. შენ რას გვთავაზობ? როგორ მოვიქცეთ? სამწუხაროდ, ძერჟინსკის დაპატიმრება გარდაუვალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამკოვი. არ უნდა დავაყოვნოთ, რაც ადრე დავაპატიმრებთ, მით უკეთესი.

სპირიდონოვა. მე თანახმა ვარ.

პროშიანი. კარგით. მხოლოდ ალექსანდროვიჩი წავიდეს. შენ ნუ შეეჩხირები თვალში.

ალექსანდროვიჩი. კარგით *(გადის)*.

პროშიანი. მე და კარელინი შევეგებებით. საბლინ, შენ ხალხი მოამზადე.

ხმები: მოდის! მოდის! მოდის!

*(დარბაზში ბრუნდება ძერჟინსკი, მას თან ახლავს ხრუსტალევი, ბელენკი და პოპოვი).*

ძერჟინსკი. სად არის ბლიუმკინი?

კარელინი. ტყუილად დაეძებთ. მან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მირბახი მოჰკლა. ბლიუმკინს არ ჩაგაბარებთ.

ძერჟინსკი. *(რაღაც გადაწყვიტა)*. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სახელით გიცხადებთ, რომ ყველანი დაპატიმრებულნი ხართ, როგორც რევოლუციის მტრები. გიბრძანებთ ჩემს მანქანაში ჩასხდეთ *(კარელინმა და პროშიანმა უხმოდ გადახედეს პოპოვს)* თუ პოპოვი, ან სხვა ვინმე ხელს შემიშლის, არ დავაყოვნებ და ტყვიას მივახლი შუბლში.

*(პაუზა. არავინ ხმას არ იღებს. ძერჟინსკი მიმართავს ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს)* რა ხდება თქვენს რაზმში, ამხანაგებო? მე მოგითხოვ, განაიარაღოთ გამყიდველთა ბანდა. ესენი რევოლუციის მოღალატენი არიან.

საბლინი. *(გაბედა და წინ გამოვიდა)*. ამხანაგო ძერჟინსკი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გიცხადებთ, რომ თქვენ დაპატიმრებული ხართ, ჩააბარეთ იარაღი.

ძერჟინსკი. *(ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს)*. რაო, ამხანაგებო, ნუთუ თქვენ უფლებას მისცემთ რომელიღაც ვაჟბატონებს თქვენს თვალწინ იარაღი აჰყარონ ჩეკას თავმჯდომარეს? ნუთუ არ გესმით, რომ ამით საბჭოთა ხელისუფლებას უცხადებენ ბრძოლას?

საბლინი. შეწყვიტეთ ეგ აგიტაცია, ჩეკაში კი არა ხართ. ბრესტის ზავმა ჰირი მოგჭამათ — გინდათ თუ არ გინდათ, გერმანიასთან ომი გარდაუვალია.

ძერჟინსკი. ბრესტის ზავი საბჭოების ყრილობამ მიიღო და მისი ჩაშლა გამყიდველობაა.

პროშიანი. ვინ ამბობდა ამ ექვსი თვის წინ ბრესტის ზავი მთელს ჩვენს პროგრამაზე უარის თქმას და რევოლუციის ღალატს ნიშნავსო. ეს თქვენი სიტყვებია, ამხანაგო ძერჟინსკი. ჩვენ ყველაფერი კარგად გვახსოვს.

ძერჟინსკი. ეს შეცდომა მეტად ძვირი დაჯდა. თქვენ კი ჯიუტად მისდევთ მას და არ იცით საით მიდიხართ.

კამკოვი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ წმინდათა წმინდა რევოლუციური ომისაკენ.

ძერჟინსკი. თქვენ თეთრგვარდიელებისა და გამყიდველობისაკენ მიდიხართ!

სპირიდონოვა. იმპერიალისტებს რომ უკრაინა, ესტლანდია, ლატვია ჩააბარეთ, მილიონობით ჩვენი ძმები რომ ტანჯვა-წამებისათვის გაიმეტეთ, ამას რას ეძახით? თქვენი აზრით, ეს არ არის გამყიდველობა? აჰყარეთ იარაღი!

*(საბლინი და რამდენიმე ჯარისკაცი ძერჟინსკის მივარდებიან და იარაღს აჰყრიან).*

ჩერეპანოვი. ეგ არაფერი, ფელიქს ედმუნდის ძევ, თქვენს ქუჩაზე ოქტომბერში იყო დღესასწაული, ჩვენს ქუჩაზე კი ივლისში დგება.

ძერჟინსკი. მთელს თქვენს ამბოხს ერთ დღეღამეში მოეღება ბოლო *(პოპოვს.)* მომეცით რევოლვერი. შუბლი უნდა გაგიხვრიტოთ, როგორც რევოლუციის გამყიდველს.

პოპოვი. მე მუდამ პატიოსნად ვასრულებდი თქვენს ბრძანებებს.

ძერჟინსკი. მოღალატევ!

*(ხრუსტალევი შეუმჩნევლად გადის. ბელენკი ძერჟინსკისთან რჩება).*

კარელინი. ახლა სპირიდონოვა დიდ თეატრში მიდის, იგი ყრილობას გამოუცხადებს მირბახის მოკვლის ამბავს. თქვენ კი ჩვენს რაზმში დარჩებით, როგორც მძევალი.

ძერჟინსკი. გირჩობთ ახლავე დამხვრიტოთ. თუ სპირიდონოვას დააპატიმრებენ, მე ყველაზე ადრე მოვითხოვ, რომ იგი არ გაანთავისუფლონ.

პოპოვი. მარია სპირიდონოვას გულისთვის არც კრემლს დავზოგავ, არც თქვენს კომიტეტს ლუბიანკაზე და არც დიდ თეატრს. გაიყვანეთ! *(ძერჟინსკი და ბელენკი გაჰყავთ. ჯარისკაცები აფუსფუსდნენ).*

ულვაშიანი ჯარისკაცი. აბა, ეს რაღა გამოდის, ძერჟინსკისაც კი ვაპატიმრებთ!

სპირიდონოვა. ამხანაგებო, ძერჟინსკის დაპატიმრება დროებითი ღონისძიებაა, რომელიც თავდაცვისათვის გვჭირდება. როგორც კი ყველაფერი დამთავრდება, ძერჟინსკის გავანთავისუფლებთ, ჩვენი პარტიის გზები და პროგრამა ნათელია და პირდაპირი — იმპერიალიზმთან ყოველგვარ შეთანხმებასა და კომპრომისზე უარის თქმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის, საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამბოხებათა და რევოლუციური ომის გზით დავამარცხოთ ომი, დავამყაროთ სოციალიზმი მთელს მსოფლიოში. ჩვენ არ გვინდა ძმათა სისხლისღვრა, მოძმე ბოლშევიკებს მოვუწოდებთ იარონ ჩვენთან ერთად. ჩვენ ახლა ყრილობაზე იმ განზრახვით მივდივართ, რომ მთელ მშრომელ ხალხს, მთელ საერთაშორისო იმპერიალიზმს ავუხსნათ თუ რა პოზიციაზე ვდგავართ და პასუხისმგებლობაც ვიკისროთ ჩვენს ნამოქმედარზე. ჩვენ გვჯერა, რომ ყრილობის დელეგატები გაგვიგებენ და მხარს დაგვიჭერენ. გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას! სასიკვდილო და დაუნდობელი ომი მსოფლიო იმპერიალიზმს! ვაშა, ამხანაგებო!

ჯარისკაცები. ვაშაა!

სპირიდონოვა. მოხარული ვარ, რომ ერთმანეთის გვესმის. ამხანაგო პოპოვ, გთხოვთ შეუდგეთ თქვენი სამხედრო რევოლუციური მოვალეობის შესრულებას.

პოპოვი. არის! მომყევით, ამხანაგებო!

*(პოპოვი გადის და გაჰყავს ჯარისკაცები)*

სპირიდონოვა. ერთ საათში შესვენება დამთავრდება. ყრილობაზე გოლუბოვსკი გამყვება.

პროშიანი. მაინც მიდიხარ?

სპირიდონოვა. მივდივარ, ყრილობამ სწორედ ჩვენგან უნდა გაიგოს სიმართლე.

საბლინი. წარმატებას გისურვებთ.

*სპირიდონოვა და გოლუბოვსკი გადიან. ყველანი უსიტყვოდ აყოლებენ თვალს.*

## 16 საათი და 55 წუთი

ლენინის კაბინეტი კრემლში. ლენინი და სვერდლოვი ერთდროულად ლაპარაკობენ სხვადასხვა ტელეფონით. ჭექა-ქუხილია. მთელი სცენის განმავლობაში ისმის შორეული გრგვინვა.

სვერდლოვი. ყრილობის სხდომას ჩვენ მაინც ზუსტად ექვს საათზე დავიწყებთ.

ლენინი. ბერლინიდან რა ისმის? *(სვერდლოვს)* არაფერიო. მალე გავალთ. დიდ თეატრში ვიქნები. *(ყურმილი დასდო, მაგრამ ზარის შემდეგ უკვე აიღო.)* გისმენთ.

სვერდლოვი. გააორმაგეთ თეატრის როგორც შიდა, ისე გარე დაცვა.

ლენინი. არა, მემარცხენე ესერებს ჩვენ პირდაპირ დავუსვამთ საკითხს ან ჩვენთან უნდა იყვნენ, ან ჩვენს წინააღმდეგ.

სვერდლოვი. ოც წუთში მოვბრუნდებით *(ყურმილი დასდო, სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, ბლოკნოტში რაღაცას იწერს).*

ლენინი. ჩემთვის ექვსგარეშეა, რომ სპირიდონოვა და მისი მეგობრები მორალურად აგებენ პასუხს გრაფ მირბახის მკვლელობის გამო. დიახ... იგი სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა... სპირიდონოვა მემარცხენე ესერთა ხელმძღვანელობის საუკეთესო და უპატიოსნესი წარმომადგენელია. მაგრამ პოლიტიკური სისულელე მაინც სისულელედ რჩება, თუნდაც პატიოსანმა და გულწრფელმა ადამიანმა წამოაყენოს იგი. ომი კარს მოგვაყენეს. იმ ადამიანებზე თუ ფიქრობთ, სპირიდონოვას გულწრფელი სისულელის გამო რომ უნდა ღვარონ სისხლი... აჰ, თქვენ ეს არ გინდათ... რაო? რა მითხარით? იქნებ მხოლოდ ბოლშევიკებს მოგვიწიოს რუსეთის მართვა? სწორად გავიგე? ასე მითხარით? აი, რას გეტყვით, ძვირფასო მეგობარო... ჩვენ ყოველთვის თანახმანი ვიყავით და ახლაც იმავე აზრისა ვართ, რომ საბჭოების უმცირესობასთან ერთად გვემართა ქვეყანა, თუ უმცირესობა პატიოსნად შეასრულებდა თავის მოვალეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დაემორჩილებოდა უმრავლესობას და გაატარებდა საბჭოების ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამას, მაგრამ თუ უმცირესობას, უფრო სწორად, უმცირესობის ლიდერებს არ სურთ დამორჩილებენ ელემენტარულ დემოკრატიულ პრინციპს, რა გაეწყობა, ჩვენი პარტია ერთხელ უკვე არ შეუშინდა სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას და არც მომავალში შეუშინდება *(სვერდლოვს)* ახლავე, იაკობ მიხეილის ძევ, ახლავე. *(ყურმილში)* ხელისუფლების სათავეში მდგომ რევოლუციურ პარტიასთან ბრძოლისას ოპოზიციამ, უწინარესად, იმაზე უნდა იფიქროს, რომ რევოლუციური ბანაკის მიღმა მყოფი ძალების ცენტრად და რუპორად არ იქცეს, ხოლო თუ ასე მოხდა, ერთ მშვენიერ დღეს ბრძოლის ლოგიკა უსათუოდ ბარიკადების მეორე მხარეს გადაისვრის. სწორედ ამას ვიტყვით ახლა ყრილობის ტრიბუნიდან. მაპატიეთ, გვაგვიანდება, ნახვამდის *(ყურმილი დასდო, სვერდლოვს.)*. ძერჟინსკის არ დაურეკავს?

სვერდლოვი. არა.

ლენინი. ერთი წუთით, ახლავე წავალთ... *(ქაღალდებს ათვალიერებს, მოულოდნელად გაეცინა.)* ამას კი სიამოვნებით მოვაწერ ხელს, *(სწრაფად მოაწერა ხელი)* დანარჩენი არ არის საჩქარო. წავიდეთ, იაკობ მიხეილის ძევ. სხდომა თავის დროზე უნდა დავიწყოთ. ჰო, აუცილებლად უნდა მივიღოთ ცეკასა და სახკომსაბჭოს მიმართვა.

სვერდლოვი. უკვე მზად არის. *(მიმართვის ტექსტი ლენინს გადასცა)*

ლენინი. *(გზადაგზა ეცნობა)*. სწორია... ჩინებულია.

*კაბინეტში ტელეგრაფის ფირით ხელში შემორბის გორბუნოვი*

გორბუნოვი. ამხანაგებო, იაროსლავში თეთრგვარდიელების ამბოხებაა!

*(ფირი ლენინს გადასცა)*

სვერდლოვი. ამბოხება?!

გორბუნოვი. ძალაუფლება ხელთ იგდო სავინკოვის „სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირმა“. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელია პოლკოვნიკი პერხუროვი. ამხანაგი ნახიმსონი დახვრიტეს.

ლენინი. ნახიმსონი დახვრიტეს?!

გორბუნოვი. დიახ, განადგურებულია საბჭოს მთელი შემადგენლობა. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ასცხრა კაცი ვოლგაში ჩაახრჩვეს.

ლენინი. *(მუშტი ძლიერად დასცხო მაგიდას)*. არამზადები, არამზადები! სასწრაფოდ მომინახეთ ტროცკი *(გორბუნოვი ტელეფონს ეცა)* ყველაფერი ერთ რგოლში იყრის თავს.

გორბუნოვი. *(ყურმილში)*. სამხედრო საქმეთა კომისარი ტროცკი!

ლენინი. *(სვერდლოვს)*. როგორ მოვიქცეთ?

სვერდლოვი. მე მაინც წავალ ყრილობაზე.

ლენინი. სწორია.

სვერდლოვი. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველი შემთხვევისათვის თავი მოვუყაროთ მთავრობისა და ცეკას წევრებს, მთელს ჩვენს ფრაქციას, დავაგზავნოთ ეს ამხანაგები რაიონებში. იარაღი მივცეთ მუშებს.

ლენინი. ძალიან კარგია, მაგრამ ყრილობის დაწყებამდე წაიკითხეთ ჩვენი მიმართვა მირბახის მოკვლის გამო *(ტექსტი გადასცა)* ხოლო შემდეგ საგანგებო მდგომარეობის გამო გამოაცხადეთ შესვენება.

სვერდლოვი. გასაგებია.

გორბუნოვი. სასწრაფოდ მონახეთ ტროცკი. ლენინი უნდა ელაპარაკოს.

სვერდლოვი. *(უბის წიგნაკი ამოიღო)*. დელეგატებს სოკოლნიკში გაჰყვება სმიდოვიჩი, როგოჟსკი-სიმონოვსკის რაიონში — სკრიპნიკი, საქალაქო რაიონში — ზინოვიევი, ზამოსკვარეჩიეში — ციურუპა და შლიხტერი.

ლენინი. შლიხტერი ლეფორტოვოში წავიდეს.

სვერდლოვი. თეოდოროვიჩი და პოდბელსკი ბასმანის რაიონში!

ლენინი. პრესნიაზე ვინ წავა?

სვერდლოვი. ბუბნოვი. ლენინი — სახკომსაბჭოში, სვერდლოვი — საბჭოების ყრილობაზე, ბუხარინი — „პრავდაში“, სტეკლოვი — „იზვესტიაში“, ტროცკი — სამხედრო კომისარიატში.

ლენინი. უმთავრესი ყურადღება მიაქციოს იაროსლავლს, მასვე მიამაგრეთ ლიაშევიჩიც.

სვერდლოვი. იოფე — ბერლინში, პეტროვსკი, არტემი და კოლონტაი — უკრაინაში, სტალინი — ცარიცინში, რიკოვი — ყაზანში.

ლენინი. სტალინსა და რიკოვს დაწვრილებით უდეპეშეთ ყველაფერი.

სვერდლოვი. ურიცკი და ზასლავსკი დღესვე პიტერში გავგზავნოთ. გამორიცხული არ არის, რომ ესერებმა იქაც წამოიწყონ რამე.

ლენინი. ძალიან კარგი.

სვერდლოვი. ვლადიმერ ილიჩ, თუ რამე მოხდეს, მაცნობეთ.

ლენინი. უსათუოდ.

*(სვერდლოვი გადის)*

გორბუნოვი. *(ყურმილში)*. ელაპარაკეთ ამხანაგ ლენინს.

ლენინი. *(ყურმილი აიღო და გორბუნოვს ქაღალდი მიაწოდა)* ნიკოლაი პეტროვიჩ, ეს მიმართვა გაზეთსა და სტამბას გაუგზავნეთ.

გორბუნოვი. ახლავე *(გადის)*.

ლენინი. *(ყურმილში, მკაცრად)* რა გაკეთდა იაროსლავლში ამბოხების ჩასაქრობად? დიახ, დიახ... გასაგებია. არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენი მუშაკები დღედაღამ ამთქნარებენ, მაგრამ გთხოვთ სასწრაფოდ და ყოველნაირად გააძლიეროთ პირადი კონტროლი. დაყოვნება დაღუპვას ნიშნავს — შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ. ყველა და ყველაფერი იქ გადაისროლეთ *(კაბინეტში შემოდის აღელვებული და ცოტა დაბნეული ბონჩ-ბრუევიჩი. მას მოჰყვება გორბუნოვი.)*. ახლა მხოლოდ იაროსლავლზე იზრუნეთ, ყოველ საათში მომახსენეთ, როგორი მდგომარეობა იქნება. საელჩოში ვიყავით, ბოდიში მოვიხადეთ. ბერლინი ჯერჯერობით დუმს.

ბონჩ-ბრუევიჩი. ვლადიმერ ილიჩ...

ლენინი. დიახ.

ბონჩ-ბრუევიჩი. ძერჟინსკი დააპატიმრეს.

ლენინი. რაო?! *(წამოიმართა, ერთიანად დაიძაბა.)* შეუძლებელია... ვინ გაცნობათ?

ბონჩ-ბრუევიჩი. ჩეკას თანამშრომელმა ხრუსტალევმა. იგი ძერჟინსკისთან ერთად იყო პოპოვის რაზმში. ძლივს დააღწია თავი.

ლენინი. რა ჯანდაბაა, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით მემარცხენე ესერთა ცენტრალურ კომიტეტს, სპირიდონოვას, პროშიანს, ჭკუა ასწავლონ მაგ პოპოვს.

ბონჩ-ბრუევიჩი. ძერჟინსკი სწორედ მემარცხენე ესერთა ცენტრალურმა კომიტეტმა დააპატიმრა. ყველანი იქ იყვნენ. პროშიანიც, სპირიდონოვაც, კოლეგაევიც... პოპოვის შტაბში დაბანაკდნენ.

*(ხანგრძლივი პაუზა)*

ლენინი. მაშ, ასეა... ეს ნამდვილი ამბოხია, აჯანყებაა... *(დაფიქრებული ნელ-ნელა გაემართა თავისი სავარძლისაკენ, დაჯდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს დუმს)*.

გორბუნოვი. ვლადიმერ ილიჩ...

ლენინი. *(მშვიდად, აუღელვებლად)*. გამოიძახეთ პოდვოისკი და მურალოვი. აცნობეთ, რომ დანიშნული არიან ამბოხების ლიკვიდაციის ყველა ოპერაციის ხელმძღვანელად. მეამბოხეებს რამენაირად აცნობეთ, რომ ფელიქსის სიცოცხლისათვის საკუთარი თავით აგებენ პასუხს. ჩეკას თავმჯდომარედ დროებით ინიშნება ამხანაგი ლაცისი. ხოლო რაც შეეხება მემარცხენე ესერთა ფრაქციას, ძერჟინსკის დაპატიმრების შემდეგ საბჭოთა კანონი ველარ დაიცავს მათ. ახლავე აცნობეთ სვერდლოვს დააპატიმროს ყრილობაზე მყოფი მემარცხენე ესერთა ფრაქცია *(გორბუნოვი გადის.)*. არა, ამას არ ველოდი, არ ველოდი, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ სპირიდონოვა ასე ცოფმორეული გამოვიდა და რევოლვერითაც კი იმუქრებოდა. ბრესტის ზავის დადებამდე პროშიანი მესაუბრა. თითქოს არარავითარი გაუგებრობა აღარ იყო ჩვენს შორის. ჩვენი პარტიები უსათუოდ უნდა შეერწყანო ერთმანეთს, სახკომსაბჭოში მუშაობამ დაგვამეგობრა და დაგვაახლოვაო. ურთიერთშერწყმაზე თავი შევიკავე, მაგრამ დაახლოება მართლაც მოხდა. სრულიად სხვადასხვა პოზიცია გვქონდა, მაგრამ არ მეგონა, თუ მემარცხენე ესერები ცოფმორეულ ყვირილზე, გინებაზე, გამოხტომებსა და სხვა სისულელეზე შორს

წავიდოდნენ. ნამდვილად არ მეგონა... გამყიდველობა მუდამ მოულოდნელია!
(ბონჩ-ბრუევიჩი გადის, ლენინი ფანჯარასთან მიდის, მოსკოვის თავზე ცა მოიქუფრა, თითქმის გაშავდა. ყრუ ქუხილი აფეთქებასავით აფორიაქებს გარემოს. ზეცას ჰკვეთს ცალკეული გაელვებანი. ნამდვილი თქეში წამოვიდა, ლენინი მრისხანე, მოჭუტული თვალებით შესცქერის წყლის ნაკადს, რომელიც სახკომსაბჭოს შენობის წინ მოედინება).

### 18 ს. 05 წ.

დიდი თეატრის სცენა. ყრილობის პრეზიდიუმი. სადაცაა შესვენება დამთავრდება. თეატრის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები გაცხარებული კამათობენ.
— გაიგეთ, რომ ჩვენ არა გვაქვს ამის თავი!
— ეგ იმიტომ, რომ ფეხებზე გკიდიათ რევოლუციური იდეების ძალა!
— რომელ ომზე ლაპარაკობთ, როცა ხალხს შიმშილისაგან მუცელი ეწვის!
— პური არა გვაქვს!
— უკრაინა გერმანელებს დაუთმეთ და პური საიდან გექნებათ?!
— ავანტიურისკენ გვიბიძგებთ!
— შავი ზღვის ფლოტი რატომ ჩაძირეთ?
— გერმანელებისთვის მიგვეცა?
— ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა!
— კი, მაგრამ როგორ, რით უნდა გვებრძოლა?!
— აი, ამ ხელებით.
(შემოდის სვერდლოვი)

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. შესწყვიტეთ ამხანაგებო, ახლავე შესწყვიტეთ!

ხ მ ე ბ ი. რას ნიშნავს შესწყვიტეთ. უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღონ და ჩვენ ენა ჩავიგდოთ?

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. მხოლოდ დუმილი და ჩხუბი არ არის კამათის საშუალება.

ს პ ი რ ი დ ო ნ ო ვ ა. (სვერდლოვს). მემარცხენე ესერთა ფრაქცია გთხოვთ მოგვცეთ სიტყვა რიგგარეშე განცხადებისათვის.

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. ახლავე ამხანაგებო. გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილები. ვიწყებთ სხდომას. პრეზიდიუმის წევრებს ვთხოვ ამოვიდნენ სცენაზე და დაიკავონ ადგილები (მიდის პრეზიდიუმის მაგიდასთან, ზარს რეკავს) დავიწყოთ ამხანაგებო, გთხოვთ დაბრძანდეთ (შემოდის ხრუსტალევი, სვერდლოვს ბარათი გადასცა).

ხ რ უ ს ტ ა ლ ე ვ ი. ბონჩ-ბრუევიჩმა გამოგიგზავნათ.

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. მადლობელი ვარ. ამხანაგებო, გთხოვთ დაბრძანდეთ, ვიწყებთ სხდომას (ბარათი გახსნა, კითხულობს, ხელი, რომელშიც ზარი ეჭირა, ლამის გაუშეშდეს. პრეზიდიუმი ბოლშევიკებითა და მემარცხენე ესერებით აივსო, სვერდლოვმა ბარათი ლაცისს გადასცა). ერთი წუთით, ამხანაგებო, ყრილობის პრეზიდიუმის სახელზე მიღებულია ბარათი, ამიტომ ყრილობის ბოლშევიკური ფრაქცია ითხოვს მიეცეს საშუალება, რომ სხდომის დაწყებამდე ჩაატაროს ათწუთიანი სხდომა. მე მგონია, ეს თხოვნა შეწყნარებული იქნება. ფრაქცია სთხოვს ყრილობის დელეგატ ბოლშევიკებსა და სტუმრებს — ბოლშევიკური პარტიის წევრებს თავი მოიყარონ ქუჩის მეორე მხარეს, საბჭოების მეორე სახლში. ოც-ოცდაათ წუთში ყრილობა განაგრძობს მუშაობას (სპირიდონოვას მიუბრუნდა.) მხოლოდ ოცი-ოცდაათი წუთი.

ს პ ი რ ი დ ო ნ ო ვ ა. თქვენ თუ რაიმე სიურპრიზით არ გაგვიმასპინძლდით, ისე არ მოხდება.

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. რა გაეწყობა, მთელი ჩვენი ცხოვრება დიდი თუ პატარა სიურპრიზებისაგან შესდგება.

ს პ ი რ ი დ ო ნ ო ვ ა. კარგით, ჩვენ დაგელოდებით.

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. ამხანაგო ლაცის!
(სვერდლოვს უახლოვდება ლაცისი. სვერდლოვი და ლაცისი განმარტოვდებიან)

ლ ა ც ი ს ი. რაღაცა მოხდა.

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. მემარცხენე ესერთა ცენტრალურმა კომიტეტმა ძერჟინსკი დააპატიმრა.

ლ ა ც ი ს ი. რაო?!

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. ვლადიმერ ილიჩმა გვიბრძანა დავაპატიმროთ ფრაქციის მთელი შემადგენლობა. დაუყოვნებლივ შემოიყვანეთ დაცვა. არცერთი კაცი არ გავიდეს დარბაზიდან. ყველა ჩვენს დელეგატს გადაეცით, რომ ვიკრიბებით არა საბჭოების სახლში, არამედ მალაია დმიტროვკაზე, ექვს ნომერში. იმოქმედეთ, ყოველი წამი ძვირფასია!

ლ ა ც ი ს ი. გასაგებია (გადის).

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. (მემარცხენე ესერებთან მოკინკლავე ბოლშევიკებს) ამხანაგებო, გთხოვთ იჩქაროთ, მერე იკამათეთ, ოც წუთში უკან უნდა მოვბრუნდეთ. ცოტა ჩქარა, ამხანაგებო, გთხოვთ!
(სვერდლოვი და ბოლშევიკები გადიან. სცენის კუთხეში დარაჯები გამოჩნდებიან, ჯერჯერობით მათ ვერავინ ამჩნევს, ისმის მღელვარებანარევი ჩურჩული).
— სწრაფად ამხანაგებო, სწრაფად!
— ქალაქში ამბოხებაა!
— ფრაქციის სხდომა მალაია დმიტროვკაზეა, ექვს ნომერში!
— საბჭოების სახლში ნუ მოხვალთ, მალაია დმიტროვკას ექვს ნომერში ვიკრიბებით.
— იაკობ მიხეილის ძემ რომ საბჭოების სახლშიო გამოაცხადა?
— ასე იყო საჭირო, ქალაქში მემარცხენე ესერთა აჯანყებაა. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

ს პ ი რ ი დ ო ნ ო ვ ა. (გოლუბოვსკის). გაიგეთ რა ხდება, რას ნიშნავს ასეთი მოულოდნელი სხდომა, არ მომწონს ეს ამბავი.
(გოლუბოვსკი გასასვლელისაკენ გაემართა. გასასვლელთან გზა დარაჯმა გადაუღობა)

გ ო ლ უ ბ ო ვ ს კ ი. რა მოხდა?

დ ა რ ა ჯ ი. არ შეიძლება!

გ ო ლ უ ბ ო ვ ს კ ი. ეს როგორ გავიგოთ?

დ ა რ ა ჯ ი. არ შეიძლება, ამხანაგ ლაცისის ბრძანებაა.

გ ო ლ უ ბ ო ვ ს კ ი. სასაცილო ამბავია, იქნებ მოწევა მინდა, ან სულაც სხვა რამემ შემაწუხა?

დ ა რ ა ჯ ი. აქ მოსწიეთ.

გ ო ლ უ ბ ო ვ ს კ ი. საინტერესოა.

შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი:
— რა ხდება აქ?
— დარაჯები რად დაგვიყენეს?
— რა უაზრობაა, გაგვაგებინეთ რა ხდება?
— ამხანაგ ლაცისის ბრძანებაა!

გ ო ლ უ ბ ო ვ ს კ ი. მარია ალექსანდრეს ასულო! მე მგონია, ჩუმად და უხმაუროდ დაგვაპატიმრეს. არც სცენიდან უშვებენ ჩვენებს და არც დარბაზიდან. ირგვლივ დარაჯები დგანან.
(სპირიდონოვა წამოდგა, რამპისაკენ გაეშურა, აღშფოთებული დარბაზის ხმაურმა შეაჩერა.).

ს პ ი რ ი დ ო ნ ო ვ ა. (ყველაფერს მიხვდა, ხელი მაღლა ასწია). დამშვიდდით, ამხანაგებო, ყველაფერი გასაგებია, ჩვენ მოგვატყუეს, მაგრამ მოტყუება არასოდეს ყოფილა ძლიერების დამადასტურებელი. ჩვენი დაპატიმრება ბოლშევიკების თვითმკვლელობის ნიშანია. ამით ხალხს აჩვენეს თუ რას წარმოადგენენ. ჩვენი დაპატიმრება მოვლენებს დააჩქარებს. მე მოგიწოდებთ შეინარჩუნოთ რევოლუციური თავდაჭერილობა და სიმშვიდე (დემონსტრაციულად დაჯდა)

ლ ა ც ი ს ი. (შემოდის). მოქალაქე ესერებო, გთხოვთ მიბაძოთ მოქალაქე სპირიდონოვას. ყველანი აქ დარჩებით მანამ, სანამ არ მივიღებთ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო განკარგულებას.

### 20 საათი და 15 წუთი

მალაია დმიტროვკას ქუჩა, სახლი ნომერი ექვსი, რომელშიც ამჟამად ლენინური კომკავშირის თეატრია მოთავსებული. ცარიელ სცენას პროჟექტორები ანათებენ. შემოდის სვერდლოვი, რომელსაც ხრუსტალევი ახლავს. სვერდლოვი მოდის რამპასთან და მიმართავს ბოლშევიკური ფრაქციის წევრებს.

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი. ამხანაგებო, მოსკოვში დაიწყო მემარცხენე ესერთა ამბოხება. აჯანყდა ჩეკას ცხენოსანთა პოლკი, რომელსაც პოპოვი ხელმძღვანელობდა. პოპოვის პოლკში დააპატიმრეს ჩეკას თავმჯდომარე ძერჟინსკი. ჯერჯერობით არ ვიცით რა ბედი ეწია მას. სიცოცხლეს გამოასალმეს ყრილობის დელეგატი აბელმანი. ყველაფერი ეს გერმანიის ელჩის, გრაფ მირბახის პროვოკაციულ მკვლელობას მოჰყვა. როგორც ჩანს, ადგილი აქვს სახელმწიფო გადატრიალების ცდას. ამბოხების ჩასაქრობად საჭიროა მივიღოთ სასწრაფო ზომები. არის წინადადება, რომ ჩვენი ფრაქციის წევრები გავანაწილოთ მოსკოვის რაიონებში, რათა დროულად დაეხმარონ ადგილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ძალებს. ამხანაგები იქვე მიიღებენ იარაღს. ამხანაგებო, ახლა წყდება საბჭოთა პროლეტარული ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი, საქმე ეხება რევოლუციის ბედს. შეკითხვები თუ ვინმეს აქვს (დარბაზი დუმს)... ამხანაგო ხრუსტალევ, დაიწყეთ!

ხრუსტალევი. ბასმანის რაიონში წავლენ (კითხულობს სიას) არმანდი, ანანინი, ბარანოვი, ბანკოვიცერი, გროზნი, მელნიკოვი, ფრუნზე, შლიხტერი, შაპირო, ჩერნიკოვი... (ვიდრე ხრუსტალევი სიას კითხულობს, პროჟექტორის შუქი ეცემა ყრილობის დელეგატ ქალს, ბოლშევიკური ფრაქციის წევრს, რომელიც მიტინგზე გამოდის).

დელეგატი ქალი. ამხანაგო დელეგატებო, მემარცხენე ესერები ამტკიცებენ, რომ მსოფლიო რევოლუციისათვის იბრძვიან, სინამდვილეში ისინი ზურგში ხანჯალს სცემენ რევოლუციას. მართალი იყო ლენინი, როცა გვეუბნებოდა, უნდა ვებრძოლოთ ფრაზიორობას, რათა შთამომავლობამ მწარედ არ დაგვცინოს და არ თქვას ჩვენზე რევოლუციურმა ფრაზიორობამ და რევოლუციურმა ომმა დაღუპა რუსეთის რევოლუციაო.
(პროჟექტორის შუქი ყრილობის სხვა დელეგატს ეცემა. მოისმის მოსკოვის ქარხნების საგანგაშო საყვირების ხმა. აი, გაისმის ერთი სიგნალი, მეორე, მესამე).

დელეგატი. ამხანაგო რკინიგზელებო! მემარცხენე ესერთა პარტიის ხელმძღვანელები რევოლუციური ლოზუნგებით გამოდიოდნენ ყრილობაზე, მაგრამ რამდენიმე საათში საერთაშორისო კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმში ამოჰყვეს თავი. ეს ისეთი დაცემაა, რომლის შედეგადაც პოლიტიკური მოღვაწენი ფეხზე ვეღარ დგებიან.
(პროჟექტორის შუქი ყრილობის კიდევ ერთ სხვა დელეგატს ეცემა).

დელეგატი. ჩვენ ახლა მძიმე წუთები დაგვიდგა, ამხანაგებო, საფრთხის წინაშე დგას ჩვენი დიდი მონაპოვარი. რუსეთის კომუნისტური პარტია დარწმუნებულია, რომ მუშათა კლასი მკერდით დაიცავს თავის ხელისუფლებას, ჩვენ ივლისშიც ისევე გავიმარჯვებთ, როგორც გავიმარჯვეთ ოქტომბერში.

მოსკოვის ქარხნების მრისხანე საგანგაშო საყვირების ხმა.

## 20 საათი და 35 წუთი

ამბოხებულთა შტაბი ტრეხსვიატიტელსკის შესახვევში. მაგიდაზე მოსკოვის რუკა გაუშლიათ. მაგიდასთან პროშიანი და კარელინი დგანან, კარებთან დარაჯები. შემორბის ჩერეპანოვი. უფრო გვიან შემოდიან კოლეგაევი, პოპოვი, ალექსანდროვიჩი.

ჩერეპანოვი. ლაცისმა სპირიდონოვა და მთელი ფრაქცია დააპატიმრა. დიდი თეატრი ალყაშემორტყმულია.

კამკოვი. ესეც ასე!

კარელინი. რა გაეწყობა, ახლა ყველაფერი ნათელია (პროშიანს). ესეც შენი საყვარელი ბოლშევიკები!

პროშიანი. ჩემი საყვარელი ბოლშევიკებიო!

კარელინი. განა შენ არ ოცნებობდი, რომ ჩვენი პარტია ბოლშევიკებისას შეერთებოდა და ერთ, ბოლშევიკურ პარტიად ვქცეულიყავით? (აღგზნებული დადის ოთახში.) გაგიგიათ ხალხის მიერ არჩეული დელეგატების დაპატიმრება?! აქამდე მეფის მთავრობაც კი არ მიდიოდა.

პროშიანი. დავუშვათ, რომ მიდიოდა...

კოლეგაევი. ძერჟინსკი ვინ დააპატიმრა?

კარელინი. ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა.

ჩერეპანოვი. ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით, თვითონ დაგვიჭერდა.

კამკოვი. ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი! ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო ძერჟინსკის დაპატიმრების გადაწყვეტილება. შენც ჩვენთან იყავი და წინააღმდეგი არ წასულხარ.

კოლეგაევი. ბლიუმკინის გასროლის შემდეგ ყრილობაზე უნდა მივსულიყავით, ყრილობას უნდა გადაეწყვიტა ჩვენი ბედი, მაშინ გვექნებოდა მორალური უფლება, რომ...

კარელინი. რომელ მორალურ უფლებაზე ლაპარაკობ რევოლუციის დროს!

კამკოვი. იარაღი უნდა ავიღოთ ხელში და ისე გავანთავისუფლოთ ჩვენი ამხანაგები.

ალექსანდროვიჩი. ჯერ ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტროსადგურები, რკინიგზის სადგურები, ხიდები ავიღოთ და კრემლს მერე შევუტიოთ.

კარელინი. სპირიდონოვა ამდენ ხანს ტყვეობაში იყოს?

პოპოვი. ახლავე ას კაცსა და ჯავშნოსანს წავიყვან ,,მეტროპოლის" მხრიდან დავცხებ და იმ ალყას დედას ვუტირებ. მარია ერთ საათში აქ იქნება.

კოლეგაევი. რას ამბობთ, ამხანაგებო. ეს ხომ ძმათა სისხლისღვრაა, მე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ და არ შეიძლება...

პროშიანი. კი, ძმათა სისხლისღვრა, მაგრამ როცა ყველა გზა მოჭრილია, როგორღა მოვიქცეთ?

კოლეგაევი. მუდამ ერთსა და იმავეს გაიძახით ,,ყველა გზა მოჭრილია", ,,სხვა გზა არა გვაქვსო"...

პროშიანი. სწორედ რომ ასეა!

კოლეგაევი. (პროშიანს). უცნაურად ლაპარაკობ! პოპოვის თავში რევოლუციური ქარი დაბორიალობს. შენ მაინც როგორ ამბობ ასეთ რამეს, იქ ხომ ჩვენი ამხანაგები არიან, ადამიანები, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდით რევოლუციისთვის. მუდამ ერთად ვიყავით, ლუკმა პურს ვიყოფდით. განა შეგიძლია ესროლო ლაცისს, პეტრესს! ვინ ესვრის ლენინს, სვერდლოვს. რას გაჩუმებულხარ? იქნებ მითხრა სხვა გზა არა გვაქვსო?

პროშიანი. სამწუხაროდ, მოვლენები ისე წარიმართა, რომ ჩვენ უძლურნი ვართ.

კარელინი. (კოლეგაევს). რა მოგდით. არცერთ ჩვენგანს არ ეპარება ეჭვი ბოლშევიკების სუბიექტურ პატიოსნებასა და რევოლუციისადმი ერთგულებაში, მაგრამ ახლა ისინი ხელს უშლიან რევოლუციის განვითარებას. სწორედ რევოლუცია გვაიძულებს, პოლიტიკურ არენას ჩამოვაცილოთ ისინი და არა ჩვენი პირადი დამოკიდებულებანი. ჩვენ ყველანი მაღალ შეფასებას ვაძლევთ ლენინს...

პროშიანი. სახკომსაბჭოს წევრი ვიყავი და ძალიან კარგად ვიცნობ ლენინს. მან იცის როგორ იბრძოლოს საბჭოების საქმისათვის. ხვალ, გერმანელებთან ომს რომ დავიწყებთ, თვითონვე დაგვუძახებს და მასთან ერთად ვიზრუნებთ....

კამკოვი. ყველანი შეიშალეთ? დრო გარბის, ახლა მხოლოდ მარიას გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ!

კოლეგაევი. უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გადავარჩინოთ რევოლუცია!

კარელინი. (ბოროტად). ოჰ, ეს წმინდა უცოდველობა! განა შენ ჩვენთან ერთად არ მიეცი ხმა ცეკას რეზოლუციას? რეზოლუციაში მხოლოდ მირბახის მკვლელობაზე არ იყო ლაპარაკი უცნაურია... ხომ დავთქვით, იარაღით დაგვეცვა დაკავებული პოზიციები?

კოლეგაევი. დავთქვით, მაგრამ... მე რა ვიცოდი... რას ვიფიქრებდი, თუ აქამდე მივიდოდით?

კარელინი. ახლა გვიანია მორალის კითხვა. ან რევოლუციის საჭესთან უნდა დადგე, ან არადა რევოლუცია გასრესს ყველას, ვინც მას წინ გადაუდგება.

კოლეგაევი. არა, ეს ბოროტმოქმედებაა, მე მივდივარ!

კამკოვი. რა თქვით?!

კოლეგაევი. მე ამ საქმეში მონაწილეობას ვერ მივიღებ, გავდივარ პარტიიდან.

ჩერეპანოვი. პარტიიდან გადიხარ მაშინ, როცა გამარჯვების გასაღები ხელთ გვიპყრია!

კოლეგაევი. მე არ ვიცი ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ მეშინია რევოლუცია არ დაამარცხოთ.

კამკოვი. ნუ ცხარობ, დამშვიდდი!

ჩერეპანოვი. წავიდეს, ვის სჭირდება!

პროშიანი. ნუ უყვირიხარ! (კოლეგაევს.) მოიცა... მომისმინე, შენ ახლა უდიდეს შეცდომას ჩადიხარ... ეს გაუმართლებელი ნაბიჯია.

კოლეგაევი. მე უნდა გადავდგა ეს ნაბიჯი... სხვაგვარად არ შეიძლება... მშვიდობით! (გადის).

პროშიანი. (მიაძახებს). კოლეგაევ, ჩვენ მართლა არა გვაქვს სხვა გზა!

(პაუზა. ყველანი შეძრწუნებული არიან).

კარელინი. სიმშვიდე, ამხანაგებო! რაც უფრო მეტი სულმოკლე და პანიკიორი წავა ჩვენგან, მით უფრო გავძლიერდებით. ჩვენი სიძლიერე ჩვენი მონოლითურობაა, პოპოვ, იმოქმედე, წაიყვანე ასი კაცი და ჯავშნოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 23 საათი და 57 წუთი

ლენინის კაბინეტი კრემლში. ლენინი და სვერდლოვი ფანჯარასთან დგანან. მოისმის შორეული სროლის, ქარხნების საყვირების ხმა. ყველაფერი ეს საშინელ და ძლიერ სიმფონიასავით ჟღერს.

სვერდლოვი. რამდენიმეჯერ ამაოდ სცადეს დიდი თეატრისაკენ გაჭრა და სპირიდონოვას განთავისუფლება.

ლენინი. დიდ თეატრს მეცხრე პოლკი იცავს?

სვერდლოვი. დიახ. მთელი მოსკოვი ყალყზე შედგა.

ლენინი. (საათს დახედა). ეს ძალიან კარგია.

სვერდლოვი. მუშები იარაღდებიან და ჩვენს ბრძანებას ელოდებიან.

ლენინი. მუშებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მივცემთ ბრძოლის ნებართვას. არმიას არმია უნდა ებრძოლოს. არ შეიძლება გაუწვრთნელი ადამიანები მიუშვა ცეცხლთან. ბრძოლა ისე უნდა მოვიგოთ, რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაიღვაროს. სად არის პოდვოისკი? რატომ არ მომახსენებს რა ილონა ამბოხების ლიკვიდაციისათვის?

სვერდლოვი. ალბათ; ახლა არც ისე იოლია ჩვენთან გამოღწევა (ტელეგრაფის ლენტით ხელში შემოდის გორბუნოვი)

გორბუნოვი. ამხანაგო ლენინ! დეპეშაა პიტერიდან.

სვერდლოვი. (კითხულობს). „ერთი საათის წინათ მოსკოვის მიმართულებით გამოვიდა მემარცხენე ესერთა შეიარაღებული რაზმით სავსე ეშელონი“.

ლენინი. ოჰო... ცუდადაა საქმე, ძალიან ცუდად... ამაზე ცუდი დღე არასოდეს დაგვიდგება...

# ნაწილი მეორე

## 1918 წლის შვიდი ივლისი

## 0 საათი და 20 წუთი

ლენინის კაბინეტი კრემლში.

ლენინი. (ყურმილში). ძალიან გთხოვთ (კარნახობს.) „ტვერმოსკოვის ხაზის პარტიის ყველა რაიონულ კომიტეტს, ყველა დეპუტატთა საბჭოს. აუცილებელია თქვენი მუშათა რაზმების ძალებით დაუყოვნებლივ შეაჩეროთ და განაიარაღოთ მემარცხენე ესერთა ეშელონი, რომელიც მოსკოვისაკენ მოემართება. თუ ეშელონმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, დაუნდობლად გაანადგურეთ კონტრრევოლუციონერთა იარაღად ქცეული საცოდავი და ისტერიული ბანდა ავანტიურისტებისა. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი“. გმადლობთ. (ყურმილი დასდო. სხდომათა დარბაზში შემოდის პოდვოისკი).

პოდვოისკი. ძლივს მოვაღწიე თქვენამდე, ვლადიმერ ილიჩ! ჩემს მანქანას რამდენიმეჯერ აუტეხეს სროლა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კრემლის საიერიშოდ ემზადებიან.

ლენინი. (მშვიდად). მომახსენეთ რა არის ჩვენს ხელთ, რას შეგვიძლია დავეყრდნოთ.

პოდვოისკი. პირველი მარტის სახელობის პოლკში მიტინგობანაა გამართული და, ალბათ, ესერთა მხარეზე გადავლენ. მოსკოვის გარნიზონის მეომართა ერთი ნაწილი ახლა ყალიბდება, თავისი კლასობრივი შემადგენლობით ეს ნაწილი არცთუ საიმედოა — ინსტრუქტორებად ძველი არმიის ოფიცრები არიან. ამათ ვერ დავეყრდნობით.

ლენინი. ამხანაგო პოდვოისკი, მე მაინტერესებს მხოლოდ ისინი, ვინც ჩვენს მხარესაა.

პოდვოისკი. ჩვენს მხარეზე ლატვიელ მსროლელთა დივიზიაა, მაგრამ დივიზია ახლა მოსკოვში არ არის, აქ მხოლოდ კრემლის პოლკი, ფეხოსანთა და ორი საარტილერიო სკოლის კურსანტები არიან.

ლენინი. ლატვიელ მსროლელთა დივიზია რატომ არ არის მოსკოვში?

პოდვოისკი. კრემლის პოლკის გარდა ყველანი საზაფხულო ბანაკებშია გაყვანილი. ამას გარდა, დღეს ლატვიელებს ზეიმი აქვთ — ივანობაა.

ლენინი. მდა... ყველაფერი გაუთვალისწინებიათ. ლატვიელები რას ფიქრობენ, ენდობით?

პოდვოისკი. რამდენადაც ვიცით, ესერები ლატვიელებს შორის აგიტაციას ეწეოდნენ ძნელია თქმა რას მიაღწიეს.

ლენინი. გასაგებია. ესერებმა ხელსაყრელი მომენტი იშოვეს. ბრესტის ზავის მიხედვით ლატვია ოკუპირებულია. ზავმა ლატვიელებს სამშობლო წაართვა. პროპაგანდისთვის ნოყიერი ნიადაგია.

პოდვოისკი. ლატვიელთა დივიზიის მეთაური ვაცეტისი გამოვიძახე, ის და მურალოვი ოპერატიულ საკითხებს განაგებენ, მინდა ლატვიელებთან გავგზავნო.

ლენინი. არავითარ შემთხვევაში! ვაცეტისი გამოცდილი მებრძოლია, იგი ოპერატიულ საქმეებს უნდა მივამაგროთ. იქ კი საქმიანი ლატვიელი პოლიტმუშაკი გავგზავნოთ.

პოდვოისკი. დანიშევსკიზე რას იტყოდით? ლატვიელებთან მუშაობდა, დიდი ავტორიტეტიცა აქვს.

ლენინი. თანახმა ვარ (ყურმილში.) სასწრაფოდ ამოვიდეს დანიშევსკი. პოპოვი როგორ არის შეიარაღებული?

პოდვოისკი. ორიათასი შაშხანა, რვა ქვემეხი და სამოცი ტყვიამფრქვევი აქვს. ჯერჯერობით არც ისე აქტიურად მოქმედებენ, მაგრამ იაუზასთან საკმაოდ შეგვავიწროვეს.

ლენინი. (რუკასთან). თუ ასეა, კრემლის დაცვა გაგვიჭირდება. სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ — ჩვენ ჯარიც არა გვყავს, რაც კარგია, ფრონტზეა გაგზავნილი, კრემლს კი ძალიან მცირერიცხოვანი მსროლელთა ჯგუფი იცავს, ცუდად არის საქმე. ესერები სატელეფონო სადგურს უტევენ. (შემოდის დანიშევსკი) გამარჯობათ, ამხანაგო დანიშევსკი.

დანიშევსკი. გამარჯობათ, ვლადიმერ ილიჩ!

ლენინი. რა იცით ლატვიელებზე, როგორია მათი განწყობილება. ამბობენ, მემარცხენე ესერები აგიტაციას უწევდნენო, შეასრულებენ თუ არა ლატვიელები თავიანთ მისიას?

დანიშევსკი. დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ მაინც მგონია, რომ შეასრულებენ.

ლენინი. რატომ ფიქრობთ ასე?

დანიშევსკი. პირველ ივლისს კრება ჰქონდათ, კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა ხელისუფლებას დაუჭირონ მხარი.

ლენინი. თუ ასეა, აი, რას გთხოვთ: რამენაირად უნდა გააღწიოთ მათს საზაფხულო ბანაკში, უნდა გადასცეთ ჩვენი ბრძანება, სასწრაფოდ შემოვიდნენ ქალაქში და ჩააქრონ საბჭოთა ხელისუფლების მტერთა ამბოხი. ამის შემდეგ უსათუოდ დაბრუნდით მოსკოვში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ — ველოდოთ ამ პოლკებს, თუ სხვა ზომებს მივმართოთ.

დანიშევსკი. გასაგებია, ვლადიმერ ილიჩ! (გადის)

ლენინი. (საათი ამოიღო). კრება პირველ ივლისს ჰქონდათ, ახლა კი შვიდი ივლისი დაიწყო. ლატვიური დივიზიის საკითხი აღარ არის მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობისა, იგი პოლიტიკურ მნიშვნელობას ღებულობს. მემარცხენე ესერები ლატვიელებს სამშობლოს განთავისუფლებას პირდებიან. თუ ისინი მეამბოხეთა წინააღმდეგ გამოვლენ, ეს ყველას აჩვენებს, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ (პაუზის შემდეგ.) მაგრამ თუ არ გამოვიდნენ? (შემოდის ბონჩ-ბრუევიჩი).

ბონჩ-ბრუევიჩი. ესერებმა სატელეფონო სადგური ჩაიგდეს ხელთ, გამოთიშეს ქალაქის ყველა ორგანიზაცია და ჩვენც.

ლენინი. (ყურმილი აიღო, ერთხანს უსმენს, დასდო). დეპუტატთა რაიონულმა საბჭოებმა ჩვენს ტელეფონოგრამაზე რა პასუხი მოგვცეს?

ბონჩ-ბრუევიჩი. არავითარი.

ლენინი. ეს რას ნიშნავს?

ბონჩ-ბრუევიჩი. მოსკოვის საბჭომ ტელეფონოგრამა ნახევარი საათის წინათ გადასცა, ზუსტად ათი წუთის შემდეგ სატელეფონო სადგური მემარცხენე ესერებმა იგდეს ხელთ.

ლენინი. ნახევარი საათის წინ?! აქამდე სად იყვნენ? ჩვენ ხომ ექვს საათზე გადავეცით დეპეშა. ეშმაკმა დალახვროს! რევოლუციის მეცნიერებას დავეუფლეთ, მაგრამ დაწესებულებებში რუტინა ვერაფრით ვერ დავძლიეთ.

ბონჩ-ბრუევიჩი. იქნებ თვითმგორავის საშუალებით მოვახერხოთ კავშირის აღდგენა?

ლენინი. ძალიან კარგი იქნება (ბონჩ-ბრუევიჩი გადის.) ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგო პოდვოისკი, დაუკავშირდით სვერდლოვს, თქვენს განკარგულებაში გადმოვა ყრილობის დელეგატთა მნიშვნელოვანი ნაწილი და მთელი ჩვენი პარტიული აქტივი. დანიშნეთ ამხანაგები რკინიგზის სადგურების, ყაზარმების, პოლკებისა და ცალკეული რაზმების კომისრებად. მათი მეოხებით დაამყარეთ კავშირი რაიონებთან.

პოდვოისკი. გასაგებია, ვლადიმერ ილიჩ.

ლენინი. თუ დივიზია დროულად გამოჩნდა, სჯობია ღამე შევუტიოთ. ესერები აყოვნებენ, ჩვენ უნდა დავცხოთ. (მცირე დუმილის შემდეგ). ვაცეტისი როგორ აფასებს მდგომარეობას?

პოდვოისკი. ახლავე დავუძახებ. (გადის და ვაცეტისთან ერთად ბრუნდება)

ლენინი. (ძალიან ახლოს მივიდა ვაცეტისთან). დილამდე გავძლებთ, ამხანაგო?

ვაცეტისი. (დაფიქრების შემდეგ). გაურკვეველი მდგომარეობაა, ვლადიმერ ილიჩ; ჯერჯერობით ჯარიც არა გვყავს. გთხოვთ მომცეთ დრო საჭირო ცნობების შესაგროვებლად. მე და პოდვოისკის გვინდა ქალაქში გავიდეთ, ორ საათში გიპასუხებთ.

ლენინი. მალე პირველი საათი გახდება, გაკეთებული კი ძალიან ცოტაა. მუდამ ხელიდან ვუშვებთ ინიციატივას. კიდევ კარგი, ჩვენი მოწინააღმდეგე არ სარგებლობს ამით, მაგრამ ჩვენთვის ეს არ უნდა გახდეს მთავარი. მე მინდა თქვენც გაიგოთ და ამხანაგებსაც გადასცეთ — კატასტროფის წინაშე ვდგევართ, ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ძალიან ცუდი! (ვაცეტისი და პოდვოისკი გადიან, მდუმარე ლენინი მაგიდასთან დგას, მერე კარისკენ გაემართება) ამხანაგო გორბუნოვ! (შემოდის გორბუნოვი) გააკეთეთ ყოველივე აუცილებელი მთავრობის ხოდინკაზე, არტილერიის ყაზარმებში გადასასვლელად, გამიგეთ?

გორბუნოვი. (პაუზის შემდეგ). გასაგებია, ვლადიმერ ილიჩ. გავაკეთებ ყოველივე აუცილებელს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მთავრობის გადასვლა ხოდინკაზე. საარტილერიო ყაზარმებში.

ლენინი. ეს ამბავი მხოლოდ იაკობ მიხეილის ძეს აცნობეთ. (ლენინმა ტელეფონის ყურმილი აიღო, ერთხანს უსმინა, მერე ისევ დაუშვა, დასცქერის საათს, მიდის ფანჯარასთან. ქალაქიდან მოისმის სროლის ხმა).

## 01 საათი და 15 წუთი

ამბოხებულთა შტაბი ტრეხსვიატიტელსკის შესახვევში, მაგიდაზე მოსკოვის რუკაა გადაშლილი. მაგიდის ირგვლივ დგანან: პროშიანი, კარელინი, კამკოვი, ჩერეპანოვი. კართან დარაჯები. მეზღვაურს შემოჰყავს ლაცისი.

კამკოვი. აა, თქვენც აქა ხართ, ამხანაგო ლაცის?

პროშიანი. რა ამბავია სპირიდონოვას თავს?

ლაცისი. სპირიდონოვა და მემარცხენე ესერთა მთელი ფრაქცია დიდ თეატრშია დაპატიმრებული.

კამკოვი. შენი ნახელავია?

ლაცისი. კი, ჩემი ნახელავია.

კამკოვი. თუ ასეა, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით შენც დაპატიმრებული ხარ. აჰყარეთ იარაღი!

მეზღვაური. უკვე ავყარე, ამხანაგო კამკოვ!

ლაცისი. რაო, კრასნოვობა მოიწადინეთ?

კარელინი. თქვენ რა ჰქენით? სპირიდონოვა მძევლად დაიტოვეთ, ამაზე უარესს ვერც მოიფიქრებდა კაცი.

კამკოვი. ეგ დიდ თეატრშიც ყოველნაირად გვამასხარავებდა. ახლა კი დაგიმტკიცებთ, რომ რევოლუციის იდეალების გამარჯვებისათვის ყველაფერს ვიკადრებთ და არაფერზე დავიხევთ უკან.

ლაცისი. ზურგში დანას გვცემთ. გამყიდველებო!

ჩერეპანოვი. მარტინ იანის ძევ, შენ ხომ რევოლუციონერი, ნამდვილი ამხანაგი და გაბედული კაცი ხარ, ვერაფრით ვერ გამირკვევია — რატომ იცავ მირბახს.

კამკოვი. სირცხვილი მაინც არ გაწუხებს?

ლაცისი. მე ის მაწუხებს, გუშინ რომ ტყვია არ მოგახალე მაგ კონტრა შუბლში.

პროშიანი. აი ხედავ? ჩვენ რომ არ გაგვესრისეთ, თქვენ გაგვსრესდით.

ლაცისი. სულერთია, მაინც გაგსრისავთ.

მეზღვაური. რა ლაილაი გავაბით, მივაყუდოთ კედელთან და გავათავოთ (მაუზერი ამოიღო)

ლაცისი. ესენი გაიხადეთ მეგობრად. „რევოლუციონერებო?!“

ალექსანდროვიჩი. (შემოდის). შეჩერდით, ძერჟინსკისთან ჩასვით.

მეზღვაური. ახლავე, ამხანაგო ალექსანდროვიჩ!

ლაცისი. (გადის, ალექსანდროვიჩს გვერდით რომ ჩაუარა) იუდა! (ლაცისი გაჰყავს, შემოდიან პოპოვი და საბლინი).

ალექსანდროვიჩი. თეატრამდე ვერაფრით ვერ მივაღწიეთ, იქ მეცხრე პოლკი დგას, სწორედ ის პოლკი, რომელიც კრემლს იცავს.

კარელინი. მაშასადამე, მთელი პოლკით უნდა შევუტიოთ. რატომ აგვიანებ? ახლავე გაეცი ბრძანება. არავითარი უფლება არა გვაქვს მარია მარტო დავტოვოთ.

პოპოვი. ამხანაგო კარელინ, ჩვენ ახლა ვერ შევუტევთ.

ალექსანდროვიჩი. შეიშალე?

პოპოვი. ღამეა, ბნელა. თუ მთელი ჩემი პოლკი კრემლის კედლებს მივაკალი, მადლობას არავინ მეტყვის. დილით თავისუფლად ვიმოქმედებ. არტილერიასაც მოვიშველიებ.

ალექსანდროვიჩი. ხელსაყრელ მომენტს ვუშვებთ ხელიდან.

საბლინი. პოპოვი სავსებით მართალია, ამალამ ახალი შენაერთებიც მოგვემატება. სადაცაა ლატვიური დივიზიაც ჩვენს მხარეზე გადმოვა. საომარ მოქმედებაზე საქმის პასუხისმგებელი ჩვენა ვართ და ნდობასა და ერთიანობას ვთხოულობთ, ამხანაგებო! ახლა ჩვენთვის ყველაზე მთავარი ერთიანობაა.

კამკოვი. იყოს ასე.

ალექსანდროვიჩი. თუ რამე მოხდა, საკუთარი თავით აგებთ პასუხს.

კარელინი. თუ ასეა, ბოლშევიკებს მოწოდებით მაინც მივმართოთ, გავაფრთხილოთ, რომ სპირიდონოვასა და გოლუბოვსკისათვის სამმაგად ვაზღვევინებთ პასუხს. ჩერეპანოვ, სწერე! (კარნახობს) მიმართვა. მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საბჭოების მეხუთე ყრილობაზე ჩვენი ფრაქციის ხელმძღვანელობისა და რევოლუციური პოზიციების დასაცავად დელეგატებად წარგზავნილები არიან ამხანაგები სპირიდონოვა და გოლუბოვსკი, მაგრამ ახლახან ცნობილი გახდა, რომ სპირიდონოვა და გოლუბოვსკი დიდ თეატრში დააპატიმრეს მთელ ფრაქციასთან ერთად. ცენტრალურ კომიტეტს მტიცედ სწამს, რომ ჩვენს ამხანაგებზე არცერთი მუშა, არცერთი გლეხი არ აღმართავს ხელს. მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი საზეიმოდ აცხადებს, რომ საბჭოების მეხუთე ყრილობაზე წარგზავნილი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ფრაქციის ყოველი წევრის ხელშეუხებლობას მტკიცედ დაიცავს.

## 02 საათი და 10 წუთი

(დიდი თეატრის სცენა. სცენაზე არიან პრეზიდიუმის დაპატიმრებული წევრები. მოისმის „ვარშავიანკა“).

გოლუბოვსკი. (სპირიდონოვასთან მიდის, ჩურჩულით). ჩვენებმა თეატრამდე ვერ მიაღწიეს.

სპირიდონოვა. როგორია ხალხის განწყობილება დარბაზში?

გოლუბოვსკი. ზოგი გაოგნებულია, ზოგიც — ნერვიულად მოელის რა მოხდება.

სპირიდონოვა. (საათს დახედა). მეტი ლოდინი აღარ შეიძლება. ვიდრე იარაღი თანა გვაქვს, თვითონვე ვიმოქმედოთ. ჩვენ ოთხასი ვართ, დარაჯი კი ასზე მეტი არ იქნება, დაჰყავით ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფებად, ყოველ ჯგუფს გარკვეული ამოცანა დაუსახეთ მიზნად. შეტევის ნიშანი იქნება „ვარშავიანკას“ ბოლო სტროფი.

გოლუბოვსკი. კეთილი. (გაშორდა)

## 02 საათი და 40 წუთი

ლენინის კაბინეტი კრემლში. ლენინი ფანჯარასთან დგას.

ბონჩ-ბრუევიჩი. (შემოდის). ვლადიმერ ილიჩ, ესერებმა მოსახლეობას მოწოდებით მიმართეს. ჩვეულებრივი ფრაზიორობით სავსე მოწოდებაა: გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას! (მოწოდება ლენინს გადასცა)

ლენინი. გაუმარჯოს საბჭოებს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას! რასაკვირველია, სხვა ლოზუნგებით ქუჩაში ვერ გამოხვალ. რატომ არ შეიძლება ეს ლოზუნგები იძახო და შენი შინაარსი ჩააქსოვო შიგ? „ჩვენც რევოლუციონერები ვართ, ჩვენც ვიცავთ საბჭოების ხელისუფლებას, ბოლშევიკებთან ბრძოლისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენ სწორედ ის გვინდა, რომ ერთად ვიაროთ, ჩვენ ვებრძვით ხელმძღვანელობას, რომელიც ატყუებს პარტიულ მასას, ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკების ხელისუფლებადქცეულ ნაწილს“, აი, სად არის დამარხული ძაღლის თავი! წმინდა წყლის ბელოგვარდეიშჩინა და სკოროპადშჩინაა! აი, კონტრრევოლუციური პროპაგანდის კლასიკური ნიმუში! რით არის იგი საშიში? იმით, რომ კონტრრევოლუციას რევოლუცად ასაღებდა, ასაღებს და მომავალშიც ასევე გაასაღებს. უნდა გახადო მათ რევოლუციური სამოსელი და შიშველ-ტიტველი უნდა აჩვენოთ ხალხს, დაე ამით დატკბეს და გამოფხიზლდეს ის, ვინც პროვაკაციას წამოეგო. ესეც თქვენი პარტია... ეს შესანიშნავი გაკვეთილია... თუმცა, ჩვენში ასეთი გაკვეთილები გულთან ახლოს არ მიაქვთ. აი, ნახავთ — ამ ამბოხებას ჩავაქრობთ თუ არა, ორიოდ დღეში მოიძებნებიან ადვოკატები, რომლებიც დაგვიწყებენ ჭკუის სწავლებას — ასეთი რა მოხდა, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ყველაფერმა ჩაიარა, ესერები და ბოლშევიკები მაინც ერთად უნდა იყოთო. არა, ბატონო — ამხანაგებო, ბავშვიან ქალს უბიწობას ვეღარ დაუბრუნებ, სასაცილოცაა! ვლადიმერ დიმიტრის ძევ, გადაეცით მოსკოვის კომიტეტს, რომ ყოველ ნეიტრალურ სამხედრო რაზმში სასწრაფოდ დაგზავნონ საუკეთესო აგიტატორები, საუკეთესო ამხანაგები. აქაც ბრძოლაა საჭირო, ოც წუთში დანიშევსკიც უნდა გამოჩნდეს. (შემოდიან ჩიჩერინი და სვერდლოვი. ბონჩ-ბრუევიჩი გადის.) გიორგი ვასილის ძევ, გერმანელებისაგან რა ისმის?

ჩიჩერინი. შეშფოთებული ადევნებენ თვალს მოვლენებს.

ლენინი. აჰა, შეშფოთებული!

ჩიჩერინი. საელჩოში იციან ამბოხის ამბავი, რამდენიმეჯერ დამირეკეს.

ლენინი. რატომ არიან ასე შეშფოთებულნი, საკუთარ ტყავს უფრთხილდებიან თუ ომის დაწყებისა ეშინიათ?

ჩიჩერინი. მიჭირს თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა, რასაკვირველია, საკუთარ ტყავსაც უფრთხილდებიან.

ლენინი. მოდით, განვიხილოთ ყველა ის მოთხოვნილება, რომლებიც შეიძლება გერმანელებმა წამოგვიყენონ მირბახის მკვლელობის გამო. ყველაფერი გაითვალისწინეთ და შეეცადეთ იფიქროთ ისე, როგორც გერმანელები იფიქრებდნენ. მართალია, გერმანელებს ბოდიში მოვუხადეთ და ისიც ვაცნობეთ, არაფერ შუაში ვართ-თქო, მაგრამ როგორი იქნება ხვალ გერმანელების რეაქცია?

ჩიჩერინი. ბრესტის ზავს გაუქმებულად ჩასთვლიან და ჯარებს უბრძანებენ მოსკოვს შეუტიეთო. ჯარები კი საკმაოდ შემორჩათ. რაღას შვრებით?

ლენინი. მაინცდამაინც გინდათ აქედან დაიწყოთ?

ჩიჩერინი. დიახ.

ლენინი. (ნერვიულად დააბიჯებს კაბინეტში, დუმს, ფიქრობს). ის თუ გაითვალისწინეთ, რომ გერმანელებმა კონტრიბუცია მოგვთხოვეს და ჩვენ მოლაპარაკება გავმართეთ?

ჩიჩერინი. დიახ.

ლენინი. ის თუ გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ამ მოლაპარაკებაზე საკმაო წარმატებას მივაღწიეთ?

ჩიჩერინი. გავითვალისწინე.

ლენინი. ეს თუ გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ამ კონტრიბუციის უმოკლეს ვადაში გადახდა ვიკისრეთ?

ჩიჩერინი. ყველაფერი გავითვალისწინე.

ლენინი. რატომ დაკარგავენ გერმანელები აქ ასეთ ლუკმას?

ჩიჩერინი. იმიტომ, რომ ამ ომით გაცილებით დიდ ლუკმას ჩაიგდებენ ხელში, ვიდრე ეგ საცოდავი კონტრიბუციაა.

ლენინი. დაუნდობელი კაცი ხართ, გიორგი ვასილის ძევ.

ჩიჩერინი. რა გაეწყობა.

ლენინი. (დუმილის შემდეგ). მაშ, ომი, არა?

სვერდლოვი. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მივილოთ ესერების სვლა. ისინი ხომ სწორედ ამას ცდილობდნენ.

ლენინი. იქნებ სწორედ ეს იყოს მემარცხენე ესერთა ისტორიული დანიშნულება, რომ ესერების ანკესზე წამოვეგოთ, რათა თეთრგვარდიელებმა მოითბონ ხელი ამ ვითარებაში, ჩვენ უკან ვერ დავიხევთ, თავი უნდა დავიცვათ.

სვერდლოვი. შევძლებთ კი თავის დაცვას, გვეყოფა ძალა? (ლენინი დუმს)

ჩიჩერინი. არსებობს მეორე ვარიანტიც — გერმანელები თავიანთი საელჩოს დაცვის უზრუნველყოფას მოინდომებენ.

ლენინი. როგორ?

ჩიჩერინი. როგორ და... მოსკოვში თავიანთი არმიის, ბატალიონის ან პოლკის შემოყვანას მოითხოვენ. მართალია, შეუძლებელია, ასეთი რამ მოსთხოვო დიდ სახელმწიფოს, მაგრამ მე ვიცნობ გერმანიას და ასეთი ვარიანტიც დასაშვებად მიმაჩნია. საამისო მაგალითებიც ყოფილა... ვითომ თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით.

ლენინი. (მრისხანედ). ეს ხომ ნამდვილი ოკუპაციაა! ყველაფერს აქვს საზღვარი, ჩვენ ამაზე არ დავთანხმდებით. მთელ ხალხს ფეხზე დავაყენებთ და შეიარაღებული წინააღმდეგობისაკენ მოვუწოდებთ.

სვერდლოვი. ასეა თუ ისე, ომი გარდაუვალია!

ლენინი. (გაღიზიანებული). ომი! ომი! (დუმილის შემდეგ.) ომი დაგვღუპავს.

გორბუნოვი. (შემოდის). ესერებმა ტელეგრაფი ჩაიგდეს ხელთ. ყველა ტელეგრაფისტს აი, ასეთი განკარგულება მისცეს (კითხულობს). „შეჩერებული იქნას ლენინისა და სვერდლოვის მიერ ხელმოწერილი ყოველი დეპეშა, როგორც მავნე საბჭოთა ხელისუფლებისათვის საერთოდ, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში მიუღებელი ამჟამად მმართველი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისათვის“.

ლენინი. ოჰო! უკვე მმართველ პარტიადაც იქცნენ?

გორბუნოვი. ყოველი შეჩერებული დეპეშა გადაეცეს აპარატის უფროსს!

ლენინი. ახლავე უნდა გამოვყაროთ იქიდან ესერები. ერთი წუთითაც არ შეიძლება ესერების ტელეგრაფში დატოვება.

სვერდლოვი. ბელა კუნის ინტერნაციონალურ რაზმს დავავალოთ ეს საქმე, ასოცი კაცი ჰყავს. (შუქი ჩაქრა).

ლენინი. ესლა გვაკლდა!

სვერდლოვი. როგორც ჩანს, სადგურიც ხელთ იგდეს.

გორბუნოვი. ელექტროსადგურში შეველევის რაზმს გავგზავნი (გადის).

ლენინი. თამბაქოს მწეველნო, ასანთი გვიბოძეთ. (სვერდლოვმა სანთელი აანთო.) გიორგი ვასილის ძევ, როგორი პასუხიც არ უნდა მოგვცენ გერმანელებმა, ჩვენ მაინც ბრესტისეული ტაქტიკა ავირჩიოთ — რაც შეიძლება მეტად გავაჭიანუროთ საქმე.

ჩიჩერინი. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა — ახლა შევეცდები რიცლერის მეოხებით ბერლინს დავუკავშირდე.

ლენინი. ძალიან კარგი იქნება.

ჩიჩერინი. ნახვამდის (გადის)

სვერდლოვი. გაჭიანურება ცუდი არ არის, მაგრამ გაგვიჭირდება (ისმის სროლის ხმა.). მე მგონია, დროა ზამოსკვარეჩიეს რაზმები ჩავრიოთ ბრძოლაში. ლატვიელები არ ჩანან.

ლენინი. ცოტა ხანიც დაველოდოთ, სულ ცოტა ხანი.

გორბუნოვი. (შემოდის) ვლადიმერ ილიჩ, სტუმარი გვეწვია. საკმაოდ მოულოდნელი სტუმარი: კოლეგაევი! იგი ხომ ცაკის წევრი გახლავთ, ამ საშვით შემოვიდა კრემლში, მეც თქვენსავით გავვოცდი, ის კი მეუბნება: მე ცაკის წევრი ვარ, მხოლოდ ყრილობას შეუძლია წამართვას წევრობის უფლება, ლენინს უნდა ველაპარაკოო.

ლენინი. ლენინსაო?! მაშ, ულტიმატუმს გვიყენებენ, იყოს ასე, შემოიყვანეთ. (გორბუნოვი გადის, შემოდის კოლეგაევი)

კოლეგაევი. მე მესმის თუ რაოდენი უაზრობაა ჩემი აქ მოსვლა, მაგრამ ახლა რევოლუციის ბედი წყდება.

ლენინი. (ცივად) გისმენთ.

კოლეგაევი. ვლადიმერ ილიჩ, დადგა რევოლუციის ტრაგიკული წუთები, უნდა შევჩერდეთ, ჩვენ ვღუპავთ რევოლუციას.

სვერდლოვი. და ამას ჩვენ გვეუბნებით?

კოლეგაევი. იმათაც იგივე ვუთხარი. არ შეიძლება ასე, უნდა შევთანხმდეთ, საერთო ენა უნდა გამოვნახოთ.

ლენინი. თქვენი ვერაფერი გავიგე, ეს თქვენი პარტიის წინადადებაა თუ...

კოლეგაევი. ვლადიმერ ილიჩ, მე აქ მოვედი, როგორც კერძო პირი, რომლისთვისაც საერთო საქმე ყველაზე ძვირფასია.

ლენინი. უკაცრავად ვარ, მაგრამ ახლა კერძო საუბრების დრო არა გვაქვს.

კოლეგაევი. თქვენ არა გაქვთ ასე ლაპარაკის უფლება, თქვენ უნდა დადგეთ პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა, იქნებ ამაზეც იყოს დამოკიდებული რუსეთის მომავალი. ხომ გახსოვთ, რობესპიერისა და დანტონის უთანხმოებით ნაპოლეონმა მოიგო. რა შეიძლება იყოს განხეთქილებაზე უარესი რევოლუციონერთა ბანაკში?

ლენინი. მოჩვენებითი ერთიანობაა! როგორ შეიძლება საერთო გქონდეს იმ ხალხთან, რომელიც ყოველ წუთს მზადაა კატასტროფის წინაშე დააყენოს რევოლუცია? ამხანაგო კოლეგაევ, გადაეცით თქვენს მეგობრებს, რომ გუშინ შემცირდა რუსეთში არსებულ პარტიათა რიცხვი... სწორედ მათი პარტიის ხარჯზე შემცირდა!

კოლეგაევი. მე უკვე გამოვედი იმ პარტიიდან.

ლენინი. საოცარი რამ არის რევოლუცია. როგორ დაუნდობლად ამხელს ყოველი არასწორი ტაქტიკის სიმწირეს, დანაშაულებრიობას. თქვენ ხომ მაგ ტაქტიკის შექმნის ერთ-ერთი მოთავე იყავით.

კოლეგაევი. ვინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა!

ლენინი. თქვენ, თქვენ უნდა გეფიქრათ. ჭადრაკშიც კი რამდენიმე სვლით ადრე ამოიცნობენ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ სვლას, პოლიტიკა კი ჭადრაკი არ არის, რომ წაგება მხოლოდ თავმოყვარეობის საკითხი იყოს. აქ საქმე სიცოცხლეს ეხება, არა საკუთარ, არამედ ადამიანთა სიცოცხლეს. აი, პოლიტიკოსის შეცდომის ფასი, ოდესმე გიფიქრიათ ამაზე? *(კოლეგაევი დუმს.)* მისმინეთ, იქნებ, თქვენებმა გაგანაწყენეს და ამიტომაც გამოიქეცით?..

კოლეგაევი. საკითხის ასე დასმა შეურაცხყოფას მაყენებს. როცა მთავრობის წევრი ვიყავი და თქვენი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი, ჩემს გასაცნობად საკმაო დრო გქონდათ.

ლენინი. თქვენ ყველანი გაიქეცით, თქვენ მთავრობის გაქცეული წევრი ხართ, ხოლო თუ უფრო უბრალოდ ვიტყვით — დეზერტირი! ყველანი პასუხისმგებლობისაგან გაქცეული დეზერტირები ხართ.

კოლეგაევი. ჩვენ არ გვინდოდა პასუხი გვეგო თქვენი პოლიტიკის გამო, რადგან არ ვიზიარებდით მას.

სვერდლოვი. მაგრამ თქვენ ხომ ოპოზიციაში იყავით და შეგეძლოთ გეკრიტიკებინეთ, არჩევანი კი ხალხისთვის მიგენდოთ. თქვენ გქონდათ ყველაფერი, რაზეც შეიძლება იოცნებოს ოპოზიციურმა პარტიამ — ორგანიზაცია, გაზეთი, ფული, მაგრამ ხალხის გული ვერ მოიგეთ და შეთქმულების გზას დაადექით. ლოიალური ოპოზიციის ნაცვლად — შეთქმულება! ამით თეთრგვარდიელთა და ათასი უგვანოს უბრალო პაიკად იქციეთ თავი.

კოლეგაევი. ეგ კი სიმართლეა!

ლენინი. რასაკვირველია! თქვენ თვითმკვლელები ხართ. თვითმკვლელთა ცენტრალური კომიტეტი. დარწმუნებული ვარ, ამ ავანტიურის გამო არა მარტო მუშათა და გლეხთა მეტი წილი, არამედ დიდძალი ინტელიგენციაც ჩამოგშორდებათ.

კოლეგაევი. დავეყრდნობით იმათ, ვინც არ ჩამოგვშორდება და შევქმნით ახალ პარტიას.

ლენინი. რომელ პარტიას?

კოლეგაევი. რევოლუციონერ კომუნისტთა პარტიას.

ლენინი. და კვლავ დაიწყებთ მტკიცებას, რომ მსოფლიო რევოლუციისათვის არ უნდა შეგვაჩეროს არავითარმა მსხვერპლმა, რაოდენ დიდძალიც არ უნდა იყოს იგი?

კოლეგაევი. დიდი მიზანი დიდ მსხვერპლს მოითხოვს, ვლადიმერ ილიჩ!

ლენინი. ჩემთვის არსებობს მხოლოდ ერთი უდიდესი მიზანი — ადამიანთა ბედნიერება. არ ვცნობ არავითარ აბსტრაქტულ მიზანს, მითუმეტეს, იმას, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ.

კოლეგაევი. ახლა პოლიტიკური კამათის დრო არ არის.

ლენინი. მითუმეტეს არ არის პოლიტიკური კომპრომისების დრო!

კოლეგაევი. ძალიან მწყინს, რომ ჩვენ ასე ფატალურად არ გვესმის ერთი მეორისა. ნახვამდის.

ლენინი. ნახვამდის. *(კოლეგაევი გადის)* კარგია, რომ ეწყინა, ესე იგი, ჩვენთან მოვა.

სვერდლოვი. უკვე გარბიან ხომალდიდან.

ლენინი. ხომალდიდან კი გარბიან, მაგრამ ჯერ რომ არ იძირება ეგ ხომალდი? რას უნდა ნიშნავდეს კოლეგაევის სტუმრობა? შემთხვევითობას თუ... ლატვიელები კიდევ არ ჩანან, დანიშევსკი მაინც რატომ არა ჩანს? ამდენი ხნის განმავლობაში ორჯერ მივიდოდა და მოვიდოდა კაცი... იაკობ მიხეილის ძევ, მივიდეთ კრემლის კედელთან... გადავხედოთ რა ხდება ქალაქში.

სვერდლოვი. გავიდეთ.

*(სანთლებს ჩააქრობენ და გადიან)*

## 03 საათი და 25 წუთი

კრემლის კედელი. შორიდან მოისმის დარაჯთა შეძახილები: „ვინ მოდის?!“ და პასუხი: „სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი“, შეძახილები და პასუხი თანდათან ახლოვდება. და აი გამოჩნდებიან: ლენინი, სვერდლოვი და ბონჩ-ბრუევიჩი. შეჩერდნენ, ქალაქს შესცქერიან. ისმის თოფისა და ტყვიამფრქვევების სროლის ხმა. კურანტების ზარი.

ბონჩ-ბრუევიჩი. აი, იქ, მდინარის გაღმა ესერების საგუშაგოა.

ლენინი. დანიშევსკი კი მაინც არა ჩანს.

მოისმის მორბენალი კაცის ფეხის ხმა. შემორბის გორბუნოვი.

გორბუნოვი. ნიკოლაევის სადგურის მუშებმა განაიარაღეს პიტერიდან მომავალი ესერთა რაზმები. დიდ თეატრში დაპატიმრებული ესერები საექვოდ ამოქმედდნენ.

ლენინი. ლაცისმა გაცნობათ?

გორბუნოვი. ხრუსტალევმა. ლაცისი პოპოვის შტაბში ჰყავთ დაპატიმრებული, ჩეკას ხელმძღვანელობა პეტერსმა იკისრა.

ლენინი. ძერჟინსკისა რა ისმის?

გორბუნოვი. არაფერი.

ლენინი. როგორც ჩანს, თეატრში მყოფი ესერები შეიარაღებულნი არიან. აცნობეთ, რომ განაიარაღონ. საგუშაგოებს შემოვივლით და მალე დავბრუნდებით *(გორბუნოვი გადის)* წავიდეთ ამხანაგებო. *(გადიან, კვლავ ისმის შეძახილები: „ვინ მოდის?“ და პასუხი „სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი“).*

## 03 საათი და 35 წუთი

ოთახი ახლა საპატიმრო საკნად გადაუკეთებიათ. ძერჟინსკი, ლაცისი, ბელენკი. აქვე არიან დარაჯები, მეზღვაურები და ჯარისკაცები. მეზღვაურები შემთვრალან, ჯარისკაცები ბანქოს თამაშობენ. ძერჟინსკი კუთხიდან კუთხეში დააბიჯებს.

მეზღვაური. ნუ წრიალებ, ამხანაგო ძერჟინსკი, რას დარბიხარ იქით-აქეთ, შენც ნერვებს იშლი და სხვასაც თვალებს უჭრელებ.

ულვაშებიანი. შეეშვი, რა გენაღვლება, იაროს *(ძერჟინსკი ლაცისის გვერდით დაჯდება).*

ძერჟინსკი. *(თავისთვის და ლაცისის გასაგონად).* როგორ მოხვდა ასეთი დემორალიზებული, ანარქიული ბუნების ხალხი ჩვენთან?

ლაცისი. პოპოვის ხელობაა. ის აგროვებდა ანარქისტ მეზღვაურებს. ტიპიური ბანდაა.

ძერჟინსკი. ჩემი ბრალია, ძალიან ვენდობოდი ალექსანდროვიჩს. ყველაფერში მეთანხმებოდა, ორპირობის ნიშან-წყალიც არ შემიმჩნევია და სწორედ ამან მომატყუა. პოპოვზე რომ საჩივარი შემოვიდოდა, საქმის გამორკვევას ალექსანდროვიჩს ვავალებდი. ახლაც ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ალექსანდროვიჩმა შეგნებულად გაგვყიდა, თუმცა, სინამდვილეს ვერსად გაექცევი და ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს *(დაცვას გადახედა.).* ამათ ჩეკისტებთან რა საერთო აქვთ? ნამდვილი ბანდიტები არიან.

ლაცისი. ყველა ასეთი არ არის, ფელიქს ედმუნდის ძევ, უკვე შევამჩნიე, რომ ბევრი ჯარისკაცი სტიქიურად მიჰყვება მათ. სრული-

ად არ ესმით რა ხდება, არ ესმით რატომ იჭერენ ხალხს და ვის ჭირდება ყველაფერი ეს.

ძერჟინსკი. მიდით, მეზღვაურებს გამოელაპარაკეთ (ლაცისი მეზღვაურებთან მიდის). ამხანაგებო, როგორ მოხდა, რომ თქვენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოხვედით? (ჯარისკაცები პირქუშად სდუმან).

ულვაშიანი ჯარისკაცი (ვეღარ მოითმინა) აბა, რა ვიცით, ამხანაგო ძერჟინსკი. გვიბრძანეს ასე ჰქენითო და ჩვენც ვასრულებთ.

ფარაჯიანი ჯარისკაცი. არა, ამხანაგო ძერჟინსკი, ჩვენ საბჭოების წინააღმდეგი როდი ვართ, თვითონ პოპოვმა გვითხრა საბჭოებისთვის ვიბრძვით, მაგრამ მირბახი არ გვინდაო. მირბახის დედაც ვატირე!

ძერჟინსკი. მერე რით დამთავრდა ყველაფერი? დააპატიმრეს საბჭოთა მთავრობის წევრები, მეხუთე ყრილობის დელეგატები, თქვენივე მოძმე, უბრალო მუშები, ეს არის საბჭოებისთვის ბრძოლა? მაგათ ომი უნდათ, მაგრამ შენ გინდა ომი?

ულვაშიანი ჯარისკაცი. გვეყოფა, ყელში ამოგვივიდა.

ძერჟინსკი. ჩვენც მაგისთვის ვიბრძვით.

ფარაჯიანი ჯარისკაცი. გვიბრძანეს და...

ძერჟინსკი. ვინ გიბრძანათ? პოპოვმა? თქვენი უფროსი ხომ მე ვარ?

ფარაჯიანი ჯარისკაცი. უფროსი თქვენა ხართ, მაგრამ...

ძერჟინსკი. მეზობელ ოთახში ვინ არის?

ფარაჯიანი ჯარისკაცი. ამხანაგი სმიდოვიჩი ზის იქ, ახლა მოიყვანეს.

ძერჟინსკი. (ხმადაბლა). რამენაირად აქ უნდა გადმოვიყვანოთ.

ულვაშიანი ჯარისკაცი. შევეცდებით, მეზღვაური გვიყურებს, ამხანაგო ძერჟინსკი, უნდა შევიგინო (ყვირის) მოკეტე-მეთქი გეუბნები, გაათავე, სად გგონია შენი თავი, ციხეში ხარ. (ხმაურით იღება კარი, კარის ზღურბლზე პოპოვი დგას, მის უკან ალექსანდროვიჩი).

მეზღვაური. წამოდექით! სმენა! თქვენ კი ამხანაგო ძერჟინსკი, მოათავეთ დაცვასთან ლაილაი! აი, თქვენი ადგილი და იჯექით ჩუმად!

პოპოვი. შენ რას უყურებ, შტერო, თვალი არ მოაცილო!

ძერჟინსკი. ასე რატომ გეშინიათ, პოპოვ, მე ხომ უიარაღო ვარ.

პოპოვი. ვიცით რა შვილიც ბრძანდებით (მეზღვაურს.) თავს წაგაცლით, იცოდეთ! ხოლო რაც შეეხება შიშს, მე თქვენი არ მეშინია, ფელიქს ედმუნდის ძევ! (ჯამბაზობს) ნება მომეცით მოგახსენოთ! ჩემი რაზმი მთლიანად უწევს კონტროლს მოსკოვსა და მის გარეუბნებს. ვინგლისკის რაზმი ჩვენ გვიერთდება, პორკოვსკის ყაზარმები უკვე ჩვენია, ლატვიელები შემოგვიერთდნენ. ამხანაგო ლაცის, მთელი ზამოსკვარეჩიე და მარტოვის პოლკი ჩვენთანაა, ვორონეჟიდან ორი ათასი დონელი კაზაკი ჩამოვიდა, აღმოსავლეთის ფრონტის მეთაური მურავიოვი ჩვენს მხარეს გადმოვიდა და მოსკოვისკენ დასძრა ჯარი ჩვენს დასახმარებლად. უკვე ექვსი ათასი კაცი გვყავს. მუშები დელეგაციებს გვიგზავნიან.

ძერჟინსკი. მაშ, რიღასი გეშიანით, პოპოვ, კაცის ფერი აღარ გადევთ.

პოპოვი. საშიში რა მაქვს, ლენინი და სვერდლოვი უკვე დავაპატიმრეთ.

ძერჟინსკი. სტყუით, პოპოვ!

პოპოვი. გინდათ დამიჯერეთ, გინდათ არა! (განზე გადგა).

ძერჟინსკი. (ალექსანდროვიჩი დაინახა) ეს თქვენა ხართ, ალექსანდროვიჩ? ასეთი გამყიდველობა როგორ ჩაიდინეთ? როგორ მჯეროდა თქვენი.

ალექსანდროვიჩი. მე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ მისი შექმნის დღიდან და სწორედ მისი დავალებით ვმოქმედებდი.

ძერჟინსკი. (შეყოვნების შემდეგ). თუ ასეა, ძლიერად გართმევთ ხელს, როგორც თქვენი პარტიის დისციპლინირებულ წევრს, ხოლო, როგორც ჩემს მოადგილეს, დახვრეტას მოგისჯით.

## 03 საათი და 40 წუთი

სახლი ტრეხსვიატიტელსკის მოსახვევში. ცენტრალური შტაბი მუშაობს. ბრუნდებიან პოპოვი და ალექსანდროვიჩი.

პოპოვი. ვერაფერი გამიგია ძერჟინსკისა. მისთვის ყველაფერი დამთავრებულია და რისი იმედი აქვს? (საბლინს.) ტელეგრაფთან როგორაა საქმე?

კარელინი. საღამოს გაზეთებმა უნდა მოათავსონ ცნობა ახალი მთავრობის პირველი სხდომის თაობაზე, ეს სხდომა კი კრემლში უნდა შესდგეს.

პოპოვი. დილას კრემლი ჩვენს ხელთ იქნება, ეს რევოლუციონერის სიტყვაა.

ალექსანდროვიჩი. ვაგვიანებთ, ახლავე უნდა შევუტიოთ, ამაღამვე.

პოპოვი. ნუ ღელავ, დილას ყველაფერი რიგზე იქნება.

ალექსანდროვიჩი. გათენებამდე დიდი დროა, შეიძლება დამხმარე ძალაც გამოუჩნდეთ.

საბლინი. საიდან მოვა დამხმარე ძალა. ლატვიელებთან ჩვენები წავიდნენ, ბრძოლას თუ მოინდომებენ, უსათუოდ ჩვენს მხარეს იბრძოლებენ, ჩვენ ხომ სამშობლო უნდა დავუბრუნოთ მათ.

ალექსანდროვიჩი. მე არ ვიცი საიდან მოვა დამხმარე ძალა, მაგრამ ის ვიცი, თუ როგორი კაცია ლენინი.

კარელინი. მოწოდებით უნდა მივმართოთ.

ალექსანდროვიჩი. ვის სჭირდება ეგ სიტყვები? ახლა ქვემეხების დროა. ქარხნების საყვირების ხმა არ გესმით?

პროშიანი. ბოლოსდაბოლოს, ორი საათი არაფერს არ წყვეტს.

ალექსანდროვიჩი. შეიძლება ამ ორმა საათმა გადაწყვიტოს ყველაფერი. ნუთუ არ გესმით ქალაქში რა ხდება? (კამკოვს) უთხარი, ყველაფერი უთხარი.

კამკოვი. ბოლშევიკები ყოველ რაიონში ინტენსიურად აგროვებენ მუშათა რაზმებს, ჯერჯერობით ცუდად არიან შეიარაღებულნი, მაგრამ დილით სერიოზულ, ანგარიშგასაწევ ძალად მოგვევლინებიან.

საბლინი. სისულელეა! ქარხნების საუკეთესო კადრები ფრონტზე წავიდნენ. ქალაქში მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. მათი გვეშინოდეს?

ალექსანდროვიჩი. (ყვირის). ნაადრევად ზეიმობთ გამარჯვებას!

პოპოვი. რა მოგივიდა, ძერჟინსკიმ შეგაშინა?

კამკოვი. შეწყვიტეთ ეგ ღრიალი (ალექსანდროვიჩს.) როგორ მოიქცეთ?

ალექსანდროვიჩი. (კამკოვს). ახლავე დავარტყათ კრემლს.

პოპოვი. ვინ არის აქ ხელმძღვანელი — შენ თუ მე?

ალექსანდროვიჩი. მუშები საბრძოლო რაზმებს ქმნიან!

კარელინი. მუშებს უნდა ავუხსნათ, რომ ძერჟინსკისა და ბოლშევიკების დაპატიმრება დროებითი ღონისძიებაა, როგორც კი ყველაფერი დამთავრდება, გავანთავისუფლებთ.

ჩერეპანოვი. ეს კარგ გავლენას მოახდენს მუშებზე და უმალ დაიშლებიან.

კარელინი. (ჩერეპანოვს მუშებისადმი მიმართვის ტექსტის მონახაზი გაუწოდა). წერე: „ამხანაგო მუშებო“.

ალექსანდროვიჩი. (ისტერიულად). კიდევ ქაღალდები! (ფურცელი დახია) მე თვითონ გავუძღვები ჯარს.

ტელეფონის ზარი. ყველა შიშით მიაჩერდა ტელეფონს, არავინ ადგილიდან არ იძვრის.

პოპოვი. (მივიდა, ყურმილი აიღო). გისმენთ, პოპოვი ვარ... კარგია... კარგია... ძალიან კარგი (ოთახში შეკრებილთ) მარტოვის პოლკი მთლიანად ჩვენს მხარეს გადმოვიდა.

საბლინი. სემიონოვი იქ არის!

პოპოვი. ავტომობილი გამოგზავნონ, მთელ პოლკს კონსერვებს და ჩექმებს დავურიგებთ. სწორედ ჩვენა ვართ საბჭოთა ხელისუფლება. დაპირდი, ყველაფერს დაპირდი! თუ გინდა, ოქროს კოშკებსაც დაპირდი, ჯერ გავიმარჯვოთ და მერე მოველაპარაკებით, ველოდები. (ყურმილი დადო.) ამხანაგებო, დაიცავით სიმშვიდე, ყველაფერი ისე მიდის, როგორც ჩვენ დავგეგმეთ. დილაადრიან სამხედრო ხელოვნების უმაღლეს დონეზე გვექნება შეტევა. რევოლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონერი კაცის სიტყვას გაძლევთ, რომ დღის 12 საათზე კრემლში მთავრობის პირველ სხდომას ჩავატარებთ. ოთხ საათზე საარტილერიო მზადებას ვიწყებთ.

## 03 საათი და 50 წუთი

დიდი თეატრის სცენა. პრეზიდიუმში დაპატიმრებული ესერები არიან. სპირიდონოვამ საათი ამოიღო, წამოდგა, დარბაზში და სცენაზე „ვარშავიანკამ“ იქუხა, სადღაც კულისებში ვიღაცამ თოფი გაისროლა, გაოგნებული ესერები გაჩუმდებიან.

ხრუსტალევი. *(შემოდის სცენაზე).* მოქალაქე ესერებო! სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განკარგულებით ერთი საათის განმავლობაში თეატრის ფოიეში უნდა ჩააბაროთ მთელი თქვენი იარაღი. ის, რაც თქვენ გინდოდათ, არ გამოვიდა: ამიტომ იარაღი არაფრად გჭირდებათ. ის პირები, რომლებსაც ერთი საათის შემდეგ იარაღი აღმოაჩნდებათ, გასამართლებული იქნებიან რევოლუციური კანონის მთელი სიმკაცრით.

სპირიდონოვა. გადაეცით ლენინსა და სვერდლოვს, რომ მე მაგ კომედიაში არ ვითამაშებ. არცერთ პარტიას არა აქვს მეორე პარტიის გასამართლების უფლება.

ხრუსტალევი. თქვენ გაგასამართლებთ რევოლუციური რუსეთი და ამ გასამართლებას დადებითად შეაფასებს ისტორია.

სპირიდონოვა. ვერავითარი ტანჯვა-წამება და რეპრესიები ვერ შეგვაჩერებს ჩვენ, არაფრად ჩავაგდებთ თქვენს ხიშტებს, სახრჩობელებს, დახვრეტებს და ჩვენს მიზანს მაინც მივაღწევთ.

გოლუბოვსკი. თქვენს საძაგელ მოთხოვნას იარაღის ჩაბარების თაობაზე ჩვენ უარით ვპასუხობთ.

ხრუსტალევმა ნიშანი მისცა და სცენა შეიარაღებული მუშებით აივსო.

ხრუსტალევი. გთხოვთ დაჰყაროთ იარაღი! *(პაუზა. ყველანი დუმან. ბოლოს სპირიდონოვამ ამოიღო რევოლვერი და მაგიდაზე დააგდო).* გთხოვთ კიდევ ერთხელ მიბაძოთ მოქალაქე სპირიდონოვას მაგალითს და ჩაგვაბაროთ იარაღი *(ყოველი ესერი უახლოვდება მაგიდას და ყრის იარაღს.)* მოქალაქე სპირიდონოვას გარდა ყველას ვთხოვ გავიდეს თეატრის კომენდატურაში. თუ ვინმეს იარაღი შეგრჩათ, თავს გაუფრთხილდით, გახსოვდეთ, რომ ზემოდან *(ლოჟებზე მიუთითა)* ტყვიამფრქვევები გიმზერენ.

ყველანი გაჰყავთ. დარბაზში დარჩნენ სპირიდონოვა და დარაჯი. უცებ სადღაც შორს საარტილერიო ზალპი გაისმა.

სპირიდონოვა. *(დარბაზს.)* ჩვენები ისვრიან, ამხანაგებო, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვითქვამს ჩვენი უკანასკნელი სიტყვა. ჩვენ გავიმარჯვებთ, გაუძელით ამხანაგებო! ჩვენ გავიმარჯვებთ.

## 04 საათი და 10 წუთი

ლენინის კაბინეტი კრემლში. სადღაც ახლოს აფეთქებების ხმა ისმის. ლენინი და სვერდლოვი ფანჯარასთან დგანან, რიჟრაჟი, კაბინეტს კვლავ სანთლები ანათებენ.

სვერდლოვი. *(აღელვებული).* არტილერია ისვრის, კრემლს ურტყამენ.

ლენინი. ესვრიან, მაგრამ ვერ ახვედრებენ. პროლეტარიატის დამხობა მოინდომეს, სროლა კი ვერ უსწავლიათ. *(სროლა შეწყდა)*

სვერდლოვი. პოლიტიკური კრიზისები და მდგომარეობათა სწრაფი ცვალებადობა არ გვაკლია. დღეს ისეა, როგორც გუშინ იყო, ხვალ იქნება ისე, როგორც დღეს არის.

ლენინი. მაგრამ გუშინ მემარცხენე კომუნისტთა მემარცხენე ფრაზებმა ლამის კატასტროფის წინაშე დაგვაყენეს, დღეს კი მემარცხენე ესერთა მემარცხენე ფრაზები ბელოგვარდეიშჩინად მოგვევლინა. ძალიან ძვირი ხომ არ გვიჯდება ეს მემარცხენე ფრაზები?

ბონჩ-ბრუევიჩი. *(შემოდის სწრაფი ნაბიჯებით).* დიდ თეატრში მყოფი მემარცხენე ესერები განიარაღებულნი არიან.

ლენინი. მაშ, იარაღი ჰქონდათ!

ბონჩ-ბრუევიჩი. ჰქონდათ, ზოგიერთი ამხანაგის იზოლირება გახდა აუცილებელი.

სვერდლოვი. დანარჩენებს ახალი გაზეთები გავუგზავნოთ, იქნებ ჭკუა ისწავლონ.

ბონჩ-ბრუევიჩი. რა საშინელი დღეა... ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს... ისინი ხომ ჩვენი ამხანაგები იყვნენ... მხარდამხარ ვიბრძოდით... გახსოვთ, პროშიანი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, ოდესის ციხის აფეთქება რომ უნდოდა. რამდენი წელი გაატარა კატორღაში, კარცერშიც იჯდა... თებერვლის რევოლუციის მერე ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა და კერენსკის ბრძანებით კვლავ ჩასვეს, ჩვენთვის ყველაზე მახლობელი ალბათ, სპირიდონოვა იყო... კამკოვი, კარელინი, ახლა კი კრემლს ესვრიან და ჩვენ ვალდებულნი ვართ სროლითვე ვუპასუხოთ.

ლენინი. რა გაეწყობა, ვლადიმერ დიმიტრის ძევ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ძალადობისა, მაგრამ დღეს... სხვა გზა არა გვაქვს. უფრო ძლიერ უნდა დავარტყათ... რევოლუციის საქმე ჩვენს გრძნობებზე მაღლა დგას...

პოდვოისკი. *(შემოდის დანიშევსკისთან ერთად).* ლატვიელები ქალაქში შემოდიან, ვლადიმერ ილიჩ.

ლენინი. შესანიშნავია! *(დანიშევსკის.)* რატომ დაგაგვიანდათ? ალბათ, დიდი აგიტაცია დაგჭირდათ.

დანიშევსკი. არა, ვლადიმერ ილიჩ. ბაღში თითქმის არავინ იყო, დღესასწაული ჰქონდათ.

ლენინი. თავს როგორ გრძნობენ ლატვიელები?

დანიშევსკი. შესანიშნავად. ვლადიმერ ილიჩ!

ლენინი. როგორ გუნებაზე არიან?

დანიშევსკი. ოდნავადაც კი არ ეეჭვებათ, რომ სწორ გზაზე დგანან.

ლენინი. ეს ჩვენთვის ყველაზე დიდი საჩუქარია. მაშ, მაინც გამოაღწიეთ!

დანიშევსკი. გამოვაღწიე.

ლენინი. იქით გასვლაც ძნელი იქნებოდა, ალბათ.

დანიშევსკი. იქითაც ძნელი იყო და აქეთაც.

ლენინი. ყოჩაღ!

სვერდლოვი. ვლადიმერ ილიჩ, მე ლატვიელებთან წავალ, წამოდით, ამხანაგო დანიშევსკი! *(გადის დანიშევსკისთან ერთად)*

ლენინი. ამხანაგო პოდვოისკი, რას აპირებთ? როგორ იმოქმედებთ?

პოდვოისკი. ახლა ჩვენს განკარგულებაშია 720 ხიშტი, 12 სამდიუმიანი ქვემეხი, ოთხი ჯავშნოსანი, ორმოცი ტყვიამფრქვევი და 72 კაცისაგან შემდგარი ცხენოსან მზვერავთა რაზმი. ამას დავუმატოთ მუშათა რაზმები, რომლებსაც ვერაფრით ვერ ვაკავებ, ერთი სული აქვთ, სანამ მტერს ეკვეთებიან. მოწინააღმდეგე გაცილებით მეტ ძალებს ფლობს. ასეთია ობიექტური სურათი. აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ძალები გავანაწილოთ ქრისტე მხსნელის ტაძრის რაიონში, სტრასტნი მოედანთან, ხოლო რეზერვი კი — არბატზე. ნახევარ საათში შეტევას დავიწყებთ. ორი მხრიდან დავარტყამთ — „ა“ წრეზე პოკროვკის მიმართულებით. ამავე დროს, ძლიერ საარტილერიო ცეცხლს დავუშენთ ესერთა შტაბს.

ლენინი. ჯერჯერობით საარტილერიო ცეცხლისგან თავი შეიკავეთ, იქნებ არ დაგვჭირდეს. დანებება შესთავაზეთ. მიეცით ვადა 20 წუთი.

პოდვოისკი. ასე მოვიქცევით.

ლენინი. წარმატებას გისურვებთ. ნიკოლოზ ილიას ძევ! *(პოდვოისკი გადის, მოქანცული ლენინი სავარძელში ჩაეშვა)* ვლადიმერ დიმიტრის ძევ, მთელი დღე-ღამეა არაფერი გვიჭამია, არ მოგშივდათ?

ბონჩ-ბრუევიჩი. შიმშილით ლამის გული წამივიდეს.

ლენინი. მეც ასე ვარ.

ბონჩ-ბრუევიჩი. ერთი ქილა კონსერვი მაქვს.

ლენინი. რაღას უყურებთ, მოიტანეთ. *(ბონჩ-ბრუევიჩი გადის. კაბინეტში შუქი აინთო, ლენინი ამას ვერც ამჩნევს, დარეკა ტელეფონმა. ვერც ეს შეამჩნია ლენინმა, მაგრამ აი, გამოფხიზლდა და ყურმილს მივარდა).*
მესმის, მესმის, ამხანაგო ნიკოლაევ. თქვენ ჩვენი გამარჯვების მეორე მახარობელი, არა, მესამე მერცხალი ხართ, მადლობელი ვარ! ჩართეთ ყველა ტელეფონი ჩვენი სიის მიხედვით. *(კრემლის ეზოში კვლავ აფეთქების ხმა ისმის. ტელეფონის ზარი. ლენინმა ყურმილი აიღო)* ამხანაგი პოდვოისკი ხართ? დიახ, ისვრიან, რა გაეწყობა — ესერებმა თვითონ ირჩიეს ასეთი გამოსავალი.

## 16 საათი და 40 წუთი

დიდი თეატრის სცენა. სცენაზე არავინაა სპირიდონოვასა და დარაჯის გარდა. ისინი მარჯვენა პორტალთან დგანან.

სპირიდონოვა. ამხანაგო ჯარისკაცო!

დარაჯი. გთხოვთ, ნუ მელაპარაკებით, არ შეიძლება!

სპირიდონოვა. ფიქრი? ფიქრიც აკრძალულია?

დარაჯი. დაჯექი.

სპირიდონოვა. სულაც არა მშურს შენი, ამხანაგო ჯარისკაცო, რევოლუციაში იმიტომ მონაწილეობდით, რომ რევოლუციონერის დარაჯად ქცეულიყავით?

დარაჯი. მთელი საათია ერთსა და იმავეს გაიძახი.

სპირიდონოვა. არა, არა, მე განა თქვენა გდებთ ბრალს, მესმის, — თქვენ არაფერ შუაში ხართ, გიბრძანეს... იცით რა... ალექსანდროვსკის ცენტრალში რომ ვიჯექი, ზედამხედველი მეუბნებოდა, თუ მიბრძანეს, საკუთარ მშობელსაც კი ჩავსვამ ამ ჯურღმულშიო. თქვენ როგორ მოიქცეოდით, ამხანაგო ჯარისკაცო, თუ გიბრძანებდნენ, საკუთარ დედასაც ჩასვამდით ციხეში?

დარაჯი. შემეშვი, რას გადამეკიდე, აღარ შემიძლია მეტი!

სპირიდონოვა. შენს მაგიერ მე მრცხვენია. სადაური ხარ?

დარაჯი. ტამბოველი.

სპირიდონოვა. ტამბოველი? მეც ხომ იქაური ვარ. მაშ, თანამემამულენი ვყოფილვართ და ეგ არის! ჩვიდმეტში რომ ციმბირიდან დავბრუნდი, ჩვენი თანამემამულენი მიტინგებსა და კრებებზე მეუბნებოდნენ ჩვენი მშობელი დედა და მფარველი შენა ხარო, შენც ადექი და სოფელში შენიანებს მისწერე თქვენს მფარველსა და მშობელზე თოფი მქონდა მიშვერილი-თქო.

დარაჯი. დამნაშავე თუ ხარ?

სპირიდონოვა. მართალი ხარ, დამნაშავე ვარ. რადგან შენნაირ ყეყეჩებს შევწირე სიცოცხლე, დამნაშავე ვარ, რომ რუსეთის არცერთი ციხე არ დამრჩენია, დამნაშავე ვარ, რადგან ჩემი ახალგაზრდობა შენთვის ჩავალპე ციხეში, დამნაშავე ვარ, რადგან ოქტომბერში ბოლშევიკებთან ერთად ვიბრძოდი რევოლუციისათვის. დამნაშავე ვარ, დამნაშავე!

დარაჯი. ეგ ყველაფერი ვიცი.

სპირიდონოვა. სროლის ხმა გესმის? იცი ვის ახარებს ეს სროლა? ვილჰელმსა და კაპიტალისტებს ახარებს, რადგან იციან — როცა რევოლუციონერები ერთმანეთს ესვრიან, ეს რევოლუციის დასასრულია. მე და შენ აქედან გავალთ, გავალთ არა იმიტომ, რომ სროლა გაგრძელდეს, არამედ იმიტომ, რომ ძმები შევარიგოთ. შენ თუ დამეხმარები, მე შევწყვეტ ძმათა სისხლისღვრას. ჩვენ ყველას ერთი მტერი გვყავს, ერთი ნამდვილი მტერი, რომელსაც ერთად უნდა ვებრძოლოთ. ეს არის საერთაშორისო კაპიტალიზმი. სწორედ იმას უნდა ვებრძოლოთ და არა ერთმანეთს.

დარაჯი. არა, არ გამოვა ეგ ამბავი. ერთი-ორი შენი ვაჟბატონი ესერი რომ დაეცეს, ეგ არაფერია, მაგრამ ომი რომ დაიწყოს, მილიონები გაწყდება. მილიონები!

სპირიდონოვა. იცი, რას გეტყვი? აი, ახლა მე გასასვლელისკენ წავალ. შენ თოფს არც შეარხევ. გესმის? თოფს არ შეარხევ!

დარაჯი. შეჩერდი, ქრისტე ღმერთს გაფიცებ. შეჩერდი. გესვრი!

სპირიდონოვა. ვერა, ვერ მესვრი!

დარაჯი. შეჩერდი-მეთქი. გესვრი.

სპირიდონოვა. ვერ მესვრი. (მიდის დარაჯისაკენ, საპირისპირო მხრიდან შემოდიან ძერჟინსკი, ხრუსტალევი და ბელენკი. სპირიდონოვა და დარაჯი მათ ვერ ამჩნევენ. სპირიდონოვა დარაჯისაკენ მიემართება)

დარაჯი. გესვრი.

სპირიდონოვა. მესროლე, მესროლე! ესროლე რევოლუციას!

ძერჟინსკი. გამარჯობათ, მარია ალექსანდრეს ასულო.

დარაჯი. (გახარებული). ფელიქს ედმუნდის ძევ, ამხანაგო ძერჟინსკი, გადამიყვანეთ, თუ გწამთ ღმერთი, ამ ქალს მომაცილეთ! გამიწამა, სული ამომხადა. მე უწიგნური კაცი ვარ, მაგის კითხვებს როგორ ვუპასუხო.

ძერჟინსკი. გავითვალისწინებთ თქვენს თხოვნას, ამხანაგო დარაჯო, მაგრამ თქვენ კი არ გადაგიყვანთ, არამედ სპირიდონოვას. მარია ალექსანდრეს ასულო, მე მესმის, ჩემი გამოჩენა არცთუ ძლიერ სასიამოვნოა თქვენთვის.

სპირიდონოვა. რატომაც არა, პირიქით — მოხარულიცა ვარ, სალსა და უვნებელს რომ გხედავთ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბოლშევიკები ცილს გვწამებდნენ, თითქოს ჩვენებმა უკვე ბოლო მოგიღეს. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

ძერჟინსკი. ტყუილად ირჯებით, მარია ალექსანდრეს ასულო, დარაჯივით უწიგნური როდი ვარ, ვერ გიპასუხოთ (მიმართავს სვერდლოვი, ძერჟინსკი ბარათს წერს). ჩვესმა ასალიზმა საუკეთესო რეზულტატი მოგვცა. თქვენმა დაცვამ არა მარტო გაგვანთავისუფლა მე და ჩემი ამხანაგები, არამედ თვითონაც ჩვენთან წამოვიდნენ.

სვერდლოვი. და ეს მხოლოდ აგიტატორის პირადი თვისებების გამო არ მომხდარა.

სპირიდონოვა. გამარჯვებას ზეიმობთ?

ძერჟინსკი. ამბოხება ერთ დღეში ჩავაქრეთ, ზუსტად ისე, როგორც დაგპირდით (ბარათი ხრუსტალევს მიაწოდა) კრემლში წაიყვანეთ მალკოვთან! (ხრუსტალევი და ბელენკი სპირიდონოვასთან მიდიან)

სპირიდონოვა. მაგრამ იმას ნუ დაივიწყებთ, ფელიქს ედმუნდის ძევ, რომ დამარცხებულნი ძილს უფრთხობენ გამარჯვებულებს.

ძერჟინსკი. უძილო ღამეებს მიჩვეული ვარ.

(ჩეკისტებს სპირიდონოვა გაჰყავთ)

სვერდლოვი. (მიმავალ სპირიდონოვას შესცქერის). რა კარგად დაიწყო და როგორ დაამთავრა... (მიდის ძერჟინსკისთან, მოეხვევა.) გამარჯობა, პატიმარო!

ძერჟინსკი. გამარჯობა, იაკობ!

სვერდლოვი. ძალიან კი შეგვაშინე.

ძერჟინსკი. მოსაწევი მომეცი. ერთი რამ ვერ გამიგია — რატომ არ დამხვრიტეს?

სვერდლოვი. იმიტომ, რომ აქ სპირიდონოვა და მისი კომპანია იჯდა. ილიჩმა მოიფიქრა ეს.

ძერჟინსკი. (ცხარედ). იცი რა, ძალიან მწყინს, რომ არ დამხვრიტეს! წარმოგიდგენია, როგორ მოიჭრიდნენ თავს ხალხის თვალში?

სვერდლოვი. ეს შენს დაუხვრეტავადაც მოხდა, დაწყნარდი, ფელიქს, დაწყნარდი.

ძერჟინსკი. ილიჩი სად არის?

სვერდლოვი. ვერსად ვიპოვნე, ამბობენ, სოკოლნიკში წავიდაო.

ძერჟინსკი. წავიდეთ სოკოლნიკში?

სვერდლოვი. წავიდეთ (მიმოიხედა). თითქოს ყველაფერი დამთავრდა, ხვალ მეხუთე ყრილობის რიგითი სხდომა გვექნება. ამხანაგებო, ჩააქრეთ შუქი!

## 08 საათი და 00 წუთი

სოკოლნიკის ბაღი. ლენინი მარტო დგას, ხარბად ისუნთქავს ჰაერს, ეხება ხეთა ტოტებს, თავისკენ სწევს მათ. ირგვლივ ტყეა. სუნიც ტყისა დგას და ხმაურიც ტყისებურია. ვლადიმერ ილიჩმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ხან ტერფზე შედგება, ხან ქუსლებზე. ასე ქანაობს ერთხანს. უცებ გუგულმა დაიწყო გალობა. ლენინმა ზევით აიხედა. „გუ-გუ“. „გუ-გუ“ — მოისმის გუგულის ხმა.

ლენინი. (თითებზე ითვლის) ერთი, ორი, სამი... რვა, ცხრა, თორმეტი, ცხრამეტი, ოცდაერთი... (იცინის, ბედნიერი კაცის სიცილით) ეს მეტისმეტია, ეს უკვე ფანტასტიკაა!. ასე აღარ შეიძლება, არავინ დაიჯერებს. (ხელი აუქნია, ავანსცენაზე გამოვიდა, ცქრიანად მიმართავს თავისთავს და გვეუბნება ჩვენ) ხალხს არ უნდა ომი და არც შეუძლია... არ შეუძლია... მაგრამ რომც შეგვეძლოს, ძალაც რომ შეგვწევდეს? არ გვინდა ომი! ...ერთი მშვიდობიანი დღე გაცილებით მეტს მისცემს სოციალიზმის მშენებლობას, ვიდრე ომის ათი დღე, ათი, თუნდაც გამარჯვებით უზრუნველყოფილი დღე. („გუ-გუ“, „გუ-გუ“, „გუ-გუ“).

ფარდა ეშვება.

1973 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები




გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა კრებული „ინტერნაციონალი“, რომელიც დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს ეძღვნება. პროლეტარიატის ჰიმნი წარმოდგენილია სსრ კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკის ხალხთა და ფრანგულ ენებზე. კრებულში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინისა და ლ. ი. ბრეჟნევის ფერწერული და „ინტერნაციონალის“ ავტორთა და მთარგმნელთა გრაფიკული პორტრეტები. კრებულის შემდგენელია მზია იაშვილი, მხატვრები ოლღა გორალევიჩი და რევაზ ცუცქირიძე, რედაქტორია მანანა შევარდნაძე.




გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა კლავირთა კრებული „ქართველი კომპოზიტორები ლენინს“, რომელიც დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს ეძღვნება. მასში შევიდა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ცნობილი ქართველი კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები. კრებულის შემდგენელია ნ. მოისწრაფიშვილი. შესავალი წერილისა და ანოტაციების ავტორები არიან: მ. იაშვილი, მ. ელბაქიძე, რედაქტორები: ა. შავერზაშვილი, დ. ვეგენავა, მხატვარი ო. გორალევიჩი.




გამომცემლობა „ხელოვნებამ“ სერიიდან „პიესის სცენური ცხოვრება“ გამოსცა რევაზ თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს მიეძღვნა. სპექტაკლ-ალბომში თავმოყრილი რეცენზიები და ფოტომასალები ხაზს უსვამენ როგორც სპექტაკლის, ისე პიესის აქტუალობას (დაბეჭდილია ქართულ და რუსულ ენებზე). შემდგენელია დინარა კემულარია, რედაქტორები ე. ნადარეიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, მხატვარი ლ. ღვინჯილია, მხატვრული რედაქტორია ვ. გაბელია. წიგნის შესავალი წერილის ავტორია ნ. გურაბანიძე.




გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა ბონდო დადვაძის ალბომი „ბამი“, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს მიეძღვნა. მასში დოკუმენტური ფოტოკადრებითაა აღნუსხული საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის შრომითი თავდადება საუკუნის ამ დიდ მშენებლობაზე. ქართული დასახლება — ნია გრუზინსკაია ერთ-ერთი მოწინავე უბანია მთელს მშენებლობაზე. წიგნის რედაქტორები არიან ლ. ხუციშვილი და გ. ლოლაძე, მხატვარი ა. ბალაბუევი.

# ქრონიკა

მასალები ამოკრებილია გაზ. „კომუნისტის“ 1921-77 წ. წ. ნომრებიდან

● თბილისში დაარსდა ქართველ ხელოვანთა სახლი.

16. 3. 21.

● 1921 წლის სექტემბერში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეშვიდე თვეს, საქართველომ, პირველმა მსოფლიოში, აღმართა ვ. ი. ლენინის მონუმენტი (მოქანდაკე სერგეევი).

● 4 დეკემბერს თბილისში გაიხსნა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი.

7. 12. 21

● 1921 წელს გადაღებული იქნა პირველი ქართული საბჭოთა ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“ (შალვა დადიანის სცენარის მიხედვით დადგა რეჟისორმა ი. პერესტიანმა).

● რუსთაველის თეატრი. შაბათს, 25 ნოემბერს წარმოდგენილი იქნა ცნობილი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის დადგმით საინტერესო პიესა „ცხვრის წყარო“ (ფუენტე ოვეხუნა) ლოპე დე ვეგასი...

25. 11. 22.

● რაბისის კულტურის განყოფილების ინიციატივით 4 დეკემბერს გაიხსნა „ხელოვნების მუშაკთა სახლი“.

6. 12. 22.

● სამშაბათს, 3 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში გაიხსნა აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატული სტუდია.

5. 10. 22.

● 1922 წელს დაარსდა საქართველოს სამხატვრო აკადემია.

● 19 დეკემბერს შედგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ პრემიერა.

21. 12. 23.

● 31 მარტს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებამ გამართა პირველი სიმფონიური კონცერტი, რომელზეც შესრულდა მ. ბალანჩივაძის, ზაქარია ფალიაშვილის და დ. არაყიშვილის, აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების თაქთაქიშვილის, ლეო ფალიაშვილის და კილაძის ნაწარმოებები.

3. 4. 24.

● სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ დაასრულა ლენინის ბიუსტის გამოკვეთა მარმარილოდან, ბიუსტი გაკეთებულია იმ ნიღბის მიხედვით, რომელიც ლენინის გარდაცვალებიდან 6 საათის შემდეგ გადაიღო მოქანდაკე მერკუროვმა.

21. 2. 26.

● კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა დაასრულა საიუბილეო კანტატა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისათვის. კანტატის ტექსტი ეკუთვნის პოეტ სანდრო შანშიაშვილს.

ზაქარია ფალიაშვილმა დაასრულა აგრეთვე თავისი ახალი ოპერა „ლატავრა“.

6. 9. 27.

● ოქტომბრის 10 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, მოსკოვში მოეწყო ეროვნებათა ხელოვნების საკავშირო გამოფენა.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თბილისის სპორტის სასახლეში. 1966 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელოვნო მთავარ-მმართველობამ ამ გამოფენაზე გაგზავნა ქართველ მხატვართა საზოგადოების სურათები, სახ. სამხატვრო აკადემიის მოწაფეთა ნამუშევრები, მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის ესკიზები, ქართული აკადემიური დრამის დადგმების მაკეტები. ქართული ხელოვნების ექსპონატები მიღებული იქნა მთლიანად. სახალხო მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის სურათები კი დამატებით მოითხოვეს. ქართულმა ხელოვნებამ ამ გამოფენაზე დიდ წარმატებას მიაღწია. მოსკოვის კრიტიკოსები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ და სწერდნენ ნიკო ფიროსმანაშვილზე როგორც განსაცვიფრებელ მოვლენაზე მხატვრობაში.

გარდა ამისა ეროვნებათა ხელოვნების საკავშირო გამოფენაზე დიდი ყურადღება მიუქცევიათ აგრეთვე ლ. გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის და ი. თოიძის ნამუშევართათვის.

26. 11. 27.

● 1927 წელს ეკრანზე გამოვიდა ქართული მხატვრული ფილმი „გიული“ (შიო არაგვისპირელის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით), რომელიც კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას დებიუტი იყო კინოში.

● მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა 11 ნოემბერს ოპერის შენობაში.

წარმოდგენილი იყო ე. ნაცის პიესა „ფრიც ბაუერი“ (თარგმანი კ. კალაძისა)...

14. 11. 28.

● მოსკოვი, 15 მაისი, „იზვესტია“ათავსებს ვრცელ წერილს ქართული თეატრის გასტროლების გამო მოსკოვში.

— ის, რაც გვიჩვენა კ. მარჯანიშვილმა და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივმა, — ნათქვამია წერილში — ცხადჰყოფს საბჭოთა საქართველოს თეატრალური კულტურის მაღალ დონეს.

15. 5. 30.

● ივნისში მოსკოვში გასტროლები გამართა რუსთაველის სახელობის თეატრმა ახმეტელის ხელმძღვანელობით. გასტროლების დიდი წარმატებით ჩატარების შემდეგ თეატრის კოლექტივი უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის მიწვევით გაემგზავრა ხარკოვში.

13. 7. 30.

● ხარკოვი. რუსთაველის თეატრმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადის ჟიურისაგან მიიღო სიგელი...

ოლიმპიადაზე მხოლოდ რუსთაველის თეატრი იქნა ცნობილი მსოფლიო მნიშვნელობის თეატრად.

20. 7. 30.

● საბჭოთა უკრაინისა და საქართველოს კულტურული კავშირის განმტკიცების მიზნით 18 ოქტომბერს ხარკოვის სახელმწიფო ოპერაში უკრაინულ ენაზე დაიდგა ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დადგა რეჟისორმა ფალავამ, მხატვარი ნადარეიშვილი, ქორეოგრაფი ჯავრიშვილი. დადგმას დაესწრო ავტორი, ზ. ფალიაშვილი. დადგმა დიდის წარმატებით ჩატარდა...

25. 10. 31.

● საბჭოთა საქართველოს მუსიკალურ დარგში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა: თბილისში დაარსდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი...

მისი მუდმივი მუსიკალური ხელმძღვანელია — ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი ე. მიქელაძე.

1. 4. 33.

● მოსკოვი, 1 ივლისი, რუსთაველის სახელობის ქართულმა სახელმწიფო თეატრმა დაამთავრა თავისი გასტროლები მოსკოვში. 29 ივნისს თეატრი გაემგზავრა ლენინგრადში.

მოსკოვის თეატრალურ კრიტიკოსებთან თეატრის მუშაკთა შეხვედრა-საღამოზე შეჯამებულ იქნა მოსკოვში თეატრის მიერ ჩატარებული გასტროლების შედეგები.

თეატრის გასტროლები მოსკოვში გვიჩვენებენ, რომ საჭიროა სერიოზულად დაისვას მოკავშირე რესპუბლიკათა თეატრებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხი. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა თეატრალური კულტურის გამდიდრებას.

3. 7.33.

● მაისში, ქალაქ ლოსანჟელესში წიგნის მხატვრული ნიშნების (ექსლიბრისი) საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა კავშირის მხატვარ - გრაფიკოსებიდან ჯილდო მიენიჭა მხატვარ-გრაფიკოსს ლადო გრიგოლიას, რომელმაც წიგნის ნიშნის საუკეთესო ნიმუშის წარდგენისათვის საპატიო დიპლომი მიიღო.

16. 7. 34.

● მოსკოვი. 4 აგვისტო. ლონდონის საერთაშორისო ცეკვის ფესტივალზე ქართული ჯგუფის გამოსვლებმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონის აუდიტორიაზე...

საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ ბალზე სპეციალური მედლები მიეცათ საბჭოთა დელეგაციის ქართულ და სხვა ჯგუფებს.

6. 8. 35.

● მოსკოვში ჩატარდა ქართული საბჭოთა ხელოვნების დეკადა. მოსკოვი — აღფრთოვანებით შეეგება ქართული ხელოვნების წარმომადგენლებს.

დეკადის დღეები მოსკოვში — ეს იყო მთელი საბჭოთა ხელოვნების, კერძოდ ქართული ხელოვნების ნამდვილი ტრიუმფის დღეები. მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე აელვარდნენ ქართული ხელოვნების საგანძურნი.

ქართული თეატრის დიდ მიღწევებს — რუსთაველის ლენინის ორდენოსანი თეატრის სახით — იცნობს მთელი საბჭოთა კავშირი. ახლა ქართული ხელოვნების დეკადამ საქვეყნოდ გამოამჟღავნა საბჭოთა საქართველოს დიდი წარმატებანი ქართული ოპერის, სიმღერისა და ცეკვის დარგებშიც...

დეკადაზე საბჭოთა მთავრობამ უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოვა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

16. 1. 37.

● მოსკოვი, 17 ნოემბერი. ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის დარბაზებში საზეიმო პირობებში გაიხსნა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელოვნების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ნიჭიერი მხატვრების — თოიძის, ქუთათელაძის, ვეფხვაძის, ქობულაძის ნაწარმოებები. აგრეთვე რევოლუციის წინადრონდელ განყოფილებაში გამოფენილი იყო გაბაშვილისა და მრევლიშვილის ნამუშევრები.

18. 11. 37.

● ლენინგრადი, 1 ივლისი. 28 და 30 ივნისს კიროვის სახელობის ლენინგრადის დიდ საოპერო თეატრში დაიდგა ქართული ბალეტი „მთების გული“. მუსიკა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძისა, დადგმა ორდენოსან ვახტანგ ჭაბუკიანისა, მხატვრული გაფორმება ორდენოსან ს. ვირსალაძისა.

4. 7. 38

● მოსკოვი, 19 ივნისი. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა მოსკოვის ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში წარმატებით ჩატარდა.

20. 6. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოსკოვში კინემატოგრაფიის მთავარმა სამმართველომ განიხილა ორდენოსანი კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელის ახალი სურათი „დიადი განთიადი", რომელმაც უმაღლესი შეფასება მიიღო.

30. 10. 38.

● საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ორმა ბრიგადამ თვენახევარზე მეტი დაჰყო ყირიმის ფრონტზე, ამ ხნის განმავლობაში ბრიგადებმა 57 კონცერტი გამართეს. აქედან 23 კონცერტი ფრონტის მოწინავე ხაზზე. მსახიობებს გამოსვლა უხდებოდათ აეროდრომებზე, მიწურებში, ტყეში, საბარგულებზე. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ბრიგადებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს და როგორც ფრონტის პოლიტსამმართველო აღნიშნავს საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი გაგზავნილ მიმართვაში, მსახიობებმა მებრძოლთა დიდი სიყვარული დაიმსახურეს.

გარდა უფასო კონცერტებისა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთათვის მსახიობებმა ქერჩში მოაწყეს კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცა თავდაცვის ფონდს. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

21. 3. 42.

● 12 ივლისს თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა სამამულო ომისადმი მიძღვნილი დიდი სამხატვრო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, კრასნოდარის, ორჯონიკიძის, მახაჩკალის მხატვრების 176 სურათი. გამოფენაში მონაწილეობენ აგრეთვე მოსკოველი, ხარკოველი და კიეველი მხატვრები, რომლებიც ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

14. 7. 42.

● თბილისის კინოსტუდიამ უკვე დაამთავრა კინოეპოპეა „გიორგი სააკაძის" მეორე სერიის გადაღება. ამ სერიაში ასახულია გიორგი სააკაძის ცხოვრება შაჰ-აბასის შემოსევიდან თითქმის სააკაძის სიკვდილამდე.

ფილმი დადგა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მ. ჭიაურელმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარის მიხედვით. მუსიკა დაწერა ა. ბალანჩივაძემ. მთავარ როლებს ასრულებენ ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე, ს. ზაქარიაძე, ს. ბალაშვილი, ლ. ასათიანი და სხვ.

10. 8. 43.

● ამიერკავკასიის ფრონტის ქართული ნაწილების მხატვრული მომსახურებისათვის ხელოვნების საქმეთა სამმართველომ შეადგინა 5 მხატვრული ბრიგადა, რომლებშიც შედიან რუსთაველის, მარჯანიშვილის, ოპერის თეატრებისა და ფილარმონიის წამყვანი მსახიობები. ყოველ ბრიგადაში შედიან აგრეთვე ორი მხატვარი და ორი მწერალი. თითო ბრიგადა ჯარის ნაწილებში მოაწყობს 15-30 კონცერტს და კონსულტაციას გაუწევს წითელარმიელთა თვითმოქმედ წრეებს. იგივე ბრიგადები მოემსახურებიან ჯარების ნაწილებს ოქტომბრის დღეებში.

ღია კონცერტების მოსაწყობად იგზავნება ფილარმონიის მსახიობთა 24 ბრიგადა, რომლებსაც და-



აკად. ივ. ჯავახიშვილი მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურ გათხრებზე. 1938 წ.



თბილისის ოპერისა და რუსთაველის სახელობის თეატრების მსახიობთა საშეფო ბრიგადის წევრები საბჭოთა მეომრებთან. 1942 წ.

ქართული ხელოვნების დეკადის დასკვნითი საღამო მოსკოვში. 1958 წ.



ვალებული აქვთ წითელი არმიის ნაწილებში გამართონ საშეფო კონცერტები.

17. 9. 43.

● კვირას, 17 დეკემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა.

19. 12. 44.

● 1945 წელს თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მოეწყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელები ქართული ნაციონალური ქორეოგრაფიის შესანიშნავი ოსტატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი) პირველი კონცერტი.

● საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებული სიმებიანი კვარტეტი ბ. ჭიაურელის (პირველი ვიოლინო), გ. ხატიაშვილის (მეორე ვიოლინო), ალ. ბეგალიშვილის (ალტი) და გ. ბარნაბიშვილის (ჩელო) შემადგენლობით 18 მაისს თბილისის საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა პირველი კონცერტით...

1. 6. 47.

● მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ საკუთარი ძალებით დაიდგა ოპერა „დაისი". ეს ქუთაისის სინამდვილეში ოპერის სრულად დადგმის პირველი ცდაა.

4. 7. 53.

● საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (ხელმძღვანელები სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი) ბუქარესტში ფესტივალზე ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

5. 9. 53.

● მოსკოვში დიდი თეატრის საბალეტო სპექტაკლ „დონ-კიხოტში" გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი.

ვ. ჭაბუკიანთან ერთად სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებდა რუსეთის დამსახურებული არტისტი მ. პლისეცკაია.

5. 1. 54.

● მოქანდაკე ვ. ჩხეიძემ დაამთავრა ვ. ი. ლენინის კომპოზიციური ქანდაკება, რომლის სიმაღლე 3 მეტრია.

15. 4. 55.

● მიმდინარე წელს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ვიოლინისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა ქართველი ახალგაზრდა ნიჭიერი ვიოლინისტი მარინე იაშვილი.

28. 8. 55.

● დიდი ოქტომბრის სადღესასწაულო დღეებში რუსთავში გაიხსნა რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური ნაგებობა — მეტალურგთა კულტურის სასახლე.

ამ შესანიშნავ ნაგებობაში პირველი წარმოდგენა გამართა რუსთაველის სახელობის თეატრმა, რომელმაც რუსთავის მშრომელებს უჩვენა ვ. როზოვის კომედია „ხალისიანი მეგობრები"...

13. 11. 55.

● 21 აპრილს თბილისში ლენინის სახელობის მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ბელადის ძეგლი.



მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები მოსკოვში 1962 წ.

ძეგლის პროექტის ავტორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მოქანდაკე ვ. თოფურიძე. მის შექმნაში მონაწილეობდა მოქანდაკე გ. ჯაფარიძე, კვარცხლბეკი აგებულია არქიტექტორების — სახელმწიფო პრემიის ლაურეატის კ. ჩხეიძის, შ. ყავლაშვილის, გ. მელქაძისა და გ. ხეჩუმოვის პროექტით.

22. 4. 56.

● 21 მარტს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი" პირველად იქნა წარმოდგენილი აზერბაიჯანის ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

27. 4. 56.

● დღეს თბილისში იწყება ტელეგადაცემა.

30. 12. 56.

● 18 დეკემბრიდან პარიზში საკონცერტო დარბაზ ალამბრაში მიმდინარეობს ქართული ცეკვის ანსამბლის გასტროლები...

ქართულმა ცეკვამ მოხიბლა საფრანგეთი.

7. 2. 58.

● თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი მოსკოვში მოწყობილი მოზარდ მაყურებელთა თეატრების სრულიად საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

23. 2. 58.

● სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა.

2. 3. 58.

● 21 მარტს მოსკოვში გაიხსნა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა.

22. 3. 58.

● 11-დან 25 მაისამდე ბაქოში, ერევანსა და თბილისში მიმდინარეობდა საბჭოთა მუსიკის ფესტივალი — „ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული".

31. 5. 58.

● თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო ჯგუფი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის მეთაურობით საგასტროლოდ იმყოფებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

25. 9. 58.

● ქართველი კომპოზიტორების ოთარ თაქთაქიშვილისა და ოთარ გორდელის ნაწარმოებები შესრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნა მოსკოვში 1966 წ.

ლდა ამერიკაში — მსოფლიოში სახელგანთქმული ამერიკელი დირიჟორის ლეოპოლდ სტოკოვსკის დირიჟორობით.

21. 6. 59.

● მოსკოვში ახალგაზრდა მევილიონეთა სრულიად საკავშირო კონკურსში მევიოლინე ლიანა ისაკაძემ ლაურეატის საპატიო წოდება მიიღო.

9. 2. 61.

● ქართველ მოღვაწეთა ექსპედიციამ, რომელშიც შედიოდნენ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი, იერუსალიმის ჯვარის მონასტერში გამოავლინა, მთლიანად აღადგინა და შეისწავლა ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი — შოთა რუსთაველის სახე...

17. 3. 61.

● პარიზში, მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსში ლაურეატობა და პირველი პრიზი მოიპოვა მარინე გოგლიძე-მდივანმა.

4. 8. 61.

● დიდი თეატრის სცენაზე დაიდგა ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „ცხოვრების ფურცლები". დამდგმელი — თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი ლ. ლავროვსკი.

17. 2. 61.

● მოსკოვში დამთავრდა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსი, რომლის ლაურეატები გახდნენ ქართველი პიანისტები ელისო ვირსალაძე და მარინე გოგლიძე-მდივანი.

19. 6. 62.

● მინსკი, 30 დეკემბერი. ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტეს" პრემიერა. ეს მოძმე საქართველოს პირველი ოპერაა, რომელიც მინსკში დაიდგა.

31. 12. 62.

● მოსკოვი, 26 იანვარი. მოსკოველ ლიტერატორთა კლუბში მოეწყო საქართველოს სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის 33 ნაწარმოები.

28. 1. 63.

● საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით ჩამოყალიბდა კამერული ორკესტრი, რომ-



მოსკოვი. მაიაკოვსკის სახელობის თეატრის შენობის წინ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების დღეებში, 1976 წ.



სცენა დიდი თეატრის სპექტაკლიდან „მთვარის მოტაცება" 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის პირველი კონცერტი გაიმართა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

20. 2. 61.

● **ლენინგრადში** გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ეს იყო პირველი ქართული დრამატურგიული ნაწარმოები, რუსულ სცენაზე.

24. 5. 64.

● **მოსკოვის** მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის სცენაზე დაიდგა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე ვხედავ მზეს“.

7. 10. 64.

● **შოთა რუსთაველის** სახელობის რესპუბლიკური პრემიების პირველი ლაურეატები გახდნენ: ირაკლი აბაშიძე, ელგუჯა ამაშუკელი, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო გუდიაშვილი.

25. 2. 65.

● **საქართველოს** სსრ სახალხო მხატვრის იაკობ ნიკოლაძის ნამუშევარს „ვ. ი. ლენინი 1903 წელს“ (1947 წ.) სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა.

24. 12. 66.

● **30 ნოემბერს** რუსთავის ახლადშექმნილმა სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა თავისი პირველი პრემიერა ედმონ როსტანის კომედია „სირანო დე ბერჟერაკი“. სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი და დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე.

2. 12. 67.

● **პოლონეთის** ქალაქ გლივიცას მუსიკალურ თეატრში დაიდგა ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“.

19. 3. 68.

● **სოფიაში** ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-9 მსოფლიო ფესტივალზე ზურაბ სოტკილავას კლასიკურ სიმღერაში მთავარი პრემია „ორფევსი“ და ოქროს მედალი მიეკუთვნა. ფესტივალის ვერცხლის მედალი დაიმსახურა თბილისის კონსერვატორიის აღზრდილმა, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტმა მაყვალა ქასრაშვილმა. ანსამბლი „გორდელა“ ოქროს მედლით დაჯილდოვდა, რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით ფესტივალის ლაურეატი გახდა.

9. 8. 68.

● **ბერლინის** „კომიშეოპერის“ მთავარმა რეჟისორმა ვ. ფელზენშტეინმა დადგა ვერდის „აიდა“, რომელშიც მთავარი პარტიები — აიდასი და რადამესისა შეასრულეს ქართველმა მომღერლებმა — ცისანა ტატიშვილმა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნოდარ ანდღულაძემ.

12.3.69.

● **პარიზში** გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა.

12. 3. 69.

● **მოსკოვში**, მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალის შენობაში გასტროლები გამართა რუსთავის სახელმწიფო თეატრმა.

25.6.69.

● **მოსკოვში** დაიწყო თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის [illegible]ლი გასტროლები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

2.7.69.

● **1 ნოემბერს** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო ქართული კულტურის დღეები.

2.11.69.

● **აფხაზეთში** შეიქმნა სიმფონიური ორკესტრი. ეს დიდი მოვლენაა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში.

31.12.69.

● **22 თებერვალს** იტალიაში, სიცილიის დედაქალაქ პალერმოში ჩატარდა საბჭოთა კავშირის კვირეული — საქართველოს დღეები.

26.2.70.

● **ქ. ბარსელონაში** მომღერალთა მერვე საერთაშორისო კონკურსზე ზურაბ სოტკილავას მიენიჭა პირველი პრემია, ოქროს მედალი და კონკურსის საპატიო დიპლომი.

25. 11. 70.

● **რუსთაველის** სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივმა გასტროლები გამართა გერმანიასა და პოლონეთში.

18.6.70.

● **დიდი** კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის წინ გაიხსნა კომპოზიტორის ძეგლი, რომლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი, კვარცხლბეკისა — არქიტექტორი ა. ბაქრაძე.

14.10.71.

● **მესხეთის** სახელმწიფო თეატრი მიღწეული საერთო წარმატებებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიით დაჯილდოვდა.

29.1.72.

● **10-11 ივნისს** პოლონეთში, ქ. ლოძის დიდ საოპერო თეატრში, პირველად უცხოეთის სცენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

13. 6. 72.

● **მოსკოვი.** სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურმა აკადემიურმა თეატრმა დადგა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „სამი სიცოცხლე“.

● **ერევანი.** ახალი მუსიკალური თეატრალური სეზონი გაიხსნა ქართული ოპერით. სპენდიაროვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დადგა ო. თაქთაქიშვილის „მინდია“.

6.10.72.

● **ვენეციაში** ტრადიციულ სამხატვრო გამოფენა „ბიენალეზე“, ექსპონირებული იყო თბილისელი მოქანდაკის ირაკლი ოჩიაურის სამი ნამუშევარი — „მშვილდოსნები“, „რაშები“ და „ქართველი გლეხების ისტორია“.

11.10.72.

● **დიდი** ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი.

24.11.72.

● **მოსკოვის** გოგოლის სახელობის თეატრში დაიდგა ოტია იოსელიანის პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“, სტანისლავსკის სახელობის თეატრში — ა. ჩხაიძის „ხიდი“, მაიაკოვსკის სახელობის თეატრში — გ. ხუხაშვილის „მოსამართლე“, მოსკოვის ცენტრალურ საბავშვო თეატრში — გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“.

15. 12. 72.

● **14 იანვარს** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქ. საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გაიმართა „დაისის“ პრემიერა.

1. 2. 73.

● **რიგის** ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკა-



ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. 1971 წ.

დემიური თეატრის სცენაზე გაიმართა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“ პრემიერა.

30.5.74.

● 29 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ 8 ივნისამდე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყო ქართული კულტურის დღეები.

9.6.74.

● ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ სახალხო არტისტი, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი დაჯილდოვდა მილანის ბრაიდენზეს ხელოვნების გალერეიის ოქროს მედლით. ეს ჯილდო კომპოზიტორს მიენიჭა ბალეტ „ოტელოს“ მუსიკისათვის.

26.9.74.

● ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გასტროლები გამართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

8.10.74.

● ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების ქალაქ ჩიკაგოში ჩატარებული საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდო „გრან-პრი“ გადაეცა საბჭოთა ფილმს „ფიროსმანს“, რომლის დამდგმელი რეჟისორია გ. შენგელაია (კინოსტუდია „ქართული ფილმი“).

24.11.74

● 1974 წ. 21 მაისს თბილისში ახლადდაარსებულმა მეტეხის ახალგაზრდულმა თეატრმა-სტუდიამ წარმოადგინა თავისი პირველი დადგმა უ. შექსპირის „ჰამლეტი“. დამდგმელი რეჟისორი ს. მრევლიშვილი.

● ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ჩატარდა ფესტივალი — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“.

22.5.75.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, 18-დან 31 მარტამდე მაიაკოვსკის სახელობის თეატრში მიმდინარეობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები.

31.3.76.

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ დამსახურებულ მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ზურაბ წერეთელს მიენიჭა ლენინური პრემია (საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, საკურორტო ქალაქ ადლერში საბავშვო ზონის სივრცობრივ-დეკორატიული გადაწყვეტისათვის).

● ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ გაიხსნა ქართული სახვითი ხელოვნების გალერეა (არქიტექტორები გ. თოდაძე და ს. გაგუა).

20.4.76.

● ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. სპექტაკლი დადგა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჟორდანიამ, მხატვარია ი. სუმბათაშვილი.

4. 5. 76

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე დაიდგა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის სამმოქმედებიანი ოპერა „მთვარის მოტაცება“.

სპექტაკლი დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს მიეძღვნა.

28. 3. 77.

● ᲛᲐᲘᲡᲨᲘ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა გასტროლები გამართა გერმანიასა და მექსიკაში.

● 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ქუთაისში გაიმართა ახლადდაარსებული სიმფონიური ორკესტრის პირველი კონცერტი.

17. 5. 77.

ელენე ახვლედიანი და სვიატოსლავ რიხტერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»**

№ 11, 1977

ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

### ГИМН СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

Публикуется текст новой редакции гимна СССР в переводе на грузинский язык. Перевод выполнен поэтом Ир. Абашидзе. (стр. 3).

**Отар Тактакишвили**

### ЗАВОЕВАНИЕ ВЕЛИКОГО ОКТЯБРЯ

Великий Октябрь создал все условия для того, чтобы Грузия превратилась в республику высокоразвитой промышленности, многоотраслевого сельского хозяйства, передовой культуры.

Бурное развитие национального искусства, науки, экономики вывела нашу республику на всесоюзную и международную арену, о чем свидетельствуют фестивали, конкурсы, выставки, дни культуры, творческие смотры, гастроли, где ежегодно побеждают замечательные мастера грузинской советской музыки, театры, кино, изобразительного искусства, художественной самодеятельности.

В своей статье министр культуры Грузинской ССР О. Тактакишвили пишет о значений этих мероприятий, которые стимулируют развитие национальных творческих школ, о высоких результатах процесса взаимообогащения братских культур, способствующих прогрессу всего многонационального советского искусства. (стр. 4).



1917
60
1977

### ИНТЕРВЬЮ

В связи с 60-летием Великого Октября в журнале публикуется интервью с руководителями творческих союзов Грузии. Председатель Театрального общества Д. Алексидзе, председатель Союза архитекторов И. Чхенкели, председатель Союза художников Н. Джанберидзе и Первый секретарь Союза кинематографистов Э. Шенгелая рассказывают о достижениях грузинского искусства, о перспективах на будущее. (стр. 9).

**Алексей Аргун**

### ИСКУССТВО, РОЖДЕННОЕ ОКТЯБРЕМ

В своей юбилейной статье министр культуры Абхазской АССР А. Аргун рассказывает об успехах, достигнутых культурой Абхазии за 60 лет существования Советской власти. (стр. 19).

**Ламара Болквадзе**

### ПУТЬ К НОВЫМ ВЕРШИНАМ

Большими достижениями в области литературы и искусства встречает Советская Аджария 60-летие Великого Октября. Об этом повествуется в статье министра культуры Аджарской АССР Л. Болквадзе. (стр. 23).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Григорий Догузов**

## К НОВЫМ ДОСТИЖЕНИЯМ

Новыми достижениями встречают художники Осетии 60-летие Великого Октября. Об этом рассказывает председатель Союза художников Юго-Осетинской АО Г. Догузов (стр. 26).

**Гиви Орджоникидзе**

## 60 ЛЕТ ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ МУЗЫКИ

Статья являет собой обзор современной грузинской музыки. Вкратце охарактеризованы различные жанри грузинской советской музыки, важнейшие явления, рассмотрены закономерности, которые определяют суть, самобытность и пути развития грузинской музыки. (стр. 28).

## ПРАЗДНИК ИСКУССТВА

Недавно в нашей республике был проведен фестиваль «Праздник искусства», посвященный 60-летию Великого Октября.

В Большом концертном зале Грузинской государственной филармонии прозвучала классическая и современная профессиональная музыка, были исполнены лучшие произведения народного песенного и хореографического творчества.

В фестивале участвовали Большой симфонический оркестр Всесоюзного радио и телевидения и Большой академический хор, Туркменский государственный академический театр оперы и балета, Красноярский государственный ансамбль сибирского танца, оркестр народных инструментов Белоруссии, Кишиневский вокально-инструментальный ансамбль «Оризонт». Большой интерес вызвали клавирабенд профессора Московской государственной консерватории им. Чайковского Станислава Нейгауза.

Наряду с гостями в фестивале участвовали и ведущие творческие коллективы нашей республики. (стр. 34).

**Тина Донжашвили**

## МУЗЕЙ ДРУЖБЫ НАРОДОВ

В 1973 году в Тбилиси при Академии наук Грузинской ССР был создан музей дружбы народов. За короткий срок своего существования музей сумел создать богатую экспозицию, отражающую дружбу народов СССР. На последующих этапах работы предусматривается расширение экспозиции, ее пополнение документами, отражающими политические и культурные взаимоотношения нашего народа с народами социалистических стран.

Автор статьи — известная писательница Тина Донжашвили рассказывает о деятельности музея, об истории экспонатов, хранящихся в его экспозициях и фондах, о наших соотечественниках, живущих и работающих в разных уголках нашей страны (стр. 38).

## ВЕЛИКАЯ ОКТЯБРЬСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕВОЛЮЦИЯ И МУЗЫКА

В ознаменование 60-летия Великого Октября в Тбилиси был проведен международный симпозиум на тему «Великая Октябрьская Социалистическая революция и музыка».

В работе симпозиума приняли участие руководители композиторских организаций социалистических стран и известные советские музыканты.

В журнале опубликован текст выступлений участников международного симпозиума. (стр. 49).

**Светлана Кецба**

## ПРОФЕССИОНАЛЬНАЯ МУЗЫКА АБХАЗИИ

Председатель союза композиторов Абхазии Светлана Кецба пишет, абхазская профессиональная музыка — это детище Великого Октября. Она рассказывает о работе союза композиторов Абхазии, начиная со дня его основания, поднимает ряд интересных вопросов, в частности, говорит о вкладе абхазских композиторов в решение проблем национальности и народности абхазского профессионального музыкального творчества. (стр. 55).

**Ламара Сарибекова**

ЛЕОНИД АНДРЕЕВ и КОТЭ МАРДЖАНИШВИЛИ

Несомненный интерес представляет история многолетней дружбы известного русского писателя Леонида Андреева и грузинского режиссера Котэ Марджанишвили.

Исследуя вопрос их взаимоотношений, автор данной статьи полностью опирается на дневники К. Марджанишвили. (стр. 60).

**Рубен Ангаладян**

ГЕВОРК ГРЕГОРЯН

Жизнь и творчество заслуженного художника Армянской ССР Геворка Грегоряна в основном связаны с Тбилиси. Автор статьи знакомит с искусством художника, анализирует его работы. Г. Грегорян — сложный, противоречивый художник, его картины впечатляют правдой жизни и искренностью переживаний. (стр. 64).

ТБИЛИССКОМУ РУССКОМУ ТЕАТРУ ЮНОГО ЗРИТЕЛЯ 50 ЛЕТ

В связи с этой юбилейной датой в журнале публикуется статьи директора театра Ирины Гоциридзе «Ответственность перед будущим», Константина Вайсермана «Славный юбилей театра юных» и Надежды Джапаридзе «Замечательные поколения артистов». (стр. 69).

1917
60
1977

**Михаил Шатров**

ШЕСТОЕ ИЮЛЯ

В переводе на грузинский язык публикуется пьеса М. Шатрова «Шестое июля». Перевод выполнен Г. Батиашвили. (стр. 84).

ჟურნალში დაბეჭდილია მ. ბაბოვის, კ. შევჩენკოს, ი. კვაჭანტირაძისა და ს. სულავას ფოტოები.

ფერადი რეპროდუქციები თ. არჩვაძისა და გ. სეირანიანისა.

მხატვრული რედაქტორი ალექსი ბალაბუევი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI-77 წ., უე 07150.
შეკვ. № 2849. ტირაჟი 6.000. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,75. ფასი 1 მან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
თბილისი, 1977.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქუჩა № 14, ტელ. 93-93-59.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის 5, ტელ. 95-10-24.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76177